

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მ ა ს ც ნ ე

---

---

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4 · 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

4 · 1976

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა შ ი ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкrellidze Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რ ე ლ ა კ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.12.76; შეკე. 2673; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 7×108<sup>7</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 17,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 15,5; უე 15073, ტირაჟი 1700.  
უასე 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ფ ე რ ი ლ ე ბ ი

ლიტერატურისმცოდნეობა ახალი ამოცანების წინაშე . . . . .	5
ქ. ღონაძე, რომანტიკული სტილის საკითხისათვის ა. ყაზბეგის მხატვრულ მემკვიდრეობაში	9
წ. ურიდია, „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის . . . . .	23
ნ. ქობაძე, ა. ხახანაშვილი ხალხური მოტივების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ . . . . .	41
ნ. ორბელიანი, კრებულის პიესის „რადამისტ და ზენობიას“ წყაროები	55
ე. მებრძოლი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე	67
მ. გვახაძე, კანს ფილადელფის ექსპრესიონისტული რომანები	89
ნ. კანაქია, ბიშოპის მოთხრობები	103
მ. ახვლედიანი, ფოლკლორი თეიმურაზ ბაგრატიონისა და ქალაქი იოსელიანის ისტორიულ შრომებში . . . . .	<u>108</u>
ნ. ჩხეიძე, „ქილილა და დამანას“ A ვერსია . . . . .	119
ც. ტანკიანი, საბჭოთა ტიპიკონის ერთი სინური ნუსხის შესახებ	127
მ. ნაბიძე, ქვეყნის კატეგორია ქართულში . . . . .	132
ც. ბოჭორიანი, XVII საუკუნის ძეგლის „მირიანის“ ენობრივი თავისებურებანი	146
ა. შორაძანი, ორენოვების საკითხი ეგვიპტეში . . . . .	155
ქ. ფარულაძე, ერთი სუპრასეგმენტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტიკაში	165

### ც ნ ო ბ ე ბ ი დ ა შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

ა. შამხლიანი, კრისტიალური ძეგლის „ტყობა-ერდას“ სახელწოდებისათვის	171
--	-----

### ქ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

რ. ბურჯულიანი, „სიმართლე, მკაცრი სიმართლე!...“ . . . . .	173
მ. ბიშნიანი, კ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ, ასან ალ-თავარის	173

### ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ი ნ ფ ო რ მ ა მ ი ა

იეძელა აკად. ს. ყაზბეგის დაბადების 80 წლისთავს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	183
ა ხ ა ლ ი წ ი გ ე ბ ი	187
	199

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Литературоведение перед новыми задачами	5
К. ДОНАДЗЕ, К вопросу о романтическом стиле в художественном творчестве А. Казбеги	9
О. УРДИЯ, К уточнению некоторых вопросов второго издания «Витязя в тигровой шкуре»	23
Н. КОТЕТИШВИЛИ, А. Хаханашвили о народных мотивах в «Картлис Цховреба»	41
Н. ОРЛОВСКАЯ, Источники пьесы Кребилона «Радамист и Зенобия»	55
Е. МЕТРЕВЕЛИ, Новая монография о грузинском Многоглаве	67
Г. ГВАЗАВА, Экспрессионистические романы Ганса Фаллады	89
Н. КЕНЧОШВИЛИ, Рассказы Блншама Сахни	103
Г. АХВЛЕЦИАНИ, Фольклор в исторических трудах Теймураза Багратиони и Платона Иоселиани	109
Н. ЧХЕИДЗЕ, Версия А «Калиды и Димны»	119
Ц. ЧАПКИЕВА, Об одном списке Саввинского типика	127
Г. НЕБНЕРИДЗЕ, Категория персии в грузинском языке	132
Ц. БОЧОРИШВИЛИ, Особенности языка текста-памятника XVIII века «Мириан»	146
А. ЖОРДАНИЯ, К вопросу двуязычия в Египте	155
К. ЦЕРЕТЕЛИ, Об одной супrasegmentной фонеме в современных семитских языках	165

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

А. ШАВХЕЛИШВИЛИ, К вопросу о названии храма «Ткобья-Ерда»	171
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Р. БУРЧУЛАДЗЕ, «Правда, горькая правда!..»	173
Д. ГИУНАШВИЛИ, Хасан Румлу, Алсан ал-Таварих	190

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Посвящается 80-летию со дня рождения акад. С. Каучкишвили	183
В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	187
Новые книги	199

## ლიბერატურისმცოდნეობა ახალი ამოცანების წინაშე

ლიბერატურისა და ხელოვნების მუშაეები თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე დგანან. „ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევიმა პარტიის XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოზსენებაში, — არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი და კომპრომისები. აქ საჭიროა მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, ... მტრის იდეოლოგიურ დივერსიათა დროზე მოგერიება. ... ამრიგად თანამედროვე პირობები ახალ ამოცანებს უსახავს პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობას“ (ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, 1976, გვ. 103). ყრილობამ განსაზღვრა, რომ საბჭოთა ადამიანის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის, ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში ესთეტიკურ აღზრდას უღარესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება და ლიბერატურა დღეს უფრო მონოლითურად, ვიდრე ოდესმე, დგას საბჭოთა ადამიანის პატრიოტული და ინტერნაციონალური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის სამსახურში. ლიბერატურისმცოდნეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით კი ლიბერატურულ-მხატვრული კრიტიკა, მოწოდებულია ღრმად ანალიზი გაუკეთოს მიმდინარე ლიბერატურულ პროცესებს; იყოს პირუთენელი, პრინციპული და მიუკერძოებელი; დაეხმაროს მხატვრულ ნიქს ფართო შემოქმედებითს ასპარეზზე გამოსვლასა და გაფურჩქნაში; ასევე შეურიგებელი იყოს იდეურ-მხატვრული წუნის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ამისათვის საჭიროა მთელი ლიბერატურისმცოდნეობის, ლიბერატურის თეორიისა და მხატვრული კრიტიკის ესთეტიკური, ფილოსოფიურ-განზოგადებითი დონის ამაღლება, როგორც ამას ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში ლიბერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მთელი ქართველი ხალხის, შემოქმედებითი დარგის მუშაეებისა და მეცნიერებისათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა სკკპ იენისის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანდასახულ მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის; ფართო ფრონტით გაშლილ პრინციპულ ბრძოლას მეშინაური, წერილბურჯუაზიული ფსიქოლოგიის, მომხვეჭელობის, დრომოკმული მანენ ზნე-ჩვეულებების, რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ. მიზანდასახულმა ორგანიზატორულ-პოლიტიკურმა და იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ განაპირობა რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მიღწევები სამეურნეო

და კულტურულ მშენებლობაში; შეიქმნა მტკიცე საფუძველი მეათე ხუთწლედის დაეგებათა შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

ამ დიდ საქმეში, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, თავისი წვლილი შეიტანა ქართულმა მეცნიერებამ, შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებმა. კერძოდ დადგენილებაში აღნიშნულია: „იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შემოქმედებითი კავშირების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების როლი. საქართველოს სსრ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვეთ შინაარსით სოციალისტური, სულისკეთებით ინტერნაციონალური და ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. ბოლო წლების მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებშიც პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმღერიან შრომითი წარმატებების ჰეროიკასა და პათოსს, შრომელი ადამიანის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს“.

ეს მაღალი შეფასება კიდევ უფრო ზრდის შემოქმედებითი ინტელიგენციის პასუხისმგებლობას, შთააგონებს და რაზმავს მათ ჩვენი სისხლსაცვც ცხოვრების ამსახველი ეპოქალურ-ესთეტიკურ ღირებულებათა შექმნისათვის. შესაბამისად იზრდება ლიტერატურის მცოდნეობისა და მხატვრული კრიტიკის როლი და მნიშვნელობა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს თვითდამშვიდებისათვის. ასე რომ, ლიტერატურის მცოდნეობის ყველა დარგში მომუშავეს მთლიანად და სავსებით ენება ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შედეგი საპროგრამო მითითებანი: „იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფასთან ერთად უფრო გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ამ საქმეში არსებული ფორმალისტების, ცხოვრებისაგან მოწყვეტის ელემენტები და სხვა ნაკლოვანებები. მომავალშიც საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრის წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის დადგენილების საპროგრამო მითითებებიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა კონკრეტულად განსაზღვრა ის ამოცანები, რომელთა გადაჭრის წინაშე დღეს დგას რესპუბლიკის მხატვრული ინტელიგენცია, ქართული ლიტერატურის მცოდნეობა. ამხ. ე. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში მკაფიოდ თქვა, რომ „არ შეეუბრებოდა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პრინციპებიდან — ხალხურობის, პარტიულობის, მოქალაქეობრიობის პრინციპებიდან გადახვევის არავითარ კომპრომისს“, რომ საჭიროა „თანამედროვე და პრინციპული შეფასება მიეცეთ იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში“. ამ მხრივ კი ჩვენი მუშაობა ჭერ კიდევ სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება. არადამაკმაყოფილებელია მხატვრული კრიტიკის თეორიული და პროფესიული დონე. ხშირად შეინიშნე-

ბა კრიტიკის გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება ისეთი ლიტერატურული პროცესებისადმი, რომლებიც დაუყოვნებლივ გაანალიზებასა და შეფასებას საჭიროებენ. როგორც პლენუმზე ითქვა, ბოლო დროს ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსი გუნდრუკს უკმევს განყენებულ, შინაარსისაგან დაცლილ ზეკლასობრივ ჰუმანიზმს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ან მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს იმ ნაწარმოებებისა და ავტორების მიმართ, რომლებსაც ამოძრავებს კეთილი სურვილი მხარი აუბან რესპუბლიკაში მიმდინარე ძირეულ დადებით გარდაქმნებს. ეს მაშინ, როდესაც მხატვრული კრიტიკის უპირველესი ამოცანაა მოგვევლინოს გზამკვლევად ლიტერატურის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის. ფართო მასები, რომლებიც დღეს შრომითი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ, უფლებამოსილნი არიან. როგორც ამის შესახებ თავის დროს ვ. ი. ლენინი ამბობდა, მოითხოვონ ნამდვილი ლიტერატურა, რომელიც მათი გმირული შრომისა და მაღალმოქალაქეობრივ-პატრიოტული სულისკვეთების ამსახველი იქნება. მწერლობის ამ სისხლხორცეულ ამოცანებზე ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსი წლების განმავლობაში დუმს და ხშირად ზოგადსაკაცობრიო იდეალებს მარგალიტებს დაძებებს იქ, სადაც მოჩვენებითი მაღალფარდოვნების უკან თავს იფარავს აზრისა და გრძნობის სიმწირე და სიღარიბე.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა ყოველთვის ავლენდა ხოლმე ხალხთა მეგობრობის ინტერნაციონალურ სულისკვეთებას. ხალხთა მეგობრობის უკვდავი თემის მაღალმხატვრული წარმოსახვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მოტივად იქცა. ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის ფართო რეზონანსსა და პოპულარობას. ინტერნაციონალური სულისკვეთების საწინააღმდეგოდ კი, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე აღინიშნა, ვხვდებით „ცალკეულ ფაქტებს, როცა ყალბი პატრიოტიზმი—ეწუფოდით მას პროინციული პატრიოტიზმი, თუ გნებავთ პატრიარქალური პატრიოტიზმი — ეროვნული ინტერესების დაცვა ჰგონიათ“. მართლაც, ჩვენს კრიტიკას ზოგჯერ შემოეპარება ხოლმე პრიმიტიული, ნატურალური, პატრიარქალური ცხოვრების წესისადმი ხოტბის ცდები. მსგავსი განწყობილებანი პარტიის XXV ყრილობისადმი სიანჯარიშო მოხსენებაში შეფასებულ იქნა, როგორც „მევენ ტენდენცია“, რომელსაც გადაჭრით, მთელი შეუპოვრობით უნდა ვებრძოდეთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ბოლო დროს მომძლავრდა წარმართულ-მითოლოგიური ცნობიერებისა და პრიმიტიული ყოფისადმი ხოტბის ცდები. ყველაფერი ეს ბიძგს აძლევს ანტიინდუსტრიულ განწყობილებას, უნდობლობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი. აქ ვლინდება კრიტიკის გაურკვეველობა თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების პროცესებში, რასაც, თავის მხრივ, ბიძგს აძლევს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა. გამოსაყალი ვითია — კრიტიკის მაღალი თეორიული დონე, კრიტიკოსის ენერგიული შრომა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლებისათვის.

ზოგჯერ ადგილი აქვს კლასიკური მემკვიდრეობის უკვე საყოველთაოდ აღიარებული და დაკანონებული საბჭოური შეფასების გადაფასების ცდებს. ამა რა საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისათვის, თითქოს ი. ჰავეკვაძე ქართველი ერის ხსანსა და გადარჩენას ქრისტიანობის საწიგნო გამარჯვებაში ხედავდა, თითქოს იგი განდევილობა-ასკეტობას იწყნარებდა და როგორც შემოქმედი თეოლოგიურად მოაზროვნე იყო. ყველაფერი ეს არ შეეფერება ისტო-



რიულ სიმართლეს და თავის მხრივ უკან სწევს რელიგიური გადმონაშთებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლის ვეფქტიანობას. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მანვე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღმოფხვრისათვის ფართო მასშტაბის დადგენილება მიიღო და მოუწოდა ყველა შემოქმედსა და მეცნიერს, ცხადია, განსაკუთრებით ლიტერატორებს, ამ ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

იდეოლოგიური მუშაების რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ახლახან ჩატარდა და ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ძირითად საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ ზოგიერთი მკვლევრისა და კრიტიკოსის, ასევე ჟურნალის მხრივ (დასახელებული იყო „ცისკარის“ რედაქცია) ადგილი აქვს „აშკარად მცდარ და პოლიტიკურად უსუსური დებულებების“ მხარდაჭერასა და გამართლების ცდას. ასეთი შემთხვევები, როგორც წესი, შინაამქრული ურთიერთმხარდაჭერისა და ძმობიკური გატანის კერძო ხასიათის განწყობილებითაა შეპირობებული და მეცნიერების საერთო საქმეს დიდ ზიანს აყენებს.

მთლიანად და სავსებით აღმოფხვრილ უნდა იქნეს ვიწრო კამერული და-მოკიდებულება ლიტერატურისმცოდნეობისა და მხატვრული კრიტიკის სა-დღეისო, სასიცოცხლო პრობლემებისადმი. პირადი განწყობილებებით, სუბიექტური სიმპათია-ანტიპათიით, გარეშე კონიუნქტურული მოსაზრებებით ხელ-მძღვანელობა, მაშინ როდესაც საკითხი მეცნიერულ ჭეშმარიტებას, მის საზო-გადობრივ დანიშნულებას ეხება, — პრინციპულად მოუთმენელია. ყოველგვარი მეცნიერების, მათ შორის ლიტერატურისმცოდნეობისა და მხატვრული კრიტიკის, პრობლემები უნდა წყდებოდეს არა კულისებში, არამედ კათედრებზე, პრესის ფურცლებზე, მაღალკვალიფიციური საჯარო განხილვის, ფართო შემოქმედებითი დისკუსიების მეშვეობით, რომელსაც ცოდნასმოწყურებული საზოგადოება საკმაო ხანია მონატრებულია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებით ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა ახალი, საპატიო ამოცანების წინაშე დგას. ჩვენ დიდი და სერიოზული მუშაობა მოგველის, რომელიც მაღალი თეორიული დონით და შემტევი იდეოლოგიური სიწმინდით უნდა გამოირჩეოდეს.

## კარაიუზ დონაკი

## რომანტიკული სტილის საკითხისათვის ა. ყაზბეგის მხატვრულ მემკვიდრეობაში

ლიტერატურული სტილისა და მიმართულების საკითხი ა. ყაზბეგის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, დღემდე საცილობელია; მწერალს ზოგი ნეორომანტიზმის წარმომადგენლად მიიჩნევს, ზოგი კიდევ რომანტიკოსად, ზოგიც — რეალისტად.

კ. აბაშიძემ დიდი ქართველი რომანისტი ნეორომანტიზმის მიმდევრად მიიჩნია; „რეალიზმის გადაგვარების შემდეგ ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებები დაამკვიდრებენ ნეორომანტიზმს“, — შენიშნავს კრიტიკოსი თავის „ეტიუდებში“<sup>1</sup>. მისი თვალსაზრისი ვაიხიარა ე. კოტეტიშვილმა, რომელმაც გარკვევით აღიარა, რომ ა. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა „ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრდნენ ნეორომანტიკოსების სახელით“<sup>2</sup>. იმავედროულად ბელეტრისტის მხატვრულ ნიმუშებში რომანტიზმის კვალაც შენიშნავენ. აკად. გ. ჭიბლაძის აზრით, ყაზბეგის შემოქმედება „თავისში შეიცავს რომანტიკულ ელემენტებს“<sup>3</sup>.

კ. აბაშიძე, ნეორომანტიზმთან ერთად, რეალიზმის ნიშნებსაც ხედავს მწერლის მემკვიდრეობაში. იგი შენიშნავს: ა. ყაზბეგი „რეალიზმის სკოლის“ მწერალია, „რეალისტ მწერალთა საუკეთესო მანერასაც ითვისებს“<sup>4</sup> და ა. შ. ამავე აზრს ავითარებს პროფ. დ. ბენაშვილი (ა. ყაზბეგი, 1939), პროფ. ა. მახარაძე (ნარკვევები, 1955), აკად. გ. ჭიბლაძე (კრიტიკული ეტიუდები, I, 1958) და სხვ.; ამათგან პროფ. ა. მახარაძე განსაკუთრებით კატეგორიული ფორმით განაზღვრავს რეალიზმის არსებობას ყაზბეგის შემოქმედებაში. იგი შენიშნავს: „ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული მემკვიდრეობა თავიდან ბოლომდე რეალისტურია და მას არავითარი საერთო არ გააჩნია არც ერთი სახის რომანტიზმთან, არც ძველთან და არც ახალთან“<sup>5</sup>.

ასე დგას გამოჩენილი ქართველი მწერლის ა. ყაზბეგის ლიტერატურული სტილისა და მიმართულების საკითხი ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში<sup>6</sup>.

ამ საკითხში ჩვენი თვალსაზრისი რამდენადმე განსხვავებულია. ა. ყაზბეგის უაღრესად ორიგინალური, თვითმყოფადი მხატვრული მემკვიდრეობა

1 კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 13.

2 ე. კოტეტიშვილი, რჩული ნაწერები, თბილისი, 1965, გვ. 541.

3 გ. ჭიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, I, თბილისი, 1958, გვ. 422.

4 კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბილისი, I, 1962, გვ. 280.

5 ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1955, გვ. 110.

6 აქ ჩვენ როდი გვინტერესებს საკითხის ისტორიული მხარე—ენი, როდის, სად რა აზრები გამოქვეყნდა ქართველ რომანისტზე, არამედ ამ უკანასკნელის მარტოდენ რომანტიზმთან მიმართების მომენტი.

ორგანული ნაერთია, ძირითადად, ორი ლიტერატურული სტილისა: ა) რომანტიკულისა და ბ) რეალისტურის, კრიტიკული რეალიზმის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ყაზბეგის მემკვიდრეობა, გენიალური ეაჟა-ფშაველას მხატვრულ ნიმუშებთან ერთად, ღრმად თავისთავადია, ქართული, საქართველოს მთიანეთის ყოფა-ცხოვრების წიაღიდან შადრევანივით გადმომჩქეფარე. დიდი ქართველი რომანისტის შთაგონებული მუზა, XIX საუკუნის სხვა ქართველ მწერლებთან შედარებით, ეაჟასაებრ ნაკლებად ემორჩილება უცხოური გავლენის ფაქტორებს, თუმცა მწერალი საერთო განათლების მხრით ეპოქის დონეზე იდგა. ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ა. ყაზბეგი პატარაობიდანვე რუსულისა და ფრანგული ენის საუკეთესო მცოდნე იყო და, საფიქრებელია, რუსულსა და საზღვარგარეთულ ლიტერატურას საკმაოდ ახლო იცნობდა.

ამჟამად ჩვენი ამოცანა განსაზღვრულია: საკუთრივ რომანტიკული სტილის კვალის დაძებნა ა. ყაზბეგის მხატვრულ მემკვიდრეობაში. ა. ყაზბეგი, ძირითადად, რეალისტო მწერალია. ელიასეული კრიტიკული რეალიზმის თანამდგომელი, მაგრამ დიდი რომანისტის შემოქმედებაში რეალიზმთან ერთად რომანტიზმის ნაკადიც მკაფიოდ შესაძინევია, თუმცა ეს უჟანასკნელი, როგორც ზემოთაც ითქვა, უაღრესად ორიგინალურია, საკუთარი სათავეებადან მომდინარე.

რაც შეეხება საკუთრივ ნეორომანტიზმის საკითხს ა. ყაზბეგის შემოქმედებაში, ჩვენი ფიქრით, მას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა მთიელ რომანისტთან იმ გაგებით, როგორც ის საერთოდ ლიტერატურათმცოდნეობაშია მიჩნეული.

ცნობილია, რომ ნეორომანტიზმის განვითარება გარკვეული მიმართულებით უკავშირდება ისეთ მოვლენებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორცაა: ნიქშეანობა, ნატურალიზმი, ფსიქოლოგიზმი, სიმბოლიზმი, დეკადენტიზმი და სხვ. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთული ლიტერატურული ცხოვრების მოვლენებს რიგი ფაქტორის გავლენის შედეგად (კაპიტალიზმის დაგვიანება ჩვენში, უაღრესად ძლიერი ქართული კლასიციზმი XII საუკუნეში და მისი განუზომელი, მიმმართველი გავლენა მთელ ჩვენს შემდგომ ლიტერატურაზე, აღმოსავლური გავლენა წარსულში და სხვ.) ნიჟადაგი არ ჰქონია ჩვენს ლიტერატურაში და, ამდენადვე, საფიქრებელია, მით უფრო ნაკლები იქნებოდა მისი გავლენა საქართველოს მთიანეთის მწერალზე. კ. აბაშიძეს, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებელია ქართულ ლიტერატურაში, მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია შემუშავებულნი ჰქონდა ევროპული მოაზროვნეების (ი. ტენის, გ. ბრანდესის, კ. ბრუნეტერისა და სხვათა) გავლენით. მას ნეორომანტიზმის მოშველიება დაჰპირდა გარკვეული მოსაზრებით — გაემატლებინა ბრუნეტერის მცდელობა ევოლუციური თეორია ქართული ლიტერატურის მავალითებზე.

ა. ყაზბეგი და ეაჟა-ფშაველა ჩვენი სინამდვილის იმზომად კანონზომიერი მოვლენებია, რომ, ეფიქრობო, ქართული რომანტიზმი, თუნდაც ე. წ. „ქართული ნეორომანტიზმი“, „მამის მკვლელის“ ავტორის მხატვრული მემკვიდრეობა ჩვენში თავისთავადაც იარსებებდა, მიახლოებით მაინც. ვინაიდან ზემოხსენებული მწერლების შემოქმედებას უაღრესად ღვიძლი, საკუთარი ნოყიერი მსაზრდობელი ნიადაგი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში. ყოველივე

ამას ის გარემოებაც ერთვოდა, რომ საქართველოს მთიანეთის ახალი, გრანდიოზული, ღრმად შთამაგონებელი თემა, რასაც ამ მწერლების შემოქმედებითი თვალის მისწრაფებულად მიმიზნებოდა, მანამდე ხელუხლებელი ყამირი იყო ჩვენს ლიტერატურაში (თუ არ ჩავთვლით ილიას „მგზავრის წერილებს“).

ა. ყაზბეგის მაგალითზე შეიძლება ვილაპარაკოთ ე. წ. „ნეორომანტიზმზე“, როგორც ახლებურ რომანტიზმზე ქართულ ლიტერატურაში, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენებური, ქართული გაგებით. ეს ახლებური რომანტიზმი წარმოიქმნა ჩვენში რეალიზმის (ადრეული რეალიზმი, თერგდალესულთა კრიტიკული რეალიზმი) განოყიერებულ ნიადაგზე XIX საუკუნის მწიფურულს. ამგვარად, ახლებურ რომანტიზმს (და არა „ნეორომანტიზმს“ უცხოური გაგებით) მართლაც შეიძლება მივაკუთვნოთ ა. ყაზბეგის მხატვრული ნიმუშები.

ეკა-ფშაველასაებრ არც ა. ყაზბეგის უღრმესად თვითმყოფადი მხატვრული მემკვიდრეობა შეიძლება მოთავსდეს ერთი რომელიმე ვიწროდ გაგებული ლიტერატურული მიმართულების, თუნდაც რომანტიზმის, ფარგლებში. მათი შემოქმედებითი სტიქია ჩვენი ქვეყნის, კერძოდ საქართველოს მთიანეთის, ღვიძლი შეილია, მთის წიაღიდან ანკარა წყაროსავით უკიდევანოდ გადმომჩქეფარე.

რომელისა და რემის არ იყოს, ყაზბეგისა და ეკას შემოქმედებას სულ სხვა ჩიშიერის ნოყიერი ძუძუ უწოვია — „მთის ძუძუ“ „დაუშრობელად რძიანი“ და კიდევ დაგვიტოვებს ლანქერივით ანაზღად მოვარდნილი, არაგვის ზვირთებივით მჩქეფარე, დიდი შემოქმედებითი გზებით აღბეჭდილი მხატვრული მემკვიდრეობა, რომელსაც, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, არც თვალსაჩინო წინაპარი ჰყოლია და არც გამოჩენილი მემკვიდრე (იმ გაგებით, როგორც ეს ლიტერატურაშია მიღებული). მათ დიდი გზნებითა და სწორუბოვარი ძალით გამოთქვეს ის მღელვარე ისტორიული ვითარება, რაც XIX საუკუნემ მოიტანა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყაზბეგის შემოქმედებაში რომანტიზმის ნაკადზე არის ჩვენს ლიტერატურაში შენიშვნები, მაგრამ მხოლოდ ზოგადად. წინამდებარე წერილის ამოცანა კი, როგორც ეს ზემოთაღნიშნულა, არის რომანტიკული სტილის ნიშნების დაძებნა რომანისტიკის მხატვრულ მემკვიდრეობაში და მისი შეძლებისამებრ დასაბუთება. ქართველი ბელეტრისტის რომანტიკული სტილის მიმანიშნებელია, უპირატესად, მკაფიოდ გამოვლენილი პიროვნული, სუბიექტური თვალსაზრისი. მწერალს ჰქონდა თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული კონცეფცია, საკუთარი კრედი, რაც ხშირად თავისი ნიმუშების პერსონაჟებშიაც კი გადაჰქონდა.

კ. აბაშიძე სამართლიანად შენიშნავს: ა. ყაზბეგმა თავისი თხზულებების გმირებს „ჩაუნერგა ნაწილი თავის სულის მოძრაობისა, ნაწილი თავის გულისწუხილისა, გონების ნაფიქრებისა და აზრის მისწრაფებისა და ამნაირად შედლებული მოხვევა—გამოვიდა მთიელი მწყემსი გარედამ დაგლეჯილ ტყაპუქში გამოხვეული, სულით და გულით კი ყაზბეგისგან მონათლული, ყაზბეგისგან შექმნილი. ამაში იგი, როგორც მწერალი, რომელიც თავის პირადობას პირველ პლანზე აყენებს, რომანტიკოსია“<sup>7</sup>.

ანალოგიური მომენტი კიდევ უფრო მკვეთრად გახაზულია ვ. კოტეტი-შვილის სიტყვებში: „აღ. ყაზბეგის თითქმის ყველა რომანში მთავარი გმირის ნიღაბ ქვეშიდან ავტორი გამოიყურება“<sup>8</sup>. „მისი საყვარელი გმირები, ყველანი იმასვე გრძნობენ, რასაც ავტორი“<sup>9</sup>. ანალოგიური ხერხი — ავტორის მიერ საკუთარი მრწამსის, აზრების თავიანთი პერსონაჟებისათვის თავზე მოხვევა, როგორც ცნობილია, რომანტიკულია. შემთხვევითი როდია, რომ ქართველი რომანისტი არაიშვიათად ნებას აძლევს თავის თავს საკუთარი ცხოვრებისა თუ პირადი განცდების მასალა ჩააქსოვოს ნაწარმოებში. ამის საილუსტრაციოდ მიიჩნევა ავტორის რიგი ნიმუში: „განეცხული“, „ცხოვრების ჩარხი“ და სხვ. კიდევ მეტი: საკმარისია მწერლის ნიმუშებს პერსონაჟთა მეტყველებას გავეცნოთ, რომ მათშიაც თვით ავტორის სულის მღელვარება, მასი ხმა და სტილი შევიცნოთ. უწიგნური, მაგრამ ბრძენი ხევისბერი გოჩა მალაღწიგნიერი პირისათვის შესაშური გრძნობიერი სტილით მიმართავს ხალხსა და ჯამათს: „რად უნდა ჩვენგან ნუგზარას, რაისთვი გვეპირება ოჯახობაში?... დღემც გასაგებია იმ მოხვევს, უკუღმართადამც მოჰქცევი იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც... ხალხისათვის სახლიც, ნაშობიც არა გასწიროს!... მაშ მძა რაისია, თუ გაკირვების დღესაც ძმას არ მიეშველებს? მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და დღეს გაძლიერებულს გაუბძლარი თვალი ჩვენგან მოუქცევი. ორი მეზობელი ერთურთს უნდა წაჰკიდოს, მოხვევ და მთიულნი ერთურთს შეახიციოს და თავად კი გაბატონდეს“<sup>10</sup>.

გავიხსენოთ ამავე ხევისბერი გოჩას ასეთივე ექსპრესიით საცხე სიტყვები ონისესადმი ომში გასტუმრების წინ: „ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების!... მაგრამ ვაეკატურად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხეეს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს... არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებთან და არ დაანებო... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ“<sup>11</sup> და სხვ. აქ ყოველი სტრიქონი, თითქოს გაწყვეტამდე დაკომული სიშია, ისე მძაფრი ექსპრესიითაა გადმოცემული. შეიძლება აქ ავტორის სტილი და სინტაქსური ფორმები არ მოგვეწონოს, მაგრამ სწორედ ეს თავისებური ენა და სინტაქსია ნიშნეულია ა. ყაზბეგის პერსონაჟებისათვის, მისი „კაიყმებისათვის“. ისინი ხომ ილიას „მგზავრის წვრილებსიეული“ ლელთ-ლუნისას მოდგმისაა, მისი ღვიძლი მემკვიდრეებია, მისებრ გულდია და პირდაპირი, რომელნიც თავიანთი ზნემაღალი კეთილ-შობილობებითა და მოქალაქეობრივი მხნეობით დღესაც გამოარჩევენ თავიანთ მხარეს. ისინი კაპიტალიზმის გამრყენელი გავლენის განუღვლეი ხალხია. რომელმაც ჩარჩული კაპიტალიზმისდროინდელ, ანგარებიანობრსა და წამგლეჩელობის მძეინეარების პერიოდშიაც კი შეინარჩუნა ერთგვარი სულიერი მთლიანობა, ერთიანობა და შეძლო „გულით ფიქრი“. „გრძნობებით აზროვნება.

აღსანიშნავია, რომ მაღალი მორალური პრინციპების მატარებელი ეს გმირები ხშირ შემთხვევაში იღუპებიან ყაზბეგთან, სიცოცხლეს ტრაგიკულად ამთავრებენ. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არ გვეგულება

<sup>8</sup> ვ. კოტეტი-შვილი, რჩეული ნაწერები, ორ წიგნად, თბილისი, 1965, გვ. 546.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 547.

<sup>10</sup> ა. ყაზბეგი, თხზულების ორ ტომად, ტ. II, 1968, გვ. 279. (ჩვენ ყველგან ამ გამოცემით ესარგებლობთ).

<sup>11</sup> იქვე, გვ. 297.

შორე ბელეტრისტი (ე. ნინოშვილის გარდა), რომლის მხატვრულ ნიმუშებში „კეთილი სული“, მართალი მხარე ასე განუკითხავად ისჯებოდეს, როგორც ამას ა. ყაზბეგის მემკვიდრეობაში აქვს ადგილი. ამ გარემოებამ ზოგიერთ კრიტიკოსს საფუძველი მისცა ეფიქრა, მწერალი ავისმხედველი თვალსაზრისის, პესიმისტური სკოლის მწერალიაო. სინამდვილეში, ჩვენი ფიქრით, აქ პესიმოზმთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ რომანტიზმის ნიშნულ მხარესთან, როცა გაუხარელი აწმყოთი გულგასენილი ავტორი მძაფრი უქმაყოფილების გამოსახატავად იდეალურ გმირებს ტრაგიკულ სვეს განუშზაღდებს, ათასი გაუთვალისწინებელი მარცხისა და უბედურებისათვის გასწირავს. ამავიად გარკვეული ისტორიული კანონზომიერებაა. მწერლის მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპებისათვის ყველაზე დიდი ამოცანა იყო იმ ეტაპზე დაეცვა ისტორიულად შემუშავებული თემობა, საუკუნეთა მანძილზე ფესვგადგმული თემური ადათ-სამართალი, რაც მის თვალწინ უღმობლად ირღვეოდა. ამ შემთხვევაში თემობის დიდ მედროშეს მხოლოდ ერთი დარჩენოდა — აწმყოსინამდვილე მუქ ფერებში წარმოედგინა, გმირები დაჩაგრულად, დამირებულად ეჩვენებინა და მთელი გულისტკივილი სასურველი ნაშრომადმი მიემართა. კრიტიკოსი კ. აბაშიძე ერთგან შენიშნავს: „თვით აზრი ყაზბეგის ნაწარმოებებისა რომანტიული თვისებისაა: წარსულის დიდება, წარსული სიკეთის გაზვიადება დღევანდელთან შედარებით — ეს რომანტიზმის ჩვეულებაა, რომანტიული მანერაა. დღეისით გულმოკლული წარსულში ეძიებს იდეალებს, მხნეობას, გულადობას, წარსულის აზრისა და გრძნობების მთლიანობას შეტრფის, და ამავიად, ა. ყაზბეგი რომანტიკოსია“<sup>12</sup>. მკითხველი ადვილად გრძნობს, რომ მწერლის გულის ცემა მიპყრობილია იმ ნანატრი წარსულისადმი, რომელიც მის თვალწინ ჩაპავალ მზესავით იძირებოდა. მწერლის ერთი წყება ძლიერი მხატვრული ნიმუშებისა ჩვენი ქვეყნის ნამყო ვითარებას გვითვალისწინებს, ამთგან ზოგი შედარებით შორულს („წამება ქეთევან დედოფლისა“), ზოგიც — მახლობელს („ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“, „არსენა“ და სხვ.), როგორც ეს რომანტიკოსების ლიტერატურულ პრაქტიკაშია.

მწერალი გულდასერილია შექმნილი ვითარებით და ამ უქმაყოფილებას იგი კიდევ ბელეტრისტიკაში უჩვეულოდ მძაფრი პუბლიცისტური ენებიანობით განაცხადებდა. არსებულთ უქმაყოფილების ეს ყაზბეგისეული გზნება, „უქმარისობის ნიაღვარი“ იმზომად მოვარდნილი ლანქერივით ძლიერია მწერალში, რომ საფიქრებელი იყო, მას უბრალო ნარკვევი ან პუბლიცისტური სტრიქონები გამოსვლოდა, მაგრამ გამოჩენილ რომანისტს დიდმა მხატვრულმა ნიჭმა შეაძლებინა უაღრესად ძარდიანი, „მოკვირილი“ ფერებით შესრულებული სურათ-სახეები გამოეკვეთა. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო მწერლის გულის დუდილი და სულსკვეთება სამწერლო ენასა და სტილში გამოხატულიყო და კიდევ გამოიხატა. ამ ნიადაგზე დიდქართველ რომანისტში გამომუშავდა უაღრესად თავისებური, ექსპრესიული სტილი, რომელიც მკითხველზე არა მარტო სახეებითა და სურათებით ზემოქმედებს, არამედ თავისებური სიტყვიერი მასალითა და პათეტიკური სტილით, რომელიც მკითხველის არა მარტო გონებაზე ახდენს ცხოველ გავლენას, არამედ გულსა და გრძნობათა სამყაროზედაც. ამის შედეგია, რომ „ელგუჯასა“ და „მამის მკვლელის“ ავტორის ლიტერატურული სტილი, წერის მა-

ნერა უაღრესად რომანტიკულია, შინაგანად აღზნებული და აღმგზნები, შემტევი და მომწოდებელი, ჭურათების ენაზე გამოხატული თუ უბრალოდ, ავტორისეული სიტყვიერი ინვენტარით გამოთქმული, რაც ხშირად ენობრივ-ლიტერატურული ნორმებით შეუზღუდავი ლალი სტილის სინტაქსურ ფორმებში იხატება. საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ: მეფის რეჟიმის გულის სიღრმემდე მოძულე მწერალს ერთგვის იმპერატორ ალექსანდრე III პორტრეტზე სიბრაზით სავსე სიტყვები წაუწერია:

„ღაწვი შენი სამართალი,  
შენი კანონდებულება,  
შენი აზრი, მოფიქრება,  
შენი მირონცხებულება“.

ასეთი სიტყვებით აკრელებული მეფის პორტრეტი კი მწერალს აგიზგიზებულ ბუხრის ცეცხლში შეუგდია სიტყვებით: „ღაწვიას შენი ჩამომავლობა, თქვენი კანონი, თქვენი მთავრობის ძალაო“.

ქართველი რომანისტის ეს რომანტიკულად აღზევებული სტილი თავის დროზედაც ყოფილა შენიშნული. მეორე დიდი რომანისტი — ვ. ბარნოვი „ელგუჯას“ ავტორის შესახებ ასე აღმომგვეცემს: „მის საუბარში გატაცება მატყვევებდა მე, თავდავიწყება, დაიწყებდა რაიმე საგანზე, აწმყო ცხოვრების თუ წარსულის კაბადონზე აღმოჩენილ რამ შემთხვევაზედ და თანდათან ცეცხლს დასძენდა იგი თავის თქმას, ეშხს უმატებდა, ფართოვდებოდა ამბის არე, გარდიშლებოდა. გარდატეხდა მისი სიტყვა სინამდვილის რკალს და ნაეარდს უელიდა, ზეაღვიდოდა, დაიწყებდა ოცნებათა სანახებში მიმოფრენას, იფურჩქნებოდა ქადოსანი სიტყვა ქართული. გარდიშლებოდნენ გონებაში ლანდთა დასები, სიცხოველით რომ უდრიდნენ რეალობას“<sup>13</sup>. ეს მომენტი გახაზულია აგრეთვე დ. კლდიაშვილის სტრიქონებშიაც: „როცა მაღალი ცეცხლით აინთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახაეიც იყო და გატაცებული აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი ჩახედებოდა მის დიდ ნიჟს და ტალანტს“<sup>14</sup>.

შემთხვევითი არაა, რომ ა. ყაზბეგის ენა რამდენიმედ კიდევ ენათესაეება მისი თხზულებების პერსონაჟთა ენას. ეს გასაგებიცაა: როგორც ავტორი, ისე პერსონაჟები „ზემოური მხარის“ მოქალაქეებია, საქართველოს მთიანეთის ზვიძლი შვილები, გოგმაყი, ბროლის ჩანჩქერების სამყაროში, „მზის მახლობლად“ მობინადრენი; ისინი ბატონყმობის უღელგანუტდელი, თავისუფლებდამოყვარე ხალხია, გალალეზულად მოზარდი, თერგისა და არაგვის ზეირთებევით მჩქეთარე, ლაღი ბუნებისა; მათ დღესაც ადვილად გამოარჩევს ადამიანი მგზნებარე ხასიათითა და ტემპერამენტით. ბევრის მოქმელია ჩვენი დროის უდიდესი პოეტის გალაკტიონის სიტყვები, სადაც იგი ა. ყაზბეგს ხევის „ბეთხოვენს“ უწოდებს („მე კაცასიის ქედები მთხოვენ...“)<sup>15</sup>.

საკმარისია დიდი რომანისტის ნიმუშების ამაღლვებელი ფურცლები გადავშალოთ, რომ უეჭვოდ დავრწმუნდეთ — მისი გამირებისათვის გამორჩევით დამახასიათებელია ისტორიულად გამომუშავებული ნიშნული მხარეები: მაღალი მოქალაქეობა, უკანდაუხვეველი პირდაპირობა. „კაიკაცო-

<sup>13</sup> გაზ. „ქართული სიტყვა“, 1923, გვ. 4.

<sup>14</sup> დ. კლდიაშვილი, მეშუარეობა, ტფილისი, 1925, გვ. 45.

<sup>15</sup> გ. ტაბიძე, ლექსები, თბილისი, 1967, გვ. 143.

ბა“. უკეთ, „კაცური კაცობა“, სამშობლოს, მისი მიწა-წყლის მხურვალე სიყვარული და მზად ყოფნა დაიცვას მამულის ღირსება, რადაც უნდა დაუჯდეს.

ამ მხრივ ბევრის მთქმელია პოეტისა და ეთნოგრაფის რ. ერსთაივის კლასიკური ლექსი „სამშობლო ხევსურისა“. აქ ხევსურეთი საერთოდ საქართველოს მთიანეთის სინონიმია. ცნობილია, რომ ხშირად მხატვრული ლიტერატურის დამოწმებას ისტორიული ნაშრომის, გამოკვლევის თანახარფასეული წონა და დამაჯერებლობა ენიჭება, როგორც ეს დაბეჭდვით გახაზულია აქად. ავლიბი ზურაბაშვილის საგანგებო დეონტოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ნარკვევში „პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში“ (1973).

ასევე მწვავე განცდებითა და ტკივილებით უხვად გამამძარია ყაზბეგის მოთხოვნა-სურათების ყოველი სტრიქონი, სულ ერთია ავტორისეულია იგი, თუ პერსონაჟებისა. ყოველივე ამაში არის ერთგვარი შინაგანი კანონზომიერება, დამაჯერებლობა, როგორც ეს ზემოთაც იყო შენიშნული.

ამ მხრით თითქმის განმეორდა შექსპირის მაგალითი. გავიხსენოთ დიდი რეალისტის თ. ტოლსტოის ენერგიული შენიშვნა შექსპირის მიმართ, რომ ვენიალური დრამატურგის პერსონაჟები ერთიმეორეს ჰგვანან, ყველანი ავტორის ერთ ლაპარაკობენო და სხვ.

ყაზბეგის შემოქმედებითს ხელწერას გამორჩევით ახასიათებს აგრეთვე რომანტიზმისათვის ნიშნული მოქარბებული უხესიტყვაობა. ცნობილია, რომ რეალისტი მწერალი შედარებით სიტყვაძუნწია; იგი არჩევს სურათები დაგვიხატოს, სურათ-სახეების ვნათ გველაპარაკოს, ვიდრე მოგვითხროს და რომანტიკოსისამებრ მრავალსიტყვიერად გვესაუბროს. საილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითი: გამოჩენილ რეალისტ მწერალს ი. ტურგენევს ერთგან უცდია მიცვალებულის პორტრეტი დაეხატა და ეს ჩანაფიქრი კიდევ ორიოდ სურათოვანი სიტყვით ბრწყინვალედ განუხორციელებია: თვალი მოხუჭული არ იყო და მასზე ბუზი დადიოდა... რომანტიკოსი მწერალი კი ამ მომენტის გადმოცემას მთელი გვერდის მანძილზე გააგრძელებდა. მთვარიანი ღამის პეიზაჟი მეორე რეალისტმა მწერალმა ა. ჩეხოვმა ასევე მოკლე სურათოვანი სიტყვებით აჩვენა: წისქვილიდან ჩრდილი განფენილიყო და ღარის თავზე ბოთლის თავის ნამსხვრევი ბრწყინავდაო. ასე მოკვეთილია რეალისტი მწერლის სტილი თავის კლასიკურ ფორმაში, ხოლო გავრცობილი—რომანტიკოსისა. რეალისტისეული ლაპიდარული სტილი უცხოა „მამის მკვლელისა“ და „ელგუჯას“ ავტორისათვის. რომანტიკოსებისამებრ მრავალსიტყვიერია ა. ყაზბეგი ნუმოხსენებული მომენტების გადმოცემას, ალბათ, მრავალჯგის უმეტეს ადგილს მოანდომებდა, გაავრცობდა. საილუსტრაციოდ ავიღოთ რომანი „განკიცხული“, სადაც ერთი პერსონაჟი მეორეს (პორფირს) ასე გაავრცობით (ხშირად ტავტოლოგიური ფორმების მოურიდებლადაც კი) უყვება: „მე მაკვირებდა პორფირი, რადგანაც იმას ვიცნობდი, როგორც დამცირებულს, მშინშარას, დავრდომილს; ვიცნობდი, როგორც უბედურს, თავმოხრილს, უხასიათოს, რომელიც მუდამ თავმდაბლად შამოიყურებოდა, გაბედვით სიტყვას ვერ წარმოსთქვამდა. და დღეს კი მაღლა აედო თავი. პირდაპირ შემომყურებდა, სიტყვას პირდაპირ შეუბნებოდა. ეს ცვლილება მით უფრო მაკვირებდა, რომ დღემდის დარწმუნებული ვიყავ პორფირისაგან მართს სიყვარულზე და მის და-



კარგვას ეს კაცი სასოწარკვეთილებაში ჩაგდების მაგიერ რაღაცა გაბედულს მტკიცე გულად შეაქმნა. მე მოველოდი — მენახა და ცემული, მტირალი, ქვემძრომსავეთ მიწაზე მხოხავე; ევლოდი — მენახა ჩემს ფეხთა ქვეშ, ვხედავდი კი ამაყად მყოფებელს, ამაყად მოლაპარაკეს<sup>16</sup> და ა. შ. ასევე უხესიტყვიანია მორიგი აბზაცი — „მე მეგონა“ (გვ. 216) და სხვა მრავალი. ასეთ უხესიტყვიანობას მწერალთან ადგილი აქვს ხშირად აგრეთვე მონოლოგ-დილოგებში და, მით უფრო, ყოფითი ხასიათის მომენტების გადმოცემისას: დამწყალობება, თემის ყრილობა, სახალხო განჩინება, დატირება, ქელეხი, ქორწილი, შეკრება, დაეა და ა. შ. ეს მრავალსიტყვიანობა კი, როგორც ცნობილია ლიტერატურათმცოდნეობაში, რომანტიზმისათვის ნიშნეულია.

ა. ყაზბეგი კონტრასტების მწერალია. ჩვეულებრივ, იგი ორ დიამეტრალურად მოპირდაპირე სამყაროს წარმოგვიდგენს: აბსოლუტურად იდეალურს, ანდა ბოლომდე ნეგატიურსა და უარყოფითს. მისთვის არის ან დადებითი გმირები — ყოველივე სიკეთით უხვად აღსავსენი, ან მხოლოდ უარყოფითი — ყოველივე უკეთურობითა და მანკიერებით გათანგულნი, რომელთაც მწერალი წყველიდა ისე, როგორც ბიბლიური ღმერთი სოდომსა და გომორს.

ა. ყაზბეგის პერსონაჟთა ქარბი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, მისთვის სასურველი იდეალური პირებია და არც მწერალი მალავს თავის სიმპათიებს მათდამი, პირიქით, ცდილობს შეგვაცუვაროს ისინი და თავისი გრძნობებისა და იდეალების თანაზიარი გაგვხადოს. კრიტიკოსი ვ. კოტეტიშვილი მართებულად შენიშნავს: „მისი (ა. ყაზბეგის — კ. დ.) საყვარელი გმირები, ყველანი იმასვე გრძნობენ, რასაც ავტორი“<sup>17</sup>. ეს იდეალური პერსონაჟები კი, რომელთა სახეებშიაც ავტორი თავის ვნებებსა და ფიქრ-განცდებს გადმოგვცემს, არიან მოწინავე, უნივერსალური პირები, მაღალი ეთიკური პრინციპების მატარებელნი, ქვეყნის ერთგული მოქალაქენი, ისტორიული და ეროვნული ტრადიციების გულითადნი, თემობის მედრომენი. ძველი ელინელების თქმისა არ იყოს, „ლამაზი სული ლამაზ სხეულშიაო“, მწერალიც უხვად ავსებს მათ მოწონების სიტყვებით, თბილი ეპითეტებით, ხოლო უკეთურებს კი — გულისწყრომითა და გამკიცხველი სიტყვებით. ანალოგიური სტილი რომანტიკულია.

ყაზბეგის რჩეულ პერსონაჟთა პანთეონი შორეულად ხშირად რუსთაველისას გვაგონებს, იშრომად უჩრდილო და უნივერსალურია. ქართული რომანისტიკის ეს იდეალური პერსონაჟები საოცრად მტკიცე ნებისყოფისა და მაღალი ეთიკური პრინციპების მატარებელნი არიან, ზნემაღალი კეთილშობილებითა და მოქალაქეობით აღსავსენი. მწერალიც საგანგებოდ შეარჩევს შათთვის ეპითეტებს და კოლექტ პირველივე მონახაზებიდან გვაგრძნობინებს, რომ ისინი მათი იდეალური პირებია. ეს დადებითი პერსონაჟებია:

ონისე: „ეს ბიჭი, ბევრით ყმაწვილი გელაზედ, წარმოსადგობითაც და სილაშაზითაც მასპინძელს ბევრათ სქარბობდა. ამასთანავე გამბედავი, პირდაპირი და პატიოსანი სტუმარი მთელს სოფელს ხელიხელ საგოგამანებლად ჰყვანდა გამბდარი.“

<sup>16</sup> ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 215.

<sup>17</sup> ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, გვ. 547.

ონისეს, მართალია, გელასოდენი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ შრომა უყვარდა, მუყაითობა იყო, მთელ სიცოცხლეს ცხვარში ატარებდა... ონისეს ყოველთვის გელაზედ მეტი შოვნა შეეძლო, სტუმარსაც და მტერსაც უკეთ უზღვებოდა და თემობასაც მეტს ემსახურებოდა<sup>18</sup>...

მათია: „თუშური ქული კოხტად გვერღებდ მოქცეოდა და უმშვენებდა სიცოცხლით საესე პირისახეს, ჩონის კალთები განიერს ღვედის ქამარში ისე ჩაეყეცა, როგორც სიარულში და ომის დროს იკეთებდნენ ხოლმე. ქამარზედ მოზრდილი ხანჯალი წელს უმშვენებდა. სასწრაფო და საპირისწამლე, ორკენვე მხარდილივ გადაკიდებული, ამტკიცებდნენ, რომ მეომარი უნდა ყოფილიყო; გაშიშვლებული თოფი მხარზედ გადადებული, მზის სხივზე კრიალებდა. მთელი მისი მიხრა-მოხრა ამტკიცებდა სიამაყეს და გულადობას. შეკრული და გაფრთხილებული, ისე გულადად მოდიოდა, რომ მტერსაც კი მისი ნახვა სასიამოვნოდ მიაჩნდებოდა, დამიზნებულ თოფს შეაყენებინებდა, რომ საკმაოდ დამტკბარიყო მისი მშვენიერებით“<sup>19</sup>.

ქალთავან აღსანიშნავია მაყვალა: „მაყვალა ბუნებითვე მხიარული, მოციინარი და მალხაზი“ იყო...<sup>20</sup> „ბროლი-ფიქალ-განიერი მკერდი“, „წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულის მსგავსი ყელი“, „თეთრი და ნაზი კანი“, ისიც „იქამდის მკვირვალი...“, რომ თვით სისხლის მოძრაობაც კი სჩანდა“, „მილულული თვალები“, „გიშერივით შავი წარბები“, „პატარა თხელი ტუჩები“, „ბროლის სითეთრის წყობილი კბილები“, „სწორე და ნოწყობილი ცხვირის ნესტობები“, რომელნიც „სუნთქვის დროს ოდნავ თრთოდნენ...“ გიშრის შავი ხუჭუჭნი ხშირს დალალებად მალალს და ჰკეიანს შუბლს გვირგვინად მოსდგომოდა; ოდნავ ბუსუსიანს კარგამყოფს ლყაზზედ ერთს ადგილს მოწყობილი ხალი სიყვარულის და სიცოცხლით საესე ელფერთი შემკობილიყო. ერთი ხელი ჩაეგდო უბეში და გულთან მაგრად მოეტანა, თითქოს მის რწევას ლამობდა, მეორე — მუხლზედ ჩასტურებოდა და უმტვერო ქალაღსავით თეთრის პერანგიდან ძლივს განიჩეოდა. ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დამშვენიებულიყო და ციურ-საჯოჯოხეთო მიმზიდველობა დასთამამებდა“<sup>21</sup>.

მეორე წყება პერსონაჟებისა სრულიად ანტიპოდურია: ისინი ყოველმხრივ ნეგატიურები და მახინჯებია — როგორც ზნეობრივად, ისე ფიზიკურადაც. მათში არც ერთი ნათელი ხაზი არ მოიპოვება და მწერალიც დაუარიღებლად კიცხავს მათ, ანათემას გადასცემს, როგორც უკეთურებსა და მორალურად კეთროვნებს.

პორფირუშკა: იგი იყო „გასუქებული“, „ლაზათიანის ღიპით...“ „რგვალი მსუქანი სახე“, „შედებილი თმა-ულვაში, სულელური სახის გამომეტყველება და მოკაყული გრძელი ცხვირი“<sup>22</sup> ნაკლებად სიმპათურ იერს აძლევდა მის პატრონს. „იმის სახეს, — განაგრძნობს ქვევით ავტორი, — უცნაურ თვალებს სიცოცხლე დაეკარგათ და ერთ საგანს ველარ დაპკვირებოდნენ. თმები აბურძგნოდა... პორფირუშკა ძალზე ქმინავდა... მისი

18 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 370.

19 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 136.

20 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 367.

21 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 403—404.

22 იქვე, გვ. 169.

არეული და უსიამოვნო სახე მღელვარებას დაეპრანჭა და უფრო უსიამოვნო შექმნილიყო<sup>23</sup>.

გ ე ლ ა: „მისი სახე რალაცა ურცხვის ნამუსგატეხილის სიამპარტავნით ლალაპებდა, თავი მალა აელო და საერთო შეხედულება თითქოს იძახდა „შემომხედეთ — მე ვარ, ვინცა ვარო“. ამ უკეთურ ადამიანს — ბოროტი, უღირსი განზრახვებით საესეს — ხშირად „სახე ეპრანჭებოდა“, „შუბლი ექმუხენებოდა“, „თვალეზი ბოროტების ცეცხლით გაუბრწყინდებოდა და ჩადენილი ბნელი საქმეებით გამოწვეული ნაღველით სახე სინწრით ევსებოდა“<sup>24</sup>.

ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, ემპირიულ სინამდვილეში ნივთ-საგნები როდია ყველგან და ყოველთვის ერთრიგად დალაგებული: ერთ უქრამში მხოლოდ იდეალური, დადებითი, მეორეში — უარყოფითი. ჩვეულებრივ, სინამდვილეში დადებითად მიჩნეულ პიროვნებაშიაც არ შეიძლება არ მოიპოვებოდეს რაიმე ნაკლებუვანება და ასევე ნეგატიურ პერსონასაც ზოგიერთი რამ კეთილი მხარე არ გააჩნდეს. გამოჩაღისი, რა თქმა უნდა, აქაც შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად. ემპირიული სინამდვილე მეტისმეტად ქრელია, მრავალფერადი. ჩვეულებრივად სინამდვილემ იცის შეუქჩრდილის შეუალედეგი და არა მარტოოდენ კონტრასტული: თეთრი და შავი, დადებითი და უარყოფითი, როგორც ამას ადვილი აქვს იდეალიზმის პრინციპებზე მდგარი რომანტიკული მიწართულების ლიტერატურულ ნიმუშებში.

სწორედ ასეთი ვითარებაა ა. ყაზბეგის შემოქმედებითს სამყაროში. განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ ა. ყაზბეგის დადებით პერსონაჟთა ეს სამყარო ხშირ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ცივილიზაციის გარეშე მდგარი უბრალო ადამიანებია, დაბალწიგნიერი თუ სრულიად უწიგნური, რიგითი მთიულები, ჩვეულებრივი ოჯახის ხალხი; მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ისეთ შესაშურ სულიერ სიმადლესა და კეთილშობილებას ამჟღავნებენ, რასაც მაღალწიგნიერი ადამიანებიც კი დახარბდებოდა და ეს გარემოებაც უაღრესად დამახასიათებელია. ისინი თვითშობილი თემობის სოციალურ ინსტიტუტში სწავლობდნენ და მისი კურსი ბოლომდე წარმატებით აქვთ დასრულებული:

ყაზბეგის პერსონაჟებს ხშირად ებრალება ყოველი დაჩაგრული არსება, სულიერი თუ უსულო, ადამიანი იქნება იგი თუ პირუტყვი. მღილი თუ უბრალო ბალახი. ამათ ისინი ხშირად ფეხსაც არ დაადგამენ, აქარ და ისინიც ღვთის გაჩენილია, ბუნების შეილებიაო. ყაზბეგის ერთი გმირი ტყეში მიმოდის და ისე ფრთხილად, რომ არ უნდა ბუჩქებსა და ხის ტოტებსაც კი უდიერად შეეხოს, რაიმე ავნოს მათ: „ონოფრე უახლოვდება წმინდა ადგილს... ის მიდიოდა წყნარად, დაფიქრებული და გზიდან ფრთხილად იშორებდა კეკლუცად გადმოხვნეილ გაფოთლილ ტოტებს. მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწევის ღროს უცაბედო მოძრაობითაც არის, გაფურჩქენილის ფოთლებსათვის არა ევნო-რა და მით საედემო მშვენიერების პარამონია არ დაერღვია“, — ვკითხულობთ „მოძღვარში“<sup>25</sup>. აქ ბუნების ერთგვარ „გადმერთების“ ცდასთან გვაქვს საქმე. ამგვარ ადამიანებს იშვიათად

23 ა. ყაზბეგის, თხზულებანი, ტ. II, გვ. 202.

24 იქვე, გვ. 484.

25 იქვე, გვ. 469.

იცნობს ემპირიული სინამდვილე, ცხოვრება. იგი მხოლოდ ლიტერატურაშია, უფრო პოეზიაში. ისიც უპირატესად რომანტიკულს პოეზიაში. ისინი თითქოს „ზეკაცური“ თვისებების მატარებელნი არიან, ვაჟასეული მინდიას დარად შინაგანად აღზევებულნი, დიადი განცდებითა და სულსკვეთებით გატაცებულნი, კ. აბაშიძე მართებულად შენიშნავს ყაზბეგის შესახებ: „მისი გმირები ხომ ყველანი პოეტები არიან, უცნაური, ნაზი გრძნობების ხალხი, რომელთაც მცენარეთა ჩურჩულიც კი ესმით“<sup>26</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე პეიზაჟის საკითხი ა. ყაზბეგთან. მწერლისეული პეიზაჟი ხშირად თავისებურად გასულიერებულია და ადამიანებისამებრ გაცნობიერებული, პოეტიზირებული. ბუნება თუ სხვადასხვა საგანი მის წიაღში, იქნება იგი ქვა, ბალახი, ყვავილი, ნისლი, ვარსკვლავი თუ სხვ., ზოგჯერ გაცოცხლებულნი გვევლინებიან, თითქოს ერთიანი მოძრაობის ფერხულში არიან ჩაბმულნი—აღსავსენი სურვილით, რითიმე არგონ ერთიმეორეს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: „მზემ წვერი ამოჰყო... აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება მოღიმარს მნათობს. ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ეს ცოცხალია და მისთვის ეძღეოდა თავისუფალს მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გაღიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი... გაცხოველდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნაზად და კეკლუცად შვისკენ მიექციათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმამლარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებს შუა, რათა თვალი შეაეკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ცის ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და უაღრესებდა ერთმანეთის მოარშიყე ბუნების ქმნილებათ“, — მოგვითხრობს მწერალი<sup>27</sup>.

როდესაც გირგოლა („მამის მკვლელი“) ძალით გაიტაცებს თავის რძალს ნუნუს და მანდილის შერცხვენას დაუპირებს, ბუნება ნუნუს მიმართ თანაგრძნობის ნიშნად უმაღლვე გაავდება, მოიღუშება და მით თითქოს აცნობს ქვეყანას — რაღაც უმსგავსი და უკაცური „ბოროტება უნდა მოხდესო“. ის-ის არის უძღვე გირგოლას ხელი უნდა მოეხვია ტანზე ნუნუსათვის ბოროტი განზრახვის შესასრულებლად, რომ უმაღლვე „ცამ ძალზედ იქვეა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა, ახლო-მახლოს საღმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო“<sup>28</sup>.

ჰაერი რომ ჰაერია, ისიც კი ხშირად გრძნობიერი და ცნობიერია ა. ყაზბეგთან. იგი ატმოსფერულად გრძნობს უწყსრიგობის მოვლენებს სინამდვილეში და ერთგვარ რეაგირებასაც კი ახდენს; თანაგრძნობის ნიშნად ზოგჯერ მოძრაობასაც შეწყვეტს, შედგება. სამყაროს მამოძრავებელი მზეც კი თვალს მოარიდებს ასეთ ურიგობას და ღრუბლით დაიბურება. ასე ხდება, როცა მავალას („მოდღარი“) სიკვდილის გამო თემობა შეიყრება, დროშას შეაქრიალებენ და დეკანოზის ხმა გაისმის. ავტორი შენიშნავს: „ჰაერიც შესდგა და შეგუბდა, თითქოს იგრძნო, რა სამწუხარო ამბავიც უნდა გაეგო თემობას; მზეს დარცხვა და იქვე მყოფს ღრუბელს მოეთარა, რომ ხალხის მწარე ღღე არ ენახა“<sup>29</sup>.

26 კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 294.

27 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 349.

28 იქვე, გვ. 256.

29 ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 496.

ჩვენ წინაშე ბეჩაიე ადამიანებისათვის ბუნების თანაგრძობის, კეთილ-მოსურნეობის ცოცხალი მაგალითია. ანალოგიური მოვლენები ლიტერატურაში უპირატესად რომანტიზმისეულია, ისიც უფრო ბოლოდროინდელი ეტაპისა. ასეთი „პანთეისტური“ განცდების ლირიკული აკორდი რუსულ პოეზიაში პირველად გაისმა ე. ა. ბარიატინსკისთან (1800—1844 წწ.) ლექსში „პოეტის სიკვდილზე“, ხოლო ქართულ პოეზიაში კი გენიალურ ბარათა-შვილთან, შემდეგ ვაჟა-ფშაველასთან („გველის მკამელი“).

ა. ყაზბეგთან იშვიათი როდია ბუნების ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული, პლასტიკურად გამოქანდაკებული მომხიბლავი სურათებიც, რომლებიც ასე ხშირია რეალისტურ ლიტერატურაში, კერძოდ, ილიასთან, აკაკისთან, თუნდაც რომანტიკოს გრ. ორბელიანთან. მთიელი მწერალი ხშირად ორიოდ სიტყვითაც კი ბრწყინვალედ მოხაზავს პეიზაჟის პლასტიკურ გამოსახულებას, მაგრამ, თითქოსდა რომანტიკულმა გზნებამ დასძლია რეალისტის გამძლეობა, ადრევე ანებებს თავს სურათების პლასტიკურად, დინჯად ხატვის და უმაღლვე გადაერთობა ადამიანებთან ინტიმური ურთიერთობის მომენტის ჩვენებაზე, რომანტიკოსებისამებრ მისი ლირიკულად ამღერების ტალღაზე. მისთვის ბუნება ნიადაგ მოქმედებაშია და თანაც გარკვეულ მიმართებაში ადამიანებთან თუ ბუნების სხვადასხვა საგანთან. „მამის მკვლელობა“ გვითხვობთ: „გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება მოღიმარს მნათობს (მზეს — კ. დ.). ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძღვოდა თავისუფალს მსიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადაიშალნენ, იცვალეს მერთალი ფერი და ღამის ნამით გაღორძინებულნი, მსწრაფლად გაცხოვლდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექციათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმძღარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებს შუა, რათა თვალი შეეკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ცის ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და უაღერსებდა ერთმანეთის მოარზიყე ბუნების ქმნილებათ“<sup>30</sup>.

ამრიგად, ქართველი რომანისტი ბუნებას ადამიანის გულითა და გრძნობებით, მისი ინტროსპექტული სამყაროს თვალთ უყურებს. „ყაზბეგს ყოველთვის აინტერესებდა ბუნების მდგომარეობა... მოქმედ პირთა განწყობილების ასპექტში“, „ბუნების ცვალებადობა... ადამიანთან კავშირში“ „ადამიანის განწყობილებასთან შეფარდებით“. „ბუნების ცვალებადობას ის ადამიანის სულის მიხედვით გვიჩვენებდა და არა ისე, როგორც თვით ბუნება იყო“, — შენიშნავენ აკად. გ. ჯიბლაძე<sup>31</sup>. ბუნების ამ ასპექტით გააზრება ყაზბეგის მხატვრული მემკვიდრეობის ნიშნული მხარეა, ხოლო ამ კუთხის ჩვენება ლიტერატურაში, ისიც ბელეტრისტიკაში უპირატესად მწერლის რომანტიკულ სტილთან მონათესაობის შიშანიშნებელია.

მწერლის მხატვრულ ნიმუშებში რომანტიზმის კვალის სასარგებლოდ ბეჭრის მთქმელია აგრეთვე მისი მიმართება ფოლკლორთან. ცნობილია, რომ ფოლკლორი, ხალხური სიტყვიერება უპირატესად ნამყო ვითარების, ისიც უბრალო ადამიანებისა და მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველია. ცნობილია, რომ ფოლკლორულ ნიმუშთა ავტორებიც ხშირად უბრალო ადამიანებია, ნაკლებად წიგნიერნი, მაგრამ პოტენციური ნიჭით მომადლებულნი.

<sup>30</sup> ა. ყაზბეგის, თხზულებანი, ტ. I, გვ. 349.

<sup>31</sup> გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტოდები, I, თბილისი, 1958, გვ. 449.

შემთხვევითი არაა, რომ ფოლკლორით გატაცება ჯერ კიდევ რომანტიზმის გარიყრაჟზე დაიწყო (XVIII საუკუნეში) და გაღრმავდა XIX ს-ში, რომანტიზმის ძლიერების ხანაში. ცნობილია ისიც, რომ ხალხური სიტყვიერების ძიებისა და შესწავლის ინიციატივა ისტორიულად რომანტიზმის სახელთანაა დაკავშირებული და ლიტერატურაზე პირველად მან მიახედა ნამყო ვითარებისაკენ. „ნამწყესარის მოგონების“ ავტორი უდავოა ახლოს იყო ხალხურ სიტყვიერებასთან. სისტემატურად აგროვებდა მახლობელი მხარის ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და ამზევებდა ჩვენს პერიოდიკაში, ზოგჯერ ცალკე კრებულადაც კი ბეჭდავდა, რაც კარგა ხანია ცნობილია ლიტერატურაში<sup>32</sup>. ქართველი რომანისტი ფოლკლორული ნიმუშების მარტოდენ შეკრებით როდი კმაყოფილდებოდა, მათ თავის მოთხრობა-რომანებშიაც აქსოვდა მხატვრული დეტალების სახით (მარტოდენ „მამის მკვლელობა“ რამდენიმე ასეთი ხალხური ნიმუშია ჩართული). ყოველივე ეს კიდევ უფრო ენერგიულად ხაზგასმულია ჟ. ჟაყელის გასულ წელს გამოსულ შრომაში „ქართველ მთიელთა ფოლკლორული ტრადიციები ა. ყაზბეგის შემოქმედებაში“ (ბათუმი, 1974).

როგორც ირკვევა, მწერალს განსაკუთრებით უხვად შეუკრებია ხალხური ნიმუშები თავისი შვიდწლიანი მწყემსობის პერიოდში. გამოჩენილი მწერლის (ისიც დედ-მამით დიდგვაროვანის) ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა — მთაში ცხოვრება კომბლით ხელში, მწყემსის უბრალო სამოსელში და ყოველდღიური, მუდმივი კონტაქტები უბრალო ადამიანებთან — მწყემსებთან, სტიქიასთან, ფოლკლორული ნიმუშების ძიება — ერთგვარი რუსოსეული მობრუნება იყო კულტურის ცენტრისაგან პირველყოფილი ბუნების წიაღისაკენ. დიდგვაროვანი გამოჩენილი რომანისტის მწყემსად ყოფნა შეიდი წლის მანძილზე თავისთავად უადრესად დიდი რომანტიკული ნაბიჯია პრაქტიკულად გადადგმული, რაც, ცხადია, ავტორის რომანტიკოსობის სასარგებლოდ გაეცლებით უმეტესის მოაზრება, ვიდრე ავტორის მიერ კაბინეტში ქალაღზე სტრიქონების რომანტიკულ მოტივებზე აუღერება.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევა დავასკვნათ: ა. ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ძირითადად, ორი ლიტერატურული სტილისა და მიმართულების შენადნობია — რეალიზმისა და რომანტიზმის. გამოჩენილი რომანისტის მხატვრულ ნიმუშებში, რეალიზმის მოტივებთან ერთად, რომანტიკული მიმართულების კვალიც ხელშესახებად ნათელია: მისი სალიტერატურო ენა, სტილი, წერის მანერა მკაფიოდ გამოვლენილი რომანტიკული ხასიათისაა.

К. М. ДОНАДЗЕ

## К ВОПРОСУ О РОМАНТИЧЕСКОМ СТИЛЕ В ХУДОЖЕСТВЕННОМ ТВОРЧЕСТВЕ А. КАЗБЕГИ

Резюме

Вопрос, к какому литературному направлению и художественному стилю относится творчество выдающегося грузинского писателя А. Казбег, до сих пор не выяснен.

<sup>32</sup> მხედველობაში გვაქვს პროფ. შ. ჩიქოვანის, პროფ. ქს. სიხარულიძის, პროფ. ა. მაზარაძისა და სხვათა შრომები ამ საკითხზე.

Некоторые грузинские критики относят художественное наследие писателя к романтизму, другие считают его приверженцем неоромантизма, а третьи — критического реализма. Но, удовлетворяясь лишь голословным заявлением, никто из них не пытался аргументировать свою точку зрения.

Мы придерживаемся несколько иного взгляда: художественное наследие замечательного грузинского писателя является синтезом двух литературных направлений — романтизма и реализма.

В романах и рассказах Ал. Казбеги вместе с реализмом видны характерные черты романтизма. Его литературный язык, стиль, манера письма явно выраженного романтического характера, но отличающегося, в основном, от русского и европейского романтизма: творчество Ал. Казбеги со свойственной ему реалистической манерой письма рисует быт грузинских горцев.

Статья представляет собой попытку утверждения своеобразности романтического стиля, характерного для всего творчества великого грузинского романиста.

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

### ოთარ ურიდია

## „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემასთან დაკავშირებული წრ- გირთი საკითხის დაფუძნებისათვის\*

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის შემდეგ საქართველოს ისეთი იმომე პირობები დაუდგა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუძლებელი გახდა მისი ზელახლა დაბეჭდვა. ეს საკითხი რეალურად დასმულა მხოლოდ 1826 წელს.

დაახლოებით ამ პერიოდში პარიზში „ვეფხისტყაოსნით“ დიდად დაინტერესებულა მარი ბროსე. ის შედგომია პოემის თარგმნას ფრანგულად და სურველი ჰქონია ამ თარგმანის გამოცემისა. მ. ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციოდ მიუმართავს პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონისათვის, რომელიც ამ დროს გამოჩენილ სწავლულად და მწიგნობრად ითვლებოდა. თავის მხრივ თეიმურაზი მოხარული იყო, რომ უცხოელმა მეცნიერმა ასეთი ინტერესი გამოიჩინა ქართული პოემის მიმართ.

ერთ-ერთ წერილში თეიმურაზ ბაგრატიონი სწერდა ბროსეს: „თუმცა მცირეს კითხვაზე<sup>2</sup> განვიგრძე სიტყვა, მაგრამ მომიტევე, რადგანაც მაიმულეებს შენი [გულს]მოდგინება. [ყოვე]ლს გამოძიებაში მსურს გაქვლდეს გამოწველილვით ზედმიწევნილობა“. ეს წერილი, როგორც ს. ყუბანეიშვილს მიჩნია, 1833 წლის 9 ოქტომბრამდეა დაწერილი.

პარიზში მყოფ მ. ბროსეს სურველი გასჩენია, ხელთ ჰქონოდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა, და თეიმურაზისათვის მიუმართავს. ამის თაობაზე თეიმურაზი სწერს ბროსეს: „მე თითონ ვეძებ ვახტანგ მეფის სტამბისას, თქვენთვის მიწოდდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჭერ ვერსადა ვპოვე. თუმცა ერთი ეჭუმპლარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც აქ ჩვენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ; დიდის სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახეული და ზოგან დაკარგული ფურცლები ხელთ არის ჩა-

\* შემოკლებული სახით წაკითხული იყო მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-11 სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ეძღვნა დიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს, 1967, 20 აპრილი (თეზისები და ბეჭდილია).

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სამიხბლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა, 1964, გვ. 38.

<sup>2</sup> მ. ბროსე თეიმურაზ ბაგრატიონს სთხოვდა პოემის უანასკნელი სტროფის („ამირან დარეჯანი: ძე მოსეს უქია ზონელსა...“) განმარტებას: „რაისათვის უკუშ არიან ესოდენნი სახელნი მიცემითსა ბრუნვასა შინა“. აგრეთვე ამ სტროფში ნახსენები გეოგრაფიული სახელების შესახებ სწერდა: „საღ არიან ადგილნი ესე“.



წერილი და ეახტანგ მეფისაგან განმარტებაცა სრულად არ არის, ფურცლები აკლია.

კიდევაც ვეძებ, თუ ვიშოვნე, გამოგიგზავნი, მაგრამ სწორეთ კი არ ვიცი, მეშობება თუ არა...“. თეიმურაზი განაგრძობს: „დიდად კმაყოფილება იქნებოდა ჩვენის ქართველებსათვის, რომ ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნათ... ეგების ეცადნეთ, კარგის ასობით, კარგს ქალაღღზედ მოამზადოთ და დაიბეჭდოს...“.

„თუ მოხტეს დაბეჭდა, მხოლოდ ლექსების გასწორებისათვის, რომ ტყუილები არ ჩაიწეროს, ესეც შეიძლება მე მიჩვენოთ, ორიგინალი. ერთს თვეზედ მეტი არ დაუგვიანდება. მე იმავე ორიგინალში გაეასწორობ და ეახტანგ მეფის სტამბისას შევამოწმებ. თითო-ოროლა ალაგს ეახტანგ მეფის სტამბაშია არის მესტამბისაგან შეცთობა (ესე იგი დაბეჭდვაში). ბევრს ალაგს კი არ არის, ცოტას ალაგს, იმასაც გაგისწორებთ და სამს თვეზედ მისვლითა და მოსვლით მანდავ მოგივათ ორიგინალი. ეახტანგ მეფისაგან განმარტებულსაც ზედავ მიეაწერინებ და ისე დაბეჭდეთ, რომ ხალხში გამოვიდეს, კარგი რამ იყოს“.

თეიმურაზი საკუთარ თანამშრომლობას სთავაზობს ბროსეს, რომ როგორმე უნაკლოდ დაიბეჭდოს პოემა, „რომ ტყუილები არ ჩაიწეროს“. წერილიდან კარგად ჩანს, რომ თეიმურაზისათვის საესეებით ავტორიტეტული იყო ეახტანგისეული გამოცემა. თეიმურაზს ეახტანგისეული განმარტებების გამოცემაც საკიროდ მიაჩნდა.

თეიმურაზი რჩევას აძლევს ბროსეს: „ვეფხისტყაოსანი თუ დაბეჭდოთ ცალკე ერთს წიგნად, მარტო მხედრულის ასობით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატანთ“. ასეთ რჩევას იძლევა თეიმურაზი იმიტომ, „რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდბაალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევრმა არ იცის. მარტო მხედრული წიგნი იციან“. თეიმურაზი ამ შემთხვევაში ამოდიოდა ფართო მკითხველთა ინტერესებიდან.

წერილი დაწერილია 1833 წლის 9 ოქტომბერს.

მარი ბროსემ აღასრულა კიდევ თავისი განზრახვა და პეტერბურგში გადმოსვლის შემდეგ, 1841 წელს, გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“.

ახლა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რომ 1826 წელს ყოფილა ცდა, გადმოეჭვდეთ ეახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“.

ცენტრალური ისტორიული არქივის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულია ორი საქმე (ფონდი 777, ანაწერი I, საქმეები 478 და 502)<sup>3</sup>, საიდანაც ვგებულობთ 1826 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებით აღსრულ საკითხებს.

478-ე საქმის მიხედვით, 1826 წლის 12 აპრილს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი ადგილობრივი სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებელს ატყობინებს, რომ დაბეჭდვისათვის ნებართვის მისაღებად შემოსულია თამარ მეფის მდიენის, შოთა რუსთაეელის, „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც უკვე ყოფილა დაბეჭდილი 1712 წელს. რადგანაც საცენზურო კო-

<sup>3</sup> ნაწყვეტები ამ საქმეებიდან 1943 წელს გამოაქვეყნა (ლიტერატურული ძიებანი, გვ. 116—121) სოლომონ უზბაენიშვილმა და მათ შესახებ თავისი მოსაზრებებიც გადმოგვცა. მან ეს მასალა შეიტანა წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“, 1966. საკიროდ მიგვაჩინა, მკითხველის უზრადლება მიეცემა ამ მასალის ზოგიერთ მხარეს.

მიტეტის არც ერთმა წევრმა არ იცის ეს აზიური ენა, კომიტეტი სთხოვს სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებელს, გამოითხოვოს სახალხო განათლების მინისტრისაგან განმარტება, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში.

საცენზურო კომიტეტი სთავაზობს საკუთარ მოსაზრებებსაც, როგორ შეიძლება მოხდეს ამ წიგნის რეცენზირება. სხვათა შორის, კომიტეტის მიმართვაში წერია: თუ პირი, რომელსაც დაევალება ეს საქმე, საცენზურო განაწესის საწინააღმდეგოს ვერაფერს შენიშნავს ამ წიგნში, მაშინ კომიტეტი მისი წერილობითი განმარტებისა და ყოველ ფურცელზე მისი ხელმოწერის საფუძველზე (По скупке или тех рукописей и книг :о жистам) გასცემს დაბეჭდვის ნებართვას.

1826 წლის 26 ივნისის თარიღით საცენზურო კომიტეტს დაუბრუნდა პასუხი სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებლისაგან. ქართული წიგნის გამოცემის თაობაზე განათლების მინისტრს შეეითხვა მიუცია საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველისათვის, რომელიც იტყობინება, რომ მისი სამინისტროს აზიის დეპარტამენტში არის ქართული ენის მთარგმნელი, რომელსაც შეიძლება დაევალოს ქართული ხელნაწერებისა და წიგნების განხილვა.

პეტერბურგის საცენზურო კომიტეტმა ამავე წლის 26 ივლისს განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: „წინასწარი განხილვისათვის ქართული ხელნაწერი გადაეგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს“.

ამის შემდეგ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი მიმართავს უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს: „გეგზავნებათ ხელახალი დაბეჭდვისათვის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი ბეჭდური ეგზემპლარი ლექსისა, რომელიც დაწერილია ქართულ ენაზე თამარ მეფის სახელმწიფო მდივნის, შოთა რუსთაველის, მიერ და რომლის სახელწოდებაცაა „ვეფხისტყაოსანი“».

საცენზურო კომიტეტი დაბეჭილებით მოითხოვს: „დაავალეთ ვისაც ჯერ არს, განიხილოს ეს თხზულება, და შემდეგ დააბრუნეთ დეპარტამენტის განმარტებით, შეიძლება თუ არა მისი ხელახალი გამოცემა. ვინც ამას განიხილავს, თანხმობა გამოცემის შესახებ წიგნის ყოველ ფურცელზე მისი ხელმოწერით იქნეს დადასტურებული“.

აზიის დეპარტამენტს ამასთან ერთად გადაეგზავნა საცენზურო კომიტეტის ახალი, 1826 წლის 10 ივლისს დამტკიცებული დებულება ცენზურისათვის სახელმძღვანელოდ. ეს ახალი დებულება იწოდებოდა როგორც „თუჩის წესდება“ („Чутыный устав“) და ქმნიდა უაღრესად მკაცრ საცენზურო პირობებს.

ამით მთავრდება საქმე № 476. ამის გავრძელებას წარმოადგენს იმავე ფონდის 502-ე საქმე, რომელშიაც მთავარია აზიის დეპარტამენტის ქართული ენის თარგმნის მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ვახტანგისეული კომენტარების შესახებ და აქედან გამომდინარე დასკვნები ჯერ აზიის საქმეთა დეპარტამენტისა, ხოლო ამაზე დაყრდნობით — საცენზურო კომიტეტისა.

ქართული ენის თარგმანი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და იგი ამ პოემის გამოცემას უდავოდ საჭირო საქმედ მიიჩნევს. მაგრამ თარგმანს სადავოდ გაუხდია ვახტანგისეული კომენტარები. აქედან

მას მისაღებად მიაჩნია უცხო ენიდან შემოსული სიტყვების თარგმანება, ოღონდ მოითხოვს, რომ ეს ხდებოდეს სქოლიოში. ასევე მხარს უჭერს ვახტანგის ზოგიერთ კომენტარს, კერძოდ, როდესაც პოემაში ლეთიურ მოკლენებზეა ლაპარაკი და მათ შესახებაა განმარტება. მაგრამ წმიდანთა წიგნების ცნებებით ახსნა პოემის ისეთი ადგილებისა, რომლებშიც არაერთი ასეთი არ შეიძლება იყოს, თარჯიმანს დაუშვებლად მიაჩნია.

თარჯიმანი საბოლოოდ ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობს: დარჩენილი სიტყვათა განმარტებები, რომლებიც სქოლიოში იქნება ჩატანილი; კომენტარების ზოგი ადგილი გადაუწინასიტყვაობაში, ზოგი შეუფერებელი ადგილი კი არ უნდა დაიბეჭდოს. გარდა ამისა, თარჯიმანი ხაზგასმით შენიშნავს, რომ პოემის ტექსტში ბევრი შეცდომაა გაპარული მართლწერის თვალსაზრისით და გამოცემის შემთხვევაში მათი გასწორება აუცილებელია. მართლწერის ნორმების მიხედვით პოემის ტექსტის გამართვის თარჯიმანი ცდილა, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია შეცდომათა სიმრავლისა და იმის გამოც, რომ ფურცლები იმდენად ძველი და გაცეთილი ყოფილა, რომ ზედსწორება შეუძლებლად ჩაუთვლია.

საარქივო მასალებში, თარჯიმნის შენიშვნაა ეს თუ აქედან გამომდინარე გადაწყვეტილება საცენზურო კომიტეტისა, არსად არ მკლავდება უარყოფითი დამოკიდებულება პოემის ტექსტისადმი. პოემის ხელახლა დაბეჭდვის საწინააღმდეგო საცენზურო კომიტეტს არაფერი ჰქონია.

ფაქტია, რომ მაშინ „ვეფხისტყაოსანი“ არ გამოცემულა. სოლომონ ყუბანეიშვილს მიაჩნია, რომ ამის მიზეზი იყო მთარგმნელის შენიშვნები ვახტანგის კომენტარების გამო, „გამომცემლობა არ დათანხმდა ცენზურას“.

საარქივო მასალის განხილვის შემდეგ ს. ყუბანეიშვილი განაგრძობს: „ახლა გამორკვეულ უნდა იქნეს ვინაობა იმ თარჯიმნისა, რომელსაც ასეთი „კეთილი“ საქმე ჩაუდენია“. ვფიქრობ, ასეთ ირონიას დეპარტამენტის თარჯიმანი არ იმსახურებს. მისი რეცენზია საესებით გულწრფელად, საქმის ღრმა ცოდნით, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი პირველი გამომცემლის, ვახტანგ მეექვსის, დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა შექმნილი.

ს. ყუბანეიშვილი ქვემოთ წერს: „საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნად იმ პერიოდში, როდესაც ვეფხისტყაოსნის აკრძალვა მოხდა, ჩანს ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი (1788—1847), პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიძა, პიროვნება განათლებული და ქართული კულტურის დიდი მოამბე“. აქ ყველაფერი რეგანადაა გადმოცემული გარდა გამოთქმისა — „ვეფხისტყაოსნის აკრძალვა მოხდა“.

საცენზურო კომიტეტის საბოლოო დასკვნაში ნათქვამია: „აზიის დეპარტამენტის თარჯიმნის მიერ მოცემული შეფასება წიგნის ბოლოში დაბეჭდილი ვახტანგისეული დამატების შესახებ ეცნობის გამომცემელს, როდესაც ის გამოცხადდება მთავარ საცენზურო კომიტეტში. ხომ არ იქნება მისთვის სასურველი (შესაძლებელი), დაიბეჭდოს პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დამატებების გარეშე, რომელთა ნაწილი, კერძოდ ის ადგილები, სადაც ორიგინალში ლაპარაკია ლეთიურ მოკლენებზე, შეიძლება მოთავსდეს მოკლე წინასიტყვაობაში, ხოლო განმარტება არქაული სიტყვებისა მოთავსდეს წიგნის ქვე-

<sup>4</sup> ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 41.

და არშიაზე; ან ხომ არ ისურვებს ის, რომ ამ დამატების გამო გაკეთდეს მიმართვა სასულიერო ცენტრის შესახებ და ეს დაევალოს იმ პიროვნებას, რომელმაც იცის ქართული ენა“. ასევე ეცნობოს გამომცემელს აზიის დეპარტამენტის თარჯიმნის აზრი იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში არის შეცდომები მართლწერის თვალსაზრისით“.

დასვენა არ გულისხმობს პოემის გამოცემის აკრძალვას, მაგრამ ვახტანგისეული გამოცემის უცვლელი გამრავლებაც გამოირიქხულია, ამიტომ გამომცემელს დამატებითი სამუშაოების შესრულება მოუხდებოდა, მაგრამ პოემის გამოცემისაგან ხელის აღების საბაბი არ ჰქონდა, თუ საქმეში არ ჩაერეოდა სხვა ხასიათის ფაქტორები, კერძოდ, ასეთი დიდტანიანი წიგნის გამოცემისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის თუ ეკონომიური სახსრების უქონლობა. ვფიქრობ, ანალოგიური ხასიათის დაბრკოლებები არა ნაკლებ უარყოფითად იმოქმედებდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეზე, ვიდრე აზიის დეპარტამენტის თარჯიმნის შენიშვნები ვახტანგისეული კომენტარების გამო.

რაც შეეხება ს. ყუბანეიშვილის ვარაუდს, რომ თარჯიმანი უნდა იყოს ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილი, ეს უდავო ჩანს სხვა საბუთების მიხედვითაც, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, ვინ განიზრახა 1826 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ხელახლა დაბეჭდვა?

წინასწარ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ პეტერბურგში ამ საქმის ინიციატორი შეიძლებოდა ყოფილიყო იქ მაცხოვრებელი და მშობლიური კულტურის მოამბე რომელიმე ქართველი ინტელიგენტი, მაგრამ კერძოდ ვინ?

ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხის გასაცემად საარქივო მასალებში არავითარი ცნობა არ არის, მაგრამ გამოცემის ინიციატორის ვინაობა შეიძლებოდა დაგვედგინა, თუ მივაგნებდით „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის იმ ეგზემპლარს, რომელიც საცენტრალურ კომიტეტში იყო წარდგენილი.

ცნობილია, რომ აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ეგზემპლარია დაცული. მათ შორის ორი ცალია ვახტანგისეული გამოცემისა, რომელთა აღწერა 1937 წელს გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ<sup>5</sup>.

ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული (1943 წ.) ზემოთ დასახელებული საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ ადვილად შეიძლებოდა ერთ მათგანში ამოგვეცნო სწორედ ის ცალი, რომელმაც გაიარა საცენტრალურ კომიტეტში, სააზიო დეპარტამენტის ქართული ენის თარჯიმნის ხელში და შეიქმნა საცენტრალურ კომიტეტის ორი საქმე, მაგრამ ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

უდავოა, რომ 1826 წელს საცენტრალურ კომიტეტში წარდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ეგზემპლარი. ამას ადასტურებს დასახელებული საარქივო მასალების მრავალი ადგილი. კერძოდ, საარქივო დოკუმენტებში მსჯელობა ეხება სწორედ ვახტანგის კომენტარებს. მაგრამ დასაბეჭდად წარდგენილი ცალი შეიძლებოდა გადაწერილი ყოფილიყო. ამის შესახებ ქართული ენის თარჯიმანი გვატყობინებს: «დეპარტამენტის დავალებით განვიხილე მე ქართულად დაბეჭდილი წიგნი (ხაზი ჩე-

<sup>5</sup> ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, ტფილისი, 1937, გვ. 399—400.

შია. — ო. უ.), რომლის სათაურია „ვეფხისტყაოსანი“<sup>5</sup>. ცხადია, საუბარია ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნზე.

იმავე თარჯიმნის აღწერით, „წიგნში ძალიან ბევრია შეცდომა გრამატიკული და განსაკუთრებით მართლწერის ხასიათისა. რამდენადაც შემეძლო, წერს იგი, მე შევეცადე, გამესწორებინა წითელი მეღნი, მაგრამ მთლიანად გასწორების საშუალება არ იყო, რადგანაც სიძველის გამო ფურცლები ჩამოჭრილია თითქმის ნაპირებამდეო“.

საარქივო მასალებში ჩანს, რომ საცენზურო კომიტეტის დავალებით, როგორც წესი, პირს, რომელიც განიხილაუდა წიგნს ან ხელნაწერს და შესაძლებლად ჩათვლიდა მის დაბეჭდვას, ყოველ ფურცელზე ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა ეს. ამის შესახებ რამდენიმე ადგილასაა საარქივო მასალებში მსჯელობა. კერძოდ, ამის შესახებ მითითებაა: ა) საცენზურო კომიტეტის მიმართვაში პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებლისადმი (1826 წლის 12 აპრილის მიმართვა, № 37); ბ) ამასვე ხაზგასმით მოითხოვს საცენზურო კომიტეტი, როდესაც უზგავნის მიმართვას საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს (23 სექტემბერი, 1826 წ. № 97); გ) თვით ქართული ენის თარჯიმანი აცნობებს დეპარტამენტს, რომ მან საცენზურო წესდების 66-ე პარაგრაფის საფუძველზე თავისი დასკვნა მიაწოდა დეპარტამენტს და მასთან ერთად წარმოდგენილია თვით წიგნი, რომლის ფურცლები მის მიერ არის ხელმოწერილი, გარდა ბოლოში მოთავსებული დამატებისა (იგულისხმება ვახტანგის კომენტარები). ეს ადგილი სიტყვაასიტყვით ასე იკითხება: „Прилагая при сем и самую книгу, по листам мною скрепленную (ხაზგასმა ჩემია. — ო. უ.), кроме прибавления при конце“<sup>6</sup>.

ახლა უფრო დაწვრილებით გავეცნოთ აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში დაცული ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ცალს. ამჟამად მისი ნომერია K—10. თავის დროზე, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის აღდგენის პროცესში, ამ ეგზემპლარით დაინტერესებული იყო აკაკი შანიძე. მას ხელთ ჰქონია სერგი ჭიჭიას მიერ გამოგზავნილი აღწერა ამ ცალისა და გარდა ამისა ლენინგრადში ყოფნის დროს, 1936 წელს, თვითონაც გაუსინჯავს ეს წიგნი. მან ამ ეგზემპლარის აღწერა დაურთო „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის აღდგენილ ტექსტს (გვ. 339).

<sup>5</sup> ს. ყუბანეიშვილს მოახწია, რომ „საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი დაშლილი ყოფილა. თარჯიმანს ჩამოუშორებია მისთვის ვახტანგის კომენტარები, ცალკე აუკონძავს პოემა და ისე დაუბრუნებია უკან“ (ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 40).

ს. ყუბანეიშვილს ეს ციტატა სქოლიოში აქვს ჩატანილი, გამოკვლევის ძირითად ტექსტშიც იგივე აზრია ვატარებული: „...საზოო დეპარტამენტს თარჯიმნის აღნიშნული შენიშვნები, ფურცლებად აკონძული პოემა (ხაზგასმა ჩემია. — ო. უ.) და ვახტანგის კომენტარები სათანადო მიმართვით (პ. 158) წარუდგენია საცენზურო კომიტეტისათვის 1827 წლის თებერვლის 4-ს“.

ს. ყუბანეიშვილის მოსაზრება წიგნის ფურცლებად დაშლისა თუ აკონძის შესახებ გაუგებრობაზეა დამყარებული. ქვემოთაც ვაქვენება საუბარს, რომ საცენზურო კომიტეტში წარდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარი რესტავირებულ, კარგად აკონძულ და ყდამი ჩამსულ წიგნს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ სიტყვა скрепить, скреплять დამატების გარდა დამოწმების ან დამტკიცების ნიშნავს: скрепить подпись — დამტკიცება ხელის მოწერით.

აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში K—10 ნომრით დატული წიგნი რესტავირებულია. ამ წიგნის თავდაპირველი მფლობელი უნდა ყოფილიყო ამილახვარი. ძველი პაგინაციით რკ (120) გვერდზე ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსანი ამილახვარის შვილისა“<sup>7</sup>. ხელი უხეშია. ამავე ხელით რამდენიმეგან არის მინაწერი. ყველა მათგანი წიგნის რესტავრაციამდე არის გაკეთებული.

თეიმურაზისათვის ეს წიგნი უბოძებია დარეჯან ვახვახიშვილს. ბოლოში, ყდის ქვედა ფურცლის წინა მხარეზე, არის წარწერა: „მოეცა ესე ვეფხის ტყაოსანი მეფის ძეს თეიმურაზზე (!) სახსოვრად თავადი ბანოვანისა დარეჯან ვახვახიანთაგანისა მიერ“. სიტყვა „ბანოვანისა“ ა. შანიძის მიერ მოცემულ აღწერაში იკითხება „შარვანის“. აქ ა. შანიძეს კითხვის ნიშანი დაუსვამს. ეს სიტყვა სწორად ამოუკითხავს და სათანადო შენიშვნაც დაურთავს გ. შარაძემ<sup>8</sup>. კომენტატორებს სხვადასხვანაირად წაუკითხავთ ამ მინაწერში ზმნა მოეცა: ა. შანიძის მიხედვით აქ უნდა იყოს მოეცა, გ. შარაძის წაკითხვით კი — მო გ ც ა. ფაქტიურად უნდა იკითხებოდეს — მო ე ც ა. საქმე ისაა, რომ ეს წარწერა გაკეთებულია მას შემდეგ, რაც ამ წიგნის რესტავრაცია მოხდა. ამ დროს კი მისი მფლობელი იყო თეიმურაზ ბატონიშვილი. წარწერა უკვე თეიმურაზის ოჯახშია გაკეთებული, ამიტომ მოეცა (გ ა დ მო ე ც ა ს გაგებით) საესეებით ბუნებრივი ჩანს.

წიგნის საბოლოო მფლობელი რომ თეიმურაზია, ამის შესახებ რამდენიმეგანაა წარწერა. წიგნი რომ თეიმურაზის ხელში გადავიდა, ის ნაკლული ყოფილა. კერძოდ, მას არ ჰქონია თავფურცლების გარდა ტექსტის დასაწყისი ათი ფურცელი; შიგადაშიგ რამდენიმე ფურცელიც ჰკლებია და ეახტანგის კომენტარსაც ბოლოში ჰკლებია ოთხი ფურცელი. აღდგენა ტექსტისა უშუალოდ თეიმურაზის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო. პოემის ტექსტის აღდგენილ ფურცლებზე და ეახტანგის კომენტარის აღდგენილ ფურცლებზე ხელი ერთი და იგივე არ არის.

წიგნის აღდგენის საქმეში თეიმურაზის მონაწილეობას ადასტურებს წარწერა (ახალი პაგინაციით მე-5 ფურცლის ქვედა მხარე): „საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის ვეფხის ტყაოსანი ესე და მისავე კელით (თავიდან ყოფილა ხელით) ნაღაწი, რაც აკლდა ფურცლები. წელსა ჩყიბ“ (1812). ამ წარწერის პირველი ნახევარი („საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის ვეფხის ტყაოსანი ესე“) სხვადასხვა ადგილას სამგან არის წიგნში, დანარჩენი კი მხოლოდ მე-5 ფურცელზეა და თანაც სხვა ხელითაა წესრულებული. ამავე ხელითაა გადაწერილი ეახტანგის კომენტარების ნაკლული ფურცლებიც, ხოლო მინაწერის პირველი ნახევრის ხელი იგივეა, რაც პოემის ნაკლული ტექსტის აღმდგენელისა. აკაკი შანიძეს მიაჩნია, რომ მინაწერის მეორე ნაწილი თვით თეიმურაზის ხელია, მაშინ ეახტანგის კომენტარების ნაკლული ადგილი თეიმურაზს აღუდგენია, ხოლო პოემის ტექსტი სხვა პიროვნებას შეუესია.

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის ეახტანგისეული ტექსტი ამ რესტავრაციის შემდეგ სრულყოფილი გამხდარა, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ამის შემდეგ მომხდარა დაზიანებული ფურცლებისა და სიძველისაგან დაცრეცილი

<sup>7</sup> ეს ფაქტი აღნიშნული აქვს აგრეთვე გ. შარაძეს: თეიმურაზ ბატონიშვილის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი, რუსთველის კრებული, 1966, გვ. 409.

<sup>8</sup> იქვე.

ადგილებისა და კიდეების აღდგენა. ფურცლები გადაუწებებიათ, გაუმაგრებიათ და შემდეგ ჩამოუჭრიათ კიდეები ჩამოსწორების მიზნით. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ცალი ვახტანგისეული გამოცემის სხვა ცალებთან შედარებით მცირე ზომისაა, რადგანაც კიდეები აქვს ჩამოჭრილი. ჩამოჭრის დროს კიდეებზე შესრულებული ადრინდელი წარწერები და ზოგჯერ აღდგენილ ფურცლებზე სტრიქონებზე ჩამოჭრილია და მომდევნო გვერდის არეზე ხელახლა დაწერილი. ადრინდელი მინაწერების აღდგენა კი არავის დასკორდებოდა, პირიქით, ზოგჯერ ისინი დაწებებული ქალაქების ქვეშაა მოქცეული ან სპეციალურად გადაშლილი თუ გადარეცხილი (გვ. სპგ). ამის შემდეგაა წიგნი ჩასმული ყდაში. აქინების დროს წინ დაურთავთ ოთხი ცარიელი ფურცელი, ბოლოში კი ხუთი. ეს ფურცლები რამდენადმე თხელი და გამჟვირვალეა. შიგ გამოსკვივის ქვირინიშანი „Голубарю“ ან „1812“; ზოგ ფურცელზე რომაული I მოჩანს, ზოგზე II. ამის მიხედვით უნდა დაეასკენათ, წიგნის რესტავრაცია 1812 წელზე აღრე ვერ მოხდებოდა. წარწერა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი („მოეცა ესე ვეფხის ტყაოსანი...“), შესრულებულია წიგნის ყდაში ჩასმის შემდეგ, რადგანაც იგი სწორედ დამატებულ თხელ ფურცელზეა. თავისუფალ ფურცლებზე თუ არეებზე სხვა წარწერათა შესახებ აღნიშნულია აკაკი შანიძისა და გურამ შარაძის წერილებში და ამჯერად ჩვენთვის საინტერესოს არას შეიცავს, ოღონდ დავძენთ, რომ ის ოთხი სტროფი, რომელიც არეებზეა მიწერილი, წიგნის კიდეების ჩამოჭრის შემდეგაა ჩამატებული. დარჩენილ ვიწრო არეებზე ისინი წერილი ასოებით მიუწერიათ.

ამ სტროფების შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონი 1834 წლის 17 ოქტომბერს ბროსეს სწერდა: „ვეფხისტყაოსნისა ამათს გარდა კიდევ რაოდენიმე სტინნი ჩემის ოსტატის დავით ალექსის შვილისაგან გაკვივონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედაც აწერია“. აქ სწორედ ამ ოთხი სტროფის შესახებაა საუბარი.

ახლა გავიხსენოთ თეიმურაზის მინაწერი ბროსესადმი 1833 წლის 9 ოქტომბერს: „მე თითონ ვეძებ ვახტანგ მეფის სტამბისას, თქვენთვის მინდოდა წარმომგზავნა, მაგრამ აქ ჯერ ვერსად ვიპოვე, თუმცა ერთი ექვშემპლარი მე მაქვს ჩემთვის... დიდის სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული ცალი, მით უმეტეს, არც იშოვებოდა, რომ ხელახლა შექმნის იმედი ჰქონოდა. ან სხვა რაღაც მიზეზი იყო, რომ წიგნი არ გაუგზავნა ბროსეს.“

ახლა იმის შესახებ, რომ 1826 წელს საცენზურო კომიტეტში გამოცემის ნებართვის მისაღებად სწორედ თეიმურაზის ეს ცალი იყო წარდგენილი. ამას რამდენიმე გარემოება ადასტურებს:

1. ახალი პავინაციით მე-5 ფურცელზე, რომელიც წიგნის თავფურცელია, ზემოთ მარჯვენა კუთხეში კვითხულობთ: „Анрека 5 дия, 1826“. ეს უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში წიგნის წარდგენის თარიღი. ზემოთ იყო ნათქვამი, რომ ამ წიგნის თაობაზე პირველი დოკუმენტი — მიმართვა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებლისადმი — დათარიღებულია 1826 წლის 12 აპრილით. ბუნებრივია, რომ წიგნი საცენზურო კომიტეტში ერთი კვირით აღრე მაინც გატარდებოდა რევიზორაციამდე.

\* იხ. გ. შარაძე, დასახ. შრომა, გვ. 406.

2. აზიის დეპარტამენტის მთარგმნელი წერს თავის დასკვნაში: — სრული გასწორების საშუალება არ არის (იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ორთოგრაფიული შეცდომები. — ო. უ.), რადგანაც სიძველის გამო ფურცლები ჩამოჭრილია თითქმის კიდემდეო. მართლაც, თეიმურაზის ცალს კიდებზე ჩამოჭრილი აქვს.

3. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ, საცენზურო კომიტეტის მითითების თანახმად, აზიის დეპარტამენტის თარჯიმანი მოკლედ იყო, მის მიერ განხილული წიგნის ყოველ ფურცელზე დაესვა ხელწერა, რაც ნიშნავდა მის თანხმობას ამ ტექსტის დასაბეჭდად ვარჯისიანობის შესახებ. აზიის დეპარტამენტის თარჯიმანი ასეც მოქცეულა და ყოველ ფურცელზე, სადაც კი პოემის ტექსტია, მისი ხელმოწერაა. აქ უნდა გავიხსენოთ თეიმურაზისეული ეგზემპლარის აკაკი შანიძის აღწერის ერთი ადგილი: „წიგნი გადასულია შემდეგ ნიკო ჩუბინაშვილის ხელში, რომელსაც ფურცლებზე მიუწერია: Мини/стер/ства иностран/ных дел по азиат/скому Депар/та/менту перс/вод/чик грузин/ского языка кол/лж/ский Ассес/сор и Ка/валер Еино/лжн Чуби/нов. წარწერა მარცვალ-მარცვალ გასდევს ა გვერდიდან აე გვერდამდე, მაგრამ იგივე (ზოგჯერ შემოკლებით: переводчик და სხვა) გამოყვანილია სხვაგანაც წიგნში. ეს მინაწერები მოთავსებულია ფურცლის წინა მხარეს, შუა ადგილას, გარეთა აშიაზე“.

მინაწერის ტექსტი ორიოდე ორთოგრაფიული შესწორების გარდა ზუსტად მოჰყავს აკაკი შანიძეს. იგი სრულია. სიტყვები დანაწევრებულია და გრძელდება 32 ფურცელზე. ამის შემდეგ კი იწყება შემოკლებული ტექსტი, კერძოდ, სიტყვიდან переводчик და ისევე დანაწევრებული სახით გასდევს პოემის ტექსტს თავიდან ბოლომდე ისე, რომ არც ერთი ფურცელი არ არის გამორჩენილი. ძველი პაგინაციით პოემის ტექსტს თავდება სვე (285) გვერდზე, ახალი პაგინაციით კი ეს არის 142-ე ფურცელი. პოემის ტექსტი 137 ფურცელზეა და ყოველ მთავანზე მიწერილია დანაწევრებული სიტყვა. მინაწერის ტექსტი სრულად არის ერთჯერ, ხოლო შემდეგ შემოკლებული სახით მეორდება შვიდჯერ, ე. ი. სულ რვაჯერაა. მერვედ ამ დანაწევრებული ტექსტის წერას შესდგომია ნ. ჩუბინაშვილი ახალი პაგინაციით 139-ე ფურცლიდან /ძველი პაგინაციით გვ. სთო/. ამის შემდეგ პოემას კიდევ ოთხი ფურცელი უჭირავს და მინაწერიც ოთხივეზეა: перс/вод/чик грузин... აქ, 142-ე ფურცელზე, მთავრდება პოემის ტექსტი. ამ ფურცლის უკანა მხარეს იწყება უკვე ვახტანგის კომენტარები, რომელთა დაბეჭდა პირვანდელი სახით არ სურდა ნიკო ჩუბინაშვილს, ამიტომ რუსული მინაწერის დანარჩენი სიტყვები 142-ე ფურცლის წინა გვერდზეა მთლიანად. ქვედა აშიაზე ვკითხულობთ: ... скаго языка. Коллжский Ассесор Николжн Чубинов., აქ უკვე გვარი ხელმოწერითაა. ეს მინაწერი საეგზემპლარით ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის სწორედ ეს ეგზემპლარი იყო წარდგენილი საცენზურო კომიტეტში და ის გადააგზავნეს აზიის დეპარტამენტში, რათა თარჯიმანს განეხილა. აქედანვე უდავოდ დასტურდება, რომ ეს თარჯიმანი იყო სწორედ ნიკო ჩუბინაშვილი და მისი რეცენზიის საფუძველზე გასცა აზიის დეპარტამენტმა პასუხი საცენზურო კომიტეტს.

ს. ყუბანეიშვილს არ ჰქონდა გათვალისწინებული ეს მინაწერი, მაგრამ საეგზემპლარით სწორად ვარაუდობდა: „საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დე-



პარტამენტის თარჯიმნად იმ პერიოდში, როდესაც ვეფხისტყაოსნის აკრძალვა მოხდა, ჩანს ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი<sup>10</sup>. რუსთაველის საიუბილეო დღეებში ენო შადურმა გამოავლინა<sup>11</sup>, რომ „ჩერ კიდე 1827 წელს ჟურნალ „აზიატსკი ვესტნიკის“ მაისის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით „Барсова Кожа (Вепхистқаосანი) Грузинская гоэма, сочиненная Шотою Руставели“. ენო შადური ეყრდნობა რა ს. ყუბანეიშვილის წერილს, ვარაუდობს, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ პირველი რუსული სტატიის ავტორი საგარეო საქმეთა დეპარტამენტის თარჯიმანი ნიკო ჩუბინაშვილი უნდა იყოსო. ამჟამად სარწმუნო ჩანს, რომ ეს ვარაუდები სწორია და ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანზე“ რეცენზიის დაწერის შემდეგ სწორედ ნიკო ჩუბინაშვილს შეეძლო იმ პერიოდში გამოეყუყუნებინა სტატია „აზიატსკი ვესტნიკში“.

ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული მასალების გაცნობის შემდეგ საესებოთ ცხადი გახდა, თუ რატომ მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის“ თეიმურაზისეულ ცალში ნიკო ჩუბინაშვილის მინაწერი. ის ფაქტი, რომ ნიკო ჩუბინაშვილი ხელს აწერს პოემის ტექსტის შემცველ ყველა ფურცელს, ამტკიცებს, რომ იგი საესებოთ უქერდა მხარს პოემის გამოცემას.

4. კიდე შეიძლება დავასახლოთ ერთი ვარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ ნიკო ჩუბინაშვილს ჰქონდა ხელთ სარეცენზიოდ თეიმურაზისეული „ვეფხისტყაოსანი“. კერძოდ, თავის დასკვნაში ნიკო ჩუბინაშვილი წერს, რომ მართლწერის თვალსაზრისით ტექსტში ბევრი შეცდომაა და, რამდენადაც შემეძლო, შევეცადე გამესწორებინა წითელი მელნითაო („СКОЛЬКО МОГ, СТАРАЛСЯ ИСПРАВИТЬ КРАСНЫМИ ЧЕРНИЛАМИ“). რომ შევადართო ერთმანეთს ნიკო ჩუბინაშვილის მიერ არშიაზე რუსული მინაწერისა და მის მიერვე მართლწერის თვალსაზრისით შეტანილ შესწორებათა მელნის ფერი, აშკარად იგრძნობა განსხვავება. ეს უკანასკნელი ქალაღზე ან ნაქერზე შემშრალი სისხლის ფერია.

ახლა ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, კონკრეტულად ვის უნდა წარედგინა დაბეჭდვისათვის ნებართვის მისაღებად „ვეფხისტყაოსანი“. სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საცენზურო კომიტეტში ამ ცალის წარდგენა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზ ბაგრატიონს. სხვაგვარად არც არის მოსალოდნელი, რადგანაც ეს წიგნი თეიმურაზისა იყო, მისგანვე რესტავრირებული, ინახავდა თავის ბიბლიოთეკაში 1826 წლამდე და ამის შემდეგაც, როგორც ეს ჩანს მარი ბროსესადმი მის მიერ 1833 და 1834 წლებში გაგზავნილი წერილებიდან. მიუხედავად ამისა, ყურადღებას იქცევს მაინც ერთი ვარემოება: ბროსესა და თეიმურაზს შორის პირად წერილებში არაერთხელ ყოფილა მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის თაობაზე, მაგრამ არსად არ მქალავდება, რომ თეიმურაზს ჰქონდა განზრახული პოემის გამოცემა. ნუთუ ამის გამომქალავნება, როგორც განუხორციელებელი ცდისა, უხერხულად მიიჩნდა თეიმურაზს?

ყურადღებას იქცევს თეიმურაზის სიტყვები ბროსესადმი მიწერილ წერილში: „თითო-ორიოლს ალაგს ვახტანგ მეფის სტამბაშიც არის მესტამბისა-

<sup>10</sup> ლიტერატურული ძიებანი, 1. 1943.

<sup>11</sup> „პირველი რუსული სტატია რუსთაველზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 25 მარტი, № 13.

გან შეცდომა (ესე იგი დაბეჭდვაში), ბერს ალავს კი არ არის, ცოტა ალავს, იმასაც ვაგვთწორებთ“... ამას სწერს თეიმურაზი ბროსეს 1833 წელს, მაშინ, როდესაც 1826 წელს ნიკო ჩუბინაშვილი ვახტანგის მიერ დადგენილი ტექსტის შესახებ აღნიშნავდა, რომ ორთოგრაფიული ხასიათის უამრავი შეცდომააო, და თვითონვე თეიმურაზისეულ წიგნში ორასამდე შესწორება შეიტანა<sup>12</sup>, თანაც წითელი მელნით. უდავოა, თეიმურაზმა იცოდა ამ შესწორებათა შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ არ თვლიდა მათ სწორად და არც მიაჩნდა საჭიროდ ვახტანგის გამოცემის რევიზია. მისთვის ის სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენდა.

სავარაუდოა, რომ თეიმურაზმა თავისი ცალი წიგნი იმის გამო არ გაუზავნა ბროსეს, რომ მასში სწორედ ეს შესწორებები იყო შეტანილი.

1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის წყაროების შესახებ. 1841 წლის გამოცემის რედაქტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პოემის მოკლე რედაქციის გამოქვეყნება, ამიტომ, როგორც ყველაზე საიმედო ტექსტი, საფუძვლად აირჩიეს ვახტანგისეული გამოცემა, მაგრამ კრიტიკული დამოკიდებულება ვახტანგის ტექსტის მიმართ საკმაოდ ძლიერი იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტში ცვლილების შეტანა სამი თვალსაზრისით ხდებოდა:

1. როგორც ზემოთ ვნახეთ, ნიკო ჩუბინაშვილი წერდა, რომ ვახტანგისეული ტექსტი შეიცავდა მრავალ შეცდომას. ამ შეცდომათა ერთი ნაწილი ბეჭდვის პროცესში სტამბის მიერ დაშვებულად მიაჩნდათ. ამის შესახებ მარი ბროსე იტყობინება: — „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანში მრავალი ტიპოგრაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ. ჩვენ ვაეისწორეთ და, თუ რაოდენიმე ცთომილებანი დარჩნენ ჩვენს ნაშრომში, წარმოთხველთაგან შენდობას ვიოხოვთ“, ე. ი. სწორდებოდა 1712 წლის გამოცემაში დაშვებული კორექტურული შეცდომები.

2. ვახტანგის მიერ დადგენილ ტექსტში შეცდომათა შესახებ რომ მსჯელობდა, ნიკო ჩუბინაშვილი მიუთითებდა, რომ მართლწერის ნორმებია დარღვეულიო. ანალოგიურ განცხადებას აკეთებს დავით ჩუბინაშვილი: ვახტანგის გამოცემაში „გაიპარა მრავალი შეცდომა გრამატიკული, განსაკუთრებით ორთოგრაფიული ხასიათისაო“.

საქმე ის არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებლთათვის ორთოგრაფიულ ნორმად მიიჩნეოდა ანტონ პირველის მიერ დაწესებული კანონები მართლწერისა. ბუნებრივია, 1712 წელს დაბეჭდილ ტექსტში ასეთი კანონები არ იქნებოდა გატარებული, ხოლო ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს და ალბათ ბროსესაც (ბროსე მხოლოდ ტიპოგრაფიის შეცდომებზე მიუთითებდა, მაგრამ ფაქტია, რომ 1841 წლის გამოცემაში ანტონისეული ორთოგრაფიული თავისებურებანი მის გარეშე ვერ იქნებოდა შეტანილი) მართლწერის ასეთი ნორმების დაცვა აუცილებლობად მიაჩნდათ. სწორედ ვახტანგის მიერ დადგენილ ტექსტში 1841 წელს შეტანილ შესწორებათა დიდი უმრავლესობა ამგვარი ხასიათისაა, რაც უარსაყოფ მოკლენად უნდა იქნეს მიჩნეული<sup>13</sup>.

<sup>12</sup> ნიკო ჩუბინაშვილს თეიმურაზის ცალს პოემის ნაკული და ხელთ აღდგენილი ადგილები შეუდარებია ვახტანგისეული ბეჭდურისათვის და უმართებულად ვადაწერილი ადგილები გაუსწორებია.

<sup>13</sup> „ვეფხისტყაოსნის“ 1712 და 1841 წლების გამოცემათა ორთოგრაფიული სხვაობანი სპეციალურად შეისწავლა და ამ საკითხზე სადიპლომო შრომა დაიცვა 1967 წელს თბი-

3. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამომცემელი ცდილობდნენ ტექსტის შევსებას, სრულყოფას. მათ უარყვეს რა არარუსთველური თავები პოემის ვრცელი რედაქციისა, ამავე დროს შეარჩიეს 50 სტროფი, რომლებიც, მათი განმარტებით, რუსთველური უნდა იყოს, ან არაფრით ჩამორჩება მათ. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში რედაქციის წევრები მხოლოდ საკუთარი სურვილით არ მოქმედებდნენ. ჩამატებული სტროფების შესახებ მ. ბროსე წერს: „მრავალნი ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხვის-ტყაოსანსაც ეთანხმება, თუმცა სწორედ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩაუშატეთ“. ქვემოთ ბროსე განაგრძობს:—„ზემოხსენებულნი მომატებანი პირველ ჩვენ დაებეჭდეთ ამიტომ, რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ კელ-ნაწერებშიაც იპოვებოდნენ და ამას გარდა რაოდენნიმე მომწერნი(!) ამ წიგნზე ვეთხოვეს არ დატეება მათი“. როგორც ვხედავთ, ამ სტროფების დამატებისას რამდენიმე გარემოებას გასწევია ანგარიში.

დ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც, მათს „გამოცემაში შევიდა 48 სტროფი, რომლებიც გამოტოვებული იყო ვახტანგის გამოცემაში“. დ. ჩუბინაშვილი ამ სტროფების შეტანის აუცილებლობის შესახებ კატეგორიულად წერს. უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ის ნამდვილ რუსთველურ სტროფებად მიიჩნევადა მათ.

მამ, ტექსტის სრულყოფის მიზნით „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამომცემლებმა გაასწორეს ვახტანგის გამოცემაში ბეჭდვის დროს გაპარული შეცდომები, „სრულქმნეს“ პოემის ტექსტი უმეტეს შემთხვევაში ანტონისეული ორთოგრაფიული ნორმების საფუძველზე და შეავსეს იგი ახალი, მათი თვალსაზრისით, საკირო სტროფებით.

გარდა ამისა, პოემის 1841 წლის გამოცემის რედაქციის წევრებმა უყოყმანოდ მოხსნეს ვახტანგის კომენტარები. თუ ნიკო ჩუბინაშვილი ხელაღებით ვერ იმეტებდა ვახტანგის კომენტარებს და მათ მიმართ ზომიერ პოზიციაზე იდგა, დავით ჩუბინაშვილი აკრიტიკებდა მათ, ხოლო თავისი წერილის დასასრულს გადაკრულად ამბობდა: „Вместо нравственных примечаний Вахтанга поместил я краткий лексикон труднейших выражений“.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის რომელი ცალები უნდა ჰქონოდათ ხელთ 1841 წლის გამოცემის რედაქტორებს?

საქმე ის არის, რომ სრულყოფილი, უნაკლო ცალი, როგორც ჩანს, იმ დროისათვის უკვე აღარ მოიპოვებოდა. ამიტომ ისინი იძულებული იქნებოდნენ, ვახტანგის გამოცემის სხვადასხვა ცალების მიხედვით შეეცნათ ხარვეზები. რამდენიმე შენიშვნა ამ ცალების შესახებ.

I. ვახტანგისეული გამოცემის ეგზემპლართაგან 1841 წლის გამოცემის რედაქციას ხელთ ჰქონია გიორგი ავალიშვილისეული ცალი (ამჟამად ის დაცულია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში, ინდექსი K—5), რომელიც საკმაოდ კრცლად აქვს აღწერილი<sup>14</sup> აკაკი შანიძეს. ამ წიგნის შესახებ აკაკი შანიძე წერს: „აკალია ფ. I და II (ე.

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილების სტუდენტმა გიული ტატიაშვილმა.

<sup>14</sup> ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, 1937, გვ. 400.

ი. თავფურცლები. — ო. უ.) ა/ბ აღდგენილია ხელით. ნაბეჭდი ნაწილი იწყება გ გვერდიდან და მიდის სულ ბოლომდის, ტნა გვერდამდის... ნაბეჭდ ტექსტი მრავალი შესწორებაა შეტანილი ხელით“.

ამ შესწორებებს აკაკი შანიძე აჩვენებს საკითხების მიხედვით: 1. წაშლილია ყველა შაირის მიხედვით მეოთხე სტრიქონის წინ „და“. 2. წაშლილია ძველი წერტილები: ორწერტილი ტაეპის შუაში და სამწერტილი ბოლოში. სამაგიეროდ სხვა ახალი ნიშნებია ჩასმული (მძიმე, წერტილი). 3. წაშლილია რვეულების სათვალავი რიცხვები ქვედა ამიაზე. 4. გასწორებულია ხელითვე გვერდების სათვალავი თავიდან პოემის ბოლომდის, ე. ი. თარგმანამდის... 5. ლიგატურა „და“ ტექსტში ყველგან წაშლილია და ცალ-ცალკეა გამოყვანილი: და. 6. გასწორებულია ორთოგრაფია და კორექტურული შეცდომები... და სხვ.

ბოლოს ასვენის აკაკი შანიძე: „ასეთი ხასიათის შესწორებანი რომ არა, წიგნი ერთი საუკეთესოთაგანი იქნებოდა მოღწეულ (იგულისხმება ვახტანგისეული გამოცემა. — ო. უ.) ცალებს შორის“. რა თქმა უნდა, მაშინ აკაკი შანიძისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი, რომ ეს შესწორებები გიორგი ავალიშვილის მიერ იმ მიზნით იყო შეტანილი ამ წიგნში, რათა ისინი გათვალისწინებული ყოფილიყო 1841 წლის გამოცემაში.

ახლა მოუესმინოთ თვით გიორგი ავალიშვილს. რას სწერს<sup>15</sup> ის რედაქციის ერთ-ერთ წევრს, ზაქარია ფალაენდიშვილს, ამ წიგნისა და მის მიერ შეტანილ შესწორებათა შესახებ: ვეფხისტყაოსნის, „რომელიც აღგოთქე და რომელიც მაქენდა მე დაბეჭდილი, იგი ვითარცა შემქმლო ასო ანუ სად მეტი ჰქონდა ანუ ნაკლები... და ესე ვითარნი ვჰმალე და შესაბამნი ასონი და ვუსხნი, რომლისაცა შაირნი ან ლექსნი არიან ჰყრობილ...“. ქვემოთ იგი თხოვს ზაქარიას: „გულისა-კმის-ყოფით ჩაველო თჳალი ვეფხვის ტყაოსანსა. მგონია, ბეურგან ჰპოვო ჩემგან ანუ ცუდად გასწორებული და ანუ გაუწორებლად დარჩომილი ვერ შენისშენისა ძალით ჩემისა და გაასწორო“.

ერთგან წერილში გ. ავალიშვილი სწერს: „თუ ღირსად დაბეჭდვისა აღიარებ ამას, მაშინ გაძლეე ნებასა, დაშალო, ანუ დაჰყო რვეულებად და მიჰსცე დასაბეჭდად“.

ახლა გასაგები უნდა იყოს, რატომ არის ამ ეგზემპლარში ამდენი შესწორება შეტანილი.

ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს: გ. ავალიშვილს ეს წერილი და თავისი ცალი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა“, შესწორებული მის მიერვე, ერთად გაუგზავნია თავისი ნათლულის — ზაქარია ფალაენდიშვილისათვის. როგორც სხვა ეგზემპლარებთან შედარებით სრულყოფილი ტექსტი, იგი გათვალისწინებული იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის რედაქტორთა მიერ. უდავოა, ანგარიში გაეწეოდა გ. ავალიშვილის ხელით შეტანილ შესწორებებსაც, რაც ზოგჯერ დასტურდება პოემის 1841 წლის გამოცემის შედარებით ავალიშვილისეულ ეგზემპლართან. ეს წიგნი ამჟამად მ. ბროსეს კოლექციისადაა მიჩნეული. ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის დაბეჭდვის შემდეგ იგი პატრონისათვის აღარ

<sup>15</sup> გ. ავალიშვილის წერილი პირველად გამოაქვეყნა ე. მეტრეველმა (საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძეს, დაბადების 80 წლისთავეზე, 1959, გვ. 249). უფრო დაწვრილებით ეს წერილი განხილული აქვს სოლომონ ყუბანეიშვილს (ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 48).

დაუბრუნებიათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გ. ავალიშვილის ხსენებული წერილი ამჟამად რატომღაც „ვეფხისტყაოსნის“ სულ სხვა ცალშია ჩაკრული (M—48-ში, რომელიც ხელნაწერია), უნდა იყოს კი გ. ავალიშვილის ცალში (K—5-ში)<sup>16</sup>.

გ. ავალიშვილის ცალ წიგნს პოემის შესავალი ნაწილის წინ ზემოთ არშიაზე ასეთი შენიშვნა აქვს: „შემწყობისათვის (იგულისხმება მესტამბე, ასოთამწყობი.—ო. უ.); 1. ყველგან იყო ვ, ვე-ჟ და ჟმ მაგიერად. 2. ჰ სრულებით საჭირო არ არის. 3. შემეტყრელი არა სადა არ იყოს, თუ არა მხოლოდ შერთულ ლექსებში“.

ეს მინაწერიც ადასტურებს, რომ ეს ცალი სასტამბოდ ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ 1841 წლის გამოცემის ტექსტი ამ ცალის მიხედვით არ აწყობილა. ეს იმიტომ, რომ 1841 წლის ტექსტის დამდგენნი გ. ავალიშვილის მიერ შეტანილი შესწორებებით „ვეფხისტყაოსანს“ სტამბას ვერ გადასცემდნენ.

ეს წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილსაც ჰქონია ხელთ. უკანასკნელი სტროფის („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“) თავზე წარწერა: „ამის ქვეით რუსთველისა არ არის“. ამაზე ხაზია გადასმული და სქოლიოში შენიშვნაა ჩაწერილი: „ეს ლექსიც (ამირან დარეჯანის ძე...), რუსთველისაგან არს თქმული, ნამდვილი საუწყებელ არს. მეფის ძე თეიმურაზ“.

როგორც ჩანს, გ. ავალიშვილისეული შესწორებები რედაქციის წევრებმა გაასინჯეს თეიმურაზს, როგორც კონსულტანტს.

II. ზემოთ ითქვა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილ „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარში ნიკო ჩუბინაშვილმა 200-მდე შესწორება<sup>17</sup> შეიტანა. ანალოგიური შესწორებები შევიდა 1841 წლის გამოცემაშიაც. ეს იმიტომ, რომ გამოცემის რედაქტორებმაც ისეთივე ორთოგრაფიული ნორმები გაატარეს, როგორც ნიკო ჩუბინაშვილმა. ხელთ ექნებოდათ თუ არა ბროსესა და მის კოლეგებს თეიმურაზისეული ცალი „ვეფხისტყაოსნისა“ ტექსტზე მუშაობისას? ვფიქრობ, რომ არა. თეიმურაზი, მართალია, პირადად ყოველმხრივ ხელს უწყობდა<sup>18</sup> პოემის ახალ გამოცემას, მაგრამ წიგნს, რომელშიც ნიკო ჩუბინაშვილმა თეიმურაზის სურვილისა და შეხედულების საწინააღმდეგოდ ესოდენ მრავალი შესწორება შეიტანა, ის სხვა პირობებს ვერ გადასცემდა. ამავე დროს თეიმურაზი არასდროს ცდილა გამოემ-

<sup>16</sup> ამის თაობაზე ე. მერტიველი შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნი, რომ წერილი (იგულისხმება გ. ავალიშვილის წერილი.—ო. უ.) შინაარსით იმავე ფონდის (იგულისხმება აზიის ხალხთა ისტორიის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი.—ო. უ.) მეორე ხელნაწერს K—10-ს უფრო შეეფერება. ეს მეორე ხელნაწერი თავდაპირველად თეიმურაზ ბატონიშვილის საკუთრება ყოფილა, ხოლო შემდეგ ნ. ჩუბინაშვილისა“ (იქვე, გვ. 250). ჭერ ერთი, K—10 ბექლერი ცალა რესტავირებული და არა ხელნაწერი, მეორე, ახლა უკვე გარკვეულია, რომ მისი მფლობელი ნ. ჩუბინაშვილი არ ყოფილა, ის რეცენზენტი იყო, ხელით შეტანილი შესწორება ორივე ეგზემპლარშია (K—10-სა და K—5-ში). ეს შესწორებები პირველ მათგანში ჩუბინაშვილს ეკუთვნის, მეორეში — გ. ავალიშვილს.

<sup>17</sup> ამ შესწორებათა კლასიფიკაცია მოცემული აქვს აკაკი შანიძეს. უნდა დავმატოს, რომ პირის ნიშნები, ჰს და ჰ პარფიქსები, განსაკუთრებით ხშირადაა გასწორებული და ყველაზე მეტად აქ ჩანს ანტონისეული ორთოგრაფიული ნორმის გატარების ცდა.

<sup>18</sup> იხ. გ. შარაძის ხსენებული შრომა, თუმცა მისი ავტორი რამდენადმე გადაჭარბებით აფასებს თეიმურაზს როგორც „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენს საქმეში.

ულანებინა, რომ მისი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შესახებ წარუმატებლად დამთავრდა. ამ წიგნის გასინჯვა კი ამ ცდას გამოამჟღავნებდა.

III. ნიკო ჩუბინაშვილს 1837 წელს, როდესაც ის პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდებოდა, თავისი ძმისწულისათვის, დავით ჩუბინაშვილისათვის, დაუტოვებია წიგნები. მათ შორის დასახელებულია: „ვეფხისტყაოსანი, ტფილისში დაბეჭდილი, რომელიც ნაკლები ფურცლები გადამიწერინებია კაი ხელით და შემოიკრეკინებია, სულ დამჯდომია ოც მანეთათა“<sup>19</sup>.

ულაოა, რომ საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაზე. სად წავიდა ეს ცალი? ბუნებრივია, დ. ჩუბინაშვილი 1841 წლის გამოცემის ტექსტის მომზადებისას მას გამოიყენებდა და სხვა ცალების მსგავსად ის უნდა დარჩენილიყო ან ბროსეს კოლექციაში, ან თვითონ მას უნდა შერჩენოდა, მაგრამ მისი ხსენება არ არის დ. ჩუბინაშვილის წიგნების კატალოგში<sup>20</sup>. ის არ ჩანს ა. შანიძის მიერ აღწერილ 18 ცალშიაც. ბოლოს გამოვლინებული მეცხრამეტე ცალი<sup>21</sup> იოანე ბატონიშვილისაა.

მას, სად წავიდა ნიკო ჩუბინაშვილისეული ეგზემპლარი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა“? სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენდა 1841 წლის გამოცემის დედანს, რადაქციაში ეს ეგზემპლარი გააშადა გამოსაცემად და გადასცა სტამბას. მაშინ მას საგანგებოდ ჩასწორება და ფურცლებად დაშლა დასჭირდებოდა. ბუნებრივია, ეს წიგნი ამის შემდეგ არსებობას შეწყვეტდა.

IV. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (M—48), რომელიც გადმოწერილია ვახტანგის გამოცემიდან. იგი გარეგნულად კარგად არის გაფორმებული და დაცული. თავფურცელზე ფრანგული მინაწერია, რომელიც მ. ბროსეს ეკუთვნის. ე. ი. იგი მას ხელთ ჰქონია, იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის მომზადების პერიოდში.

მეორე ფურცელზე დაკრულია გ. ავალიშვილის წერილი, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები<sup>22</sup>: მესამე ფურცელზე კი დაწებებულია მოზრდილი ფორმატის ფურცელი, რომლის ორივე მხარეზე „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებია დაწერილი (ამ ჩანართი ფურცლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი). გადაწერილია ვახტანგის კომენტარებიც, რომლებიც მთავრდება 194-ე ფურცელზე. ამ ფურცლის უკანა მხარეს ვკითხულობთ: — „წელსა 1823 სანკტ-პეტერ-ბურღსა შინა სრულ იქმნა. მათმა უმაღლესობამ იმერეთის დედოფალმა ანნამ დამაწერინა მე. უკეთუ რაიმე შეცდომა იყოს, შენდობას ემოქენებო. ასლან საფაროვ. თებერვლის კმ“.

აქვე ქვემოთ ასეთი წარწერაა: „მე, პეტრე ქებაძემ, შემდგომად დედოფლის ანნას გარდაცვალებისა ვიყიდე კონსტანტინე ბატონის შვილისაგან ეს წიგნი“.

თვითონ ამ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ (M—48) 1841 წლის გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ განსაკუთრებით

<sup>19</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. т. I, вып. IV, гл. 31.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>21</sup> ა. აბრამიშვილი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარჯინალები, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო, კრებული, 1966, გვ. 277.

<sup>22</sup> აქ კვლავ შევნიშნავ, რომ ეს წერილი უნდა იყოს გ. ავალიშვილის ეკუთვნილ წიგნში, რომელიც იქვეა დაცული K—5 ნომრით.

საყურადღებოა წიგნის თავში ჩართული ფურცელი და ბოლო გვერდებზე მიწერილი სტროფები, რომლებიც პეტრე ქებაძის სახელთანაა დაკავშირებული.

M—48 ხელნაწერის წინა ჩანართ ფურცელზე პოემის სტროფების ზემოთ ასეთი წარწერაა: „ეს მუხლები ერთი ვეფხისტყაოსანი იყო ძველებური, დიდი ხნის დაწერილი, თავის მხატვრობითა. შეეამოწმეთ სხვა ვეფხისტყაოსნებს და არც ერთში არ იყო, მართო იმ ვეფხისტყაოსნის გარდა და იქილამ გამოვსწერვი(!) და თავთავის ალაგს დაუნიშნე...“.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩასამატებელ სტროფებს M—48-ში 195-ე ფურცლიდან 9 გვერდი უპირაეს. ეს სტროფები პეტრე ქებაძეს ჩაუწერია. იგი ამით შესახებ გვატყობინებს: „ვიცნე ეს წიგნი გადაწეროთ, ეს მუხლები ჩაუწერეთ, სადაც ეს წითლური ციფირები(!) უსხლეს და ხაზიცა იყოს წითლური, იქ უნდა ჩაუწეროთ. დიდად საჭირო არის, რომელიც გამომიწერია თამარ მეფის დროის დაწერილის ვეფხისტყაოსნიდან“.

აქ სულ არის 52 სტროფი. მათთვის მარი ბროსეს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია და თვითონაც გადაუწერია. ამ 52 სტროფიდან სამი საერთოდ არ შეუტანიათ პოემის ტექსტის დამდგენებს (ქებაძის ხელნაწერის მიხედვით 22-ე და 24-ე სტროფები. ეს უკანასკნელი 8-სტრიქონიანია, ე. ი. 2 სტროფია). თეიმურაზ ბაგრატიონის რჩევით, ბროსეს გამოცემას დაემატა 4 სტროფი, რომელთაგან სამი პ. ქებაძისეულ ხელნაწერშიც არის. ისინი თეიმურაზისეული ვარიანტითაა შესული პოემაში. ე. ი. საბოლოოდ ქებაძის ხელნაწერიდან 46 სტროფია აღებული, თეიმურაზ ბაგრატიონისა კი — 4. სულ 1841 წლის გამოცემას დაემატა 50 სტროფი<sup>23</sup>.

V. 1841 წლის გამოცემის ტექსტის დადგენისას მარი ბროსეს გაუთვალისწინებია პარიზის ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნისეული“ ხელნაწერი. ამ ხელნაწერს იხსენიებს მ. ბროსე პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში და მიუთითებს, რომ „იმაშიც იპოებთან ზემოხსენებული ლექსნიო“<sup>24</sup>.

VI. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დატულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (K—23), რომლის მიხედვითაც მარი ბროსეს დაუწყია პოემის ფრანგულად თარგმნა. თარგმანზე მას უმუშავია 1828 წელს. ფურცლის ცალ მხარეს ქართული ტექსტია, მეორე მხარეს კი — ფრანგული. კერძოდ, გაშლილი წიგნის მარჯვენა მხარეს ქართული ტექსტია, მარცხნივ — ფრანგული. ბროსეს უთარგმნია პოემა თავამდე — „ტარსიელისაგან პინდოთ მეფისა სიკვდილისა ცნობა“. ეს თავი და შემდეგი არ არის თარგმნილი.

ქართული ტექსტი გადაწერილი ყოფილა 1811 წელს. მინაწერში ეკითხულობთ: „დიდება ღმერთსა ყოველთა მასრულსა. სრულ იქმნა კელითა იოანე იალღუზის ძისათა. აპრილის 21, წელს 1811“.

ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ მარი ბროსე გაითვალისწინებდა ამ ხელნაწერს „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ტექსტზე მუშაობისას. თეიმურაზ ბაგრატიონის მონაწილეობის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში. თეიმურაზ ბაგრატიონს მარი ბროსე თავის მასწავ-

<sup>23</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1965, გვ. 443.

<sup>24</sup> ს. ცაიშვილის წიგნში მითითებულია, რომ პეტრე ქებაძეს ეს დამატებითი სტროფები აღებული უნდა ჰქონდეს აქვამად ოქსფორდში უორდროპის კოლეჯისაში დატული თარხან-მოურავისეული ხელნაწერიდან.

ლებლად თვლიდა. „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროსაც თეიმურაზს ბროსესთვის არაერთი საჭირო და სასარგებლო რჩევა მიუცია. გასაზიარებელია გ. შარაძის აზრი<sup>25</sup>, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც მარი ბროსეს ეკუთვნის, უდავოდ იგრძნობა თეიმურაზის შეხედულებათა გავლენა. ბუნებრივია, რომ ბროსესათვის „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში თეიმურაზი ავტორიტეტს წარმოადგენდა.

თეიმურაზს „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ტექსტის მომზადების საქმეში გარკვეული პრაქტიკული მონაწილეობაც უნდა მიეღო. ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ გ. ავალიშვილისეული ცალის უკანასკნელ სტროფზე („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“) მისი მიწაწერი, მაგრამ ეს მონაწილეობა ცალკეულ საკითხზე კონსულტანტის მოვალეობას არ სცილდებოდა. ამას გვაფიქრებინებს ორი გარემოება:

1. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია<sup>26</sup>, რომ თეიმურაზი ამ პერიოდში სხვა საქმეებით იყო დატვირთული. ჯერ ერთი, ის გულდაგულ მუშაობდა „ივერიის ისტორიაზე“. გარდა ამისა, მას 1840 წლის 15 ოქტომბრისათვის დაუსრულებია „ფრიკისა და ოქროს მატყლოვანისათვის კერძოსა“ ბერძნულიდან თარგმნა და ქართულად არსებულ ძველ თარგმანთან შედარება-შეწამება. ასეთ ვითარებაში თეიმურაზს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ინტენსიური მუშაობის საშუალება არ ექნებოდა.

2. რაც მთავარია, უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ თეიმურაზისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა უაღრესად ავტორიტეტული იყო. მისი შეხედულებით, კმაროდა ამ გამოცემის მცირეოდენი შესწორება — მბეჭდავის მიერ დაშვებულ შეცდომათა გამართვა, ოთხი სტროფის ჩამატება და ტექსტი სრულყოფილ სახეს მიიღებდა. სხვაგვარი ცვლილებების შეტანის მომხრე ის არ ყოფილა. ზემოთ კი აღნიშნული იყო, რომ 1841 წლის გამოცემის რედაქტორებმა პოემის ტექსტში აუარებელი ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის ცვლილებები შეიტანეს, გარდა თეიმურაზის მიერ რეკომენდებული 4 სტროფისა, 46 სხვა ჩაამატეს. ყველაფერი ეს შეუთავსებელი ჩანს თეიმურაზის შეხედულებებთან. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელი არის, თეიმურაზს ეყისრა ერთ-ერთი რედაქტორის ფუნქცია. ამიტომ ვერ გაეიხიარებთ გ. შარაძის აზრს, რომ „მ. ბროსეს მიერ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობის... მთავარი კონსულტანტი, თუ თანაავტორი არა, უნდა იყოს თეიმურაზ ბაგრატიონი“.

ეს წინასიტყვაობა დაწერილია მას შემდეგ, როდესაც პოემის 1841 წლის გამოცემა მზად იყო. რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბროსე აღნიშნავს მხოლოდ დ. ჩუბინაშვილის ღვაწლის შესახებ. საფუძველი არ არსებობს, მას არ დაუეჭვროთ. დადგენილად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ისიც, რომ 1841 წლის გამოცემაში დამატებული 50 სტროფიდან თეიმურაზის სახელთან დაკავშირებულია მხოლოდ 4 სტროფი. დანარჩენი კი პ. ქებაძის ხელნაწერის მიხედვითაა შერჩეული.

რამდენადმე გადაჭარბებული ჩანს თეიმურაზის როლის შეფასება ს. ყუბანეიშვილის მსჯელობაშიც: «ბროსე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევ-

<sup>25</sup> თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს, საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 270.

<sup>26</sup> შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1939, გვ. 36.



რად აირჩიეს და 1837 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა პეტერბურგში. აქ თეიმურაზი და ბროსე უშუალოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეუდგნენ ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს. შეადგინეს სარედაქციო-საგამომცემლო კომისია, რომელშიც შედიოდნენ მ. ბროსე, ზ. ფალავანიძე-შვილი და დ. ჩუბინაშვილი. ტექსტის დამზადება-გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თ. ბაგრატიონი და გ. ავალიშვილი. შეიმუშავეს გამოცემის გეგმა ანუ „პროღრამა“<sup>27</sup> და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო მ. ბროსე. ამიტომაც გამოცემის პროგრამაში „აღბეჭდვის ზედამხედველად“ მხოლოდ ბროსეა დასახელებული. პრაქტიკულ დამხმარედ და ხელისშეწყობად ჰყავდა ზაქარია ფალავანიძე-შვილი და დაეით ჩუბინაშვალი.

ეს უკანასკნელი მიმოიხილავს<sup>28</sup> რა „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაში გაპარულ შეცდომებს, გვაუწყებს, რომ საჭირო იყო ახალი გამოცემა. — ქვემოთ კი განაგრძობს: „ასეთმა შეხედულებამ მიიძულა მე, შევეერთებოდი აკადემიკოს მ. ბროსეს, რომელიც დაუცხრომლად იღვწის ქართული ლიტერატურისათვის“. მამ, საქმის მოთავე ამ შემთხვევაშიც ერთადერთი ბროსე ჩანს. მას რჩევა-დარიგებისათვის მიუშვარათავს „მრავალი სწავლულისათვის“. ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, ყველაზე ავტორიტეტული და დასაფასებელი, იყო თეიმურაზ ბატონიშვილი.

საყურადღებოა ლილი ქუთათელაძის წერილი — „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“<sup>29</sup>. მკვლევარი განიხილავს „ანდერძის“ ავტორის ვინაობის საკითხს და საარქივო მასალაზე დაყრდნობით ასკენის: „ახლა უკვე გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში თეიმურაზ ბაგრატიონის მონაწილეობის კიდევ ერთი მხარე. ცხრასტროფიანი ანდერძი, რომელიც ერთვის აღნიშნულ გამოცემას და რომელიც წლების მანძილზე მარი ბროსესეულად იყო მიჩნეული, ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონის კალამს“.

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემას ასეთი წარწერა უძღვის: — „მათს უგანათლებულესობას, ბატონიშვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივისცემისა, გულითადის მადლობისა, სამარადისო ერთგულების ნიშნად შევსწირეთ.“

დამბეჭდველი: ბროსე, ზაქ. ფალავანიძე-შვილი, დ. ჩუბინოვი“.

ვფიქრობ, მადლიერებაც, პატივისცემაც და ერთგულებაც მოძღვარის მიმართ საკვებით გულწრფელად გამოხატეს მისმა მოწაფეებმა. ასე რომ თეიმურაზის ამაგი არსად მიჩქმალულა.

<sup>27</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 45.

<sup>28</sup> О грузинской поэме Велхис-тқаосни или Барсова Кожа. „Народное просвещение“, 1842, № 8.

<sup>29</sup> „მაცნე“, 1970, № 5, გვ. 131—136.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

## ნანა კობახიშვილი

## ა. ხახანაშვილი ხალხური მოტივების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“

დიდ ქართველ მეცნიერს ა. ხახანაშვილს თავისი ფუძემდებლური ნაშრომების გვერდით ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ფოლკლორში აქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები საისტორიო მწერლობის დარგშიც. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა და კრიტიკულ განხილვას მოითხოვენ.

ქართული საისტორიო მწერლობის ეროვნული ძირების კვლევამ ა. ხახანაშვილს დაანახვა მისი კავშირი ხალხურ ზეპირსიტყვიერ ტრადიციებთან. ამ ტრადიციების კვალის მიგნება და ამ თვალსაზრისით ჩვენი საისტორიო მწერლობის ძეგლების ანალიზი ა. ხახანაშვილისათვის მათი ორიგინალობის უტყუარი საბუთი იყო. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რომლითაც ა. ხახანაშვილი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს აანალიზებდა.

ა. ხახანაშვილი, საერთოდ, ისტორიის შექმნას ხალხურ ტრადიციას უკავშირებდა. ისტორია, — წერდა ის, — იწყება ბევრად ადრე ისტორიულ ნაწერებსა და ცნობებზე. მისი აზრით, უძველესი ისტორია არსებობდა ზეპირი გადმოცემების სახით, რომელიც მხოლოდ შემდეგ ჩაიწერა. პირველი ისტორიკოსნი, — აღნიშნავდა ა. ხახანაშვილი, — ისე წერდნენ მათიანეს, როგორც აუწყებდათ მათ ერის წარსულზე გადმოცემული ტრადიცია. ასე იქმნებოდა, მისი აზრით, ჰეროდოტეს და ტიტე ლივიუსის საშუალო საუკუნეების ისტორია; ასე შეიქმნა ჩვენი მათიანე „ქართლის ცხოვრება“<sup>1</sup>. ა. ხახანაშვილის ეს მოსაზრება არ იყო შემთხვევითი. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში რუსი მკვლევარი ვ. ნ. ტატიშჩევი რუსული ისტორიული მათიანეების საფუძველს ხალხურ თქმულებებსა და ეპიკურ სიმღერებში ხედავდა. აგრეთვე კარამზინი და უფრო გვიან ნ. კოსტომაროვი საისტორიო მწერლობის შექმნაში ხალხურ ზეპირ ტრადიციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ნ. კოსტომაროვი წერდა: „Один из элементов нашей первоначальной летописи те древние сказания, предания и песни, которыми пользовались составители летописи“<sup>2</sup>. ცნობილია აკად. ა. შანშატოვის კლასიკური შრომა რუსული მათიანეების შესახებ, რომელიც მისი აზრით რუსული ბილინებისა და თქმულებების ელემენტებზეა დაფუძნებული.

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში, „ივერია“, 1888, № 133, წერილი 1.

<sup>2</sup> Н. Костомаров, Предания первоначальной русской летописи, „Вестник Европы“, т. I, 1873, гл. 6.

ა. ხახანაშვილის დიდი ინტერესი ამ საკითხებისადმი აგრეთვე განაპირობა იმან, რომ სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა პროფ. პატკანოვის გამოკვლევა, სადაც მან გამოთქვა მცდარი მოსაზრებები „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროისა, ორიგინალობისა და სხვათა შესახებ<sup>3</sup>. ა. ხახანაშვილმა დაბეჭდა რამდენიმე წერილი, სადაც გააკრიტიკა პატკანოვის მოსაზრებები და შეეცადა დაემტკიცებინა „ქართლის ცხოვრების“ ორიგინალობა, აგრეთვე მისი ადრეული წარმოშობა. ა. ხახანაშვილი წერდა: „ჩვენს გარდმონაცემს, ნაანდერძებს, ტრადიციას ეტყობა ნაციონალური ხასიათი. ჩშირად ვგრძნობთ, რომ იგი ეკუთვნის ქართველ კაცს, რომელმაც კარგად იცის მეზობლად დასახლებულ ერთა ავი და კარგი<sup>4</sup>. მისი აზრით, სინამდვილე და სიძველე „ქართლის ცხოვრებისა“ დამტკიცებული იქნება, როცა დაერწმუნდებით, რომ ჩვენი დასაწყისი ისტორია გამოგონილი კი არ არის ერთი კაცისაგან, როგორც ჰგონია პროფ. პატკანოვს, არამედ დამყარებულია ერის გარდმონაცემზედ, ტრადიციაზედ. ამ აზრის დამტკიცება იყო მეცნიერის ძირითადი მიზანი „ქართლის ცხოვრების“ კვლევის დროს.

ა. ხახანაშვილი წლების მანძილზე იკვლევდა „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს: ძეგლის შედგენილობას, შემდგენელთა ენაობას, თარიღს, ხელნაწერებს და მის წყაროებს<sup>5</sup>. ა. ხახანაშვილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ წყაროდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მიიჩნევდა. ეს განსაკუთრებით შეეხება უძველესი პერიოდის ამსახველ თხზულებებს, რომლებზედაც უფრო მეტად შეინიშნება ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა. მათ შორის აღსანიშნავია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, რომლითაც იწყება ჩვენი მატთან და რომელსაც განიხილავს ძირითადად ა. ხახანაშვილი თავის გამოკვლევაში.

მკვლევრის აზრით, უძველესი ისტორიის დაკავშირება ხალხურ ტრადიციებთან განაპირობებდა ისტორიულ ნაწერებში ხალხური ზეპირსიტყვიერების ელემენტების არსებობას. თაობიდან თაობას გადაეცემოდა წინაპრების გმირული ცხოვრების ამბები, სადაც დაცული იყო ხალხური შემოქმედების ნიმუშები. ამიტომ გვხვდება, ა. ხახანაშვილის შეხედულებით, ისტორიულ ნაწერებში ნითები, ლექსები, ლეგენდები.

ხალხური ეპოსის გავლენა „ქართლის ცხოვრებაზე“, განსაკუთრებით მის უძველეს პერიოდზე, საყოველთაოდ აღიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის შესახებ წერდნენ: დ. ბაქრაძე, მ. ჭანაშვილი, ი. ჭავჭავაძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროვა, შემდეგ გ. მელიქიშვილი, ე. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, შ. ჩიქოვანი, რ. ბარამიძე და სხვები. ამას აღნიშნავდა ყველა, ვინც კი იკვლევდა „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ საკითხებს.

ა. ხახანაშვილი მიუთითებდა, რომ ლეონტი მროველის ნაწარმოების შინაარსი ზღაპრულია. იგი ამ უძველეს პერიოდს უწოდებს მითურს ან გმირულ ხანას. აქ გადმოცემულია გოლიათებისა და ბუმბერაზების ბრძოლის ეპიზოდები. ჩვენი წინაპრები წარმოდგენილი არიან ლეგენდარულ გმირებად. ჩვე-

<sup>3</sup> К. Патканов, О древней грузинской хронике. წიგნი: „Ванские надписи и знач. их для истории передн. Азии“. ЖМНП, ч. ССХХХ, СПб. 1881, гл. 205.

<sup>4</sup> ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „იერია“, 1888, № 135, წერილი I.

<sup>5</sup> А. Хаханов, Состав и источники начальной грузинской летописи, ЖМНП, 1892, № 9. Источники по введению христианства в Грузию, М., 1893. Грузинския рукописи Румянцевского музея, ИМАО. Москва,

ნი ისტორია, — წერდა ა. ხახანაშვილი, — დიწყო გამირული ტრადიციით, როგორც ისტორია ბერძენთა, რომელთა და სხვ.<sup>6</sup> კ. კეკელიძის აზრით, ეს ზღაპრული თქმულებები გოლიათ-ბუმბერაზთა შესახებ, რომლებიც მოგვაგონებენ „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს, ლეონტი მროველის შრომაში შევიდნენ იმავე წყაროდან, საიდანაც აღებულია ამ ძეგლის ავტორის მიერ, — ხალხური ეპოსიდან<sup>7</sup>.

ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არის კვალი ეტიმოლოგიური, სიმბოლური, პოლიტიკური და რელიგიური მითებისა. ნეკლევერის აზრით, ეტიმოლოგურია მითი, რომელიც ცდილობს ახსნას რომელიმე წესის მიზეზი ან ადგილის სახელი. ხალხი ხედავს რაიმე მოვლენას და თავისებურად განმარტავს მას. ა. ხახანაშვილი ამბავს ქართლოსისა და მისი ზემოეიდრეების შესახებ ხალხურ ეტიმოლოგიად თვლის. მკვლევარი ხალხის ფანტაზიასა და ცნობისმოყვარეობას მიაწერს მათ შექმნას. მისი შეხედულებით, უნდა იყოს სახელი „ქართლი“ და წარმოიდგინა, რომ მისი დამაარსებელი იქნდა ყოფილიყო ქართლოსი. „ქართლოსმა კი არ უწოდა თავისი სახელი ქართლს, არამედ „ქართლმა“ გამოიწვია მისი ეპონიმის, იმის აღმშენებლის არსებობა“. მკვლევარი ასახელებს ანალოგიურ მაგალითებს: რომულმა კი არ დაარქვა თავისი სახელი რომს, არამედ რომის არსებობამ განაპირობა რომულის შექმნა და სხვ.

საქართველოს მხარეებისა და ქალაქების სახელების ასახსნელად ხალხმა წარმოიდგინა, რომ ქართლოსს უნდა ჰყოლოდა შვილები. ამდენად ა. ხახანაშვილის შეხედულებით განირჩევა ორი პერიოდი: პირველი — საქართველოს ნაწილების, ხოლო მეორე — ქალაქების სახელწოდებათა ასახსნელად; ხანა ქართლოსისა და იმისი ძმებისა (ქართლი — ქართლოსი, ბარდავი — ბარდოსი, მოვაჯანი — მოვაჯან, ჰერეთი — ჰეროს, ეგრისი — ეგროს, ლეკეთი — ლეკოს და სხვა.) და ქართლოსის შვილის მცხეთოსისა და იმისი ძმების ხანა — (მცხეთა — მცხეთოსი, გარდაბანი — გარდაბოს, გაჩიანი — გაჩიოს და სხვ.).

ხალხის მოსაზრებამ, ა. ხახანაშვილის შეხედულებით, ქართლოსის მეუღლეს წარმოიდგინა, რომელმაც ააგო „დედა-ციხე“. მან ააშენა აგრეთვე ქალაქი, რომელსაც დაერქვა „მოსტან-ქალაქი“. მკვლევრის აზრით, რომ არ ყოფილიყო ცახეთი და კუხეთი, ხალხი ვერ წარმოიდგენდა ქართლოსის შვილების კახოსის და კუხოსის არსებობას. ასევე მცხეთოსის შვილები — უფლოს, ოძრკოს და ჭავახოს თითქოს შექმნილნი არიან უფლოსციხის, ოძრკეს და ჭავახეთის ასახსნელად. „ქართლოსი და ძმანი მისნი, მცხეთოსი და ძმანი მისნი, უფლოს და ძმანი მისნი არიან ნაყოფი ხალხის მოსაზრებისა, ხალხის სურვილით დაბადებულნი ასახსნელად საქართველოს მხარეებისა და ქალაქებისა“<sup>8</sup>.

ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ხალხი თავისი ფანტაზიით თვითონვე ხსნის საქართველოს დაარსების მიზეზს. იგი თავისებურად ცდილობს თავისი ქვეყნის ძველი დროების ამბის გამორკვევას. მკვლევრის აზრით, ხალხის ეს შეხედულება დაუცავს ჩვენს მემკვიდრეს, რომელიც თითქოს თვითონაც დარწმუნებულია, რომ ქვეყნად ნამდვილად ყოფილა ქართლოსი ძმებით და შვილებით.

<sup>6</sup> ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1888, № 242, წერილი IV.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 257.

<sup>8</sup> ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1888, № 214, წერილი III.

ა. ხახანაშვილისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მკვლევარი ამ ამბავს მწერლის მიერ მოგონილად თელის და არა ხალხურ გადმოცემად, ი. ჭავჭავაძის აზრით, ლეონტი მროველმა ქართველების მამამთავრების სახელები შექმნა იმ საერთო წესის მიხედვით, რომელიც მაშინ იყო გავრცელებული. ასეთი სახელების წარმოქმნას „დაბადებას“ უკავშირებდნენ. სწორედ „დაბადებაში“ იყო მიღებული ის აზრი, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, რომ ერთმანეთს თითოეულ ხალხს, ქვეყანას ან ქალაქს რომელიმე მამამთავარი ანიჭებდა თავის სახელს, რომელიც იმ ერის წინაპრად ან მამად ითვლებოდა, რომლისაგანაც მომდინარეობდა მთელი ერი. ამდენად მამამთავართა სახელები იქმნებოდა მაჟა-წყლის სახელებისაგან. ასევე შეიქმნა მკვლევრის აზრით, სახელი „ქართლოსი“ ქვეყნის სახელიდან „ქართლი“. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ ცნობებს ქართველების ჩამომავლობის შესახებ ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრების შესასწავლად აქვს მნიშვნელობა<sup>9</sup>.

არსებობს სხვა შეხედულებებიც. ზოგიერთი მკვლევარი, მაგ. გ. მელიქიშვილი, ქართლოსისა და მისი შთამომავლობის სახელების წარმოქმნას სომხური საისტორიო ტრადიციის გავლენით ხსნის. თითქოს ძირითადად ამბავი ქართველთა და მათი მამამთავრების შესახებ ემყარება არა ხალხურ გადმოცემას, როგორც ამას ფიქრობდა ა. ხახანაშვილი, არამედ შთაგონებულია მოსე ხორენელის ანალოგიური მოთხრობით, ახდა იმ სომხური წერილობითი თუ ზეპირი ტრადიციებით, რომელთაც მოსეს თხზულების საფუძველზე იჩინეს თავი<sup>10</sup>.

ამგვარად, ა. ხახანაშვილი „ქართლოსის“ და სხვა ამდაგვარი ადგილის სახელწოდებებიდან მომდინარე სახელების წარმოქმნას ხალხს მიაწერს, მისი ფანტაზიის ნაყოფად თელის. როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ ამ სახელების ეტიმოლოგია, ერთი რამ ცხადია, რომ ქართლოსი მოგონილი გმირია, არარეალური. თვით თქმულების მნიშვნელობას კი დღეს განსაზღვრავენ იმით, რომ აქ მოყვანილია ცნობები მამამთავართა სამფლობელოების შესახებ, რომლებიც ასახავენ გარკვეული ეპოქის ისტორიულ გარემოს<sup>11</sup>.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლოსის ამბავი არ ასახავს რეალურ სინამდვილეს, იგი მაინც მნიშვნელოვანია მასში დაცული სხვადასხვა საგულისხმო ცნობების გამო.

მითების მეორე ჯგუფს, რონელიც „ქართლის ცხოვრებას“ შემოუნახავს: ა. ხახანაშვილი უწოდებს სიმბოლურს. ამის მაგალითად მას მოჰყავს ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან“: აფრიდონმან „შეკრა ჭაჭუთა ბევრასფი, გჴელთა

<sup>9</sup> იე. ჭავჭავაძე, ი. კოტეტიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი I, თბ., 1945, გვ. 175, 177.

<sup>10</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 63.

<sup>11</sup> სომხური წყაროების გავლენას „ქართლის ცხოვრებაზე“ მიუთითებდნენ ჟერ კოდევ აღრე. ამის შესახებ ისტორიკოსი დ. ბაქრაძე წერდა, რომ მართალია, ქართლის ცხოვრების“ პირველ თქმულებაზე ცხადად ჩანს სომხური ისტორიის გავლენა, მაგრამ თვით სომხეთის მწერლებს ეს თქმულება შემოტანილი აქვთ სირიული და ბერძნული წყაროებიდან. იგი აღნიშნავს, რომ რაღაცნაირ ქართველთა ბაბილონ-ასირიის მოსაზღვრე იყვნენ, მათ თავიანთ ზემოხსენებულ დედაქალაქებს იმათ ზღაპრულ ისტორიას და შემდეგ შეცვლილი „დაბადების“ და სომხური წყაროების გავლენით ჩაწერეს ჩვენს მტრანეში. დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, თბ., 1884, გვ. 16.

<sup>11</sup> Г. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, гв. 34.

უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუუფალი<sup>12</sup>. აქვე ლეონტი მროველი აღნიშნავს, „ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“. კერძოდ, რა ძეგლი იგულისხმებოდა ამ სახელწოდების ქვეშ, არ იცოდნენ. მაგრამ მსგავსება „ქართლის ცხოვრებასა“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შორის ბადებდა ეარაუდს, რომ სწორედ ის იყო ჩვენი მატიანის უშუალო წყარო<sup>13</sup>. ადგილი ბევრასფის შესახებ არის „შაჰ-ნამეშიც“, მაგრამ, ა. ხახანაშვილის აზრით, ეს ამბავი აღებულია არა პირდაპირ „შაჰ-ნამედან“, როგორც ამას ფიქრობდა პროფ. პატკანოვი, არამედ მას უნდა ჰქონოდა გავლილი გზა ერის მეხსიერებაში და მხოლოდ შემდეგ ჩაწერილიყო მატიანეში.

მკვლევრის შეხედულებით, შეიძლება ბევრასფის ამბავი ერთნაირად ყოფილიყო გავრცელებული საქართველოსა და სპარსეთში და ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონოდა ამ ორი მეზობელი ერისათვის. მითუმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს მსგავსი ლეგენდა ამირანზე. ასეთივე ლეგენდა არსებობს ბერძნულ მითოლოგიაში პრომეთეს შესახებ. ა. ხახანაშვილის აზრით, როდესაც ბერძნებმა გაიციეს ლეგენდა ამირანზე, თვითონვე დაუახლოვეს ჩვენს გმირს პრომეთე და იმის სასჯელის ადგილად კავკასია დასახეს. გარდა ამისა, მისივე მოსაზრებით, ბევრასფი, სპარსულად ბეიერასპი, შეიძლება იყოს იგივე ამირანი, მხოლოდ სახელშეცვლილი, ალბათ, „შაჰ-ნამეს“ გავლენით.

სპარსული გადმოცემით აფრიდონი, იგივე ფერიდუნი, არის სპარსეთის მეფის ჭეშმიდის შვილი, ხოლო გველთ უფალია ზოჰაქი, რომელზედაც შურს იძიებს ფერიდუნი მამის მოკვლის გამო<sup>14</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრებასა“ და „შაჰ-ნამეში“ გვხვდება მსგავსი ადგილები, სახელები და ზოგჯერ მთელი ეპიზოდებიც. მკვლევართა აზრით, ჩვენი მატიანის აეტორმა მიზნად დაისახა დაეკავშირებინა საქართველოში მომხდარი ამბები ე. წ. „სპარსთა ცხოვრებაში“ გადმოცემულ გარკვეულ მოვლენებთან<sup>15</sup>. მაგრამ, როგორც ფიქრობდა ა. ხახანაშვილი, ეს მსგავსება და კერძოდ ადგილი ბევრასფის შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ ის უნდა ყოფილიყო ჭერ ხალხური გადმოცემის სახით და მხოლოდ შემდეგ მოხვედრილიყო ჩვენს მატიანეში. ამავე აზრის იყო მეცნიერი ვს. მილერი, რომლის შეხედულებები მოჰყავს ა. ხახანაშვილს თავის გამოკვლევაში. მილერი სპეციალურად შეისწავლიდა სპარსული წყაროების გავლენას, „ქართლის ცხოვრებაზე“. იგი წერდა, რომ ჩვენს მატიანეს და ფირდოუსის ქმნილებას აქვს ერთი საერთო წყარო — ეს არის საერო ტრადიცია<sup>16</sup>.

ამირანის თქმულება და მისი ურთიერთობა სხვა ხალხის ანალოგიურ გადმოცემებთან დღემდე რჩება ქართულ ფოლკლორისტიკაში ერთ-ერთ სა-

<sup>12</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 13.

<sup>13</sup> სპარსთა ცხოვრება, რომელსაც ასახელებს ლეონტი მროველი, კ. კეკელიძის აზრით, არის ე. წ. „ხოლა-ნამე“, რომელიც შეიცავს, სპარსეთის ლეგენდარულ-გმირულ ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან ხოსრო მეორის მეფობამდე და რომელიც წარმოადგენს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ პირდაპირ წყაროს. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, ტ. II, გვ. 254.

<sup>14</sup> „შაჰ-ნამე“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ზაქიანი, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1916, გვ. 32.

<sup>15</sup> ვ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 148.

<sup>16</sup> В. С. Миллер. Осетинские этюды. ч. III. М., 1887. гл. 23.

ენტერესო საკითხად<sup>17</sup>. თქმულება კავკასიონის ქედზე მიჭაქველი გმირის შესახებ თავისი ფესვებით შორს მიდის. აკად. ი. ჭავჭავიძის აზრით, ეს თქმულება საქართველოში არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე, წარმართობის დროს. ი. ჭავჭავიძე აღნიშნავს, რომ ამ თქმულებას კავკასიურად თელიდენ V—IV სს. ელინი მწერლები და პრომეთეს მიჭაქვის ადგილად კავკასია მიიჩნდათ. მკვლევარი კავკასიურ თქმულებას უძველესად თელიდა. ი. ჭავჭავიძე აღნიშნავდა, რომ ამავე აზრის იყო გამორჩენილი გეოგრაფი სტრაბონი<sup>18</sup>.

კავკასიური თქმულება უძველესად მიიჩნდათ სხვა მკვლევრებსაც (პ. უსლარს, ნ. მარს და სხვებს). უსლარი წერდა: „Нет даже причины сомневаться, что легенды эти относятся к самому отдаленному времени, к времени предшествовавшему началу ознакомления греков с Кавказским перешейком“<sup>19</sup>.

კავკასიურ თქმულებას მიჭაქველი გმირის შესახებ უძველესად თელიად ღღესაც. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს თვით ბერძნების შეხედულება, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ადრე.

მ. ჩიქოვანის აზრით, როდესაც ბერძნებმა გაიციენს ამირანის თქმულება, მას შემდეგ შეიქმნა საბერძნეთში პრომეთეს მითის უცხოური წარმოშობის თეორია<sup>20</sup>.

ირკევეა, რომ ა. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება კავკასიური თქმულების შესახებ ენაბურება დღევანდელ შეხედულებას ამ საკითხზე. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მკვლევარი ქართულ-სპარსული წყაროების ურთიერთობის საკითხს ხალხურ ეპოსს უკავშირებდა. მის მიერ გამოთქმული ეს აზრი აღიარებულია დღესაც. „ქართული და ირანული ეპიკური თხზულებების შედარებით შესწავლას მათ საერთო წყაროსაკენ მიყვანართ“<sup>21</sup>.

მითების შემდეგ ჩავუფს ა. ხახანაშვილი უწოდებს ს ა ა მ ო ლ ი ტ ი კ ო ს (ეს ტერმინი მას ეკუთვნის. — ნ. კ.). მას მიაწერს გადმოცემებს ყველა მნიშვნელოვან პერიოდზე ქართველი ერის ცხოვრებიდან. ეს შეეხება საქართველოს სამინაო თუ საგარეო პოლიტიკას. მკვლევრის აზრით, ხალხს ბუნდოვნად ახსოვს ბრძოლა ნებროთ გმირთან, ბრძოლები სპარსელებთან, ხაზარებთან და განთავისუფლება უცხო დამპყრობლებისაგან.

აღ. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ერს ახსოვს აგრეთვე ებრაელების მოსვლა საქართველოში და თავისებურად ხსნის „ქუჩეყანას ხარკითას“ სიტყვიდან ხარკი, რომელიც მათ დაეკისრათ; ახსოვს ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა და აზონის განდევნა. მას ახსოვს ყველა შესანიშნავი დრო წარსულის ცხოვრებისა, — აღნიშნავს მკვლევარი. „აქ თვით ერის ბედ-იღბა-

<sup>17</sup> ისტორიკოსი დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ სპარსელი ლეგენდა მოგვაგონებს სომხურ ლეგენდას არტავაზზე, ქართველების ლეგენდას ამირანზე და მსგავს ოსურ ზღაპარს. ეს ლეგენდები წარმოგვიდგენენ ძველ ელინურ მითს პრომეთეზე. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოს, ტფილისი, 1889, გვ. 70.

<sup>18</sup> ი. ჭავჭავიძე, ქართული ეპოსი, ქართული ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 160.

<sup>19</sup> П. К. Услар, Древнейшая сказания о Кавказе, Тифлис, 1881, გვ. 483.

<sup>20</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 216.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 201. იუარაუდება, რომ ოსური და სომხური ლეგენდები შეიქმნა ქართული ლეგენდის საფუძველზე (ე. მილერი, მ. ჩიქოვანი).

ლი და თავგადასავალი წარმოდგენილი, თვით ერის გონებას დაუცავს წარსულის მოგონება და ანდერძნი<sup>22</sup>.

ა. ხახანაშვილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ შინაური ცხოვრებიდან ერს დახსომებია დრო მამასახლისობისა, როდესაც თემებად ცხოვრობდნენ ქართველები, ჰყავდათ თავიანთი უფროსი მამასახლისი, რომელიც იყო მსაჯულიცა და მზრუნველიც თემისა. უფროსი მამასახლისი იყო მცხეთისა. „მისი ჩამომავალი მეფე ფარნავაზი აერთებს სუყველა თემებს, როგორც ბერძენთა თეზი კრეფს ათინაში გაფანტულ თემებს და ადგენს სინოიკიზმს“<sup>23</sup>.

მკვლევარი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩვენს ერს ახსოვს უუძველესი ხანა თავისი წარსულისა. მისი აზრით, ჩვენი მატიანის დამწერს მამასახლისობის ამბავი დაუმყარებია ერის გადმონაცემსა და ნაანდერძეზე. შინაური ცხოვრებიდან, — აღნიშნავს ალ. ხახანაშვილი, — ერს კიდევ ახსოვს ის დრო, როცა ჭერ კიდევ არ იცოდნენ ქართველებმა ქვეითკირის სახლები. ნებროთის ნათესაისი არდამის შემდეგ ქართველებმა დაისწავლეს „ქვეითკირის საქმე“.

ასეთია ა. ხახანაშვილის აზრი საპოლიტიკო მიზნზე.

მეცნიერთა შემდგომი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლისას შეინიშნება ისტორიული სინამდვილის კვალიც. თითოეული ამბავი, რომელსაც ა. ხახანაშვილი აერთიანებს საპოლიტიკო მიზნებში, ყოველთვის ხალხურ გადმოცემაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული.

რაც შეეხება ნებროთის ამბავს, ცნობილია, რომ იგი ბიბლიური გმირია. ნებროთი ხშირად იხსენიება სხვადასხვა ბიბლიურ თქმულებებზე შექმნილ აპოკრიფში. წიგნი ნებროთისა ან ნებროთიანი ითვლება „ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ ბერძნულ წყაროდ, რომლითაც უსარგებლია ლეონტი მროველს. ნებროთის ამბავი მართლაც მითითრად ითვლება, მაგრამ ხახანაშვილისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მკვლევარი მას ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულად კი არ თვლის, არამედ მწერლის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ გარკვეული მიზნით შეტანილ ამბად<sup>24</sup>.

გადმოცემა ხაზარების შესახებ, როგორც ირკვევა, მითურ ამბებს არ უნდა განეკუთვნებოდეს. მიღერი აღნიშნავდა, რომ, მართალია, ამ ამბავს არა აქვს არავითარი ისტორიული საფუძველი, მაგრამ, პატკანოვისაგან განსხვავებით, მკვლევარს ის მაინც არ მიაჩნდა მემატიაანის მიერ უბრალო გამოწვავთ ამბად<sup>25</sup>. მართლაც, აღმოჩნდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ხაზარები არიან იგივე სკვითები. ეს არაერთხელ აღუნიშნავთ მკვლევართ<sup>26</sup>.

ცნობა ებრაელთა მოსვლის შესახებ ნაბუქოდონოზორის დროს ლეგენდად ითვლება. იეარაულება, რომ ამ შემთხვევაში მატიანის წყაროა „მოქ-

<sup>22</sup> ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1888, № 218, წერილი III.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> კ. კეკელიძის აზრით, ასეთი წიგნი არ არსებობდა. იგი თვლის, რომ ეს ნებროთის წიგნი არის ფსევდოეფრემის სახელთ ცნობილი აპოკრიფი „თარგმანი დაბადებისათვის ცოსა და ქუჩეანისა და ადამისათვის“. ლეონტი მროველმა გამოიყენა ეს თხზულება იმიტომ, რომ ბიზანტიურ ქრონოგრაფთა ტრადიციების თანახმად დაეკავშირებინა თავისი ქვეყნის ისტორია მსოფლიო ისტორიასთან, ე. ი. მაშინდელი თვალსაზრისით, ბიბლიურ ისტორიასთან. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 401.

<sup>25</sup> В. С. Миллер, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

<sup>26</sup> Г. Меликшвили, К истории древней Грузии, გვ. 35.



ევეა ქართლისაჲ“, სადაც არის მსგავსი ადგილი; „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანაი ხარკითა. და დასხდეს ივინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრქევან მას ხერკი“<sup>27</sup>. გ. მელოქიშვილის აზრით „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელმა ამ ადგილის აღწერისას შეიტანა თავისი შესწორებები, უფრო სწორად მიიჩნია ქალდეველთა მიერ დევნილ ხალხებში დაენახა არა ჰონები, არამედ ებრაელები<sup>28</sup>.

თანამედროვე აზრით, გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დალაშქრის შესახებ ლეგენდარულია. არსებობს მოსაზრება, რომ ცნობები ა. მაკედონელისა და მისი იმპერიის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილია ფსევდოკალისტენის ცნობილი რომანიდან „ალექსანდრია“. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ სწორედ ეს რომანი იგულისხმება იმ „ცხოვრება ბერძენთაში“, რომელსაც ეყრდნობა „ქართლის ცხოვრება“ ალექსანდრეს ლაშქრობის აღწერისას ქართლში<sup>29</sup>.

რაც შეეხება გადმოცემას მამასახლისობაზე, მას მეტად მნიშვნელოვნად თელიდა ი. ჭავჭავაძე. მისი აზრით, ის მოგვაგონებს სტრაბონის მიერ აღწერილ ამბავს მამასახლისობის შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ ცნობა მამასახლისობაზე „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი უნდა იყოს რომელიმე ძველი საუკეთესო ქართული საისტორიო წყაროდან<sup>30</sup>.

როგორც ვხედავთ, ა. ხახანაშვილის შეხედულებები საპოლიტიკო მითხვევით არ მართლდება. ივარაუდება, რომ ზოგი ცნობა ქართველების უძველესი წარსულის შესახებ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ის, რომ ზოგიერთი მათგანი აღებულია საისტორიო წყაროდან, ანდა რომ ზოგი ამბავი შეიძლება გულისხმობს სხვას, მაგრამ ისტორიულად ნამდვილად მომხდარ ფაქტს, მიუთითებს ჩვენი მატეანის ადრეული პერიოდის ამსახველი თხზულების ისტორიულ ღირებულებაზე.

ა. ხახანაშვილი ცალკე ჯგუფად გამოყოფს რელიგიურ მითებს. რელიგიური მითის მაგალითად იგი თვლის ქართლოსის გაღმერთებას. „უფროსი საფიციარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“, — ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“<sup>31</sup>. ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ერმა გააღმერთა კაცი, რომელმაც ხალხის წარმოდგენით მთელ ქვეყანას უწორა თავისი სახელი. „ქართლმა დაჰბადა ქართლოსი ასახსნელად თავისის სახელწოდებისა და ეს კაცი, რომელმაც ქართველს ერს მისცა დასაწყისი, ხალხის თვალში უნდა ყოფილიყო ღმრთის სწორი არსება“<sup>32</sup>.

თანამედროვე შეხედულებით, ქართლოსი ქართველების ლეგენდარულ მამამთავრად ითვლება.

<sup>27</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტ. ძეგლები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 81.

<sup>28</sup> Г. Мелкишивили, ქდასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>29</sup> კ. ქეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტ. შრომები, III, 1923, გვ. 47. პ. ინგოროევი, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 106.

<sup>30</sup> ი. ჭავჭავაძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 181.

<sup>31</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 11.

<sup>32</sup> ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1888, წერილი III, № 218.

ა. ხახანაშვილის აზრით, რელიგიური შითის მეორე მაგალითია ხალხის მიერ კერპის — არმაზისადმი თაყვანისცემა როგორც ღმერთისადმი. როგორც მემპტიანე აღნიშნავს, არმაზის სახელით ხალხი პატივს სცემდა ფარნავაზს. „ამანვე ფარნავაზ, — წერს ლეონტი მროველი, — შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“<sup>33</sup>. ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ერს ახსოვს იდეა არმაზისა, სურს მისი მიზეზის პოვნა და თავის პირველ მეფეს ღმერთად ზღის. მისი აზრით, ამ შემთხვევაში, შითი გადაღის საგად. საგა კი, — მისივე განმარტებით, — არის ისეთი გაღმოცემა, რომლის ფესვი ისტორიული ფაქტია, მაგრამ გაღმოცემით განდიდებული და გაზვიადებულია. საგა ფაქტია, მაგრამ ხშირად იმოსება სასწაულთა თვისებით. ა. ხახანაშვილი ფარნავაზ და მირიან-მეფის ამბებს ამგვარ საგად თვლის.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ. საკამათოა თვით სიტყვა „არმაზის“ წარმომავლობაც. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე თვლიდა, რომ არმაზი არის სპარსელების ორმუხდი, „წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა“. ჩვენ გვყოლია სპარსელი მოგვნი „მზის მსახურნი“<sup>34</sup>. ნ. მარის აზრით, სპარსელები ფარნავაზს კი არ უწოდებდნენ არმაზს, არამედ პირიქით, — არმაზის კერპს ისინი ფარნავაზს ეძახდნენ. იგი მიუთითებს, რომ ეს ეპიზოდი ფარნავაზის ისტორიიდან უზბრალა გამოინაგონია. ნ. მარი არმაზის კულტს სპარსულ აპურამაზდას უკავშირებდა<sup>35</sup>. ამ შეხედულებას არ იზიარებდა ზოგიერთი მკვლევარი (მ. წერეთელი, ი. ჭავჭავიძე და სხვ.), მ. წერეთლის აზრით, აღნიშნავს ი. ჭავჭავიძე, არმაზი იყო „მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინაოლისა. ატმოსფეროსა, წვიმისა და ელვა-ქექისა თეუმბ“. ი. ჭავჭავიძე აღნიშნავდა, რომ არმაზი როგორც ღვთაება ქართველი ერის მეხსიერებას არ შერჩენია. იგი მიუთითებდა, რომ არც ერთ ბერძნულ წყაროში და წმინდა ნინოს უძველეს რედაქციაში კერპთა მსხვერვის შესახებ არაფერია ნათქვამი. მისი აზრით, ეს მერმინდელი ჩანართი უნდა იყოს. მკვლევარი თვლის, რომ არმაზი უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. ი. ჭავჭავიძის გეოგრაფიული სახელი „არმაზ-ციხეც“ არ მიაჩნდა იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ არსებობდა კერპი არმაზი. მისი შეხედულებით, აქ შესაძლოა ქალღმერთი მეფეთა შორის მიღებულ სახელ „არამეს“ ნაშთთან გვეკონდეს საქმე<sup>36</sup>.

დღეს ქართული საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად არმაზი ქართველთა ეროვნულ ღვთაებად არის მიჩნეული. მისი წარმოშობა უკავშირდება ხეთურ-მცირეაზიულ კულტურას, რომელიც შემოიტანა საქართველოში მცირე აზიიდან ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომის მუშქების (მესხების) გაღმოსახლებამ<sup>37</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ არმაზი ხეთური „არმასი“ უნდა იყოს (მთვარე, მთვარე-ღმერთი)<sup>38</sup>, მთვარე კი უზენაეს ღვთაებად

<sup>33</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 25.

<sup>34</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>35</sup> Н. Марр, Бог и языческой Грузии по древнегрузинским источникам. 1901. ЗВООИРАО, том. XIX. Спб. გვ. 6.

<sup>36</sup> ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, ტ. I, გვ. 109.

<sup>37</sup> Г. Меликишивили, Напри-Урарту, Тб., 1954. გვ. 420.

<sup>38</sup> ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, წიგნი: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970, ტ. I, გვ. 667.

ითვლებოდა საქართველოში. შემდეგ ქრისტიანობამ განდევნა სახელი ღვთაებისა „არმაზი“, ხოლო მთვარის თაყვანისცემა დიდხანს შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა, ოღონდ უკვე „წმინდა გიორგის“ სახითა და სახელით<sup>39</sup>.

ა. ხახანაშვილის აზრით, ისტორიული ხანა ჩვენი ერისა იწყება ფარნავაზ მეფიდან. ამის შემდეგ მატრიანე კარგავს მითურ ხასიათს და ფუძნდება მტკიცედ დასაბუთებულ ნიადაგზე. ფარნავაზი „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილია, როგორც „კაცი გონიერი, მკედარი შემშრთებელი და მონადირე კელოვანი“<sup>40</sup>. მის შესახებ ნათქვამია: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავეტო ენა ქართული, და არაღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“<sup>41</sup>.

ფარნავაზის აშბავი წარმოადგენს კოლორიტულ მოთხრობას. მასში ჩართულია ადგილები, რომლებიც ხალხური ეპოსის საუკეთესო ნიმუშებად ითვლება. ესენია მისი სიზმარი და განძის პოვნის ეპიზოდი, დაწერილი „ზღაპრის კილოთი, ხალხური საგის სტილით“<sup>42</sup>. „შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ეითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო კელი მისი, მოჰყოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“<sup>43</sup>. ეს სიზმარი თითქმის გამომზატებულია მეფის მომავალი დიადი ცხოვრებისა, რომელიც იწყება მეორე დღიდანვე მის მიერ ნადირობისას გამოქვაბულში განძის პოვნით

ა. ხახანაშვილი თავის გამოკვლევაში არაფერს წერს ამ ეპიზოდის შესახებ. მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რადგან სწორედ აქ იგრძნობა ხალხური ეპოსის გავლენა. ნ. მარის აზრით, განძის პოვნის ეპიზოდი წარმოადგენს პარალელს ერთი სპარსული მოარული ზღაპრისას<sup>44</sup>. მ. ჩიქოვანი ამ ადგილს ისტორიზებულ თქმულებად თვლის. იგი აღნიშნავს, რომ მზის პირისნაბანის ხსენება იმ ზეპირ ფანტასტიკურ მოთხრობებს გვაგონებს, სადაც იგი უკვდავების წაშლია<sup>45</sup>.

ამჟამად აღიარებულია, რომ ცნობები ფარნავაზზე არ შეიძლება მთლიანად ზღაპრულად მივიჩნიოთ. ფარნავაზის თქმულების საფუძველი რომ ისტორიული სინამდვილეა, ამას აღნიშნავს მრავალი მკვლევარი. გ. მელიქიშვილის აზრით, ვადმოცემაში ფარნავაზის შესახებ ამჟამად ჩანს მწიგნობრული რედაქცია. აგრეთვე, ფარნავაზი რომ ქართლის სამეფოსა და მისი სამეფო დინასტიის დამფუძნებლად ითვლებოდა, ძველი სომხური წყაროებიდანაც ვგებულობთ, სადაც ქართლის სამეფო საგვარეულოს წევრები „ფარნავაზიანებად“ იწოდებიან. მისივე შეხედულებით, თქმულება ფარნავაზისა და პირველ ფარნავაზიანთა შესახებ ხალხურ თქმულებათა უშუალო ასახვას არ წარმოადგენს. აქ ხალხური თქმულებანი, ვადმოცემული ავტორის მიერ ირანულ სადევგმირო რომანების ყაიდაზე, მწიგნობრული ცოდნითა თუ სხვა წერი-

<sup>39</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

<sup>40</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 21.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>42</sup> პ. ინგოროყვა, ლენტი მრაველი ქართული ისტორიკოსი, ენიშქის შოამზე, I, 1941, გვ. 100.

<sup>43</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 21.

<sup>44</sup> H. Mapp, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

<sup>45</sup> მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ლობითი მასალებითაა გადამუშავებული<sup>46</sup>. ფარნავაზის თქმულების ისტორიულ საფუძველზე მიუთითებენ სხვა მკვლევარებიც. ფოლკლორისტი ე. ვირსალაძე წერს: „Однако основа предания, использованного историком — историческая действительность, перефантазия народной фантазией“<sup>47</sup>.

რაც შეეხება მირიან მეფის ამბავს, მტკიცდება, რომ იგი ნამდვილად ისტორიული პირი იყო, მაგრამ მის თავგადასავალში ბევრი რამ არასწორად მიანიათ, პირველ რიგში მისი სპარსული წარმომავლობა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მირიან მეფის ამბავში შემონახული უნდა იყოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლიც<sup>48</sup>.

ა. ხახანაშვილის შეხედულება გადმოცემაზე მეფეების — ფარნავაზისა და მირიანის შესახებ მართლდება. ორივე ისტორიული პირია, მაგრამ თქმულება მათ შესახებ გაზვიადებულია ერის ფანტაზიით ან იმ მწერლის მიერ, რომელმაც ისინი აღწერა. ეს მწერალია ლეონტი მროველი, რომლის „თხზულება წარმოადგენს საერო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებს, ეპიკურ ხაზებში გაშლილს, საგმირო რომანის ელფერით“<sup>49</sup>.

გარდა ზემოჩამოთვლილი მაგალითებისა, „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია ქებანი და გლოვანი მიცვალებულ მეფეთა და მოღვაწეთა სახსოვრად შედგენილი, რომელიც, ა. ხახანაშვილის აზრით, ძვირფას წყაროდ უნდა ჩითვალოს. ასეთ გლოვაში მგოსანი მოკლედ მოგვითხრობს ისტორიულ პიროვნებათა შემოქმედებაზე, ხასიათზე და სამსახურზე მამულისა და ერისადმი. ერთ-ერთი ასეთია გლოვა სახელოვანი მეფის ფარსმან ქველის დაღობით მოკვლის გამო.

ფარსმან ქველი წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“ ლეგენდარულ პიროვნებად, რომელიც ერკინებოდა და ამარცხებდა ბუმბერაზებს. იგი იყო რაინდი და სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით. „ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უზუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა ღიდი და ძლიერი, მკნე მკედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უკორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“<sup>50</sup>.

იმისმა სიკვდილმა გამოიწვია სახალხო გლოვა. „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყუბა ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახადმდე“. „ვამ ჩუენდა, რამეთუ მოგძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ქსნილ ვიყუენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“<sup>51</sup>.

მემატიანე უმატებს, მგოსანნი გლოვისანი „ქალაქთა და დაბნებთა“ ახსენებდნენ „სიმკნესა და სიქუელესა, სიმშუენიერესა და სახიერებასა ფარს-

<sup>46</sup> ს. ქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 57.

<sup>47</sup> Е. В. Вирсаладзе, Грузинские народные предания и легенды, М., 1973, გვ. 29.

<sup>48</sup> ლ. ხახანაშვილი, ქართლი IV ს. პირველ ნახევარში, კრისტინანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად, წიგნში: საქ. ისტ. ნარკვე. ტ. II, თბ., 1973, გვ. 60.

<sup>49</sup> ბ. ი. გ. ო. რ. ო. ყ. ა., ლეონტი მროველი ქართველი ისტორიკოსი, გვ. 95.

<sup>50</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 51.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 53.

მან ქუელისასა“. გლოვაში მოთხრობილია მეფის თვისებები, მისი ღვაწლისამ-  
შობლოს წინაშე. ა. ხახანაშვილის აზრით, პირველმა მემატიაანემ არ დატოვა  
უყურადღებოდ ეს გლოვა და ჩაწერა მატიაანეში. „ამ მგოსანთა გლოვას,—  
წერს ა. ხახანაშვილი, — აქვს სრული უფლება დაიჭიროს ადგილი საერო პო-  
ეზიის სფეროში, როგორც ნაყოფს ერის წარმომადგენლის აზრისა და შეხე-  
დულებისას წარსულში“<sup>52</sup>.

ფარსმან ქველის გლოვას საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშად თვლიან,  
სადაც, ჭერ ერთი, მოცემულია სურათი სახალხო გლოვისა; მეორეც, შემონა-  
ხულია სამგლოვიარო ხოტბის ნაწყვეტი, რომელიც ლექსს არ წარმოად-  
გენს, მაგრამ რიტმული პროზითაა შესრულებული<sup>53</sup>.

არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფარსმან ქველის ამბავი წარმოად-  
გენს ცალკე დამთავრებულ ეპიკურ მოთხრობას, რომელიც დაწერილია  
საგმირო რომანის კოლორიტული სტილით<sup>54</sup>.

ა. ხახანაშვილი მიუთითებს, რომ ასეთ გლოვას რომაელნი უწოდებდნენ  
neniae-ს, რომელიც იქნა აღიარებული ისტორიულ წყაროდ. „სჩანს, გლოვა  
ლექსად იყო ნათქვამი, როგორც neniae და ამით ადვილდებოდა მისი დახ-  
ლომება და შთამომავლობისთვის შეუცვლელად გარდაცემა“<sup>55</sup>. მკვლევრის  
აზრით, მემატიაანემ ეს გლოვა პროზად გადააღო, თუმცა მის შინაარსს არა-  
ფერი არ მოუმატა.

ყოველივე ამის გამო ა. ხახანაშვილი, ჩვენი აზრით, მართებულად ასკე-  
ნის, რომ ქართულ ხალხს იმთავითვე დიდი ნიჭი გამოუჩენია ლექსების  
თქმაში, რომელიც მემატიაანეს შეეძლო გამოეყენებინა. ამიტომაც.—დას-  
ძენდა მკვლევარი, — უადგილოა ეჭვი და უარყოფა საერო პოეზიისა და  
ტრადიციის ასახვისა „ქართლის ცხოვრებაში“.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა პროფ. ქს. სიხარულიძის შენიშე-  
ნა, რომელიც ეხება მეცნიერის გამოკვლევებს ძველქართულ ფოლკლორზე:  
„ა. ხახანაშვილი, რომ გაცნობილი ყოფილიყო ხეყსურული ხმით ნატირალის  
ტექსტებს, რომელნიც ხშირად მთიბლურ სიმღერადაც კი არის გამოყენე-  
ბული, უფრო გაბედულ დებულებას წამოაყენებდა გლოვის ტექსტების  
ლექსითს ფორმაზე“<sup>56</sup>.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, სრულიად ნათელია, რომ ა.  
ხახანაშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა „ქართლის ცხოვრების“  
ორიგინალურობა დამტკიცებინა მასში ხალხური საწყისების გამოვლენის  
გზით. მკვლევრის ღრმა რწმენით, ვინაიდან ყოველი ეროვნული ნაწარმოები  
ხალხურ შემოქმედებაზეა აღმოცენებული, „ქართლის ცხოვრებაში“ მიკვლე-  
ული ეს უამრავი ხალხური ელემენტებიც სწორედ მის ორიგინალურობაზე მი-  
უთითებს. ეს იყო ა. ხახანაშვილის კვლევის ძირითადი მიზანი და მის მიერ  
მიღებული შედეგები მართლაც ახალი სიტყვა იყო იმ დროისათვის. იგი შეეცა-  
და სისტემაში მოეყვანა მთელი მასალა, რომელიც ხალხური შემოქმედების

52 ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1868, № 242, წერილი IV.

53 მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

54 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; რ. ბარამიძე, ქართული საისტო-  
რიო პროზა, თბ., 1971, გვ. 45.

55 ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, № 242, წერილი IV.

56 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ.,  
1949, გვ. 50.

კვალს ატარებდა. სწორედ ამიტომ მან დააჩვენა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული მოთხრობები. ა. ხახანაშვილის ვარაუდით გამოდიოდა, რომ თითქმის ქართველი ერის ისტორიის თითქმის მთელი უძველესი პერიოდი ხალხურ გადმოცემებზეა დაფუძნებული, თუმცა კი იგი, როგორც ვნახეთ, მაინც უშვებდა ვარაუდს, რომ მამამთავართა შორის შეიძლება იყვნენ ისტორიული პირნი.

ასე ფიქრობდა ა. ხახანაშვილი, როდესაც იწყებდა ამ საკითხების კვლევას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვა ქრონიკები<sup>57</sup>, რომელთა შესწავლამ (ა. ხახანაშვილის სტატიების გამოქვეყნებიდან სულ ორი-სამი წლის შემდეგ) რადიკალურად შეცვალა მისი მოსაზრება. მეკლავის აზრით, ეს ქრონიკები იყო მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები, რომლებმაც ახალი ნათელი მოპოვინეს საქართველოს უძველეს ისტორიას. „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული საკითხები სულ სხვაგვარად იქნა დანახული. თვით ა. ხახანაშვილმა ამ ქრონიკებთან „ქართლის ცხოვრების“ შეპირისპირებით დაადგინა, რომ ჩვენი ძატიანე წარმოდგენს კომპილაციას, რომელიც შედგენილია ეახტანგ VI-მდე დიდი ხნით ადრე ძველი ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე:

„Нельзя говорить о „Картлис-Цховреба“, как о мутном источнике, измышленном армянским монахом или царем Вахтангом VI и, следовательно, лишенным исторического значения“<sup>58</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ა. ხახანაშვილი იყო სწორედ ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც XIX ს. 90-იან წლებში დასვა საკითხი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი პერიოდის ისტორიული ღირებულების შესახებ.

მას შემდეგ მრავალი საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნდა ამ საკითხის ირგვლივ. დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ლეონტი მროველის თხზულება არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც საისტორიო ძეგლი. ის გარემოება, რომ ცალკე ეპიზოდები დამუშავებულია ეპიკურ ენაში და რომ მოთხრობა შეფერილია და შეკვებულია ლეგენდებით, არ უკარგავს ამ ძეგლს საისტორიო ტექსტის მნიშვნელობას<sup>59</sup>.

ა. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ღირებულების შესახებ მეცნიერულად დადასტურდა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ამოიკითხა არმაზის ბილინგვის წარწერები. გ. წერეთელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები საშუალებას გვაძლევენ შეიცვალოს აზრი ქართლის უძველესი წარსულის ზოგიერთი ცნობის შესახებ. მან დასვა საკითხი ამ ძეგლისადმი, როგორც საქართველოს ძველი ისტორიის წყაროსადმი, სკეპტიკური დამოკიდებულების გადასინჯვის შესახებ<sup>60</sup>.

მეცნიერული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ლეონტი მროველს უნდა ესარგებლა სანდო ისტორიული წყაროებით, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (პ. ინგოროყვა, დ. მუსხელიშვილი). თუ წინათ თვლიდნენ, რომ ლ.

57 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890.

58 А. Х а х а н о в, Источники по введению христианства в Грузию, М., 1893, стр. 4.

59 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

60 გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1942, გვ. 47.

მროველის თხზულებას მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად (ი. ჯავახიშვილი) ან როგორც ლიტერატურულ ძეგლს (ვ. კეკელიძე), რომელსაც დაუცავს ხალხური შემოქმედების ნიმუშები, დღეს ფიქრობენ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები მათი კრიტიკულად შესწავლისას შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს უძველესი წარსულის სურათის აღსადგენად (გ. მელიქიშვილი).

ა. ხახანაშვილის ღვაწლი ამ მიმართულებით, ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული ტრადიციების კვლევა, თავისი დროისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

Н. В. КОТЕТИШВИЛИ

### А. ХАХАНАШВИЛИ О НАРОДНЫХ МОТИВАХ В «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

А. Хаканашвили, на основании наличия в «Картлис Цховреба» фольклорных элементов, впервые пытается доказать оригинальность этого сочинения. Он систематизирует весь материал, посвящий следы народного творчества, но после опубликования Е. Такайшвили «Трех исторических хроник» радикально меняет свое мнение и приходит к выводу, что «Картлис Цховреба» представляет собой компиляцию, составленную на основании исторических документов задолго до царствования Вахтанга VI. Поэтому А. Хаканашвили следует считать одним из первых исследователей, выявивших историческую ценность «Картлис Цховреба» для изучения древней истории Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ

Н. К. ОРЛОВСКАЯ

## ИСТОЧНИКИ ПЬЕСЫ КРЕБИЙОНА «РАДАМИСТ И ЗЕНОБИЯ»

В истории французской драматургии Кребийон занимает особое место. Его творчество получало различную оценку, современные писатели и исследователи последующего времени находили в нем множество недостатков. Но даже самые строгие критики не могли обойти его при разборе драматургии начала XVIII века и признавали наиболее яркой фигурой во французском театре в период между великими трагиками предшествующего столетия (Корнелем и Расином) и творчеством Вольтера.

Творческий путь Проспера Жолно Кребийона (1674-1762) был очень неровен, и периоды подъема сменялись годами упадка и молчания. Наряду с удачными пьесами ему принадлежат и более слабые произведения. Так, постановка его «Ксеркса» окончилась позорным провалом на первом же представлении и больше никогда не возобновлялась, тогда как лучшее произведение Кребийона — «Радамист и Зенобия» (1711 г.) — имело в свое время огромный успех и вплоть до 20-х годов XIX века держалось в театральном репертуаре.

По характеру своего творчества Кребийон получил прозвище «страшного» (le terrible). В его пьесах господствуют мрачные сцены, где честолюбие и эгоизм выступают на первый план, где любовь перерастает в безумную ревность, а кровавые преступления становятся основным стержнем замысла. Подобная тематика явилась своеобразным отражением эпохи кризиса абсолютизма во Франции и упадка нравственных устоев аристократического общества. Чтобы произвести впечатление нужные были не высокие примеры добродетели, а бурные страсти, которые возбуждали бы нервы и пугали зрителей. Сам Кребийон так и ограничился в своих пьесах устрашающими коллизиями и не пошел по линии исканий передовых деятелей своего времени. Поэтому просветители в основном критически относились к его драматургии, а Вольтер после его смерти опубликовал «Похвальное слово Кребийону», в котором было больше критики, чем похвалы.

Но даже самые строгие противники Кребийона, которые резко выступали против идейных принципов его драматургии, выделяли пьесу «Радамист и Зенобия» как наиболее удачное его произведение. Вольтер — самый решительный противник Кребийона — признавал, что «Радамист» его лучшая трагедия, в которой много силы и патетичности, и что «Это единственное из всех произведений автора, которое должно остаться на сцене»<sup>1</sup>. Поклоником таланта Кребийона был Монтескье. «Кребийон превзошел себя в «Радамисте», своем шедевре, и, мы можем добавить, в одном из шедевров французского театра, — пи-

<sup>1</sup> Voltaire, Eloge de M. de Crébillon. Oeuvres complètes de Voltaire, t. 47 de L'imprimerie de la Société Littéraire-Typographique, 1785, стр. 98.



сал Даламбер. — Рисунок пьесы смелый и гордый, слог оригинальный и сильный; характеры Радамиста, Зенобии и Фарасмана обрисованы ярко и горячо; действие развивается интересно и оживленно, положения потрясающие и театральные<sup>2</sup>.

С большим одобрением пишут о трагедии Кребийона французские критики XIX века — Викторен Фабр<sup>3</sup>, А. Ф. Виллемен<sup>4</sup>, Д. Низар<sup>5</sup> и др. Высокую оценку дает произведению Морис Дютре, посвятивший Кребийону специальное исследование. Даже Фердинанд Брюнетьер, который довольно холодно отзывался о творчестве Кребийона, выделяет эту трагедию и находит, что в ее построении чувствуется «искусство, почти что вдохновение»<sup>6</sup>.

В основе пьесы лежат исторические данные о древней Иберии и Армении, изложенные римским историком Тацитом в его «Анналах»<sup>7</sup>. Эти события относятся к I веку н. э., когда Римская империя, желая обеспечить свое мировое господство, активно вмешивалась в дела на Востоке. Интересы Рима не допускали усиления каких-либо восточных государств. Поэтому, когда парфянский царь Артабан провозгласил царем Армении своего сына Аршака, император Тибериус принял решительные меры, чтобы помешать усилению парфян и поддерживать авторитет римлян на Востоке. Царем Армении был провозглашен Митридат, брат иберийского царя Фарсмана.

Борьба за власть в Армении создает жестокую политическую и семейную драму. Фарсман, обеспокоенный честолюбивыми стремлениями своего сына Радамиста<sup>8</sup>, старается направить его внимание на Армению. В 52 г., воспользовавшись ничтожным поводом, он начинает войну с братом. Радамист вероломно убивает Митридата со всем его семейством и провозглашает себя царем Армении. Но парфянский царь, использовав подходящий момент, двинул в Армению свои войска. Попытка Радамиста удержать власть не увенчалась успехом, а восставшие армяны принудило его поспешно бежать из страны. Власть досталась парфянскому царевичу Тиридату. Такое самоволье не могло остаться вне внимания римских властей, которые, спустя некоторое время, направили в Армению свои войска во главе с Корбулоном; в то же время в нее с севера вторглись иберы, а царь Фарсман, в угоду римлянам и для собственной безопасности, велел казнить своего сына Радамиста. В результате похода в конце лета 60 г. Армения была покорена римлянами, а Фарсман получил часть ее пограничных владений.

<sup>2</sup> D'Alembert, Eloge de Crébillon, Oeuvres complètes de D'Alembert, t. III, Paris, 1821, стр. 549.

<sup>3</sup> В. Фабр считает трагедию совершенно оригинальным явлением, «носящим оттенок того дикого величия, которое составляет особенность таланта автора». M. J. J. Victorin Fabre, Tableau littéraire du XVIII siècle, Paris, 1810, стр. 119.

<sup>4</sup> Виллемен находит, что «Радамист» — это «единственное талантливое произведение в период непосредственно перед Вольтером». Villemain, Tableau de la littérature au XVIII siècle, Paris, 1846, стр. 60.

<sup>5</sup> Низар видит в пьесе продолжение трагедии Корнелия и считает Радамиста достойным братом Сиды. D. Nizard, Histoire de la littérature française, t. IV, Paris, 1863, стр. 167.

<sup>6</sup> F. Brunetière, Les époques du théâtre français, Paris, 1886, стр. 214.

<sup>7</sup> Cornelius Tacitus, Annales, XII, 44—51; XIII, 37.

<sup>8</sup> И. Джавахишвили считает, что имя иберийского царевича должно было быть Родамп. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1951, стр. 170.

Эта напряженная политическая борьба создает тем более потрясающую картину, что главные участники ее соединены тесными родственными узами, а сам Радамист женат на Зенобии, дочери Митридата. Страшные события в Армении завершаются у Тацита еще одним эпизодом, кровавым, по романтическим, который открывал большие возможности для литературной обработки. Это описание бегства Радамиста из Армении, когда, боясь, чтобы его жена Зенобия не попала в руки врагов, он сам наносит ей рану и бросает ее в воды Аракса. Но Зенобию спасают рыбаки и она остается жива.

Конечно, за фактами, пересказанными римским историком, кроется сложная историческая обстановка и политические интересы. Но сами события и нарисованные образы настолько яркие и впечатляющие, что они были использованы как подходящая фабула для литературных произведений. При этом, так же как и другие материалы древней истории, эти данные о древней Иберии интерпретировались очень вольно, соответственно интересам и творческим устремлениям отдельных авторов: в некоторых на первый план выдвинуты проблемы власти и государственного управления, в других — лирические элементы и любовная интрига.

В основе пьесы Кребийона «Радамист и Зенобия» лежат в переработанном виде исторические данные, которые автор мог заимствовать непосредственно из Тацита или из литературных произведений на эту тему, изданных во Франции в XVII веке. Известно, что Кребийон не любил особенно утруждать себя и не углублялся в исторические изыскания при работе над своими пьесами. Существует немало рассказов о необычайной ленивости писателя, который проводил время за чтением романов, запершись в своем доме в окружении многочисленных кошек.

Материалами этих романов пользовался Кребийон при создании некоторых своих пьес. Как пишет Даламбер в своем «Похвальном слове Кребийону», он особенно увлекался творчеством Ла Кальпренеда; о его романах он говорил всегда с восхищением и считал, что извлек из них много полезного для своих трагедий<sup>9</sup>. Очевидно, это восторженное отношение Кребийона к творчеству Ла Кальпренеда породило ложное мнение о том, что его роман «Клеопатра» явился источником «Радамиста и Зенобии».

Готье де Кост де Ла Кальпренед — хорошо известный французский романист XVII века — был одним из инициаторов внесения исторической тематики в прецедентную литературу, он широко пользовался трудами античных историков, в том числе и их сведениями о странах Востока. В его «Клеопатре» материалы из истории древнего Рима перемежаются с описанием событий на Востоке. В приключениях героев этого многотомного романа идет речь о мидянах, парфиянах и других народах Востока; много эпизодов связано с Арменией. Упоминает автор также о царствах Иберии и Колхиды, через которые проезжает во время своих странствований Элиза, одна из героинь романа<sup>10</sup>.

Это произведение, которое Кребийон так высоко ставил, могло навести его на мысль воспользоваться в своей драматургии материалами о древнем Востоке. Но оно не было непосредственным источником его трагедии, ибо описанные в нем события относятся к более раннему вре-

<sup>9</sup> D'Alembert, *Eloge de Crébillon*, стр. 554.

<sup>10</sup> La Calprenède, *Cléopâtre*, III partie, Paris, 1653, стр. 341.

мени и не затрагивают истории Радамиста и Зенобии<sup>11</sup>. Неверное указание источника пьесы может исходить от людей, которые знали понаслышке об обилии у Ла Кальпренеда сведений о древнем Востоке, но сами его романа не читали. Следует принять во внимание, что во времена XVIII века преобладающая литература вышла из моды и было мало охотников читать целиком это многотомное произведение. Как пишет Даламбер, «Клеопатру» сегодня уже не читают, но еще хвалят по традиции<sup>12</sup>.

Подлинным источником пьесы Кребийона является другой гораздо менее известный роман XVII века, вышедший в четырех томах небольшого формата под названием «Береника». Имя автора на титульном листе не указывается, но установлено, что произведение принадлежит перу французского писателя Ж. Р. Сегре. На этот роман как на непосредственный источник трагедии Кребийона указывал еще Вольтер. Это же повторяет Даламбер, который сам, однако, романа не читал. «Мы предпочитаем поверить этой версии, чем ее проверять», — пишет он в своей статье о Кребийоне<sup>13</sup>. Как источник «Радамиста» роман Сегре указывается в разных французских справочниках<sup>14</sup>. Об этом пишут в своих исследованиях Дютре и Брюнетьер. Однако в критической литературе нет почти никаких данных ни о самом романе «Береника», ни о том, как использовал его Кребийон в своей пьесе. Наша задача определить какую версию исторических событий на древнем Востоке дает Сегре и какой трансформации подверглись его материалы под пером Кребийона.

Жан Реньо де Сегре (1624—1701) — малоизвестный французский литератор. Одно время он был секретарем мадам де Лафайет и, как указывается у Ларусса, помогал ей в работе над романом «Принцесса Клевская»<sup>15</sup>. Сам он написал ряд оригинальных произведений, делал переводы из «Энеиды» и позднее был избран во Французскую Академию.

Над «Береникой» автор работал в молодые годы. Роман вышел в свет в 1648—51 годах и больше не переиздавался. В настоящее время он представляет библиографическую редкость. В книгохранилищах Советского Союза этого издания не имеется. Мы познакомились с ним по микрофильму, который Центральная научная библиотека АН СССР выписала по нашей просьбе из Парижской национальной библиотеки.

Роман «Береника» состоит из нескольких довольно условно соединенных рассказов. Обрамляющей рамкой произведения служит история римского императора Тита, влюбленного в иудейскую царевну Беренику. В книге события разворачиваются еще в период, когда царствует отец Тита, император Веспасиан. Действие начинается с того, что Тит после взятия Иерусалима возвращается на родину. Его сопровождают Береника, ее брат — царь Агриппа, и другие высокопоставленные лица. Береника остается непреклонна к чувствам могучего завое-

<sup>11</sup> Об ошибочности подобного мнения писали французские исследователи прошлого столетия Огюст Витю и Фердинанд Бролетьер. См.: F. Brunetière, Les époques du théâtre français, стр. 210.

<sup>12</sup> D'Alembert, Eloge de Crébillon, стр. 570.

<sup>13</sup> Там же, стр. 570.

<sup>14</sup> A. A. Barbier, Dictionnaire des ouvrages anonymes, I, Paris, 1882, стр. 399; J. M. Quérard, La France littéraire ou dictionnaire bibliographique, t. IX, Paris, 1839, стр. 18—19; L. Levrault, Drame et tragédie, Paris, s. a., стр. 67.

<sup>15</sup> P. Larousse, Grand dictionnaire universel, t. XIV, Paris, s. a., стр. 482—483.

вателя, который, хотя и страдает, но ведет себя по всем правилам рыцарского служения даме. Основную часть произведения занимают вставные рассказы, которые слушают Тит, Береника и окружающие их лица во время путешествия. Из них самый большой, занимающий почти две книги — это рассказ о событиях в Армении и Иберии. Эта история вложена в уста Зенобии, которая появляется с первых же страниц романа и при самых необычных обстоятельствах: ее хотят похитить, из-за нее происходит морской бой, но преданные люди ее защищают. Тит и его войска оказывают Зенобии помощь, после чего она присоединяется к путешественникам и отправляется с ними в Рим.

Рассказ Зенобии построен на материалах Тацита, которые, по сравнению с другими литературными обработками, представлены очень полно и подробно. Однако исторические данные в романе Сегре иногда изменены, а главное иначе интерпретированы. Эта интерпретация и весь замысел романа обнаруживает влияние изысканной, прециозной литературы, которая в то время была модной в высших кругах французского общества. Сегре, как и Ла Кальпренед, обращаясь к историческим данным, свободно их перерабатывает, а деятелей отдаленного прошлого изображает согласно представлениям галантного светского общества о рыцарских доблестях и идеальных нормах поведения.

Несмотря на обилие исторических имен и фактов, точно взятых из Тацита, ведущей в произведении является любовная интрига, а сложные государственные проблемы и политические столкновения объясняются как последствия, вызванные любовью и ревностью. Исходной точкой для этого служит описанный в «Анналах» эпизод, когда во время бегства из Армении обессиленная Зенобия просит мужа подарить ей честную смерть и избавить ее от надругательства и плена. Потрясенный благородством жены, Радамист испытывает страшные душевные колебания. Наконец, охваченный ревностью, он произает се мечом и бросает в Аракс. Но Зенобию спасают рыбаки, она выздоравливает и попадает к Тиридату, который, как пишет Тацит, «ласково принял ее и отнесся к ней как к царице»<sup>16</sup>.

На основании этой фразы почти во всех литературных обработках сведений Тацита судьбу Зенобии связывают не только с Радамистом, но и с парфяским царевичем Тиридатом. У Сегре эта тема особенно развита и осложнена еще другими любовными мотивами. В его романе выведено пять героев, влюбленных в прекрасную Зенобию. В их число входит римлянин Поллион, благородный ибер Оросман и даже сам иберийский царь Фарасман<sup>17</sup>. Все они влюблены в нее пламенно и страстно, но делаются на галантных рыцарей и себялюбивых злодеев, готовых на любые козни и преступления.

Тиридат — образцовый лирический герой, влюбленный в Зенобию с ранней юности. Их счастьем помешал тоже влюбленный в нее римлянин Поллион. Имя это взято из Тацита, который пишет о префекте Целии Поллионе, находившемся с римским гарнизоном в крепости Горнеях<sup>18</sup>. Это алчный человек, который был подкуплен Радамистом и предал Митридата. В романе, помимо алчности, Поллионом руководит любовь к Зенобии, желание погубить всех ее близких и завладеть ею. В

<sup>16</sup> Корнелий Тацит, *Анналы*, XII, 51, *Сочинения* в двух томах, т. I, Ленинград, 1969, стр. 217.

<sup>17</sup> В такой транскрипции имя иберийского царя дается и в романе Сегре, и в пьесе Кребйона.

<sup>18</sup> К. Тацит, *Анналы* XII, 45.

своей роли злого гения он проходит через всю книгу, строит интриги против Радамиста, против Тиридата, похищает Зенобию и падает убитым лишь в самом конце рассказа.

Характеристика героев дается в произведении довольно однолинейно. В них преобладает какая-либо определенная черта, что даже выражается в постоянных эпитетах: беспощадный (*l'imprévoyable*) Фарасман, честолюбивый (*l'ambitieux*) Радамист, ненавидимый (*le détestable*) Поллион, верный (*la fidèle*) Сросман.

Резко распределяя свет и тени, автор грешит в своем изображении политических деятелей: приукрашая одних, он рисует других в подчеркнуто мрачных тонах. Фарасман назван в романе «одним из самых больших политиков, которые когда-либо царствовали»<sup>19</sup>, в тексте упоминается о его военных заслугах, но на первый план выдвигается его жестокость и коварство. При этом Сегре вносит в роман совершенно новый мотив, которого нет у Тацита, — престарелый Фарасман страстно влюбляется в Зенобию, которая является его племянницей и невесткой. Ради этой преступной страсти он сначала пытается отравить сына, а потом ведет против него войну, в ходе которой Радамист предательски убит подкупленным агентом Фарасмана.

Таким образом, конечный результат, т. е. либель Радамиста, соответствует историческим данным, но побудительной причиной поступка Фарасмана являются личные чувства, а не политический расчет.

Наиболее сложным предстает в книге образ Радамиста. Автор исходит из характеристики Тацита, который пишет, что это был человек «статный, отличавшийся редкой телесной силой, овладевший всеми науками и искусствами, которым обучают на его родине»<sup>20</sup>. Но при всех положительных качествах он отличается безудержным честолюбием, которое приводит его к убийству Митридата. Автор, однако, старается смягчить вину Радамиста и главным вдохновителем этих кровавых событий изображает Фарасмана. В последующих эпизодах подчеркиваются положительные черты Радамиста и его образ делается все более привлекательным. Радамист — несравненный воин и в то же время истинно влюбленный, преданный Зенобии до последнего вздоха. Даже смертельно раненый он думает только о ней и произносит трогательную речь такой длины, которая утомила бы и здорового человека.

Рассказ о кознях Фарасмана и его преступной страсти соединяется в романе с рядом вставных эпизодов. Автор рисует даже вымышленный поход Тиридата в Иберию на помощь прекрасной Зенобии. Именно в результате этого похода потерпевший поражение Фарасман бросается на свой меч и погибает. Этот факт совершенно не соответствует историческим данным. У Тацита в период борьбы Тиридата за Армению и вступления в нее римских легионов Фарасман не только здравствует, но принимает в этой войне активное участие.

В последней части рассказа Зенобии, где идет речь о действиях в Армении римских войск, еще более увеличена доля вымышленных эпизодов. С преувеличенной похвалой описывает автор рыцарское отношение Тиридата к Зенобии и его военные подвиги. Со смертью Фарасмана превратности в судьбе Зенобии не кончаются: ее похищает злой гений произведения римлянин Поллион, она попадает в другие страны и долго томится в плену. Наконец, чудесным образом спасенная вер-

<sup>19</sup> [J. R. Segrais], *Bérénice*, Première partie, Paris, 1651, стр. 197.

<sup>20</sup> К. Тацит, *Анналы* XII, 44.

ным Оросманом, она на его корабле отправляется на запад. Завершающий эпизод ее приключений — это описанное в начале произведения морское сражение, в котором Поллион, вновь наступивший на Зенобию, падает сраженный Оросманом, который тоже умирает от тяжелых ран.

Действительно, автор не пожалел красок, чтобы как можно больше усложнить интригу романа: пять влюбленных вокруг одной героини, войны, похищения, побег, подкупы, подложные письма, пираты — все это создает максимально пеструю, насыщенную событиями фабулу. Такая усложненность, перегруженность интриги соответствовала принципам прециозного романа и вообще литературы барокко. Этими чертами прециозный роман резко отличался от поэтики классицизма, ратовавшего за ясность и композиционную стройность произведения.

Однако в вопросе нравственных принципов, которые проводятся в романе, можно заметить немало общих черт с идеями классицистов. Характерный для Корнеля конфликт долга и чувства проходит через все произведение и, также как у великого драматурга, положительные герои следуют не порывам страстей, а велению долга.

В этом отношении особенно показательна главная героиня, которая никогда не отступает от правил чести и хорошего тона. Как и у Тацита, она предпочитает умереть, чем попасть в плен, а на протяжении романа она так же решительно защищает свою честь в самых трагических ситуациях.

Описывая героев древнего мира, автор передает воззрения и формы жизни французского общества своего времени. В кодексе нравственных добродетелей романа входит поведение идеального рыцаря, мужественного на поле боя, милосердного к побежденным и всегда готового служить даме. При дворах Армении и Иберии царит строгий этикет, в книге фигурируют придворные дамы и пажы, рисуются приемы и светские развлечения. Находясь в Арташате, Радамист пленяет всех изяществом манер и умением развлечь придворное общество. В салоне Зенобии собирается лучшая часть иберийской молодежи. При этом все герои ведут себя и изъясняются согласно правилам высшего света XVII века.

Следует принять во внимание, что для прециозной литературы, отражающей вкусы феодальной знати, характерно стремление к особой изысканности стиля, перегруженного перифразами.

Роман Сегре свободен от такой вычурности и написан языком ясным и доходчивым. Но стремление к изысканности сказывается на слоговой и самой манере изложения. Повествование идет от первого лица, но в текст вставлены длиннейшие диалоги и многочисленные письма. Герои обращаются друг к другу в приподнятом и сугубо почтительном стиле. Автор сгущает краски и впадает в преувеличения. Поллион «сто раз бросается на колени перед Зенобией и столько же раз просит ее прощения»<sup>21</sup>. Благородные герои хотя и жертвуют для нее своей жизнью. Но погибнуть один раз — этого мало. Объясняясь в любви, Радамист говорит, что готов сто раз погибнуть за нее, а Оросман доходит в своих исчислениях до тысяч: «Я бы тысячу раз умер, чтобы исполнить ваши приказания, для этого я хочу сохранить жизнь, которая тяжелее для меня, чем сто тысяч смертей»<sup>22</sup>.

Герои произведения чрезвычайно чувствительны и постоянно плачут. Обливаются слезами не только престарелый Митридат, но и моло-

<sup>21</sup> [J. R. Segrais], *Bérénice*. Première partie, стр. 328.

<sup>22</sup> [J. R. Segrais], *Bérénice*. Suite de la première partie, стр. 224.

дые войны. Из глаз Радамиста льются такие потоки слез, что руки Зенобии, которые он целует, оказываются совершенно мокрыми. Тиридат, убивший льва, чтобы спасти Зенобию, не может вынести ее холодности и заблеивает от любви, а узнав, что она отдала другому, бросается на свой меч. В ужасе от этого зрелища Зенобия едва не умирает от страха. Но, несмотря на все это, они остаются живыми, чтобы принять участие в дальнейших приключениях.

Роман «Береника» связан с направлением прециозной литературы и не выходит за его рамки. Но второстепенные произведения бывают иногда особенно показательны для определения литературных вкусов эпохи. Книга Сегре, насыщенная фактами и рисующая многих деятелей отдаленного прошлого, ясно показывает до какой степени силен был во Франции того времени интерес к древней культуре и как тщательно изучали тогда сочинения анличных авторов.

Сегре, безусловно, хорошо проштудировал труды Тацита. Географические рамки произведения довольно широки. В рассказе Зенобии основное место действия — Армения и Иберия, называются некоторые города, реки Аракс и Сирус (древнее название Куры). Но помимо этого речь идет о парфиях и скифах, Колхиде и Албании, Гиркании и Мидии. Зенобию похищают на берегу Каспийского моря, затем она попадает к устью Танаиса (древнее название Дона) и морем отправляется на запад.

Древний Восток изображается у Сегре в неразрывной связи с самой Римской империей. В связующей линии романа фигурирует будущий император Тит, а в третьей и четвертой книгах произведения описываются приключения, происходящие непосредственно в самом Риме в период гражданских войн 69 года, перед вступлением на престол императора Веспасиана.

Несмотря на обилие исторических имен и названий в произведении незаметно, однако, стремления передать специфику исторического прошлого и создать местный колорит. Надо отметить, что в XVII в. во Франции начинает расти интерес к Востоку и в литературе появляются восточные темы: Расин пишет трагедию «Баязет», а Мольер включает турецкий дивертисмент в комедию «Мещанин во дворянстве». Но произведения французских авторов о древнем Востоке не содержат колорита восточной экзотики. По мнению П. Мартино, материалы о древнем Востоке, заимствованные из античных источников, в глазах европейцев того времени получили как бы греко-латинскую окраску<sup>23</sup>. Показательно, что в хорошо известном в то время восточном справочнике Эрбелот<sup>24</sup>, изданном в Париже в 1697 г., имена Радамиста, Фарасмана, Тиридата даже не упоминаются; для французов того времени они являлись как бы частью античного мира.

Такой подход к историческим данным о древнем Востоке характерен и для авторов, писавших о Радамисте и Зенобии, в том числе и для Кребийона. В произведениях на эту тему сквозь факты, взятые из Тацита, звучат современные вопросы, а герои древнего Востока, так же как и деятели Римской империи, нарисованы соответственно вкусам и понятиям современного европейского общества.

Действие трагедии Кребийона начинается через десять лет после того, как во время бегства из Армении, Радамист нанес Зенобии ро-

<sup>23</sup> P. Martino, L'Orient dans la littérature française au XVII et au XVIII siècle, Paris, 1906, стр. 21.

<sup>24</sup> B. Herbelot, Bibliothèque orientale ou dictionnaire universel, Paris, 1697.

ковой удар мечом и бросил ее в воды Аракса. Спасенная Зенобия после длительного странствования под чужим именем попадает ко двору Фарасмана в Иберию. В нее влюбляются сам иберийский царь и его младший сын Арзам. Заметив чувства сына, Фарасман в ярости хочет изгнать его из Иберии, но Арзам, чтобы спасти Зенобию, просит прибывшего римского посла взять ее под свое покровительство. Этот посол оказывается Радамистом и он узнает свою жену. Зенобия любит Арзама, но считает своим долгом вернуться к мужу. Они бегут, но Фарасман настигает их и смертельно ранит римского посла, не зная, что это его сын. Перед смертью Радамист говорит свое имя. Фарасман в отчаянии от совершенного преступления; он отдает Арзаму Зенобию и велит ему скорее уезжать в Армению, чтобы не возбуждать реанимость отца и не толкать его на новое преступление.

Фабула трагедии Кребийона сохраняет основные моменты исторической драмы, пересказанной Тацитом. Как рассказ о прошлом в первом акте речь идет о трагических событиях в Армении, а заканчивается пьеса гибелью Радамиста. Однако главная линия действия осложнена в ней рядом переплетающихся интриг и истолкована в плане борьбы любви и ревности. Как пишет в своем исследовании Морис Дютр, «заимствуя материал из античных источников, Кребийон, как правило, осложнил его многочисленными происшествиями и одной, а то и несколькими любовными интригами»<sup>25</sup>.

В этом отношении роман Сегре, изобилующий романтическими эпизодами, должен был привлечь особое внимание драматурга. Однако это не исключает того, что Кребийон мог быть знаком и с первоисточником сведений о Радамисте, т. е. с «Анналами» Тацита, которые были хорошо известны во Франции<sup>26</sup>.

Но, даже если Кребийон и читал Тацита, он очень свободно отнесся к его сведениям и к их интерпретации в романе «Береника». Иногда он дает собственное обоснование трагическим событиям прошлого. Так, историю гибели Митридата он связывает с любовной интригой: в первом акте читатель узнает, что Митридат, рассердившись на брата, отказался отдать дочь в жены Радамисту и этим разжег его ненависть. По Тациту и по Сегре Радамист бежит во владения отца, у Кребийона же его спасают римские войска и он даже появляется в пьесе под видом римского представителя.

Этот мотив трагедии резко высмеивает Вольтер. Он считает, что, как хорошие политики, римляне никогда не стали бы отправлять сына послом к отцу. «Такая нелепость никогда не приходила никому в голову, кроме как автору романа «Береника», к которому Кребийон отнесся слишком описходительно»<sup>27</sup>. В данном случае, однако, Вольтер ошибался, ибо Сегре ничего подобного не изображал, и Радамист в виде римского посла фигурирует не в его романе, а только в пьесе Кребийона. Подобные расхождения между фабулой книги и трагедией не

<sup>25</sup> M. Du Trait, Etude sur la vie et le théâtre de Crébillon, Bordeaux, 1895, стр. 223.

<sup>26</sup> По этому вопросу мнения французских исследователей расходятся: Огюст Витю считает создание Тацита прямым источником «Радамист и Зенобия»; Фердинанд Брюнетьер возражает против этого мнения и связывает трагедию только с романом «Береника» (F. Brunetiere, Les époques du théâtre français, стр. 210—211). Морис Дютр, подробно останавливаясь в своей книге на вопросе об источниках произведения, включает в их число как роман Сегре, так и «Анналы» Тацита (M. Du Trait, Etude sur la vie et le théâtre de Crébillon, стр. 194, 195, 549).

<sup>27</sup> Voltaire, Eloge de M. de Crébillon, стр. 95.



позволяют согласиться с утверждением Вольтера, что «интрига вся целиком взята из романа «Береника»<sup>28</sup>.

Из сочинения Сегре заимствована главная сюжетная линия трагедии, а именно, любовная страсть Фарасмана, соперничество отца и сына. Такая тема не встречается ни в одной из известных нам литературных переработок истории Радамиста и Зенобии. Но этот мотив в пьесе своеобразно представлен и видоизменен. По роману Фарасман преследует Зенобию, зная, что она его невестка; он смотрит на родного сына только как на соперника, пытается его отравить, чтобы убрать со своего пути, и вполне сознательно губит его. В пьесе же вина Фарасмана смягчена, ибо он влюбляется в неизвестную пленницу, находящуюся при его дворе, а убивает Радамиста как соперника в порыве ревности, совершенно не зная, что это на самом деле его родной сын.

В то же время, для обострения конфликта Кребийон усиливает в пьесе тему семейной трагедии. По роману Зенобия с юных лет любит парфянского царевича Тиридата, но по воле отца выходит замуж за Радамиста. В трагедии Тиридат вовсе не фигурирует<sup>29</sup> и роль лирического влюбленного играет Арзам, брат Радамиста. Таким образом соперниками в любви к Зенобии выступают Фарасман и его два сына. Эта линия интриги вызывает сравнение с аналогичным конфликтом в трагедии Расина «Митридат». Об этом писал еще Вольтер, который при этом язвительно замечает, что Кребийон «подражал ошибке Расина»<sup>30</sup>.

Главные герои трагедии очерчены автором сильно и убедительно. Ярко представленные образы Фарасмана, Радамиста, Зенобии вызвали хвалебные отзывы большинства французских критиков<sup>31</sup>. Зенобия и Арзам — положительные герсы произведения, которые в конфликте чувства и долга находят в себе силы побороть влечения сердца. Хотя Зенобия влюблена в Арзама, но считает своим долгом вернуться к мужу<sup>32</sup>, а Арзам, несправедливо обиженный Фарасманом, не отступает от велемый сыновьяго долга. Однако, при всех благородных чертах, Арзам гораздо более бледная фигура, чем центральный герой трагедии.

<sup>28</sup> Там же, стр. 94.

<sup>29</sup> О Тиридате лишь упоминается в связи с событиями прошлого. Так, во II акте Радамист рассказывает другу о том, как чувство ревности при мысли, что Зенобия дастся Тиридату, заставило его нанести ей роковой удар.

<sup>30</sup> *Voltaire, Eloge de M. de Crébillon*, стр. 95.

<sup>31</sup> В. Фабр особенно выделяет образы Радамиста и Фарасмана и считает заслугой автора, что он показал изгнанные в ту эпоху со сцены сильные страсти (M. J. J. Viciotogin Fabre, *Tableau littéraire au XVIII siècle*, стр. 30). Видлемен, с одобрением отзываясь о главных образах трагедии, выделяет Фарасмана, который «нарисован с особенной силой и мастерством» (*Villemain, Tableau de la littérature au XVIII siècle, Paris, 1846*, стр. 60). Вольтер, сравнив трагедию Кребийона с пьесой Расина, отметил, что «роль Фарасмана сильнее и трагичнее, чем роль Митридата, хотя она и не так хорошо написана» (*Voltaire, Eloge de M. de Crébillon*, стр. 95). Последнее замечание указывает на шероховатости стиля Кребийона, что признают все писавшие о нем исследователи.

<sup>32</sup> По нравственным качествам и преданности долгу Сен-Марк Жирарден сближает образ Зенобии с Полноной, героиней пьесы Корнеля «Полневкт» (*Saint-Marc Girardin, Cours de littérature dramatique, t. IV, Paris, 1861*, стр. 421). Такую же параллель проводят Видлемен, Брюнетьер и др. авторы.

Радамист — достойный сын своего отца. По выражению Жуковского «каждое желание его есть страсть, и каждая страсть есть буря»<sup>33</sup>. Неожиданно обретя погибшую Зенобию, он начинает ее ревновать к собственному брату. Он остается непреклонным и страстным до конца; лишь в последнем акте в сцене примирения с отцом он очерчен менее убедительно. Как храбрый воин Радамист прославился по всей Азии (I акт, I сц.)<sup>34</sup>. В соответствии с историческими данными он несет на себе тень страшного убийства Митридата, хотя, как и в романе Сегре, его виновность несколько смягчена и главная вина переложена на Фарасмана, который был вдохновителем этого преступления.

Однако, по сравнению с романом, образ иберийского царя иначе представлен в трагедии. Сегре, правда, пишет о воинских достоинствах Фарасмана, но особенно подчеркивает его дипломатическую хитрость и жестокость. У Кребийона Фарасман безудержен в своих страстях, но в то же время это могучий властелин, которого автор называет «великим царем Иберии» (I акт, I сц.)<sup>35</sup>. Даже Зенобия, настроенная против Фарасмана, говорит о его громком имени и воинской славе.

С образом Фарасмана связана в трагедии своеобразная концепция политики римского государства. В романе Сегре, в соответствии с сочинением Тацита, римляне за исключением Поллона, представлены как носители порядка и справедливости. В противоположность этому, пьеса Кребийона проникнута резко отрицательным отношением к римлянам как к поработителям человечества. Фарасман гордо разговаривает с посланцем римлян; он даже готов пойти на войну, чтобы избавить мир от их тирании (V акт, I сц.)<sup>36</sup>. Как пишет Даламбер в своей статье о Кребийоне, «в роли Фарасмана он выразил отвращение этого властителя и свое собственное к римской нации, он показал силу гордой и свободной души, которую возмущает деспотизм и притеснение»<sup>37</sup>.

По сравнению с романом Сегре, в трагедии Фарасману уделяется больше внимания. Действие происходит только в Иберии при его дворе. Соседние страны — Армения, Колхида, Албания — упоминаются лишь по ходу действия или в рассказе о прошлых событиях. Иберия представлена как сильное государство, которое стремится захватить власть в Армении. Арзам, подобно Радамисту, прославился на поле брани и воевал в Мидии. В пьесе фигурирует посол Армении, приехавший, чтобы предложить Арзаму армянский престол. Действия Фарасмана вызывают беспокойство римлян, и Радамист в роли римского посла высказывает ему неудовольствие, что иберийские войска от подножья Кавказа двинутся к Фазису и по берегам Куры реют его знамена (II акт, II сц.). Из желания помешать планам Фарасмана римляне хотят сделать Радамиста царем Армении. В конце пьесы после гибели Радамиста Фарасман примиряется с Арзамом, которого из ревности он несправедливо обидел, и велит ему вместе с Зенобией ехать в Армению и занять там престол (V акт, VII сц.).

Хотя действие произведений происходит в Иберии, но элементы местного колорита ограничиваются в нем отдельными географическими названиями. Кребийон, конечно, не заглядывал в имевшуюся к тому

<sup>33</sup> В. А. Жуковский, Разбор трагедии Кребийона «Радамист и Зенобия», перепечатанной С. Висковатовым. Сочинения, изд. VIII, т. V, СПб., 1885, стр. 401.

<sup>34</sup> «Jamais roi cependant ne se fit dans l'Asie un nom plus glorieux, et plus digne d'en vie.» Oeuvres de Crébillon, t. II, Paris, 1802.

<sup>35</sup> «Le grand roi d'Ibérie.»

<sup>36</sup> «Et de ces fiers tyrans venger toute la terre.»

<sup>37</sup> D'Alembert. Eloge de Crébillon, стр. 549.

времени во Франции литературу о Грузии. Поэтому, в противоречии с действительностью, в тексте говорится о злой природе и ужасном климате Иберии. Как видно, драматург не очень беспокоился и об исторической точности затронутых им событий и, следуя традициям своего времени, рисовал исторических деятелей восточных стран так же, как и героев, посягающих римские имена.

В отношении построения пьесы Кребийон тоже не был новатором и исходил из норм классицистического театра. Он придерживается правила трех единств и соответственно этому максимально концентрирует действие. На сцене разворачивается лишь заключительный этап трагедии Радамиста; что же касается предшествующих событий, то они передаются в первом акте как рассказ Зенобии. Именно эта перегруженная фактами экспозиция трагедии вызвала критические замечания ряда авторов. Вольтер на полях принадлежавшего ему экземпляра трагедии сделал к тексту первой сцены ряд приписок, например: «невозможно рассказать хуже», «несно и сбивчиво», «плохой роман» и др.<sup>38</sup>

Такое сравнение с романом у Вольтера не случайно. В смешении возможностей театра с возможностями романа видит Брюнетьер своеобразие Кребийона<sup>39</sup>. Характерно, что, разрабатывая историю Радамиста и Зенобии, драматург исходил не столько из первоисточника, сколько из романа, который открывал большие возможности для изображения сильных страстей и эмоционально насыщенных сцен. В ходе пьесы особое внимание обращено на личную драму героев. Автор широко использует приемы переживания и неожиданных встреч. Зенобия скрывает свое имя и в нее влюбляются брат и отец ее мужа; Радамист воспитывался вдали от отца и потому последний не узнает в рамеском посланце собственного сына. Напряженно, патетически построена сцена встречи Радамиста с женой, которую он горько оплакивал; совершенно другая по колориту мрачная сцена последнего акта, когда Фарасман узнает, что смертельно ранен своего сына.

Соединив сведения Тацита с вымыслом, переработав роман Сегре соответственно нормам классицистической драматургии, Кребийон создал трагедию, которая единодушно признается одним из наиболее ярких явлений французского театра начала XVIII века. Пьеса Кребийона не передает подлинной картины исторического прошлого и особенностей местного колорита. Но самая трансформация, которой подверглись в ней исторические факты, показательна как метод подхода французских авторов того времени к античному наследию. В середине XVII века Сегре представил трагические события I века н. э. в форме растянутого приключенческого сентиментального романа; в начале XVIII столетия Кребийон сделал из того же материала предельно напряженное драматическое произведение.

Так один и тот же сюжет бывает использован в разных аспектах и становится выражением эстетических принципов, характерных для различных периодов и литературных направлений.

<sup>38</sup> Об этом см.: Вольтер. Статьи и материалы, Л., 1947, стр. 132—145.

<sup>39</sup> F. Brunetière, Les époques du théâtre français, стр. 210.

### ელენე მებრეველი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

## ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე

1975 წლის დამდეგს ლუვენის ორიენტალისტური ინსტიტუტის გამოცემლობამ გამოსცა ბელგიელი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მ. ვან ესბროკის წიგნი „უძველესი ქართული მრავალთავები“<sup>1</sup> — პირველი მონოგრაფიული ნაშრომი ქართულ მრავალთავებზე. ამ შრომას, რომელზედაც ავტორი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, დიდი ინტერესით ელოდებოდნენ ქართველი მეცნიერები.

მრავალთავებს არაერთი ქართველი და ევროპელი მკვლევარი შეხებია. მრავალთავის ცალკეულ სტატიებს თუ მრავალთავთან დაკავშირებულ კერძო საკითხებს იკვლევდნენ: ნ. მარი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, პ. პეტერსი, გ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი, ე. გარიტი, მ. ვან ესბროკი, თ. მგალობლიშვილი და სხვ. ქართველ მეცნიერთაგან განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს ამ მიმართულებით ა. შანიძემ და ილ. აბულაძემ. 1959 წელს ა. შანიძემ გამოსცა უძველესი, 864 წლის სინური მრავალთავი. მრავალთავის უძველესი ნუსხის პირველმა გამოცემამ დიდად შეუწყო ხელი მის გავრცელებულ კვლევა-ძიებას.

1956 წელს გამოქვეყნებულ სინური ხელნაწერების კატალოგში ე. გარიტმა წარმოადგინა სინური მრავალთავის სრული აღწერილობა<sup>2</sup>, ზოგიერთი საკითხავის ბერძნულ დედნებზე მითითებით. ამასთანავე, მან მიუთითა სინური მრავალთავისა და Ath. 11 ხელნაწერის (მრავალთავის) ნათესაობაზე და ქართული მრავალთავისა და ბერძნული პანეგირიკონის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე. ე. გარიტის ამ დაკვირვებებმა ახალი პერსპექტივები შექმნეს ქართული მრავალთავების კვლევისათვის. ე. გარიტის რჩევით, მ. ვან ესბროკი შეუდგა ქართული მრავალთავების როგორც გარკვეული ტიპის ლიტურგიკული კრებულის ყოველმხრივ შესწავლას. მ. ვან ესბროკს აღმოაჩნდა ყველა მონაცემი და შესაძლებლობა ამ რთული საქმის დასაძლევად და დღეს ჩვენ მივიღეთ მონოგრაფია, რომელშიც განხილულია ქართულ მრავალთავთან დაკავშირებული საკითხთა დიდი წრე. შრომაში მაქსიმალური სისრულთან განხილულია ამ შესანიშნავი ლიტურგიკული ძეგლის მნიშვნელობა როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური და საერთოდ ქრისტიანული აღმო-

<sup>1</sup> Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique par Michel van Esbroeck. Publication de l'Institut orientaliste de Louvain, 10. Louvain-la-neuve, 1975.

<sup>2</sup> Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gerard Garitte, Louvain, 1956, გვ. 72—97.

საეკლესიო ლიტურგიული და პატრისტიკული ლიტერატურის ისტორიისათვის.

შესავალში ავტორი თავისი შრომის მიზანს რამდენიმე პუნქტად აყალიბებს:

1. გამოავლინოს სიმდიდრე და მნიშვნელობა ქართული თარგმნილი პატრისტიკული ჰომილეტიკისა, რომელიც დაუთავს ექვს ყველაზე ძველ ქართულ მრავალთავს.

2. გამოავლინოს იმეითი ჰომილეტიკური ტექსტები და ისეთი ტექსტები, რომელთა ორიგინალები დაკარგულია.

3. გამოავლინოს მრავალთავის, როგორც ლიტურგიკული ძეგლის, თავდაპირველი ეორტოლოგიური ციკლი, რომელიც უძველესია ქრისტიანულ აღმოსავლეთში.

4. წარმოადგინოს უძველესი მრავალთავის თავდაპირველი სტრუქტურა: გამოყოს ძირითადი ფენა, რომელიც უნდა თარგმნილიყო არაუგვიანეს V საუკუნის დასასრულისა და რომლის დედანი არსებობდა ბერძნულ ენაზე დაშუქიდებელი ლიტურგიკული კრებულის სახით. ამასთანავე აჩვენოს ის ევოლუცია, რომელიც განიცადა ამ თავდაპირველმა ფენამ დროთა ვითარებაში იერუსალიმისა და კავკასიის პოლიტიკურ-რელიგიურ სიტუაციათა შესაბამისად.

5. გამოიყვანოს ქართული ჰომილეტიკური ლიტერატურა ერთგვარი იზოლაციიდან. ვანსაზღვროს მისი მნიშვნელობა და მიუჩინოს საპატიო ადგილი სხვა ადრექრისტიანულ — ბერძნულ, სომხურ, ქრისტიანულ არაბულ, სირიულ, კობტურ მწერლობათა შორის.

ჩამოთვლილი საკითხებიდან კარგად ჩანს, რომ ავტორის მიზანი მეტად დიდი და საპატიოა. ახალი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქ პირველ რიგში ის არის, რომ ავტორს მრავალთავი წარმოუდგენია როგორც ერთი მთლიანი ლიტურგიკული კრებული, გარკვეულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ სიტუაციაში წარმოქმნილი.

ვ. ესბროკმა უძველეს მრავალთავთა ჯგუფში გააერთიანა 6 ხელნაწერი. ესენია: სინის მრავალთავი (Sin. 32—57—33), ლიტერი S, უდაბნოს მრავალთავი (A—1119), ლიტერი U. ათონის მრავალთავი (A—11), ლიტერი A. კლარჯეთის მრავალთავი (A—144), ლიტერი K. სვანეთის მრავალთავი (A—19), ლიტერი T. პარხლის მრავალთავი (A—95), ლიტერი P.

დასახელებული მრავალთავებიდან მხოლოდ სინური მრავალთავია სრული სახით გამოქვეყნებული და ამდენად შეიძლება ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ ამ კრებულის 50 საკითხაზე. დანარჩენი ხუთი მრავალთავის უზუსტესი აღწერისა და შესწავლის საფუძველზე ვ. ესბროკი ექვსივე მრავალთავში აღრიცხავს 226 დასახელების 457 ჰომილიას. ამ ექვსი მრავალთავიდან სრული ლიტურგიკული წელიწადი წარმოდგენილია მხოლოდ სამში (A, S და U), T და P მრავალთავები შეიცავენ ლიტურგიკული წელიწადის მხოლოდ პირველ ნახევარს. K მრავალთავი კი — მხოლოდ მეორეს.

ამ 226 დასახელების ჰომილიიდან 2 ჰომილია ექვსჯერ მეორდება მრავალთავებში; სამი — ხუთჯერ, 18 — ოთხჯერ, 42 — სამჯერ, ხოლო 61 — ორჯერ. 103 ჰომილია 226-დან რჩება უწყვილოდ. ამ 103 საკითხავით, ავტორის აზრით, ხდებოდა მრავალთავის ძირითადი ფენის თანდათან შევსება-გამდიდრება დროთა ვითარებაში (გვ. 1). მრავალთავის საკითხავების ამგვარი ფილი-

აციით აშკარად გამოიყოფა კრებულის არქეტიპი, რომელიც თავის დანიშნულებითა და შედგენილობით უნათესავდება ბერძნულ პანეგირიკონს.

მკვლევართა უმრავლესობა (კ. კეკელიძე, ილ. აბულაძე) მიიჩნევს, რომ მრავალთავი, გარდა ჰომილეტიკური მასალისა, შეიცავს ჰაგიოგრაფიულ მასალასაც. მრავალთავის არქეტიპის გამოყოფა და ამ გზით კრებულის ლიტურგიკული ციკლის შემოფარგვლა გამორიცხავს ამ ვარაუდს. მ. ვან ესბროკის მტკიცებით, რაც საეკლესიო დასაბუთებელი და დამაჯერებელია, მრავალთავი თავდაპირველად შეიცავდა მხოლოდ ჰომილეტიკურ მასალას, ხოლო ჰაგიოგრაფიული მასალა მისი გვიანდელი დანამატია<sup>3</sup>.

პროფ. ილ. აბულაძემ გააკრვია, რომ ქართული მრავალთავის ერთი წყება სტატიებისა სომხურიდან არის თარგმნილი. ნაკლებად იყო აქამდე შესწავლილი ქართული მრავალთავის ბერძნული წყაროები.

ბერძნული პანეგირიკონი შეისწავლა და მათი ტიპობრივი კლასიფიკაცია წარმოადგინა ა. ერპარდმა თავის შრომაში: *Überlieferung und Bestand der hagiographischen und homiletischen Literatur der griechischen Kirche*. ლიტურგიკული წლის შესაბამისად ა. ერპარდმა ბერძნული პანეგირიკონის რამდენიმე ტიპი გამოყო.

მრავალთავისა და პანეგირიკონის პარალელური შესწავლის საფუძველზე ვან ესბროკი ასკვნის, რომ მრავალთავის ლიტურგიკული წლის ციკლები დროთა მანძილზე ისევე განიცდიან ევოლუციას, როგორც ბერძნული პანეგირიკონი, ოღონდ მათი ევოლუცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმდინარეობდა. ბერძნული პანეგირიკონისაგან განსხვავებით, ქართული მრავალთავი იერუსალიმური პრაქტიკის აშკარა გავლენის ქვეშ ატარებს.

ამასთანავე ვან ესბროკი აღგვს ქართული მრავალთავის ყველაზე ახლობელ ბერძნულ მოდელს. ავტორის აზრით, ქართული მრავალთავი არც პანეგირიკონის C ტიპს მისდევს ზუსტად და არც ნახევარი წლის პანეგირიკონის B ტიპს. შედგენილობით ქართული მრავალთავი ყველაზე მეტად უახლოვდება X საუკუნის პარიზულ ხელნაწერს (*Paris grec 1171*), რომელიც იწყება 6 ავეისტოთი და გრძელდება მარხვამდე (B ტიპის ნახევარი წელიწადი) და იტალიურ-ბერძნულ ხელნაწერს — *Valican 1633* (A ტიპის კრებული).

მსჯავსება და განსხვავება, რომელსაც ამჟღავნებს მრავალთავი ბერძნულ პანეგირიკონთან მიმართებით, მოწმობს იმას, რომ მათი გათიშვა და თითოეული მათგანის დამოუკიდებელი გზით განვითარება ადრევე დაწყებულა. ამ დებულების მტკიცებას ემსახურება ვან ესბროკის შრომის შემდგომი თავები.

ნაშრომის მეორე თავი შეიცავს 6-ვე მრავალთავის დეტალურ აღწერას. მრავალთავთა აღწერის რიგი ავტორს თვით ხელნაწერებმა უკარნახეს. ამოსავლად ავტორმა აიღო ყველაზე უკეთ შენახული და ამდენად ყველაზე სრული ხელნაწერი — ათონის მრავალთავი (*Alh. 11*), რომლის სამუშაოებში, რიგ შემთხვევაში, აღადგინა დანარჩენი ხელნაწერების ნაკლები ტექსტები.

სინური მრავალთავი ძალზე ნაკლებია. მას აკლია 75 ფურცელი. იმის გამო, რომ ის მთლიანადაა გამოქვეყნებული, აღარ საქირებდა დეტალურ აღწერას. დანარჩენი მრავალთავების აღწერილობები, მიუხედავად იმისა,

<sup>3</sup> მრავალთავის ჰომილეტიკური მასალა რომ უფრო ძველია ჰაგიოგრაფიულზე, ეს შეუმჩნეველი არც ი. აბულაძეს დარჩენია. იხ. „მრავალთავი“, ენიშის შოამზე, 14, 1944, გვ. 242—243.

რომ ისინი კარგად არიან ცნობილნი სამეცნიერო ლიტერატურაში, ავტორის აზრით, არასაკმარისი სისრულით არიან აღწერილნი და შესწავლილნი<sup>4</sup>.

ათონის მრავალთავის შედგენილობა, მიუხედავად იმისა, რომ ის აღწერილი იყო სამჭერ მაინც (ა. ცაგარელი, ნ. მარი, რ. ბლეიკი), არ იყო საკმარისი სისრულით შესწავლილი. ამის საბუთად ისიც გამოდგება, რომ რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით მრავალთავში 79 სტატიია გამოყოფილი, ვან ესბროკის აღწერილობაში კი 92 გამოიყო.

ათონის მრავალთავზე ავტორმა დიდი კოდიკოლოგიური ხასიათის მუშაობა ჩაატარა. ამ გზით ავტორის საშუალება მიეცა წარმოედგინა ათონის მრავალთავის არა მარტო თავდაპირველი მოცულობა, არამედ შედგენილობაც. შეტად საინტერესოა ავტორის დაკვირვებები ხელნაწერის გადაწერის ადგილსა და გადამწერზე. ავტორი იხრება იქითკენ, რომ ათონის მრავალთავი გადაწერილი უნდა იყოს ბითინიის ულუმბოს კოზმა და დამიანეს ლაერაში. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მას მოჰყავს საესებით დამაჭერებელი არგუმენტები.

დეტალურად არის აღწერილი უდაბნოს მრავალთავი (A—1109). მიუხედავად იმისა, რომ ეს უნიკალური ხელნაწერი აღწერა ისეთმა გამოცდილმა სპეციალისტმა, როგორც იყო ქრისტინე შარაშიძე<sup>5</sup>, ვან ესბროკმა მაინც ბევრი რამ დააზუსტა ამ აღწერილობაში, წარმოაჩინა მთელი რიგი თავ-ბოლონაკლული საკითხავი (სულ 66 ესბროკის აღწერილობით)<sup>6</sup>, შეეცადა აქაც აღედგინა ამ კრებულის მთლიანი და თავდაპირველი სახე. ამ დიდი და შრომატევადი სამუშაოს შესრულება იმ სიზუსტით, როგორცადაც წარმოგვიდგენს ამას ვან ესბროკი, შეიძლებოდა მხოლოდ ხელნაწერის ერთდროულად კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური შესწავლის საფუძველზე. ისევე როგორც წინა მრავალთავის შემთხვევაში, ავტორი აქაც შესანიშნავ შედეგს აღწევს. მას პროცენტულად აქვს გამოანგარიშებული, თუ რა ნაწილია დაკარგული უდაბნოს მრავალთავისა. მკვლევრის აზრით, შემორჩენილი ნაწილი მხოლოდ ერთი მეოთხედია კრებულისა, რომელიც თავდაპირველად სინურ მრავალთავზე ბევრად უფრო სრული (96 ჰომილიის შემცველი) და ამდენად განვითარებული ვარიანტი უნდა ყოფილიყო (გვ. 34).

კლარჯული მრავალთავის (A—144) მხოლოდ ძველი, არასრული და არაზუსტი აღწერილობა არსებობდა აქამდე. მ. ვან ესბროკი ამ შემთხვევაშიც

<sup>4</sup> მ. ვან ესბროკის შრომის ბევრე უკვე დამთავრებული იყო, როდესაც გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, რომელშიც შესულა ორი მრავალთავის A—19 და A—95-ის აღწერილობა. მრავალთავთა აღწერისათვის პირველ რიგში საჭირო იყო კრებულის შემადგენლობაში კარგად გარკვევა და შემდეგ, ამის შესაბამისად, კრებულის სწორად დალაგება. ამ მხრივ მრავალთავთა აღმწერლებს დიდი დახმარება აღმოუჩინა ვან ესბროკმა. მან თავისი შრომის გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე გადასცა აღმწერლებს მრავალთავთა შედგენილობის პარალელური ცხრილები ლაუნგების უსტიკ აღრიცხვით და ავტორებზე მითითებით. ეს ეხება არა მარტო იმ ორ მრავალთავს (A—19 და A—95), რომელთა აღწერილობა გამოქვეყნდა A—1-ში, არამედ კლარჯულ მრავალთავსაც (A—144), რომელიც ამავე ტომის II ნაწილში გამოქვეყნდა. ამ გულწრფელი და დიდი დახმარებისათვის ყველა აღმწერლის სახელით უღრმეს მადლობას მოვასხენებ ბატონ მ. ვან ესბროკს.

<sup>5</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კვეციანის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, თბ., 1954.

<sup>6</sup> ქრ. შარაშიძის აღწერილობაში გამოყოფილია 46 საკითხავი.

შეეცადა აღედგინა ამ მრავალთავის თავდაპირველი მოცულობა და შედგენილობა. დღეს ხელნაწერში 217 ფურცელია, უნდა კი ყოფილიყო, მკვლევრის გამოანგარიშებით, 328 ფ. ამისდა მიუხედავად კლარჯული მრავალთავი უნიკალურია თავისი შემადგენლობით. მხოლოდ მან შემოგვინახა ლიტურგიკული წლის მეორე ნახევრის მასალა (გვ. 39).

მკვლევარი იხილავს ამ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხელნაწერი, მსგავსად პარხლის მრავალთავისა (A—95-ისა), გადაწერილი უნდა იყოს პარხალში, სადაც ეს ორივე ხელნაწერი XVII საუკუნემდე ინახებოდა. XVII საუკუნეში კი გათათრებული მესხეთიდან ორივე ხელნაწერი წამოღებული იქნა კახეთში, დავით გარეჯის უდაბნოში.

სევანური მრავალთავი (A—19) სამჯერ იყო აღწერილი, მაგრამ სამივე აღწერილობას აკლდა სიზუსტე. მ. ვან ესბროკის მიერ სევანურ მრავალთავში გამოყოფილია 79 საკითხავი. ხელნაწერის შედგენილობის შესწავლის შედეგად მკვლევარი აღგენს, რომ თავდაპირველად მრავალთავში უნდა ყოფილიყო 282 ფურცელი. დღეისათვის ხელნაწერში 230 ფურცელია.

პარხლის მრავალთავს (A—95) მ. ვან ესბროკი განიხილავს როგორც ორ დამოუკიდებელ კრებულს, მექანიკურად შეერთებულს. აქედან მრავალთავი მხოლოდ პირველია.

პარხლის მრავალთავი თ. ქორდანიას X საუკუნისად მიაჩნია. ამ თარიღში ეპვი შეიტანა კ. კეკელიძემ შემდეგი არგუმენტებით: ხელნაწერში შესულია იოანე ბოლნელის ჰომილიები. იოანე ბოლნელი კი მას ბაგრატ III-ის (980—1014) თანამედროვედ და ბაგრატის ეპიტაფიოს ავტორად მიაჩნია<sup>7</sup>. 2. პარხლის მრავალთავში შესულია წმ. ევსტატის მეტაფრასული ცხოვრება, რომელიც 982 წელზე ადრეული ვერ იქნება, ვინაიდან ის სვიმეონ მეტაფრასტის სახელთანაა დაკავშირებული<sup>8</sup>.

ეს არგუმენტები ვან ესბროკს არ მიაჩნია დასაბუთებულად შემდეგი მოტივებით: იოანე ბოლნელის ანონიმური საკითხავი შეტანილია X საუკუნის მთავრულად დაწერილ ხელნაწერში Sin. 44. მისი გამმოტანა XI საუკუნის დამდეგისაკენ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით შეუძლებელია. რაც შეეხება ევსტატის მეტაფრასულ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი შესულია სვიმეონ მეტაფრასტის მენოლოგიონში, ის არ არის მეტაფრასული რედაქციის. ა. ერჰარდმა ამ ტექსტს მიაკვლია IX საუკუნის ლათინურ ხელნაწერში (გვ. 56). ამგვარად, მ. ვან ესბროკის მოყვანილი საბუთებით პარხლის მრავალთავი უნდა დათარიღდეს X საუკუნით, ისევე როგორც კლარჯული მრავალთავი (A—144). პარხლის მრავალთავი, მსგავსად ტბეთის მრავალთავისა, უფრო მდიდარია ჰაგიოგრაფიული მასალით. ნაკლებ რვეულებში, სხვა მრავალთავების ანალოგიით, უნდა ყოფილიყო ხარების საკითხავები (გვ. 56).

პარხლის მრავალთავით ამთავრებს ავტორი მრავალთავების აღწერას და ასკვნის: ამ მრავალთავების შექმნის დრო წინ უსწრებს ათონის ლიტერატურული სკოლის აქტივობის ხანას. ისინი გადაწერილნი არიან ქართული კულტურის უძველეს კერებში: ულუმბოს მონასტერში (A), ტაო-კლარჯეთში (P, T და K), საბაწმიდაში (S), რაც აშკარად მიუთითებს მათ დიდ სიძველეზე. ამ

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, მარტილობა გულანდუხტ სპარსისა, ეტიუდები, III, გვ. 199.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 199.



მრავალთავეების ძირითადი ბირთვი ერთ პროტოტიპთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც დღეისათვის დაკარგული ბერძნული მოდელიდან უნდა მომდინარეობდეს. ის სხვაობები კი, რომელსაც ეს მრავალთავეები აჩვენებენ ურთიერთის მიმართებით, მათი განვითარების ხანგრძლივ გზაზე შეტყველებენ. თუ რა დროისა უნდა ყოფილიყო მრავალთავეთა პროტოტიპი, ამის გარკვევისათვის მკვლევარი მიმართავს ხანმეტ მრავალთავეს, რომელიც VIII საუკუნითაა დათარიღებული. მრავალთავეის ასეთი ძველი ნუსხის არსებობა აძლევს მკვლევარს უფლებას ქართული მრავალთავეის ბერძნული მოდელის ჩამოყალიბებისა და მისი ქართული თარგმანის ხანა VII საუკუნის იქით გადაიტანოს (გვ. 60).

ამთავრებს რა 6 მრავალთავეის კოდოლოგიურ დახასიათებას, ავტორი ცალკე ჩერდება ათონის მრავალთავეის (A) ერთ თავისებურებაზე: ათონის მრავალთავეის ტექსტებში შეიმჩნევა გვერდის ფარგლებში ლაკუნები, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ათონის მრავალთავეის X საუკუნის გადაშვრის დეფექტური დედანი ჰქონია ხელთ, რომელიც მას უკონტროლოდ გადმოუღია. ეს კი მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ათონის მრავალთავეის მოდელი ძველი და უკვე X საუკუნისათვის დაზიანებული ყოფილა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ზრდის ათონის მრავალთავეის ღირებულებას, მით უმეტეს, რომ ის სხვა მრავალთავეთა შორის ყველაზე სრულია. ამრიგად, ათონის მრავალთავეი (A), თავისი დედნის სახით, ერთი უძველესი და უსრულესი ნუსხაა, რის გამოც მკვლევარმა სწორედ ეს ნუსხა აირჩია ძირითად ნუსხად, რომელთანაც მიმართებით მან შეისწავლა დანარჩენი მრავალთავეების შედგენილობა.

მრავალთავეის შედგენილობას ავტორი უთმობს ნაშრომის III თავს, რომელსაც უკავია წიგნის 63--229 გვერდები. გატანილია 6-ვე მრავალთავეის შედგენილობა ცალ-ცალკე, რომლებიც ერთად 457 საკითხავს შეიცავენ. პირველ ნომრად აღწერილია ათონის მრავალთავეი (A); აღწერილობაში მოყვანილია საკითხავის სათაური, დასაწყისი და დასასრული; მითითებულია ამ ტექსტების შემცველი სხვა მრავალთავეები ან ხელნაწერი კრებულები; ასევე ნაჩვენებია მათი ბერძნული მოდელი და შესატყვისი ტექსტები სომხურ, სირიულ, ზოგჯერ კობტურ ენებზე.

ამ თავში ავტორი არ განიხილავს მრავალთავეის შედგენილობის შესწავლის შედეგად წამოჭრილ საკითხებს, მრავალთავეების ლიტურგიკულ ციკლს, იშვიათ ტექსტებსა და ვერსიებს შორის ურთიერთობებს. აქ წარმოდგენილია მხოლოდ მატერიალური აღწერილობა მრავალთავეებისა, რომელზედაც შემდგომ თავებში ავტორი აგებს თავის მსჯელობას ცალკეულ პრობლემებზე.

თუ რა პრინციპითაა აგებული ნაშრომის ეს, მე ვიტყვოდი, ძირითადი ნაწილი, ამის საჩვენებლად წარმოვადგენთ ერთ ნიმუშს: A მრავალთავეის პირველი საკითხავია გრიგოლ ნოსელის ხარებისათვის წმიდისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისა. იგივე ტექსტი შესულია სინურ მრავალთავეში, ოღონდ გრიგოლ ნეოკესარიელის ავტორობით. ეს საკითხი კ. კეკელიძეს „უცხო ავტორებში“ ორჯერ აქვს შეტანილი. ერთხელ — გრიგოლ ნოსელთან, მეორედ — გრიგოლ ნეოკესარიელთან დაკავშირებით. მ. ვან ესბროკმა ბერძნულის მიხედვით დაადგინა, რომ საკითხავი გრიგოლ ნეოკესარიელს ეკუთვნის. ამ საკითხავის ბერძნული მოდელი დატულია 100-მდე ბერ-

ძნულ ხელნაწერში. ერთ-ერთ მათგანში — მოსკოვის XI საუკუნის ხელნაწერში ამ საკითხავის ავტორად გრიგოლ ნოსელია დასახელებული. ეს გარემოება აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ამ საკითხავში ავტორთა მონაცვლეობა უკვე ადრე საუკუნეებშივე მომხდარა. რამაც ასახვა ქართულ მრავალთავებში ჰპოვა. ავტორს ეს საკითხავი მიაჩნია მრავალთავის უძველესი ფენის კუთვნილებად და მის არსებობას ვარაუდობს P, T და U თავნაკულ მრავალთავებშიც.

ასე დაწვრილებით და გულდასმით იხილავს მკვლევარი ყოველ საკითხავს. ცბეხს მის ბერძნულ მოდელს, მის თარგმანებს სირიულ, სომხურ და კობტურ ენებზე. მრავალთავის სტრუქტურის გათვალისწინებით აღადგენს დეფექტურ და დაკარგულ რეეულებში საუარაუდო მასალას. ეს შეტად რთული, დღი მეცნიერული სიზუსტით ჩატარებული სამუშაო მკვლევრისაგან თხოულობდა შედარებით და ისტორიულ ლიტურგიკასა და პატრისტიკაში დიდ განსწავლულობას და ამავე დროს მდიდარი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის და არა მარტო ქართულის, არამედ ბერძნულის, სომხურის, არაბულის, სირიულისა და კობტურის ზედმიწევნით ცოდნას. მხოლოდ ისეთ ერუდირებულ ორიენტალისტს, როგორცაა მ. ვან ესბროკი, შეეძლო მოეციდა ხელი ამ რთული პრობლემების კვლევისათვის.

ამ მონოგრაფიის დაწერას წინ უსწრებდა ქართული მრავალთავების განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექსტების ცალ-ცალკე შესწავლა და პუბლიკაცია. ასეთია, მაგ., ათონისა და უდაბნოს მრავალთავებში იოანე ოქროპირის სახელით შესული ჭვარციმის საკითხავი (A—32, U—28). მ. ვან ესბროკმა გაარკვია, რომ ამ საკითხავის მოდელი ყოფილა მელიტონ სარდელის მეტად იშვიათი აღდგომის საკითხავი\*. ასევე შესწავლილი და დამუშავებულია ავტორის მიერ კიდევ რამდენიმე საკითხავი (იხ. შრომაზე წინდართული ბიბლიოგრაფია, გვ. XXIV).

ათონის მრავალთავის შედგენილობის აღწერაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევარმა თავი მოუყარა დანარჩენი მრავალთავების მასალასაც და ამ გზით მრავალთავთა საკითხავების ერთგვარი კონკორდანსი შეადგინა, რითაც მკვლევარმა გაასწორა მრავალთავებში საკითხავთა ავტორებზე მრავალი არასწორი მითითება, დაადგინა თავნაკული ჰომილიები, მათი შიგნითა ლაკუნები, მათი ბერძნული მოდლები, ამ მოდლებების გავრცელების არე, მათი შემეცელი უძველესი ხელნაწერები, მათი თარგმანები სხვა ენებზე, თარგმნის დრო და მათი გავრცელების არე. ერთი სიტყვით, მრავალთავებზე მ. ვან ესბროკის მიერ ჩატარებული ფილოლოგიური და კოდიკოლოგიური მუშაობის შედეგები თავმოყრილია ათონის მრავალთავის შედგენილობის აღწერილობაში.

ავტორი საგანგებოდ იკვლევს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექსტებს. მაგ.: 1. იოანე ოქროპირის ახალკვირიაკის საკითხავი ათონის მრავალთავში ორი თარგმანითაა წარმოდგენილი (A—40 და A—41). მ. ვან ესბროკი აღგენს ამ თარგმანთა ბერძნულ მოდელს, თარგმანთა ურთიერთმიმართებას და მიმართებას მოდელთან. გაიჩქვა, რომ პირველი თარგმანი უფრო თა-

\* Michel van Esbroeck, Les oeuvres de Méliton de Sardes en géorgien: Bedi kartlisa, t. 31, 1973, გვ. 48—63, მსიხეე. Le traité „Sur la Pâque de Méliton de Sardes en géorgien. Muséon t. 84, 1971, გვ. 373—394. მსიხეე. Nouveaux fragments de Méliton de Sardes dans une homélie géorgienne sur la Croix, Anal. Boll., t. 90, 1972, გვ. 63—69.

ვისუფალია და აღრეულია; მეორე — უფრო ზუსტია და გვიანდელია. თუ რატომ იქნა შეტანილი ათონის მრავალთავეში ერთი ტექსტის ორი თარგმანი, ამ საკითხს ავტორი ცალკე იხილავს მრავალთავის საკითხავთა ქართული თარგმანების ხასიათის გარკვევისას.

2. იოანე ნათლისმცემლის შობის აპოკრიფი დაუცავს ორ მრავალთავს (A—47, K—38). ავტორის დაკვირვებით, ქართული აპოკრიფი სამი ნაწილი-საგან შედგება და სხვადასხვა ბერძნული მოდელის შერწყმას წარმოადგენს. სამივე ერთად ქმნის კომპოზიციას, რომელიც შეესატყვისება, მაგრამ ზუსტად არ ფარავს კომპილაციურ ბერძნულ ტექსტს (BHG 832).

3. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ავტორი იოანე ბოლნელის ფერის-ცვალების საკითხავზე (A—49, K—48). ათონის მრავალთავეში საკითხავი მიეკუთვნება იოანე ბოლნელს, კლარჯულ მრავალთავეში კი — იოანე ეპისკოპოსს. მ. ვან ესბროკმა ვაარკვია, რომ საკითხავი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი თავისებური გადამუშავებაა ბერძნული მოდელისა, რომელიც ეფრემის სახელითაა ცნობილი (BHG 1982); მეორე ნაწილი ატარებს აშკარა ნიშნებს იოანე ბოლნელის სტილისა.

4. დიდ სიძველეს ამკლავებს, ვან ესბროკის აზრით, ე. წ. „იაკობის პირველსახარება“. ამ აპოკრიფის ქართული თარგმანი რამდენიმე რედაქციით არის ცნობილი. ერთი რედაქცია Sin. 6 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ე. გარიტმა<sup>10</sup>.

მეორე რედაქცია ვენური ხანმეტი პალიმფესტის მიხედვით გამოაქვეყნა ბირდზალმა<sup>11</sup>.

ათონის მრავალთავის ტექსტი (A—54) ორივე რედაქციისაგან საგრძნობლად სხვაობს. ის ბევრად არის დავალებული ლუკას სახარებისაგან და მეტად ძველი ჩანს (გვ. 97). მ. ვან ესბროკი მის ბერძნულ დედანსაც მიუთითებს. ის გამოსცა IV საუკუნის პაპირუსის მიხედვით შტრიკერმა<sup>12</sup>. ეს რედაქცია, რომელთანაც სიახლოვეს იჩენენ სირიული, სომხური, კობტური, ეთიოპური და ქართული რედაქციები, ერთ-ერთ უძველეს რედაქციად ითვლება.

სანამ შემდგომი თავების განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა შეეჩერდეთ მ. ვან ესბროკის მუშაობის ერთ თავისებურებაზე, რომელიც მკითხველს აშკარად ეცემა თვალში ამ შრომის გაცნობისას: ავტორი მრავალთავეების აღწერილობას, მათ შედგენილობათა თუ მოდელბთან მათი მიმართების წარმოჩინების დროს გზადაგზა, თითქოს სხვათა შორის, ისეთ მდიდარ ინფორმაციას აწვდის მკითხველს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, იმდენ საინტერესო დაკვირვებებსა და შენიშვნებს გვთავაზობს, რომ ეს მასალა ცალკე სპეციალურ შესწავლას თხოულობს. ვან ესბროკის დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე შენიშვნებსა და ცალკეულ დაკვირვებებს რიგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ძიებების მნიშვნელობა აქვთ, ისინი მკითხველის წინაშე მრავალ ახალ საკითხს აღძრავენ. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: საინტერესოა დაკვირვებები, რომელთაც ვან ესბროკი გვაწვდის სინურ მრავალთავეში შესული გრიგოლ ნეოკესარიელის ხარების მესამე საკითხავის შესახებ (იხ. გამოცემა, გვ. 16—25). ამ

<sup>10</sup> G. Garitte. Le „Protévangile de Jacques“ en géorgien: Muséon. t. 70. 1957.

<sup>11</sup> I. N. Birdsall. A second recension of the Protevangelium Jacobi, Muséon, t. 83. 1970.

<sup>12</sup> E. De Strycker. La forme la plus ancienne de Protévangile de Jacques, Bruxelles, 1961.

ქადაგების ბერძნული დედანი გამოქვეყნებულია. გამოქვეყნებულია მისი სომხური თარგმანიც. ამავე დროს სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სომხური თარგმანი ალფაბეტურ ჰომილიას წარმოადგენს. მისი 23 პარაგრაფი იწყება ბერძნული ასოებით. ბერძნული ასოები გატანილია ფურცლის კიდეზე. ტექსტში კი მათი სომხური ტრანსლიტერაციაა მოტანილი. მაგრამ საკვირველი ის არის, შენიშნავს ვან ესბროკი, რომ არაეინ ცდილა გვიანდელი ნუსხებით ჩვენამდე დამახინჯებული სახით მოღწეულ ბერძნულ ორიგინალში აღედგინა მისი თავდაპირველი ალფაბეტური სტრუქტურა, რაც ამავე დროს მისი თავდაპირველი სახის აღდგენასაც ნიშნავს (გვ. 122). ამასთანავე ავტორი შენიშნავს, რომ ქართული თარგმანი საშუალებას იძლევა ადვილად გამოიყოს დამწეები ასოები ბერძნულ ორიგინალში, ვინაიდან ყოველი პარაგრაფი სრულდება კლაუზულათი, რაც ალფაბეტური ჰომილიის სტრუქტურას განსაზღვრავს. ქართულ უძველეს თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უძველესი ბერძნული ალფაბეტური ჰომილიის სტრუქტურის აღდგენისათვის.

ვან ესბროკის ეს დასკვნა სხვა ასპექტითაც არის საინტერესო. ადრეული ბიზანტიური ჰიმნოგრაფია დიდად არის შინაარსობრივად დაეალებული ბიბლიური წიგნებისა და ადრეული ჰომილეტიკური ძეგლებისაგან. განსაკუთრებით ეს ეხება კონდაკარიონებს. ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი ბიზანტინისტიკაში არ ყოფილა (გამონაკლისია ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ორიოდ ნაშრომი), ალბათ იმიტომ, რომ ბერძნულ ენაზე ადრეობიზანტიური ჰიმნოგრაფიის მდიდარი რეპერტუარიდან თითქმის არაფერი შემორჩენილა და მასზე ძირითადად ადრეული თარგმანებით (განსაკუთრებით ქართული თარგმანებით) შეიძლება შევიკმნათ წარმოდგენა. ზემოთ გახსილული გრიგოლ ნეოკესარიელის ხარების საკითხავი როგორც შინაარსით, ასევე პოეტური და ლექსიკური ფაქტურით და, ბოლოს, ფორმითაც ძალიან ახლოდგას უძველეს ჰიმნოგრაფიულ ძეგლებთან. ამ საკითხავისათვის დამახასიათებელი კლაუზულები ანუ რეფრენები ყოველი აზხაცის ბოლოს შინაარსობრივად კრავენ ამ საკითხავს, ამავე დროს გარკვეულ რიტმულ სახეს აძლევენ მასალას. ამგვარი აგებულება ტიპურია უძველესი ჰიმნოგრაფიული კანონის, სტიქარონებისა და კონდაკარიონებისათვის, სადაც ტროპარები, ჩვეულებრივ, რეფრენებით მთავრდება და ეს რეფრენები შინაარსობრივად და კომპოზიციურად კრავენ გალობას. როგორც ჩანს, ანბანური აკროსტიქის ფორმა, ეგზომ გაერცელებული ბიზანტიურსა და ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ასევე თავის სათავეს იღებს ადრეობიზანტიურ ჰომილეტიკაში. ამის დადასტურებასაც ეპოქალობთ გრიგოლ ნეოკესარიელის ხარების საკითხავში. ამ თეალსაზრისით შესასწავლია ბიზანტიური ჰომილეტიკის უძველესი ნიმუშები.

ასე საგულაგაგულოდ არის აღწერილი ათონის მრავალთავი თავიდან ბოლომდე. დანარჩენი ხუთი მრავალთავის შედგენილობა ნაშრომში უფრო მოკლედაა გადმოცემული. აქ ავტორი საგანგებოდ და ვრცლად ჩერდება მხოლოდ იმ მასალაზე, რომელიც არ მოიპოვება A ხელნაწერში და განსაკუთრებულია თავისი სიმძველითა და მნიშვნელობით. ამით მთავრდება მ. ვან ესბროკის შრომის პირველი ნაწილი. შრომის მეორე ნაწილი (IV—VI თავები) წარმოადგენს წინა თავების მასალის განზოგადებას (გვ. 231—302).

ნაშრომის მეოთხე თავს, რომელსაც ეწოდება „ქართულ თარგმანთა ბუნება“, ავტორი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „მთლიანობაში თუ წარმოვიდგინთ ქართული მრავალთავის ტრადიციას, ასეთი სურათი წარმოვიდგება: აქ გამოიყოფა რამდენიმე საკითხავი, რომელთა არსებობა მრავალთავში შეიძლება აიხსნას ისტორიული კონტექსტებით. ასეთებია აბოს მარტილობა და ლეგენდა მცხეთის ჭეარზე. მაგრამ ეს არის გამონაკლისი შემთხვევები. უდიდესი უმრავლესობა საკითხავებისა კი უფრო ბუნდოვან ვითარებას წარმოვიდგინებ. ამ საკითხავთა ერთ ნაწილს ეძებნება თავისი მოდელი ან უახლოესი ვარიანტი. ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ 131 ტექსტი. აქვე თუ ჩაერთავთ ერთი და იმავე მოდელის ორ-ორ თარგმანს (ფენომენი საკმაოდ იშვიათია), რჩება 98 ცალკე არსებული ტექსტი; აქედან 52 საკითხავი შესულია ორ ან უფრო მეტ მრავალთავში, ხოლო 46 საკითხავი სრულ განმხილვებაშია წარმოდგენილი და შესწავლილი უნდა იქნეს ცალკე, მონოგრაფიულად“ (გვ. 231).

როდესაც ცნობილია ქართული საკითხავის მოდელი ან უახლოესი ვარიანტი სხვა ენაზე, დასაზუსტებელია თარგმანის მიმართება მოდელთან. აქ შეიძლება სხვადასხვა შემთხვევასთან გვექონდეს საქმე: ა) თარგმანი ზუსტად მისდევს დედანს. ბ) თარგმანი თავისუფალია. გ) თარგმანი დეფორმირებულია, ან დამახინჯებულია დროთა ვითარებაში.

ის ტექსტები, რომლებიც რამდენიმე მრავალთავის კუთვნილებათა ერთდროულად, კიდევ ერთი თვალსაზრისით შეიძლება იყოს შესწავლილი, წერს ავტორი, — მათი კითხვასხვაობების თვალსაზრისით.

რაც უფრო მეტი ვარიანტი იყრის თავს ამა თუ იმ ტექსტთან, მით უფრო გრძელია და რთული ამ ტექსტის პრეისტორია. თუ საკითხავის ორიგინალი ევრ დაიძებნა, ვარიანტების სიმრავლითა და მათი ხასიათით შეიძლება მსჯელობა ტექსტის სიძველეზე.

ამ თავის პირველი ქვეთავი (231—240 გვ.) ავტორმა მიუძღვნა ვარიანტებისა და ცალკეული ტექსტოლოგიური დაკვირვებების საფუძველზე სხვადასხვა მრავალთავში ერთი და იმავე ტექსტის ურთიერთმიმართების გამოკვლევას.

ცალკე ეხება ავტორი ერთი ტექსტის ორ სხვადასხვა თარგმანს. ასეთი სულ 7 შემთხვევა ეგულება მას მრავალთავებში. აღრე თარგმნილ საკითხავთა ხელმეორედ თარგმნის საჭიროება, მკვლევრის აზრით, წარმოქმნა მათი რევიზიის მიზნით მოდელთან ახლად შეჭერების აუცილებლობამ (გვ. 240). ამასთან დაკავშირებით ავტორი არკვევს, თუ რა და რა ტიპის მიმართებები არსებობს მრავალთავის საკითხავებსა და მათ მოდელებს შორის. როდესაც თარგმანის შედარება ხდება მის მოდელთან, არ არის რთული იმის გარკვევა, თუ რა ხასიათისაა თარგმანი — ზუსტი თუ თავისუფალი, რამდენად ფლობს მთარგმნელი დედნის ენას. ბევრად უფრო რთულია, ვან ესბროკის აზრით, იმის გარკვევა, თუ ერთი მოდელის ორი თარგმანიდან რომელია უფრო აღრეული.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორ სხვადასხვა თარგმანს სხვადასხვა ენოვანი მოდელები აქვს. ამის ნიმუშად ავტორს მოჰყავს იოანე

ოქროპირის ჰომილია „მარხვისათეს და იონაშსთეს“, რომელიც შეისწავლეს ილ. აბულაძემ<sup>13</sup> და ა. გამყრელიძემ<sup>14</sup>.

სპეციალურად შეისწავლა აგრეთვე პროფ. ილ. აბულაძემ „მარტილობაჲ ორმოცთაჲ“, რომელიც ორი სხვადასხვა თარგმანითაა დაცული მრავალთავეში. ერთია — უდაბნოს მრავალთავის ფრაგმენტული ტექსტი (U 2), რომელსაც გვერდში ამოუდგა ხელნაწერ H—1708-ის სრული ტექსტი, ხოლო მეორე — პარზლის მრავალთავში შესული ტექსტი (P—85). ილ. აბულაძის დაკვირვებით ორივე თარგმანი სომხური მოდელიდან მომდინარეობს. მ. ვან ესბროკს მოჰყავს დამაყრებელი არგუმენტები მათი ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ. ასევე იხილავს ის დანარჩენ ტექსტებს, რომლებიც მრავალთავეში რამდენიმე თარგმანით არიან წარმოდგენილი, და ბოლოს ასკენის: „როგორი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ჰომილიათა თავდაპირველი ტექსტი, მისი ბერძნულ დედანთან ხელახალი შედარება თარგმანის გადაყვებას იწვევდა“ (გვ. 245).

ავტორი თავის ამ დებულების ნათელსაყოფად არჩევს რამდენიმე ტიპურ შემთხვევას (გვ. 245—7).

ავტორი იხილავს ხარების საკითხავს (A—4, T—5). ხარების ტექსტის ბერძნული მოდელია BHG, 1198 f. ამ საკითხავის ძველი თარგმანის (A—4, T—5) გვერდით ქართულმა ხელნაწერმა კიდევ 3 თარგმანი შემოგვიჩინა.

ეს ახალი თარგმანები (Ier. 2, Ier. 4, Ier. 23) ყველა ბერძნულ დედანთან დაახლოებას ემსახურება, მეტ-ნაკლებად სხვაობს ძველი თარგმანებისაგან.

ზუსტ თარგმანებს შორის ავტორი გამოყოფს ელიზიზებულ თარგმანსა და კლასიკურ თარგმანს. ელიზიზებული თარგმანები გვიანდელია, არ წარმოადგენენ მრავალთავის თავდაპირველი ფენის კუთვნილებას.

კლასიკური თარგმანის საუკეთესო ნიმუშად ავტორი ასახელებს იონანე ოქროპირის ჰომილიას ამაღლებისათვის (A—44). აქ ყოველ ბერძნულ სიტყვას ქართული სიტყვა შეესაბამება. ტექსტში არ გვხვდება არც ბერძინოზმები და არც ბერძნული ტექსტის ვერგაგებით გამოწვეული შეცდომები (გვ. 250).

ბევრად უფრო ძნელია იმ თარგმანების დახასიათება, რომლებიც საგრძნობლად სცილდებიან ბერძნულ მოდელს. ამ კატეგორიას მიაკუთვნებს ავტორი თორმეტიოდე ტექსტს (გვ. 251). დედნისაგან ასეთი დაცილება ბუნებრივად სვამს საკითხს, ხომ არ სარგებლობდა ქართველი მთარგმნელი ბერძნული ტექსტის სხვა ენაზე არსებული თარგმანებით? ეს პრობლემა ზოგჯერ ასევე მკვეთრად დგება ისეთ თარგმანებშიც, რომლებიც უკეთ წარმოადგენენ ბერძნულ დედნებს (გვ. 252).

ამის შემდეგ ავტორი გადადის ქართულ თარგმანთა სომხურ, სირიულ თუ არაბული მოდელების საკითხის განხილვაზე (გვ. 252). ავტორი გამოყოფს აშკარად სომხურიდან თარგმნილ ძეგლებს. მისი ვარაუდით ეს თარგმანები შესრულებული უნდა იყოს VI საუკუნის შუა წლებზე უფრო ადრე, ქართული და სომხური ეკლესიების ერთობის ხანაში.

<sup>13</sup> ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, 1971, გვ. 18—28.

<sup>14</sup> ალ. გამყრელიძე, იონანე ოქროპირის „მარხვისათეს და იონაშსთეს“ პარზული ვერსია, მრავალთავი, I, გვ. 122—133.

საინტერესო დაკვირვებები აქვს მეკლეუარს ერთი მთარგმნელის ხელიდან გამოსულ ტექსტებზე. ვან ესბროკმა გამოაქვეყნა ზოგიერთი ბერძნული სიტყვისა და ცნების<sup>15</sup> თავისებური თარგმანები, რომლებიც მეორედებოდა საკითხავთა გარკვეულ ჯგუფში და გამოყო ერთი წყება ამ რიგის საკითხავებისა (ხარების I და II საკითხავები და კირილე იერუსალიმელის საკითხავები), როგორც ყველაზე ადრეული და ამავე დროს ერთდროულად თარგმნილი. ხარებას დანარჩენი საკითხავები, ავტორის აზრით, ცოტა უფრო გვიან უნდა იყოს ჩართული მრავალთავეებში (S—3, S—5, S—6, T—5, T—4). სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ყველგან ჰომოგენური ლექსიკის დადასტურება, რაც გაბირობებულა ჰომილიათა მსგავსი შინაარსით, აზიტომ ხარების I და II საკითხავები ამგვარი შედარების და შესწავლისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას შეიცავს (გვ. 261). გარდა ამისა, რომ ამ გზით ავტორი საინტერესო შედეგებს აღწევს მრავალთავეის პლასტების გამოსაყოფად, თავისთავადაც ეს მეთოდი საინტერესო და სასარგებლოა თარგმნილი ძეგლების შესასწავლად.

ამ თავის ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი მრავალთავეებში დადასტურებულ არქაიზმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს ჰომილიათა თარგმანების დროის განსაზღვრისათვის (გვ. 261—269).

ამავე თავში ავტორი იხილავს ქართული თარგმანების მნიშვნელობას ბერძნული დედნის ზოგი ადგილის გამართვისათვის. მოაქვს მაგალითები სინარაითის მამათა წამებიდან და ასკვნის, რომ ბერძნული ტექსტის საბოლოო დადგენა შეუძლებელია ქართული თარგმანის მოშველიების გარეშე (გვ. 269—270).

საგანგებოდ ჩერდება ვან ესბროკი ჰომილიათა ქართული თარგმანების ჩანამატსა და გავრცობილ ადგილებზე. ფართო შედარებით მასალაზე ჩატარებული ანალიზი ავტორს საშუალება აძლევს აქაც დაადგინოს ქართული თარგმანების შექმნის დრო და რიგ შემთხვევაში აღადგინოს მისი მოდელის თავდაპირველი სახე. ამ ძიებებთან დაკავშირებით იმდენნაირი საკითხია წამოყენებული ავტორის მიერ და იმდენნაირი ვარაუდი და მოსაზრებაა გამოთქმული მაქსიმალურად ლაკონიურ ფორმაში, რომ მათი აღრიცხვა და შეფასება მიმოხილვით წერილში შეუძლებელია.

ამავე თავის დანარჩენ ქვეთავეებშიც ავტორი აგრეთვე განიხილავს მრავალთავეის საკითხავებს ფილოლოგიური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით იმ მიზნით, რომ მიღებულ დაკვირვებებზე დაამყაროს მომდევნო თავებში თავისი კონცეფცია ქართული მრავალთავეის ჩამოყალიბების დროის, მნიშვნელობის, მისი თავდაპირველი შედგენილობისა და ხასიათის შესახებ.

ერთი წყება ტექსტებისა ამჟღავნებენ თავისებურებებს: ისინი არ მანდვენ რომელიმე ერთ მოდელს და არც წარმოადგენენ ერთი წყაროს შემოკლებას. მათი ხასიათი აფიქრებინებს მეკლეუარს, რომ ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია ძალიან ადრეული მოდელები, რომლებიც ბევრად უსწრებენ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს (გვ. 277). ამის ნიმუშად ავტორი იხილავს ლეთისმშობლის ზიძინების აპოკრიფს, რომელიც შემოუნახავს კლარჯულ მრავ-

<sup>15</sup> ეს სიტყვებია: *κατα* — მსგავსად (და არა — ვერ), *δέννας* (უსრულო) თარგმნილია როგორც გამოუთქმელი. *οικονομία*. რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება — განგებულება, აქ ნახმარია — მოღვაწეობა და სხვ.

ელთავს (K—51)<sup>16</sup>. ამავე თვალსაზრისით ავტორი სპეციალურად განიხილავს ავრეთვე: „თხრობა ალშენებისათვის ეკლესიისა, რომელ-იგი არს ლუდიას შინა“ (ეს აპოკრიფი, რომელიც მიეწერება იოსებ არიმათელს, დაუცავს კლარულ მრავალთავს—K—24); აპოკრიფი ღვთისმშობლის გენეალოგიაზე (P 82), ეფრემ ასურის ჰომილია იესუ ქრისტესა და ავაზაქისათვის (A—83), იოანე ოქროპირის ჰომილია მთავარანგელოზებზე (A—63). ეს საკითხავეები, ავტორის აზრით, მხოლოდ ქართულმა მრავალთავებმა შემოგვიინახეს (გვ. 281—282)<sup>17</sup>.

ამავე თავის მეოთხე ქვეთავში ავტორი საკითხავთა ერთ ჯგუფს დოქტრინალური თვალსაზრისით იხილავს. ავტორის აზრით, ის სხვაობები, რომლებიც შეინიშნება ქართულ თარგმანებში მოდელებთან მიმართებით, რიგ შემთხვევაში დოქტრინალური მოტივებით იხსნება. ამ რიგის ცვლილებათა სამ სახეობას არჩევს ავტორი: 1. ქართულს შემოუნახავს ტექსტი თავდაპირველი სახით, ინტერპოლაციების გარეშე, ამ დროს მისი ბერძნული მოდელი აშკარად ინტერპოლირებულია. 2. ქართულ თარგმანს აქვს შესავალი, რომელიც გამიზნულია ამა თუ იმ წმ. მამის რელიგიური თვალსაზრისის დასაცავად. 3. ავტორის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა: ხარების საკითხავთა სერია, რომელიც თავისი დოგმატიკური განწყობილებით საშუალებას იძლევა ამ სერიის ბერძნული მოდელების ზუსტი დათარიღებისა 482 წლით — ზენონის პენტიკონის განცხადების დროით.

ყველა ამ სამ შემთხვევას ავტორი ცალ-ცალკე იხილავს. ის ყველგან ავლენს დოქტრინალური ხასიათის ისეთ მომენტებს, რომლებმაც მას საშუალება მისცეს განესაზღვრა ის სარწმუნოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც იქნებოდა ესა თუ ის საკითხავი და ამდენად შემოსაზღვროს ბერძნული მოდელის დაწერის დრო, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე მისი თარგმანის შესაძლებელი დრო, რაც აგრეთვე ქართულ სინამდვილეშიც გარკვეულ სარწმუნოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის არსებობას გულისხმობს. თუ როგორ უკავშირებს მ. ვან ესბროკი ბერძნული მოდელის ქართულად თარგმანს საქართველოს სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ისტორიას, მოიყვან ყველაზე ნიშანდობლივ და საინტერესო მაგალითს: მ. ვან ესბროკმა შეისწავლა ივლიანე ტობიას საკითხავი, რომელიც შემოუნახავს 4 უძველეს მრავალთავს (A—14, T—54, P—41, F—3)<sup>18</sup>. დოქტრინალური თვალსაზრისით ეს ძეგლი არ არის ერთგვაროვანი. მასში, ერთი მხრივ, გატარებულია მონოფიზიტური (ან მონოფელიტური) დოქტრინა, მაგრამ ამავე დროს ამ საკითხავს აშკარად შეხებია ქალკედონიტის ხელიც. რომელიც ცდილა ამ საკითხავისათვის კომპრომისული ხასიათი მიეცა (გვ. 299). ჰომილიის დიოფიზიტური ტენდენცია თავის დროზე შენიშნა კ. კეკელიძემ. იგი წერდა: „ამ მეტად მკვერმეტყველურ და მოხდენილ ქადაგებას დიოფიზიტური ტენდენცია აქვს. მას უნდა დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არა ღმერთი მარტო, არამედ კაციც და

<sup>16</sup> ეს ტ. ქსტიცაჲთა გამოქვეყნებული და შესწავლილი ესბროკის მიერ, *op. n. Nouveaux apocryphes de la Dormition conservés en géorgiens Anal. Boll. t. 90, 1972, გვ. 363—369.* მისივე, *Apocryphes de la Dormition, Anal. Boll. t. 91, 1973 გვ. 55—75.*

<sup>17</sup> ამ საკითხთა უმრავლესობა ავტორის ცალკე აქვს შესწავლილი და გამოქვეყნებული. *op. n.* ვან ესბროკის წიგნზე დართული ბიბლიოგრაფია, გვ. XXIV.

<sup>18</sup> ტექსტი გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის მიერ: *Keimena I, გვ. 10—15.* სხვათა შორის კ. კეკელიძეს ივლიანე ტობია მიაჩნდა უცნობ პოლემიკოსად. სინამდვილეში, ის ჩანს ქალკედონისა და ეფესოს კრებებზე. კრებების აქტზე მისი ხელრთვებია (მ. ვან ესბროკი, *სარეცენზიო წიგნი, გვ. 297.*



მან „კორცინი შეისხნა“. დაწერილი უნდა იყოს ქალკედონის კრების შემდეგ V—VI საუკუნეებში<sup>19</sup>.

ტობიას ტექსტის კომპრომისული ხასიათის გამო ვან ესბროკი სვამს კითხვას: როდის და ვის ხელში უნდა გაველო ტობიას ხარების საკითხავს, თუ არა ისეთი პირისა, რომელიც ოფიციალურად ქალკედონის კრების კრედოს იცავდა და ამავე დროს მონოფიზიტი იყო? ასეთად მას აკაკი კონსტანტინოპოლის პატრიარქი ეგულება, რომელიც ზეობდა 489 წლამდე. მომდევნო პერიოდში ბრძოლა ქალკედონის კრების წინააღმდეგ მეტად გამწვავდა, რაც სრულად გამორიცხავს ამგვარ კომპრომისს, ანგვარ ადაპტაციას (გვ. 299). გეზი შემრიგებლურ კურსზე დოქტრინალურ საკითხებში უფრო გვიან იუსტინიანე დიდმა აიღო. ამრიგად, ესბროკის ვარაუდით, ტობიას ხარების ტექსტის ამგვარი ადაპტაცია შესაძლებელი იყო ისევე ზენონის ჰენოტიკონის განცხადებისა (482) და აკაკი კონსტანტინოპოლის ზეობის პერიოდში. მაგრამ ეს მსჯელობა ეხება მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ მოდელს, რომელზედაც აღმოცენდა ქართული თარგმანი (ბერძნული მოდელი დღეისათვის დაკარგულია). ბუსებოვიცა, აეტორის წინაშე იბადება საკითხი: გვაქვს თუ არა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ტობიას ეს საკითხავი იმავე ხანაში ითარგმნა ქართულად? იყო თუ არა საამისო სარწმუნოებრივ-პოლიტიკური პირობები საქართველოში? აეტორს მიაჩნია, რომ დოქტრინალური თვალსაზრისით კომპრომისული ჰომილიის ქართულად თარგმნა მისი ბერძნული მოდელის შექმნის დროისაგან დიდად დამორბეული არ უნდა ყოფილიყო. ის ვარაუდობს და, ჩვენი ფიქრით, ამას ამტკიცებს კიდევ, რომ ვახტანგ გორგასალის ზეობის ხანა, მსგავსად ბიზანტიაში შექმნილი სიტუაციისა, აგრეთვე ხასიათდება დიდი სარწმუნოებრივი წინააღმდეგობებით და ერთგვარად კომპრომისულ გადაწყვეტილებათა ძიებებით, რაც სავსებით შესაფერისი ნიადაგი იყო ხარების საკითხავის სათარგმნელად. ამ დებულების დასაბუთებლად აეტორი ძალიან მოკლედ, მაგრამ საუსებით დამაჩერებლად, წარმოადგენს ვახტანგის ეპოქის სარწმუნოებრივი ბრძოლის სურათს ქართული ისტორიული წყაროების მცირერიცხოვანი ცნობების ანალიზის საფუძველზე (გვ. 300—301), კერძოდ, იხილავს ჭვანჭერის „ვახტანგ გორგასალის“ ისტორიას და ამ ისტორიაში შემორჩენილ ცნობებს ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ ეპისკოპოსის კონფლიქტის შესახებ.

ჭვანჭერის ისტორიაში გადმოცემული ვახტანგ გორგასალისა და მიქაელის კონფლიქტი, რომელიც ყველა ნიშნებით სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო, დამთავრდა იმით, რომ მიქაელი გადააყენეს და გააგზავნეს კონსტანტინოპოლში „მღვიძარეთა მონასტერში“. ამის თაობაზე მ. ვან ესბროკი წერს: „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში“ მოყვანილი ეს ეპიზოდი მოწმობს, რომ საქართველოში ამ დროს ვითარდებოდა ისეთივე კონფლიქტი, როგორსაც ადგილი ჰქონდა კონსტანტინოპოლში, სადაც „მღვიძარეთა“ ანუ Acémètes-თა მონასტერში თავმოყრილნი იყვნენ უკიდურესი ორთოდოქსი-ქალკედონიტები, რომელნიც უპირისპირდებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ზენონის ჰენოტიკური კურსის გავრცელებას ბიზანტიაში, ასევე ანასტასის სარწმუნოებრივ პოლიტიკას. მიუხედავად იმ დიდი ცვლილებებისა, რომელიც განიცადა „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებამ“, მან მაინც შემოგვინახა ამჟამად

<sup>19</sup> იქვე, გვ. XL.

ანარეკლი იმ სარწმუნოებრივი წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობდა მაშინ ბიზანტიისა და ანტიოქიის შორის“ (გვ. 300).

მიქაელ ეპისკოპოსის მრწამსის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა „მღვიძარეთა მონასტრის“ შინაარსის სწორმა გაგებამ (ამის შესახებ განსხვავებული თეალსაზრისები არსებობს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>20</sup>). მიქაელი ყოფილა უკიდურესი ორთოდოქსი, ქალკედონიტი, რომელიც დაუპირისპირდა ეახტანგ გორგასალს, რომელიც, როგორც ჩანს, ან ზენონის პოლიტიკურ პოზიციას იზიარებდა სარწმუნოებრივ საკითხებში, ანდა აშკარად მონოფიზიტური დოქტრინის დამცველი იყო. ეახტანგის სარწმუნოებრივი კრედიტ კონფლიქტის მომენტისათვის არ ეწინააღმდეგება მის პოლიტიკურ კურსს ბიზანტიაზე, პირიქით, საეხტანგით ეგუებოდა, ვინაიდან ზენონისა და ანასტასის ზეობის პერიოდი ხასიათდება მწვავე დოქტრინალურ საკითხთა კომპრომისული გადაწყვეტით გარკვეულ პერიოდში.

ეახტანგის სარწმუნოებრივი პოზიციის გარკვევა თავის მხრივ ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის უკეთ გაგებას.

მ. ვან ესბროკის თეალსაზრისი ეახტანგის ეპოქის სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ ზოგად ხაზგდგინა ნაშრომში წარმოდგენილი და თხოვლობს ცალკე სპეციალურ შესწავლას და მისი სისწორის შემოწმებას როგორც უძველესი ქართული, ასევე არაქართული წყაროების მიხედვით. მაგრამ დღეისათვის ამ სახით წარმოდგენილი ეს თეალსაზრისი ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: V საუკუნის სარწმუნოებრივი მდგომარეობის სურათის წარმოსადგენად ვან ესბროკი მიმართავს უძველესი ქართული მრავალთავეის მასალის დოქტრინალურ ანალიზს. ამრიგად, ეს უძველესი ქართული ლიტურგიული ძეგლი გვეჩვენება მეტად სანდო და ადრეულ ისტორიულ წყაროდ, რომელსაც შემოუნახავს ცნობები ამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქის შესასწავლად. ხოლო მ. ვან ესბროკი პირველია, რომელმაც ქართული მრავალთავეი წარმოადგინა, განიხილა და შეაფასა როგორც ისტორიული პირველწყარო.

აეტორის აზრით, ამ ეპოქაში (იგულისხმება V ს. და VI ს. დამდეგი) ქართლში ქრისტიანიზაციის სამი ტალღა მოქმედებს: ერთი ის, რომელსაც წარმოადგენს მიქაელ ეპისკოპოსი და რომელიც ქალკედონიტობის დაცვას გულისხმობს, მეორე — პეტრე ეპისკოპოსის ხაზი, რომელიც ზენონის სარწმუნოებრივ პოლიტიკას ახორციელებს, და ბოლოს 13 სირიელი მანის მონოფიზიტური კურსი (VI საუკუნის დამდეგიდან), რომელიც ეფარდება ანასტასი კეისრის სარწმუნოებრივ კურსს და განსაკუთრებით 512—518 წლებში ბიზანტიაში მონოფიზიტობის ოფიციალურ შემსწვნარებლობას (გვ. 300).

ამ რთული წინააღმდეგობებით სავსე ეპოქის (V—VI სს.) მღელვარე სარწმუნოებრივი ცხოვრების ანარეკლს ვან ესბროკი ხელდასმულად, როგორც აღვნიშნეთ, უძველეს ქართულ მრავალთავეში: მრავალთავეის ზოგი საკითხავი; სრულიად განწმენდილია მონოფიზიტობისაგან, ასეთებია: ეესტათი ანტიოქელის ერთი საკითხავი (A—19), რომლის ბერძნული დედანი ინტერპოლირებულია, და გრიგოლ დეთისმეტყველის საკითხავები (S—1 და S—2), რომლებიც თავისი სარწმუნოებრივი კრედიტით ქართლში ქალკედონური მიმართულების გავრცელების ხანას შეესაბამებიან. ამის გვერდით მრავალთავეში და

<sup>20</sup> იე. ჭ ა ე ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 340; ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები I, გვ. 293; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 97.

კულია ინტერპოლირებული ტექსტი (S—6), რომელიც ჰენოტიკის და ანასტასის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გავლენის აშკარა ნიშნებს ატარებს, და, ბოლოს, საგრძნობი ნაწილი საკითხავეებისა, რომლებიც 13 ასურელ მამათა ქართლში მოღვაწეობის ხანის სარწმუნოებრივ ვითარებას შეესაბამებთან, ე. ი. მონოფიზიტურ ტენდენციებს ამჟღავნებენ. ამრიგად, დოქტრინალური თვალსაზრისით მრავალთავის უძველესი, თავდაპირველი ფენის თარგმნისათვის, ავტორის აზრით, ყველაზე შესაფერისი დრო იყო V საუკუნე. მაგრამ ავტორი აქვე თვითონვე სვამს საკითხს: გამორიცხული კი არის ამ ტიპის საკითხავეების თარგმნა მომდევნო საუკუნეებში? ესბროკის აზრით გამორიცხულია, ვინაიდან V საუკუნის შემდეგ შეუძლებელია ბერძნულს ჰქონოდათ ზემოთ განხილული ქართული ჰომილიების ბერძნული მოდელები, ვინაიდან იუსტინიანეს დროიდან ბრძოლა გამოცხადდა ჰენოტიკის ყოველგვარ გამოვლინებას. სომხეთში კი ჰენოტიკური ნიშნების მქონე ლიტერატურამ უფრო ადრე განიცადა რევიზია. ამრიგად, ავტორის აზრით, როგორც ქართული მრავალთავის უძველესი ფენისათვის, ასევე მისი ბერძნული მოდელების შექმნისათვის ყველაზე მისაღები დროა V საუკუნე. საამისო სარწმუნოებრივი პირობები არსებობდა როგორც საქართველოში, ასევე საბერძნეთსა და სომხეთში.

მაგრამ იმ უძველესი მასალის გარდა, რომელიც უძველეს ბერძნულ მოდელებთან არის დაკავშირებული, მრავალთავში შესულია ისეთიც, რომელთაც საერთოდ არ ეძებნებათ მოდელები სხვა ენაზე. გარდა ამისა, მრავალთავებში არის ისეთი საკითხავეებიც, რომლებითაც ქართული მრავალთავები ბერძნულსა და სომხურ ანალოგიურ ჰომილტიკურ კრებულებს უპირისპირდება.

მეოთხე თავში განხილული მასალის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართული მრავალთავი არ არის ერთი დროის პროდუქტი. მისი უძველესი ბირთვი ბერძნულიდან ითარგმნა V საუკუნეში, ხოლო შემდეგ X საუკუნემდე იგი კვლავ ვითარდებოდა. ხდებოდა კრებულის შევსება და განახლება დროის შესაბამისად.

მრავალთავის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ მიჯნად ავტორს VIII საუკუნე მიაჩნია. მრავალთავში აბოს წამების ჩართვის დრო (აღსანიშნავია, რომ უძველეს მრავალთავში სინურსა და ათონურში — აბოს წამება არ არის შეტანილი).

მ. ვან ესბროკი შენიშნავს, რომ მრავალთავში რიგ შემთხვევაში დაკარგულია კავშირი საკითხავეებისა და კრებულის ლიტურგიკულ ციკლს შორის, რაც აფიქრებინებს მას, რომ მრავალთავი, როგორც ლიტურგიკული ძეგლი, განაგრძობდა თავის განვითარებას VI საუკუნის შემდეგაც.

საგანგებო ყურადღების ღირსია ამ შრომის მეხუთე თავი, სადაც ავტორი იხილავს მრავალთავის ისეთ ტექსტებს, რომლებსაც არ ეძებნებათ მოდელები სხვა ენაზე. ასეთია 70-მდე საკითხავი. ავტორი თავიდანვე შენიშნავს, რომ ამ თავის მიზანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ ტექსტებს თავისთავად, არამედ იმისა, თუ რა დროისაა ისინი და როგორ შეიძლება მათი გამოყენება მრავალთავის წარმომავლობისა და ისტორიის გასათვალისწინებლად. ამ მიზნით ავტორი გამოყოფს საკითხავთა რამდენიმე ჯგუფს. პირველად ავტორი განიხილავს პეტრე იერუსალიმელის (524—552) შობის საკითხავს. ავტორის აზრით, ეს საკითხავი იმ ადრეულ პერიოდს

ასახავს, როდესაც მარიამის ხსენება შობის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული. ეს გარემოება საფუძველს აძლევს ავტორს მიიჩნიოს, რომ მრავალთავში ეს საკითხავი VI საუკუნის პირველ ნახევარშია შეტანილი<sup>21</sup>.

ამავე ჩგუფის საკითხავებს განეკუთვნება, ავტორის აზრით, ეპიფანე კვიპრელის ჰომილია განკაცებისათვის. აქაც ლეთისმშობლისა და შობის დღესასწაულები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული. ამიტომ ავტორი ამ საკითხავსაც ისევე ათარილებს, როგორც პეტრე იერუსალიმელის საკითხავს.

ცალკე იხილავს ავტორი ნინოს სახელით ცნობილ ორ საკითხავს — შობისა და ნათლისღებისა (P—13, T—60, P—43). ეს საკითხავები მოწმობენ, რომ მრავალთავში მათი შეტანის დროისათვის შობისა და ნათლისღების დღესასწაულები ცალ-ცალკე არსებობდნენ, რაც დოგმატიკის თვალსაზრისით დოქტრინული პოზიციის გამარჯვებაზე მიუთითებს. ეს საკითხავებიც, ისევე როგორც წინა ორი, იმდენად დღესასწაულს არ ეხება, რამდენადაც ამ დღესასწაულთან დოგმატურ და ქრისტოლოგიურ ახსნასა და მტკიცებას.

ნინოს სახელით ცნობილ ჭადაგებათა დოგმატურ-ქრისტოლოგიური ანალიზის საფუძველზე მ. ვან ესბროკი მათ VI საუკუნით ათარილებს. ეს კი ახლებურად სვამს საქართველოში ნინოს ლეგენდის გავრცელების საკითხს და VI საუკუნეში ქართლის სარწმუნოებრივი ვითარების გასაცნობად ახალ მასალას გვაწვდის.

საინტერესოა ამავე თავის უქანასკნელი ქვეთავი, მიძღვნილი იოანე ბოლნელის საკითხავებისადმი: მრავალთავში დატულია იოანე ბოლნელის 12 საკითხავი. აქედან 7 — მარხვისათვის და 5 — სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი. ამას გარდა 2 საკითხავი შესულია ხელნაწერ A—70-ში. ამას თუ დაეუმატებთ იოანეს სახელით მრავალთავში შეტანილ კიდევ ერთ საკითხავს (A—62), რომელიც სინამდვილეში იოანე ოქროპირისაა, მივიღებთ სულ 15 საკითხავს.

იოანე ბოლნელის ჭადაგებათა ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და ლიტურგიკული მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ჭადაგებები უნდა დაწერილიყო VII საუკუნის დამდეგს. რაც შეეხება მის ავტორს, ის უნდა ყოფილიყო იერუსალიმში მაცხოვრებელი ქართველი, რომელსაც იქ უქადაგებია 606—614 წლებს შორის, ხოლო შემდეგ, დაახლოებით 630-იან წლებში, ის საქართველოში მოღვაწეობდა ბოლნელ ეპისკოპოსად (გვ. 315—316). ავტორის მიერ წარმოდგენილი ანალიზი საინტერესო და დამაჯერებელია. საფიქრებელია, რომ ამ თვალსაზრისის დამამტკიცებელი და იოანე ბოლნელის ბიოგრაფიის შესახებ დამატებითი ბიოგრაფიული მასალაც გამოვლინდება დროთა ვითარებაში.

იოანე ბოლნელთან დაკავშირებით, ავტორი ჩერდება ორ საკითხავზე: ერთია საკითხავი უძღვებ შეილზე, რომელიც უდაბნოს მრავალთავში (U—18) და პარხლის მრავალთავში (P—94) მიეწერება იოანე ოქროპირს, ხოლო კლარჯულ მრავალთავში (K—5) — იოანე ბოლნელს. ავტორმა მიაკვლია ამ ჰომილიის ბერძნულ მოდელს (PG. cof. 512—522, Aldame, Repertorium,

<sup>21</sup> ამ საკითხავს ქრონოლოგიური თვალსაზრისით იხილავს კ. კეკელიძე (ნ. პეტრე იერუსალიმელის ჰომილია, ეტიუდები, VI, გვ. 226). მასაც მიაჩნია, რომ იგი თარგმნილი უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს VI საუკუნისა.

გვ. 13) და ამდენად, საბოლოოდ დაადგინა, რომ ჰომილიის ავტორია ფსევდო იოანე ოქროპირი და არა იოანე ბოლნელი<sup>22</sup>.

მეორე საკითხავია — ქსენება წმიდათა მღვდელთ-მთავართა, რომელიც ათონის მრავალთავეში მიეწერება იოანე ოქროპირს (A—62), ხოლო პარხლი-საში—იოანე ბოლნელს (P—37). ამ საკითხავის ბერძნულ დედანს ავტორ-მა ვერ მიაკვლია, ამიტომ ავტორის საკითხი ღიად დასტოვა.

იოანე ბოლნელის ქადაგებებთან დაკავშირებით ავტორი გამოთქვამს კიდევ ერთ მეტად საყურადღებო მოსაზრებას, რომ იოანეს საკითხავთა სტილისა და საკითხთა წრის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა რიცხვი საკითხავთა, რომლებიც მრავალთავეში იოანე ბოლნელს მიეწერება, გაიზარდოს კიდევ რამდენიმე საკითხავით. ასეთებად ავტორი ასახელებს ათონის მრავალთავეის საკითხავებს №№ 22, 23, 38, რომლებიც მრავალთავეში იოანე ოქროპირს მიეწერება. ამ გზით იზადება კავშირი იოანე ბოლნელსა და მრავალთავეის ფსევდო იოანე ოქროპირის საკითხავებს შორის. ამ საკითხს ავტორი მომდევნო ქვეთავეში განიხილავს (გვ. 316—320).

იოანე ოქროპირის სახელით მრავალთავეში შეტანილი საკითხავები, რომელთაც ვერ დაეძინათ მოდელეზი, ყველაზე რთული მასალაა. ასეთია 22 საკითხავი, თუ არ ჩავთვლით წმინდანებზე დაწერილ ჰომილიებს. ამ საკითხავთა შორის არის ერთი შობის საკითხავი (T—8) და 5—ნათლისღებისა (A—72, A—71, A—12, A—11, U—5). ჰომილიათა ამგვარი შეფარდება, მ. ვან ესბროკის აზრით, მოწმობს იმას, რომ ეს საკითხავები იმ ეპოქისაა, როდესაც იერუსალიმში შობას არ ღვთისაწაულობდნენ, უფრო სწორედ შობას და ნათლისღებას ერთად ღვთისაწაულობდნენ 6 იანვარს. ჰომილიათა დოგმატიკურ-ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მრავალთავეის ფსევდოოქროპირისეული ჰომილიები V—VI საუკუნეების ანტიოქიისა და იერუსალიმის პრაქტიკას ასახავენ (გვ. 319), „მაგრამ მიუხედავად წინა თავებში მიღებული დასკვნისა, განაგრძობს ავტორი, მაინც ძნელია წარმოადგინა იმ ტრადიციისა, რომელიც შემოგვინახა უძველესმა ქართულმა მრავალთავემ, თუ არ გავითვალისწინებთ ქართული მრავალთავეის მიმართებას ბერძნული პანეგირიკონსა და სომხურ ჩარენტერთან“. სწორედ ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება წიგნის უკანასკნელი შემაჯამებელი VI თავი „მრავალთავეის ლიტურგიკული ციკლი“ (გვ. 325—347).

ამ თავის მიზანია: განსაზღვროს ქართული მრავალთავეის ლიტურგიკული თავისებურებები ბერძნულ და სომხურ ანალოგიურ კრებულებთან შეპირისპირებით. გამოთვლინოს ის, თუ როგორ შემოინახეს ბერძნულმა და სომხურმა ჰომილიებმა ერთად ძველი ქართული მრავალთავეის ცალკეული ნიმუშები. ამისდა მიხედვით ავტორი ცდილობს წარმოადგინოს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის თავდაპირველი ბერძნული პანეგირიკონი, რომელიც ქართული მრავალთავეის ბერძნულ მოდელად უნდა მივიჩნიოთ.

ამ მიზნით ავტორი ჩერდება ხარებისა და შობის ღვთისაწაულებების ამსახველ მასალებზე ქართულ მრავალთავეში.

<sup>22</sup> საკითხავი გამოცემული აქვს მ. ჯანაშვილს (იოანე ბოლნელ, გვ. 32—47). საკითხავი რომ იოანე ოქროპირს ეკუთვნის და არა იოანე ბოლნელს, აღრე შენიშნა რ. ბარამიძემ თავის შრომამ: „იოანე ბოლნელი“, გვ. 10.

ლიტურგიკული წელიწადი ქართულ მრავალთავში, ისევე როგორც სხვა ადრეული იერუსალიმური ტიპის ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში (უძველეს იადგარსა და უძველეს ექქოლოგიონში), იწყება ხარებით (25 მარტი) და არა შობით (25 დეკემბერი), როგორც ეს იყო გავრცელებული ადრე რომისა და კონსტანტინოპოლის პრაქტიკაში და იერუსალიმშიც V საუკუნეში. ავტორი არკვევს, თუ რატომ იხსნება მრავალთავის ლიტურგიკული წელიწადი ხარებით და როდის შეიქმნა საჭიროება ამ დღესასწაულის შემოტანისა. ამ ფაქტს ავტორი დამაჯერებლად ხსნის იუსტინიანეს წერილის საფუძველზე (560 წლის), რომელიც ჩართულია მხოლოდ ქართული მრავალთავის ხარების ციკლის მასალაში<sup>23</sup> და მიმართულია იერუსალიმის ქრისტიანული მოსახლეობისადმი, რომელიც VI საუკუნის 60-იან წლებში, მონოფიზიტური მრწამსის შესაბამისად, შობასა და ნათლისღებას ერთად დღესასწაულობდა 6 იანვარს. 25 დეკემბერი (შობა) ამ დროს ცალკე იდღესასწაულებოდა დასაველეთში (რომში) და კონსტანტინოპოლში. იუსტინიანეს წერილის მიზანი იყო გაეთიშა ეს ორი დღესასწაული და შობა თავის უფლებებში აღედგინა. ამიტომ მან საუფლო დღესასწაულების რიგში შემოიტანა ხარება (25 მარტი) და აქედან აწარმოა ათვლა იოანე ნათლისმცემლის შობის (25 ივნისი), ქრისტეს შობის (25 დეკემბერი) და შესაბამისად სხვა საუფლო დღესასწაულებსა. ამ გზით დადგინდა ხარების ახალი დღესასწაული და ამასთანავე გაიმიჯნა შობისა და ნათლისღების დღესასწაულები.

ის გარემოება, რომ ხარება უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, კერძოდ მრავალთავში, შეტანილია ლიტურგიკული წლის დასაწყისში (უფრო ზუსტად წინ), ხოლო იუსტინიანეს წერილი ჩართულია მრავალთავის ლეთისშობლის საკითხავების ციკლში, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ახლად შემოღებული ხარების დღესასწაულის საკითხავი დაემატა ტრადიციულ საეკლესიო ციკლს, რომელიც საფუძვლად ედგა უძველეს ქართულ მრავალთავს და რომელიც ლიტურგიკული პრაქტიკის უფრო ადრეულ (V ს.) სურათს ასახავდა. ამ ცვლილებას მრავალთავში თავის არგუმენტაციაც ახლავს იუსტინიანეს წერილის სახით.

ხარების მოთავსება საეკლესიო წელიწადის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია არა მარტო ქართული მრავალთავისათვის, არამედ კიდევ რამდენიმე უძველესი ქართული ლიტურგიკული ძეგლისათვის: უძველესი იადგარისა და სინური ექქოლოგიონისათვის (Sin 54). ამდენად ქართული მრავალთავის კალენდრის ამ თავისებურების წარმოდგენილი ახსნა გასაღებად გამოდგება დანარჩენი ძეგლების ლიტურგიკული ციკლის ახსნისათვის და ამ ძეგლთა დათარიღებისათვისაც.

უძველესი ქართული ლიტურგიკული ციკლის თავისებურებათა წარმოჩინებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ლიტურგიკის ისტორიისათვის, არამედ საერთოდ უძველესი იერუსალიმური ტიპის ბიზანტიური ლიტურგიკის შესწავლისათვის, მით უმეტეს, რომ ბერძნულმა ხელნაწერებმა თითქმის არ შემოგვიჩინეს ამ ეპოქის ლიტურგიკული ძეგლები. ამიტომ ამ სა-

<sup>23</sup> იუსტინიანეს წერილს პირველად მოაკვლია, გამოაქვეყნა და მისი მნიშვნელობა შეაფასა კ. კეკელიძემ. იხ. მისი „К вопросу о времени празднования рождества Христова в древности“. ამ საკითხს ეან ესტროკვა უძღვნა სკ ციკლური გამოკვლევა, სადაც ვახსნა ამ დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ლიტურგიკის შესწავლისათვის; იხ. La lettre de Justinien sur l'Annonciation et la Noël en 561 (Anal. Boil, t. 86, fasc. 3—4).

კითხვების შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უძველეს თარგმანებს და მათ შორის ლიტურგიკულ ძეგლთა უძველეს ქართულ თარგმანებს.

საგანგებოდ ჩერდება ავტორი ამავე თავში მარხვის 8-, 7- და 6-კვირიან სისტემებზე, იხილავს მათ ისტორიული ასპექტით და მიდის იმ დასკვნამდე, რომ თავისი დანაწილებით და იშვიათი საკითხავებით ქართული მრავალთავის 8-კვირიანი მარხვა უკავშირდება ძალზე ადრეულ (IV—V სს.) ლიტურგიკულ პრაქტიკას იერუსალიმში (გვ. 331).

ამ თავის დასკვნაში ავტორი წერს: „ერთობლიობაში თუ წარმოვიდგენთ ამ თავში განხილულ ტექსტებს, დავრწმუნდებით, რომ მათი გადმოტანა VII საუკუნის აქეთ შეუძლებელია. ამასთანავე ამ საკითხავთა უმრავლესობა დაკავშირებულია იერუსალიმთან და მათი იერუსალიმში გავრცელების დრო ძირითადად VI საუკუნით უნდა შემოიფარგლოს. ამავე დროს, საკითხავთა ამავე ჯგუფში გამოიყოფა უფრო ძველი, იერუსალიმში მონათვინიობის გავრცელების წინა ხანის (V საუკუნის) ფენაც. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს მელეტი ანტიოქელის საკითხავთა ციკლში და ფერისცვალების ანონიმურ საკითხავში, რომლებიც ადრეული ხანის (V ს.) ანტიოქიაზე მიგვანიშნებენ“ (გვ. 323).

და ბოლოს, ჩვენ მოვიტანთ ამ შრომის ძირითად დასკვნებს, ვინაიდან ავტორს აქ შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული ქართული მრავალთავის კვლევის შედეგები და ამ შედეგების მნიშვნელობა: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის ძირითადი ბირთვი, რომლის ირგვლივაც შეიქმნა X საუკუნის ქართული მრავალთავი, თუ არ დავუშვებთ ანალოგიური ბერძნული ტრადიციის არსებობას, საფუძვლიანად დაკარგულს ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო ქართული მრავალთავის საკითხავთა იშვიათი ბერძნული მოდელები, არამედ ისიც, რომ მრავალი მათგანის მოდელი საერთოდ დაკარგულია. ის საკითხავები, რომლებიც შემორჩენილია ბერძნულად, არ მოიცავენ ქართული მრავალთავების საკითხავების ნახევარსაც კი, ამ მხრივ ქართული მრავალთავი იმავე მნიშვნელობისაა, რაც ქართული ლექციონარი ადრეული იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ ამას ერთგის მრავალთავში ერთი უფრო ძველი ფენა, ანტიოქური წარმოშობისა (მელეტი ანტიოქელისა და ფერისცვალების საკითხავების სახით). ეს მოულოდნელი ფაქტია, რომელიც ცხადყოფს, რომ ქართული ტრადიცია ბევრად უფრო თავისებური იყო, ვინემ ეს ჩანს ქართული ლექციონარის მონაწილების მიხედვით.

ზევით მნიშვნელოვანი დასკვნა: „ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართული მრავალთავის საკითხავთა თარგმანები ერთდროულად იყოს შესრულებული VII ან VIII საუკუნეში. ქართულ მრავალთავში მკაფიოდ გამოსტკევის საქართველოში სარწმუნოებრივი განვითარების სხვადასხვა ფაზა და ამიტომ შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტებმა თავი იჩინა ჯერ ბერძნულში და მხოლოდ შემდეგ, VII საუკუნეში მთლიანად იქნა ის თარგმნილი ბერძნულიდან. ასე მაგ.: პროკლეს საკითხავი (S—6, ლეთისმშობელზე) შექმნილი ჩანს იუსტინიანეს დროს, ხოლო იმ სახით, რა სახითაც ის წარმოდგენილია მრავალთავში, ის ზენონის ეპოქის პროდუქტია. უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი ტექსტები ითარგმნებოდნენ მაშინ, როდესაც ისინი გზას იკაფადნენ საქართველოში, და შემდეგ შეერწყმოდნენ მრავალთავს VII საუკუნის ბოლო-

სათვის. მრავალთავეს გვიანდელი თარგმანები უმნიშვნელოა როგორც თავისი რაოდენობით, ასევე თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით მრავალთავეს ლიტურგიკული ციკლის თვალსაზრისით. ვეარაუდობთ რა ასეთ ადრეულ პერიოდში მრავალთავეთა საკითხავეების თარგმნას, ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ ეს ვერსიები გადაწერის პროცესში არ განიცდიდნენ შემდგომ ცვლილებებს, ენობრივსა თუ აზრობრივი ხასიათისას. თქმა იმისა, რომ ტექსტი თარგმნილია V საუკუნეში, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს პირველი მთარგმნელის ხელიდან გამოსული ტექსტი. ამ თვალსაზრისით ვარიანტების ამომწურავი ანალიზი და რეცენზიების (რედაქციების) გამოჩენა უქვეოდ ერთადერთი საშუალებაა უფრო ფართო ინფორმაციის მისაღებად თარგმანზე. მხოლოდ ასეთი ანალიზი გაამაგრებს და დადასტურებს იმ ვარაუდს, რომლის გამოთქმის უფლება მოგვცა მრავალთავეს ლიტურგიკული ციკლის შესწავლამ და ბერძნულ პარალელებთან შედარებამ.

უნდა მივიღოთ და ვაღიაროთ, რომ ვახტანგ გორგასალის ეპოქაში უკვე თარგმნილი იყო მრავალი ბერძნული ტექსტი ადგილობრივი მღვდელმსახურების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი კვლევის ეს რეზულტატი, ვფიქრობთ, მეტად სასარგებლო ფაქტის დადასტურებაა ქართული მწერლობის ისტორიისათვის. მით უმეტეს, აღარ შეიძლება ამიერიდან გვერდი აუვხვიოთ ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურული ტრადიციის გათვალისწინების დროს იმ დიდებულ მასალას, რომელიც შემოგვიინახა ქართულმა, რომლის ჰომილეტიკური ტრადიცია უფრო მდიდარი ჩანს, ვინემ სომხურისა. და პირიქით, დღეს აღარ შეიძლება ლაპარაკი ამა თუ იმ ბერძნული ტექსტის ქართულ თარგმანზე. თარგმნითი ლიტერატურა, რომელსაც ახლახან მოჰფინა შუქი *Clavis Patrum Graecorum*-მა, ხშირად ჩაერთვის რთული და ენერგიული მანერით ბერძნული პატრისტიკის სხვადასხვა ნაკადში. იგი ბერძნული პატრისტიკული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია“ (გვ. 348 — 349).

ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ მ. ვან ესბროკის წინამდებარე ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა ქართულ მრავალთავეზე, ამ უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლზე. ეს შრომა შესანიშნავად წარმოაჩენს ამ ძეგლის უდიდეს მნიშვნელობას არა მარტო ქართული, არამედ ადრეებინანტიური, კერძოდ იერუსალიმური პერიოდის ადრეული ლიტურგიკული და პატრისტიკული ლიტერატურის შესწავლისათვის. ამის შემდეგ ეს ძეგლი გვერდს დაუშვებენ ისეთ უნიკალურ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებს, როგორცაა იერუსალიმური ლექციონარი და უძველესი ქართული იადგარი და საპატიო ადგილს დაიკავენ ბინანტიურ პატრისტიკაშიც.

ამავე დროს ეს შრომა ნიშნავს იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული უძველესი ლიტურგიკული ძეგლების შესწავლისას ერთდროულად ფილოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებამ ავტორს შესაძლებლობა მისცა ქართულ მრავალთავეთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო საკითხი წამოეჭრა და გადაეჭრა. მ. ვან ესბროკი ქართულ მრავალთავეს განიხილავს როგორც ორგანულ ნაწილს ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკული და პატრისტიკული ლიტერატურისა, ამიტომ მრავალთავეს ისტორიული შესწავლის მნიშვნელობა შორს სცილდება საქართველოს საზღვრებს. ავტორი მას იხილავს როგორც ადგილობრივ და უშუალო მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ისტორიის ფონზე, ასევე



ბიზანტიისა და მასში შეშავალი აღმოსავლურ პროვინციებს (პალესტინა, სირია) მღელვარე პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ცხოვრებასთან კავშირში. ამ მასშტაბით განხილული ადრე საუკუნეების (IV—VIII სს.) დოგმატიკური ხასიათის ბრძოლები ავტორს შესაძლებლობას აძლევს ქართული ლიტურგიკისა და სარწმუნოებრივი ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხი ახლებურად დაინახოს და შეაფასოს და ამით ქართულ მრავალთავს თავისი საპატრიო ადგილი მიუჩინოს ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკისა და პატრისტიკის ისტორიაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული მრავალთავის თავდაპირველი ბერძნული დედანი დაკარგულია, დაკარგულია რაღ შენახვებში მრავალთავის მოგვიანო ჩანამატი საკითხავების დედნებშიც, გასაგები გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მ. ვან ესბროკის მონოგრაფიას ყველაზე რთული და ნაკლებად დამუშავებული პალესტინური ხანის ბიზანტიური ლიტურგიკის, დოგმატიკისა და პატრისტიკის შესწავლისათვის.

ამ შრომას წმინდა მეთოდოლოგიური ხასიათის მნიშვნელობაც აქვს. ამიერიდან გაკაფულია გზა სხვა უძველესი ქართული ლიტურგიკული ძეგლების (ლექციონარი, იადგარი) მონოგრაფიული შესწავლისათვის. ამავე დროს, ყოველმხრივ მომზადდა ნიადაგი ქართული მრავალთავის კრიტიკული გამოცემისათვის, რის განხორციელებაც უახლოეს მომავალში განზრახული აქვს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

გიორგი გვახავა

ჰანს ფალადას ექსპრესიონისტული რომანები

ჰანს ფალადას (რუდოლფ ვილჰელმ ფრიდრიჰ დიციენის) ცხოვრება და შემოქმედება დღემდე არაა მონოგრაფიულად შესწავლილი, თუმცა შექმნილია საკმაოდ მდიდარი კრიტიკული ლიტერატურა (დაცულ იქნა დისერტაციები, მათ შორის სადოქტოროც; განიხილა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ხუთი წიგნი გერმანულ, ინგლისურ ენებზე და სხვ.). მიუხედავად ამისა, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი მხარე, ასევე მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები აქამდე ელის თავის მკვლევარსა და პირუთვნელ შემფასებელს.

ცნობილია, რომ მონოგრაფიული გამოკვლევა ყოველმხრივ მოიცავს კვლევის ობიექტს. მსგავსი მეცნიერული შრომა კი ჰანს ფალადაზე, როგორც ვთქვით, არ არსებობს. უფრო მეტიც. მწერლის ზოგიერთ ნაწარმოებზე საერთოდ არ დაწერილა რაიმე მნიშვნელოვანი, ან ძალზე ცოტა რამ ითქვა. ხშირ შემთხვევაში თითქმის უგულებელყოფილია მწერლის ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ავტორის მხატვრული და იდეური განვითარების თავისებურებათა დადგენის, მისი მთელი შემეხილვების ობიექტური შეფასებისათვის. ასეთ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის ჰანს ფალადას ორი ადრინდელი რომანი — „ახალგაზრდა გოდენშალი“, „ანტონი და გერდა“. 30-იანი წლების დასაწყისში ფალადამ შეისყიდა ისინი და თვითონვე გაანადგურა. საბედნიეროდ რამდენიმე ცალი გადარჩა. ჩვენ შევძელით გერმანიიდან მიგველო მათი მიკროფილმები. რომანების უშუალო გაცნობამ შეგვიცვალა აზრი მათს ტრადიციულ შეფასებაზე, რომლის გადასინჯვის ცდას ეძღვნება სწორედ წინამდებარე წერილი. მასში გვინდა გვანალოზოთ ჰანს ფალადას ეს მიეიწყებული რომანები და ვუჩვენოთ მათი ადგილი მწერლის შემოქმედებაში.

ჰანს ფალადამ, როგორც ვთქვით, უარყო თავისი ადრინდელი რომანები, თანაც კატეგორიულად განაცხადა: „მე არ ვცნობ ჩემს ამ ორ პირშემოს... არაფერი არ მსურს ვიციოდე მათზე შემდგომშიც... და რატომ? განა იმიტომ, რომ ისინი ასე ცუდები არიან? არა, ეს არაა მიზეზი; შემდეგშიც დამიწერია არაერთი სუსტი წიგნი, რომლებიც არ მახარებენ. ჩემი ამ პირშემოებისა არაფერი არ მწამს იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ ჩემი წიგნები, ვინაიდან ერთი პატრივმოყვარე ქალის შთაბეჭებით, თითქმის მისი ბრძანებით დაეწერე ისინი... რადგან ისინი ჩემი შინაგანი წვის შედეგად არ შობილან...“<sup>1</sup> (ცურ-

<sup>1</sup> J. Manthey, Hans Fallada in Selbstzeugnissen und Bilddokumenten. Rowohlt, Reirbek bei Hamburg. 1963, გვ. 51. 1917 წელს ჰანს ფალადა მუშაობდა ბერლინი ბირნბაულის ქუჩაზე მღებარე კაბტოფილის საწიშე მეღრნელობაში. აქ ის დაუახლოვდა ფინანსისტ ედმუნტ ზაიერლინს ოფისს. სწორედ ამ ფინანსისტის მეშვეობით ჰაკეს მხედველობაში წვირალს. როდესაც ამბობს: ერთი პატრივმოყვარე ქალის შთაბეჭებით, თითქმის მისი ბრძანებით დაეწერე ისინი. საეულისხმოა ის ფაქტიც, რომ ედმუნტ ზაიერლინი იყო ის კაცი, რომელმაც ფალადა პირველად გააცნო მის მომავალ გამოცემულსა და მფარველს ერნსტ რიეორტს.

სივი ჩვენია.—გ. გ.) სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰანს ფალადს ეს განცხადება უსაფუძვლოა. არის შემთხვევა, როდესაც მწერალი რეტროსპექტულად განიხილავს განვლილ შემოქმედებითს გზას და ბევრ რამეს ახლებურად, მაგრამ მცდარად ხედავს. ასე მოუვიდა ფალადსაც. ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ ეს თვალსაზრისი, თუმცა მწერალი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ იმ პერიოდში მოდური სტილი რატომ არჩია რეალისტურ ან ნატურალისტურ წერის მანერას. ის ხომ ამ დროისათვის საქმოდ კარგად იცნობდა დიკენსს, დოსტოევსკის, ორიგინალში კითხულობდა ლოდენს, ზოლას, მოპასანს, ფლობერს. მას ხომ შეეძლო ერთ-ერთი მათგანის მიზაძვით დაეწერა „პატივმოყვარე ქალის“ საამებლად დაწერილი რომანები?

ცნობილია, რომ ჰანს ფალადი დიდი გულმოდგინებით მალავდა თავის კონფლიქტს მამასთან. „ამ თემაზე მას საერთოდ არ სურდა ლაპარაკი“<sup>2</sup>. განსახილველ რომანებში კი სწორედ თაობათა კონფლიქტის თემა დომინანტობს. ეს ხომ არაა მიზეზი იმისა, რომ მწერალმა, რომელიც ბოლომდე დარჩა ბიურგერად, ასე კატეგორიულად უარყო ეს რომანები? მიემართოთ ფაქტებს.

თაობათა შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა მე-19 საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის გერმანიაში, რაც შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლად გადაიზარდა. დესპოტიკი მამების სულს საქმოდ კარგად მოერგო ნაციონალიზმის გრძობა, გერმანული იმპერიალიზმის აგრესიული საგარეო პოლიტიკა და პრუსული კატეგორიული იმპერატივი. ისინი შეეცადნენ საკუთარ ოჯახებში დაენერგათ ეს არაადამიანური, ანტიჰუმანური განწყობილება, მაგრამ წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობას შეილების მხრიდან. ამ უკანასკნელთაგან ბევრს ეყო გამბედაობა აშკარა ომი გამოეცხადებინა მამებისათვის, ბევრი კი ემსხვერპლა მათ. ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ ბევრმა მწერალმა და დრამატურგმა ის საგანგებოდ დაამუშავა<sup>3</sup>.

1913 წელს ფრანკ ჰემმფერტისა და ლუდვიგ რუბინერის გამომცემლობა „Aktion“ უშვებს სპეციალურ ჟურნალს ახალგაზრდობისათვის „Der Anfang“. ჟურნალის მერვე ნომერში (1913, Dez., გვ. 231) იბეჭდება წერილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ამ მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტად. ერთი ნაწყვეტი: „ახალგაზრდობის მოძრაობა იჭრება ოჯახში. ერთმანეთს უკვე არ უპირისპირდებიან ხელმოცარული შეილები და მრისხანე მშობლები, არამედ სრულიად გარკვევით: ახალგაზრდა და ძველი თაობა. ამით ბრძოლა, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი ჰქონდა ოჯახის შიგნით, გადატანილია ფართო ველზე და ბოლოს იქცევა ორი კულტურის ბრძოლად“<sup>4</sup>. ეს კი, რასაკვირველია, იდენტურია, რწმენის სფეროში ბრძოლას მოასწავებს. ჰანსმა შუასაუკუნეობრივი ოჯახური ტირანიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ფორმა მიიღო.

როგორც ეხედავთ, თაობათა ბრძოლის საფუძველს მაშინდელ გერმანიაში წარმოადგენდა იდეოლოგიური, პოლიტიკური უთანხმოებანი და არა ფროიდისტული „ოიდიპოსის კომპლექსი“, როგორც ამას ამტკიცებს ზოგიერთი დასავლელი კრიტიკოსი<sup>5</sup>.

<sup>2</sup> Felix Riemkasten. Nachwort zur Falladas Erzählung „Hoppelppel-wo bist du?“. Reclam-Verlag, Stuttgart. 1955. გვ. 71—76.

<sup>3</sup> Kurt K. T. Weiß. Das Vater-Sohn-Motiv. Zweiter Teil, 1880—1930, 1931.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 47.

<sup>5</sup> Theodor Lemmer. Hans Fallada. Eine Monographie. Diss. zur Erlangung der Doktorwürde. Freiburg in der Schweiz. 1961.

ამ თემაზე შეიქმნა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა კაზმულსიტყვაობის თითქმის ყველა ეანრში<sup>6</sup>. საველისხმოა ისიც, რომ ამ ლიტერატურის ნიმუშები მეტ-ნაკლებად ექსპრესიონიზმის გავლენითაა დაწერილი და ეხმაურება ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ძვრებს.

გერმანული ლიტერატურის განვითარების ამ მღელვარე პერიოდს ემთხვევა სწორედ პანს ფალადას პირველი ლიტერატურული ნაბიჯებიც. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ადამსტურებს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმად მწერალი არ იყო გულგრილი ეპოქისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიურ-ეთიკური იდეების, სამყაროზე გაბატონებული წარმოდგენებისა თუ ესთეტიკური გემოვნების მიმართ. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ვერ დარჩებოდა მაშინდელი ძლიერი ახალგაზრდული მოძრაობისა და იმ პერიოდში მოღუერი ექსპრესიონისტული ლიტერატურის გავლენის მიღმა. თვითონ ფალადაც არ მალავდა იმას, რომ მის შემოქმედებით დაოსტატებაზე სათანადო გავლენა იქონიეს მე-19—20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორები იყვნენ: დიკენსი, ბალზაკი, დოსტოევსკი, ჰოფმანი, ჟან პოლი და სხვები.

ისმება კითხვა: მაშ რა მოხდა? რატომ გაიმეტა მან ასე თავისი პირველი პირშოები? 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც პანს ფალადამ საქვეყნოდ უარყო ორივე რომანი და უარი თქვა მათ ავტორობაზე, არ შეიძლება მას არ სცოდნოდა, რომ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები; იოჰანეს რობერტ ბეჰერი, ფრიდრიხ ვოლფი, ლუდვიგ რუბინერი, ჰაინრიხ მანი, ლეონჰარდ ფრანკი, გეორგ კაიზერი, არნოლდ ცვაიგი, ერნსტ ტოლერი, ვალტერ ჰაზენკლევერი და სხვ. — პირველი ექსპრესიონისტები იყვნენ, მაგრამ არც—ერთ მათგანს არ უარუყვია ეს. საქმე ის არის, რომ პანს ფალადამ ყველა მათგანზე მძიმედ განიცადა საკუთარი ბიურგერული წრიდან გასვლა და შემდეგ მუდამ ნანობდა თავის ამ „ნაჩქარევიად“ ვადადგმულ ნაბიჯს. ცნობილია, რომ მან ბევრჯერ სცადა დაბრუნებოდა მამისეულ ოჯახს. თხოვნიდაც მიმართა რამდენიმეჯერ მშობლებს, მაგრამ ვიღებლმ დიციენი, ეს ამაყი და წმინდა სისხლის პრუსიელი პედანტი, ყოველთვის ცივი უარით ისტუმრებდა შეილს, მაშინაც კი, როდესაც პანს ფალადა უკვე ცნობილი მწერალი იყო. მიუხედავად ამისა, მწერალი დიდი მონდომებით ცდილობდა დაეფარა მშობლებთან თავისი დამოკიდებულების ნამდვილი სურათი. ამაში მას დაეხმარა დედა — ელიზაბეტ ლორენცი, რომელმაც მოსპო მამა-შვილის კონფლიქტის ამსახველი ყველა წერილი იმ მოტივით, რომ მისი „ეკვიშვილი მომავლის წინაშე უნდა წარმდგარიყო მხოლოდ მწერლის დიდების შარავანდედით მოსილი“<sup>7</sup>. ჩვენამდე მოღწეულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი — მამის წერილი ფალადასადმი. წერილი დათარიღებულია 1919 წლის 2 აპრილით<sup>8</sup>. მამის პასუხიდან ჩანს, რომ ფალადა დახმარებისათვის მიმართავს მშობლებს, რაზეც ვიღებლმ დიციენი პასუხობს: „ჩვენს ხელშეკრულებას ვადა უთავდება პირველ ივლისს. რა უნდა მოხდეს შემდეგ? საცდელი წლის მანძილზე შენ ბევრს ავადმყოფობდი, რომლის დროსაც მუშაობა არ შეგეძლო და რადგანაც უახლოეს კვირაში ცოტაოდენ ნაღდ ფულს მივიღებ, შემიძლია შემოგთავაზო შენი საცდელი წლის ნახევარი წლით, ე. ი. 1920 წლის იანვ-

<sup>6</sup> იხ. ვაისი, დასახ. შრომა.

<sup>7</sup> იხ. ი. მანთაი, დასახ. შრომა, გვ. 29.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 48—49.

რამდე, გაგრძელება. ამასთან ჩვენი ხელშეკრულების ყველა პირობა ძალაში დარჩება...“ „შენი წერილი შეიცავს პოლიტიკური რწმენის აღიარებას (კურსივი ჩვენია. — გ. გ.) და ამტიკებ, რომ ამ საკითხებში ჩვენ მეტად, ალბათ, ვერ შეეთანხმდებით. აქ მხოლოდ საეჭვო სიტყვა „ალბათ“ ვერაა სწორად ნახმარი. ამის ნაცვლად უნდა დაგეწერა „საერთოდ არავითარ შემთხვევაში“. ...ვეწუხვართ ძლიერ, რომ შენ სულ სხვა შეხედულებები გაქვს, ვიდრე ჩვენ“.

აქედან ნათლად ჩანს ფალადას გამწვავებული ურთიერთობა მამასთან და, რაც მთავარია, ამ ურთიერთობის მთავარი, გადაულახავი მიზეზი — „პოლიტიკური რწმენის აღიარების“ საკითხი. როგორც ჩანს, ძირითადი ვადასაწყვეტი პრობლემის სახით მამა-შეილს შორის სწორედ იდეოლოგიური საკითხი იდგა, რომელზეც, ვილჰელმ დიციენის აზრით, საერთოდ შეუძლებელია რაიმე შეთანხმების მიღწევა. ცხადია, პოზიცია, პოლიტიკური მრწამსი მანსა, რომელმაც უმტიკივნიულოდ ვადაიტანა ბისმარკისა და ვილჰელმების ეპოქა, საკმაოდ მოხერხებულად მოერგო ვაიმარის რესპუბლიკას და ბოლოს ჰიტლერის რეჟიმსაც ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა, და რომელმაც ერთგული სამსახურისათვის რაიხსგერინტსტრატის წითელი მანტიაც კი მიიღო ჭილდოდ<sup>9</sup>, მიუღებელი იყო „მატარა კაცის“, ასევე მთელი საზოგადოების მძიმე მდგომარეობით შეწუხებული დიდი ჰუმანისტიკისათვის. მან საბოლოოდ გასწვივტა კავშირი მამასთან, მაგრამ ეს არ მომხდარა უმტიკივნიულოდ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამიტომაც მალავდა ის მამასთან ურთიერთობის ნამდვილ სურათს და უარყო ამ თემაზე დაწერილი რომანებიც.

განსახილველი რომანების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფალადამ ისინი საკუთარი შინაგანი წვით დაწერა და მათში თავისი სულიერი კოლიზიები. მისთვის იმ დროისათვის ტრაგიკულად მიჩნეული განხეთქილება საკუთარ ოქახთან და წოდებასთან ამალელებლად დახატა. მწერლის მაშინდელ განწყობილებას ზედმიწევნით მოერგებოდა მხოლოდ ექსპრესიონისტული სტილი, მისი თემატიკა და გამომხატველობითი ფორმები. ამიტომ მის მიერ ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყება ექსპრესიონიზმით სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ღარიბია ქართულ ენაზე დაწერილი თეორიული შრომებით ექსპრესიონიზმზე<sup>10</sup>. ვარდა ამისა, ის საკმაოდ რთული და თავისებური ლიტერატურული მიმდინარეობაა. ამიტომ სანამ ფალადას რომანებს ვავარჩევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მივინც, დაეახასიათოთ ექსპრესიონიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე გერმანიაში აღმოცენდა და განვითარდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ექსპრესიონიზმის სახელითაა ცნობილი. მან განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველი ემთხვევა გერმანელი ხალხის ისტორიის პირველ მსოფლიო ომამდელ პერიოდს (1910—1914 წლები). წამყვან ეანრად აქ ითვლება პოეზია. მეორე, ეტა-

<sup>9</sup> იხ. ფ. რ ი მ კ ა ს ტ ე ნ ი, დანახ. წინასიტყვაობა.

<sup>10</sup> გერმანული ექსპრესიონიზმის ხელოვნების თეორიაზე ქართულ ენაზე მოგვეპოვება ერთადერთი ნაშრომი: ზ. კ ა რ ხ ა ლ ა შ ე ი ლ ი, ექსპრესიონიზმი მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის გერმანულ ლიტერატურაში, წიგნში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 75, 1969.

პი, ექსპრესიონიზმის აყვავების პერიოდი, მოიცავს თითქმის 10 წელიწადს. ესაა მსოფლიო ომისა და რევოლუციის პერიოდი (1914—1923 წლები). ამ დროს იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპრესიონისტული დრამები. მესამე — ექსპრესიონიზმის დაცემის პერიოდი (1923—1925 წლები). კაპიტალიზმის ერთგვარაა სტაბილიზაციამ დაუკარგა ექსპრესიონიზმს ადრინდელი მნიშვნელობა. ამის შემდეგ დიდხანს არავის ახსოვდა ის. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კაზმულსიტყვაობის სხვადასხვა ქანრსა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში აღმოცენდა მიმართულებები, რომელთაც სპეციალისტები არცთუ უსაფუძვლოდ უკავშირებენ ექსპრესიონიზმის გაუღუნას. გერმანიაშიც თავისებურად გაიზარეს ის. ახალგაზრდა თაობის ბევრი წარმომადგენელი გაიტაცა მისმა პრინციპებმა. ექსპრესიონიზმი იღებს ანტიფაშისტურ და ომის საწინააღმდეგო შეფერილობას. იმართება დისკუსიები, იწერება სპეციალური გამოკვლევები როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენშიც. გამოიკვეთა ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მწერალი შეიძლება ჩათვალოს ექსპრესიონისტად და რომელი არა. ერთი სიტყვით, ექსპრესიონიზმი დღემდე ლიტერატორთა და ხელოვნების თეორეტიკოსთა ყურადღების ცენტრშია. შეიქმნა სხვადასხვა ხასიათის უზარმაზარი ლიტერატურა. მასში, თვით ისტორიული ხასიათის მონოგრაფიებშიც კი, არაფერია თქპული ფალადას ექსპრესიონისტულ რომანებზე.

50-იანი წლებიდან, როდესაც დღის წესრიგში დაისვა საკითხი ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნისა, საკირო გახდა ჰანს ფალადას მემკვიდრეობის შესწავლაც. და აი, ამ დროს მწერლის ნაწარმოებთა სიაში შეიტანეს ეს რომანებიც, მაგრამ სპეციალურად ისინი დღემდე არავის შეუსწავლია. ყველაზე ვრცლად მათ შეეხო თეოდორ ლემერი თავის მონოგრაფიაში<sup>11</sup>, მაგრამ მანაც იმიტომ გააკეთა ეს, რომ თავისი შრომის მაგისტრალური ხაზი—ჰანს ფალადას სექსუალური გასაჭირი — უფრო დამაჯერებელი გაეხადა.

ცნობილია, რომ ექსპრესიონიზმმა თავის წინამორბედ ლიტერატურულ მიმდინარეობათა შორის (იგულისხმება ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი) ყველაზე გაბედულად უარყო მხატვრული ლიტერატურის ტრადიცია. ის, როგორც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, შეესატყვისებოდა ასევე ახალ, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნებით აბოზოქრებულ ეპოქას. მასში არეკლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი: პირველად ექსპრესიონიზმის ლიტერატურამ უკუაგლო რწმენა საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელების შესაძლებლობისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მართალია, გერმანელი ექსპრესიონისტების ყველა ნაწარმოები არ ატარებდა პოლიტიკურ შინაარსს, მაგრამ საერთოდ ეს ლიტერატურა ანტიბურჟუაზიული იყო, გამოდიოდა იქიდან, რომ ბურჟუაზიულ სამყაროს, თავისი უსუსურობისა გამო, გზა უნდა დაეთმო ახალი, უფრო პროგრესული და ჰუმანური მომავლისათვის, თუმცა ეს უკეთესი მომავალი ბუნდოვნად ესახებოდათ ექსპრესიონისტ მწერლებს.

<sup>11</sup> იხ. თ. ლემერი, დასახ. მონოგრაფია. მასში ფალადას ცხოვრებისა და შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათი ახსნილია მწერლის თითქოსდა გადაულახავი სექსუალური მდგომარეობით. სოციალურ ფაქტორებს განზე ტოვებს ავტორი.

ერთ-ერთ დამახასიათებელ თემას მთელი ექსპრესიონისტული ლიტერატურისა წარმოადგენდა თაბათა კონფლიქტის თემა. სინამდვილეში ეს იყო ჭანყი არა მარტო დესპოტი მამების, არამედ მთელი არსებული ბიურგერული სინამდვილის წინააღმდეგ საერთოდ, მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების, უსამართლობისა და ანტიჰუმანურობის და, ამასთან ერთად, საყოველთაოდ აღიარებული ენის არსებული კულტურის წინააღმდეგ.

ექსპრესიონისტი მწერალი საკუთარი „მე“-დან ამოდის სინამდვილის შეფასებისას. ის მოქმედებს პრინციპით: შიგნიდან გარეთ, სუბიექტურიდან ობიექტურისაკენ. ეს სუბიექტურობა, ეს პირადი, როგორც ამოსავალი წერტილი, აშკარად იგრძნობა მთელს ექსპრესიონისტულ ხელოვნებაში. ცხოვრება მასში არ აღიქმება უშუალოდ, ის იგრძნობა მხოლოდ, როგორც განსჯის საგანი. თუმცა ექსპრესიონიზმს ახასიათებს უკიდურესად დამახული ემოციონალიზმა, ის მაინც არაა მოკლებული ინტელექტუალობას — სინამდვილის ფალოსოფიურად გააზრებას, ოღონდ ეს ცდა ექსპრესიონიზმში თავისებურად ხორციელდება: მხატვარი და ნაწარმოები, ავტორი და მხატვრული სახე ცხოვრობენ (არსებობენ) საშინელ კატასტროფათა ერთსა და იმავე სამყაროში, მის გარკვეულ შეუსაბამობებში, მოვლენათა ტრაგიკულ შეჯახებებში. მწერალი ვერ აღწევს თავს მის მიერვე დიდი გულმოდგინებით დახატულ განწყობილებებს — ის მთლიანად ტყვეა უჩვეულო, გროტესკული სახეებისა.

ექსპრესიონიზმმა პირველად გერმანულ ლიტერატურაში მთელი ძალით გამოკვეთა საზოგადოებიდან ადამიანის გაუცხოების თემა. მან ასახა ადამიანი, რომელიც თრთის, ცახცახებს საკუთარ ქმნილებათა წინაშე და ვერ გაუგია, თუ რა ამბავია მის თავზე, ამაოდ ცდილობს შეიცნოს ამ იღუმალ ძალთა „კანონები“. ადამიანის გაუცხოების ეს ტრაგიკული პროცესი ექსპრესიონიზმში აისახა არა მარტო თემატურად, არამედ არაპირდაპირ მან თავისი გამოხატულება პოეა ცხოვრებასთან მწერლის უშუალო კავშირის დაკარგვამიტ. ექსპრესიონიზმმა შეიმუშავა აგრეთვე საკუთარი სტილი, რომელიც გამოირჩევა ელიტური წინადადებების, მიმღებებისა და გაარსებითებული მეტყველების სხვა ნაწილების სიხშირით.

ჩვეულებრივ, არც ექსპრესიონიზმი ყოფილა ერთსახოვანი და ერთფეროვანი: თავიანთ თავს ექსპრესიონისტად თვლიდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ზომიერი ლიბერალები, მატერიალისტები და მისტიკოსებიც კი. ისინი თავს იყრიდნენ ჟურნალების „Aktion“ (დაარსდა 1911 წელს), „Sturm“ (დაარსდა 1910 წელს), „Die weißen Blätter“ (დაარსდა 1913 წელს), „Pan“ (დაარსდა 1910 წელს) და სხვ. გარშემო. ყველა მათგანი თვლიდა, რომ მხატვრული შემოქმედების საგანი უნდა იყოს გარემომცველი სამყაროს ფარული არსი. ისინი უარყოფდნენ ხელოვნებას, რომელიც ემყარება წამიერ შთაბეჭდილებებს (იმპრესიონიზმი), ბურჟუით მოცულ აბსტრაქციებს სიმბოლიზმისა, კლასიციზმისა და რომანტიზმის ფანტასტიკას, რომელიც შემოქმედს რეალურ სინამდვილეს აშორებს.

ჟურნალ „Sturm“-ის გარშემო თავმოყრილი მწერლები ქადაგებდნენ ხელოვნების თავისუფლებას ეპოქის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და მორალური იდეებისაგან. ხელოვნება, მათი აზრით, არის თვითმიზანი. ჟურნალ „Aktion“-ის გარშემო თავმოყრილი მწერლები კი, პირიქით, ხაზს უსვამდ-

დნენ ხელოვნების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. სწორედ ამ ჭკუფში გამოიკვეთა ექსპრესიონიზმის მემბოზური ხასიათი, მისი სოციალურ-პოლიტიკური მისწრაფებანი.

ჰანს ფალადა უშუალოდ არ მონაწილეობდა არც ერთ ამ დაჯგუფებაში. ის თავიდანვე საკუთარი გზით მიდიოდა, როგორც ეული „Einzelgänger“. მიუხედავად ამისა, მის პირველ ორ რომანს, როგორც ეთქვით, ატყვია ექსპრესიონიზმის აშკარა გავლენა. ამის ნათელსაყოფად მივმართოთ ფალადას რომანებს.

1. „ახალგაზრდა გოდეშალი“. რომანი მოგვითხრობს გიმნაზიელ კაი გოდეშალის თავგადასავალს, მისი სულიერი კოლიზიების ისტორიას.

კაის მამა, ჰინც გოდეშალი, — სპეციალობით იურისტი, — მეტად მკაცრი, მძიმე ხასიათის, ნამდელი ღესპოტია ოჯახში. ის ყველასაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს, ყველაფერი მისი ჭკუით უნდა განხორციელდეს.

ოჯახში გამეფებულ აღზრდის სწორხაზობრივ, ჯარისკაცულ მეთოდს, ბიუროკრატიზმს, მამის ტირანიას, რომელიც უსიტყვო მორჩილებას გულისხმობს და ვერ ითმენს ოდნავ გადახვევადაც კი დადგენილი ნორმადან, თან ერთვის სკოლაც, სადაც კაი სრულიად უცხოვრებდა გრძნობს თავს. ეს გარეშე ფაქტორები აუერებენ მის ნორმალურ განვითარებას, რადგან ისინი მიმართავენ თითქოსდა ტრადიციით დაკანონებული მოვალეობისა და გარემომცველი, „მოწესრიგებული“ სამყაროს ურყევ მასშტაბებს. თანაც კაი მძიმე სულიერ მდგომარეობას განიცდის: ის იმ ასაკშია, როდესაც, ჩვეულებრივ, ყველა ახალგაზრდა გრძნობს, რომ ბევრფობის ხანამ გაიარა მაგრამ, თუმცა ოცნებობს დიდი გახდეს, ჯერ კიდევ ვერაა სასურველი ასაკი მიღწეული. ამ კრიტიკულ მომენტში კაი მარტოა. ის აუმხედრდა მამის ტირანიას, ძველი თაობის ზნე-ჩვეულებებს, მთელ გარემომცველ სამყაროს, მაგრამ არ იცის, თუ როგორი უნდა იქნეს მომავალი, ახალი ცხოვრება. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა კაის საუბარი მოსამსახურე გოგოსთან, ერნასთან. ამ უკანასკნელის კითხვაზე: „რას ეძახი შენ იმ ცხოვრებას, რომელსაც ასე ელოდები?“ კაიმ მიუგო: „მე არ ვიცი!“<sup>12</sup>.

კაი გოდეშალის შინაგან, სულიერ დაძაბულობას ამჟღავნებს ამ ასაკისათვის დამახასიათებელი გაურკვეველი, გაუცნობიერებელი და ბუნდოვანი, სქესობრივი მომწიფების პერიოდის გართულებით შეპირობებული სულიერი მდგომარეობა. მშობლებს არ ესმით მისი. სამაგიეროდ გიმნაზიის მეგობარმა არნემ და მოსამსახურე გოგომ ერნამ თითქოს გაუგეს მას. არნე გააცნობს კაის თავის ნაცნობ გოგონას ილზე ლორენცს, ხოლო ერნას სურს თავად დაწვდეს კაის, რათა მან დაეცხროს საკუთარი სექსუალური ვნება და დასძლიოს მარტოობის განცდაც. ვერც ერთი ვერ შეეღობა კაის. ის, როგორც დაეინახეთ, უარყოფს მშობლების არაბუნებრივ საქციელს და მათს მყარ ტრადიციებზე დამყარებულ მოჩვენებით სამყაროს, თუმცა, მიუხედავად ამისა, თავის ბიურგერულ სამყაროში ღრმად აქვს გამჭდარი ფესვები. ამიტომაც არ შეუძლია გაეჭყეს მას.

<sup>12</sup> Hans Fallada. Der junge Goedeschal. Ein Pubertätsroman. Dritte Auflage, Ernst Rowohlt-Verlag. Berlin. 1920. Frau Anne Marie Seyerlin zu eigen, გვ. 15.



კაი გოღეშალში იღვიძებს საკუთარი უძლურების, არასრულფასოვნების და, აქედან გამომდინარე, დანაშაულის გრძნობა. მდგომარეობიდან გამოსავალს თეითონ პოულობს. ამ მიზნით წერს ის ანონიმურ წერილებს თავისუფალი ყოფაქცევის ახალგაზრდა ქალს მარგოს, რომელსაც უხსნის სიყვარულს და სურს ის სწორ გზაზე დააყენოს. შემდეგ ასეთივე ხასიათის წერილის უგზავნის გიმნაზიის დირექტორს. აქ ის აღწერს თავის მდგომარეობას და შეველას ითხოვს. ბოლოს ასეთივე წერილებით მიმართავს თავისი სატრფოს ილზეს დედას, ინანიებს თავის უმსგავს საქციელს და ურჩევს დედას, სანამ გვიან არ არის, შეაერთოს ისინი.

მაგრამ ეს მაინც ვერ შეველის კაის, პირიქით, უფრო ართულებს მის მდგომარეობას. ეძებენ ანონიმური წერილების ნამდვილ ავტორს. კაის ეუფლება შიშის გრძნობა საკუთარი დანაშაულის გამო. მას არ სურს უკვე წეროს წერილები, მაგრამ მაინც ვერ ანებებს თავს. ბოლოს გამეღავნდება მისი საქმეები. აქ უკვე კაი იღებს უკიდურეს გადაწყვეტილებას: სურს თავი მოიკლას, მაგრამ ვერ ახერხებს. მშობლები გაიგებენ და უბედურებას აიცილებენ თავიდან. კაის ტირილით მთავრდება რომანი.

მსგავსი ფინალი რამდენადმე სიმბოლურიც ჩანს: კაის ტირილი ამ შემთხვევაში უნდა აიხსნას იმით, რომ მან ვერ შეძლო თავი მოეკლა და ამ გზით გაქცეოდა მამის ტირანიას, მისთვის უცხო, მტრულ გარემოს. მას იპყრობს შიში იმის წინაშე, რომ კვლავ თავიდან უნდა დაიწყოს ყოველივე: „არაფერი არ დამთავრებულა, ყველაფერი ისევ ისეა ძველებურად: სიყვარული, სიძულელი, სიმარტოვე, წამება, ყველაფერი ახლად უნდა დაიწყოს...“<sup>13</sup> — აი, სასოწარკვეთილი კაის უკანასკნელი სიტყვები.

როგორც ვხედავთ, ჰანს ფალადა თავის რომანში ამუშავებს მთელი ექსპრესიონისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ თემას თაობათა კონფლიქტისა, რომელიც ნაწარმოებში სოციალურ შეფერილობას იძენს და მთელ დრომოქმულ ბიურგერულ სამყაროზე ვრცელდება.

კაი მძიმედ განიცდის სიმარტოვეს, იტანჯება, ეძებს გამოსავალს, მაგრამ ვერ უპოვია ის. გრძნობს არსებული სინამდვილის დრომოქმელობას, მის სიდამბლეს; იცის, რომ აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს ძველი და აშენდეს ახალი, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს ამ ახალზე. მომავალი ბურჟუაზია მოცული, ის გაურკვეველია მისთვის. ამაშია სწორედ კაის მთელი ტრაგედია, და არა მარტო მისი, არამედ თითქმის მთელი ექსპრესიონისტული ლიტერატურის გმირთა ტრაგედია. კაი ხედავს, აღამაიახთა ამოღამებულ, ჩამკვლარ, უსიცოცხლო თვალებს და ეჩვენება, თითქოს მათზე კანი გადაფარებოდეთ. „ზოგჯერ საშინელი, მტანჯველი შიშის გრძნობით ვიხედები სარკეში, — ეუბნება კაი თავის მეგობარ არნე შუტს. — ჩემი თვალებიც ხომ შეიძლება ასეცაებად იქცნენ, მრუდედ ვხედავდე და ასევე მრუდედ უნდა დავინახო. ცხოვრებას მეტად ვეღარ დავინახავ. მაგრამ მაინც: უნდა დადგეს (საოცნებო მომავალი. — გ. გ.), უნდა მოვიდეს. ახლა ესაა თვალთმაქცობა, სიმახიხე, დამსხვრევა, სიკვდილი და ამ ლოდინში ჩვენთვის ვაშენებთ ხოლმე რაღაცას, რომელიც ჩვენივე საკუთრება იქნება და მასში შენაურულად ვიგრძნობთ თავს. ის გვეტყვის: შენ ცოცხლობ, შენ ხარ შენ“<sup>14</sup> (ურსივი ჩვენია. — გ. გ.).

<sup>13</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 14.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანი განიცდის ტრაგიკულ სიმარტოვეს, იზოლირებულია საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან და თავისი უხილავი და ხილული მტრების წინაშე შეიგრძნობს საკუთარ უძლურებას, უსუსურობას. მსგავს მდგომარეობას ადამიანისა განასახიერებს კაი გოდეშალიცი. ოჯახმა, სკოლამ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულმა სამყარომ დაუკარგეს მას რწმენა საკუთარი თავისადმი, მოსწყვიტეს საზოგადოების სხვა წევრებს, ჩაეკეტეს საკუთარ თავში, თავისუფლებასთან ერთად წაართვეს პირადი ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის უნარიც და ამით ჩაადგეს გაუცხოებული ადამიანის მდგომარეობაში. კაის სიტყვები: „შენ ცოცხლობ, შენ ხარ შენ!“ (Du lebst, du bist du!), — იმ სასოწარკვეთილი, გაუცხოებული ადამიანის ამოძახილია, რომელსაც ვერ უპოვია თავისი ადგილი საზოგადოებაში, დაჰკარგვია საკუთარი „მე“ და ამოოდ ცდილობს გამოვიდეს ცხოვრების ამ რთული ლაბირინთიდან.

კაის ერთი დადებითი თვისება აქვს: ის არ ფარავს თავის ანტიპათიას ვინმეს ან რაიმეს მიმართ. როდესაც მამა სილას გააწნავს, მაშინვე პირში მოახლის მას: „როგორ მძულხარ! ო, როგორ მეზიზღები! გარეთ სიციცხლეა, აქ კი?!“<sup>15</sup> ოღონდ ესაა, რომ ამის იქით არ მიდის მისი პროტესტი, მას არ შეუძლია გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი ბოროტების აღსალაგმავად. როგორც ჰანს ფალადას თითქმის ყველა გმირი, კაიც პასიურია გადამწყვეტ მომენტში.

კაი გოდეშალიცი ეგოცენტრიკოსის ანტიპოლია: ის თანაბრად განიცდის როგორც საკუთარ, ისე სხვის გაუცხოებულ მდგომარეობას. კაი გულწრფელად უახსნის სიუვარულს მარგოს, რომელიც საკუთარი სხეულით ვაჰრობს და ამით სურს ის სწორ გზაზე დააყენოს. საერთოდ კაი გოდეშალიცი ფალადას ავტობიოგრაფიული გმირია. ეს არცაა გასაკვირი: თუ მე-19 საუკუნის ისეთი მწერლები, როგორც იუგენდ ბალზაიცი, დიკენსი, დოსტოევსკი და სხვები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების გაუცხოების პროცესს ასახავდნენ ობიექტურად, როგორც პიროვნების ტრაგედიას და მის მსხვერველს, მე-20 საუკუნის კრიზისმა ახალი ეროს დასაწყისის მისცა დასაბამი მხატვრულ ლიტერატურაში, სახელდობრ: ამ საუკუნეში პიროვნების გაუცხოების ობიექტური, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანალმობითი ასახვის გვერდით აღმოცენდა ლიტერატურა, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს მწერლის საკუთარი გაუცხოების ასახვას. როგორც ზემოთ ვნახეთ, ესაა ექსპრესიონისტული ლიტერატურა. აქ სინამდვილე საერთოდ, კერძოდ კი გაუცხოებული ადამიანი, მწერლის შინაგანი სულიერი მდგომარეობიდან აირეკლება. მწერალი ვერ ეკერს სათანადო მანძილს თავისსა და მხატვრულ სახეს შორის, ვერ აღწევს თავს მას მიერ დახატულ განწყობილებებს და მათი ტყვე ხდება.

თუ გასული საუკუნის დიდი მწერლები გაუცხოებაში ხედავდნენ ობიექტურ სოციალურ მოვლენებს, ახალგაზრდა ჰანს ფალადამ მთელი სამყარო გაატარა საკუთარი გაუცხოების პრიზმაში. მთელი მისი ყურადღება მიმართულია იმ კონსტრუქციულ საშინელებათა ასახვისაკენ, რომელთა გადატანაც თვითონ მოუხდა მწერალს. რომანში „ახალგაზრდა გოდეშალიცი“ სიმძიმის ცენტრი მთლიანად გადატანილია კაის სულიერი კოლოზიებისა და ჰაინც გოდეშალის (კაის მამის), როგორც ოჯახის დესპოტი მამის, ჩვენებაზე. რაც შეეხება იმ სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთა გავლენით ჩამოყალიბდა

ჰაინციის ასეთი ხასიათი, — პრუსიული სკოლა, რომელიც მოწოდებული იყო აღეზარდა კანონის მონა-მორჩილი, შოენინსტური შხამით მოწამლული თაობები და კლასობრივი ანტაგონიზმით განპირობებული ბოროტებანი საზოგადოებისა, რომელმაც დიდი ხანია უარი თქვა ჰუმანიზმზე, — ამის შესახებ არაფერია თქმული. ჰანს ფალადა ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იქამდე, რომ შემოქმედისათვის აუცილებელი მანძილი დაიჭიროს თავისსა და სინამდვილეს შორის, თავი დააღწიოს მის მიერვე შექმნილ მტანჯველ, კომპარულ სიტუაციებს და თითოეულ მოკლენას ღრმა სოციალური შეფასება მისცეს. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რომანი გადატვირთულია ავტობიოგრაფიული ეპიზოდებით. მაშასთან გამწეავეებული ურთიერთობა, ფონ ნეკერთან დიუელი. ახალგაზრდა ტურისტებთან ერთად ჰოლანდიაში სამოგზაუროდ წასვლა, ანონიმური წერილების ისტორია, თვითმკვლელობის ცდა და სხვა მომენტები საკუთარი ცხოვრებიდან ფალადამ რომანში თითქმის უცვლელად შეიტანა.

„ახალგაზრდა გოდეშალი“ მარტო თემატიკით არ უახლოვდება ექსპრესიონისტულ სტილს, არამედ ფორმით, გამოხატვის ხერხებით, ენითაც ენათესავება მას. რომანი საცხება კაის კომპარული სიხმრების დეტალური აღწერით.

ავტორი ძალიან ხშირად მიმართავს ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს. რომანი მდიდარია ელიტური წინადადებებით: — „Das Zimmer wie stets. Nichts verändert. Wie so ist der Langstuhl am Fenster, das Bett mit der gekelkten Decke wie innen“ (გვ. 89). „...Ich muß scri! Hier, das geht nicht! ...Amerika ...Geld ...aber Geld ...Woher? Pajas Schreibtisch?...“ (გვ. 278). „Heinrich verlorenen Sohns? — Stummtes Verzeihen Allwissender? Ahnung nur?“ (გვ. 325).

ჰ. ფალადა ჰარბად იყენებს თავის რომანში მიმდებარე, მაგალითად: — „An der Schwelle fiel jede fremde Last. Dort, hingeworfen in den am Fenster stehenden Langstuhl, selbst des Licht weit ab von den für zu brennenden Augen würde er im aufspiegelnden Nachbarricht seines Sekretärs wärmeres Versprechen fühlen“ (გვ. 83). „Möchte Kai prüfen, möchte er Erlesenes, Erfangenes, ERAHNTES, krufen, das letzte Rätsel blieb zu“ (გვ. 188). „...verspührt, tammelte ich dann, während die Kraft, durch das Adergeschlinge von Blumen, Zellen bauend wandernd gewandelt, fühlte ich ewig gedankenloser Stille Sonne auf mir...“ (გვ. 299). „Er zieht langsam, seufzend, schnüffelnd, stoßend, ächzend...“ (გვ. 340).

სრულიად უეჭველია, რომ „ახალგაზრდა გოდეშალი“ ტიპური ექსპრესიონისტული ნაწარმოებია როგორც თემატურ-პრობლემური, ისე ფორმალურ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

ცხადია, მსგავსი რომანის შექმნისაკენ ფალადას უბიძგა არა პატიემოყვარე ქალის შთაგონებამ, არამედ საკუთარმა ტრაგედიამ. ამიტომ „ახალგაზრდა გოდეშალი“ წარმოადგენს მწერლის მიერ მამისეულ ოჯახში ვამეფებული ტრანის შეუბრალებელ და შეუფერავ შხილებას. ფალადა დაუნდობლად ამიშვლებს აღზრდის არაბუნებრივ, მცდარ მეთოდებს. ამ თემას შემდეგშიც დაუბრუნდა მწერალი რომანში „კაცინის გუსტავი“, რომელშიც გუს-

ტავ ჰაქენდალის, ოჯახის ამ დესპოტი მეთაურის, აღზრდის ანალოგიურმა მე-  
თოდმა ტრავიკული შედეგი გამოიღო: დაიშალა მთელი ოჯახი. ყველაფერში  
ძამა დაადანაშაულა მწერალმა. საკუთარ მშობლიურ ოჯახში განცილებულ მწე-  
რე მოგონება ჰანს ფალადას სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გაჰყვა. „ახალ-  
გაზრდა გოდეშალი“ შუქს ფენს მწერლის არა მარტო ტრაგედიას მშობლებ-  
თან გატარებული უკანასკნელი წლების განმეაღობაში, არამედ გვიჩვენებს იმ  
ახალგაზრდა მწერლის მოუწყინებლობას, რომელიც ძიების პროცესშია და  
საკუთარი გზა ჯერ კიდევ ვერ უპოვია.

2. „ანტონი და გერდა“<sup>16</sup>. როდესაც 1923 წელს ფალადას რომა-  
ნი „ანტონი და გერდა“ გამოქვეყნდა, ექსპრესიონიზმი, როგორც ლიტერა-  
ტურული მიმდინარეობა, წყვეტდა თავის არსებობას. საქმე ის არის, რომ  
ექსპრესიონისტების აბსტრაქტული იდეალების ადგილი დაიკირეს კონკრე-  
ტულმა მატერიალურმა ფასეულობებმა — დაიწყო კაპიტალიზმის ერთგვარი  
სტაბილიზაციის ხანა. გარდა ამისა, რევოლუციური პროლეტარიატის დამარ-  
ცებამ 1918—1919 წლებში გული გაუტეხა ენთუზიასტებს და მათ ზურგი  
შეაქციეს ექსპრესიონიზმს. მიუხედავად ამისა, ფალადმა მაინც წერს ექსპრესი-  
ონისტულ რომანს. სამართლიანად შენიშნავს იურგენ მანთაი, როდესაც ამის  
ბოზუნად თვლის იმ ფაქტს, რომ თავისი ცხოვრების „28-ე წელში გადამდგარ  
ფალადას არ შეუმჩნევია ეს ცვლილებები“<sup>17</sup>.

„ანტონ და გერდას“ საერთოდ დუმილით შეხვდა ლიტერატურული კრი-  
ტიკა. ისე როგორც „ახალგაზრდა გოდეშალს“, მას დიდი მნიშვნელობა აქვს  
მწერლის მთელი მემკვიდრეობის ობიექტური შეფასებისათვის. ფალადამ ამ  
ნაწარმოებში მოხაზა თავისი მომავალი ნაწარმოებების გმირთა სახეების კონ-  
ტურები, მოგვცა მთელი მისი წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი და იდეუ-  
რი განვითარების ახსნის ერთგვარი გასაღები.

რომანის ცენტრში დგას გიმნაზიელი ანტონ ფერბერი, რომელსაც ვერ  
აუტანია საკუთარ მშობლიურ ოჯახში გაბატონებული დრომოკმული ტრადი-  
ციები, მშობლების მოჩვენებითი, თითქოსდა ტრადიციით განმტკიცებული  
ბიურგერული „წესრიგი“, ასევე მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის  
დამახასიათებელი მტრული დამოკიდებულება პიროვნებისადმი, მისი ანტი-  
ჰუმანიზმი და გაქცევით უნდა უშველოს თავს. ანტონი თავს აფარებს თავი-  
სუფალი ყოფაქცევის კაბარეს გოგოს გერდას (მისი ნამდვილი სახელია ელ-  
ფრიდა ლოო), რომელიც იძულებულია საკუთარი სხეულით ივაჰროს, რათა  
გაუძლოს დიდი ქალაქის მკაცრ ცხოვრებას. ანტონის სურს იხსნას გერდა. ამ  
მიზნით მას ცოლად სწავია შეიერთოს იგი და მოაშოროს საქულველ ბიურ-  
გერულ ყოველდღიურობას.

გერდასთან ერთად ანტონი მიემგზავრება ჯერ ბერლინში, შემდეგ ბალ-  
ტიის ზღვის სანაპიროზე, მაგრამ ვერსად ვერ პოულობს მყუდრო ნაკსაყუ-  
დელს, ამოად ცდილობს იყოს თავისუფალი, ბედნიერი.

ანტონი მიიღებს დედის წერილს, რომელშიც ეს უკანასკნელი სთხოვს  
მას დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, მაგრამ ანტონის გადაწყვეტილება მტკი-  
ცია: ის საბოლოოდ რჩება გერდასთან და ოცნებობს მომავალზე.

<sup>16</sup> Hans Falada. Anton und Gerda. Ernst Rowohlt-Verlag, Berlin, 1923.

<sup>17</sup> იხ. ი. მანთაი, დასახ. შრომა, გვ. 15.

„ანტონ და გერდას“ ფინალი უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე „ახალგაზრდა გოდფრალისა“. თუ კაი გადატანილი ტრაგედიის განახლების შიშით ატირებული ტოვებს არენას, ანტონი საბოლოოდ გაექცა მისთვის საქმულეელ ბიურგერულ გარემოს და იმედის თვალთ შეჰყურებს მომავალს. უფრო მეტიც, ანტონი იმაზეც თანახმაა, კელნერობას მოჰკიდოს ხელი, ოღონდ თავისი სატრფოს, გერდას გვერდით იყოს, რადგან სჯერა, რომ ბოლოს მაინც მის მკლავებს დაუბრუნდება, გერდა ყველაფრისათვის დაასაჩუქრებს მას<sup>18</sup>.

რომანი „ანტონი და გერდა“, გარკვეული აზრით, შეიძლება „ახალგაზრდა გოდფრალის“ გაგრძელებად ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ აქაც თაობათა კონფლიქტის თემაა წინა პლანზე წამოწეული, ოღონდ მამა-შვილს შორის არსებული წინააღმდეგობა პრინციპულ სიმაღლემდეა აყვანილი: „ჩემი მშობლები?... ჩემი მშობლები? მათზე მეკითხები? მე უარვყოფ მათ. მე ისინი ამოვეგლიჯე ჩემი გულიდან. მათ სიკრუე მასწავლეს და ახლა ეს სიკრუე კრილობად იქცა მთელს ჩემ სხეულზე“<sup>19</sup>, — ეუბნება ანტონი გერდას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პანს ფალადამ, როგორც ჰუმანისტმა, თავის პირველ ნაწარმოებებშივე განსაზღვრა ბურჟუაზიულ გარემოში გაუცხოებული ადამიანის ხსნის საკუთარი კონცეფცია, რომლის მიხედვით ამ ტრაგიკული მდგომარეობის დაქლევა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის გაადამიანურებით. ეს კი ძალუძს მხოლოდ სიყვარულს, ამ მაგიური ძალის გრძნობას, რომლის უნარიტაც დააჩილდოვა ბუნებამ ადამიანი. ამიტომ შემთხვევით მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ფალადამ თავის გმირს (ამ შემთხვევაში ანტონს) მხსნელად მოუვლინა მისთვის საყვარელი არსება გერდა, რომელიც ლამის არის შთაინთქას დიდი ქალაქის ცხოვრების აბოზოქრებულ მორევში. გერდას მსატკრული სახის ზოგიერთი ნიშანი (პრინციპულობა, ამტანიანობა და სხე.) ფალადამ უფრო გამოკვეთილად მოგვცა პეტრა ლედიგის სახეში („მგელი მგლებს შორის“). პეტრაც ისევე მოთმინებით იტანს თავისი საქმროს — ვოლფგანგ პაგელის — დედის, ქალბატონ პაგელის ლანძღვა-გინებას, დამცირებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას, როგორც გერდა ანტონის მშობლებისაგან. ორივეს უყვარს საქმროები და სწორედ ამ სიყვარულმა იხსნა ორივე — ვოლფგანგ პაგელი და ანტონ ფერბერი — საბოლოო გაუცხოებისაგან.

თვითონ ანტონს ბევრი რამ აქვს საერთო ვილი კუფალტთან. („ვისაც კი ერთხელ უგემნია პატიმრის ულუფა“). ვოლფგანგ პაგელთან („მგელი მგლებს შორის“), ერიპ ჰაკენდალთან („რკინის გუსტავი“) და ბოლოს ერვინ ზომერთან („ლოთი“).

რომანში „ანტონი და გერდა“ სიტუაციები და განწყობილებანი არაა მოკლებული სოციალურ ქღერადობას. თაობათა კონფლიქტის ეს სოციალური შეფერილობა მთლიანად სურს წაშალოს შვეიცარიელ გერმანისტ თეოდორ ლემერს თავის მონოგრაფიაში ფალადამზე და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფალადას თავის რომანში აინტერესებდა ვადაქრა მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის საკითხი (mann-frauliches Verhältnis). „ფალადას ადრინდელ შემოქმედებაში საკითხის ამგვარი დასმა განპირობებულია იმპულსურობით (Impulsivität), რომელსაც თავისი ფესვები — ავტორის ასაკისათვის

<sup>18</sup> „ანტონი და გერდა“, გვ. 298.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 38.

უჩვეულო! — სულიერად გადაულახავ სქესობრივ სიმწიფეში აქვს<sup>20</sup>, —  
წერს ავტორი.

აქ არ ჩერდება ლებერი. ის მწერლის სხვა ნაწარმოებებსაც ამავე პოზიცი-  
იდან განიხილავს. ადვილი შესაძლებელია, რომ მას ხელს აძლევს ფალადას  
მემკვიდრეობაში სექსუალური პრობლემის წინ წამოწევა და მისი შემოქმე-  
დების სოციალური ღირებულების მიჩქმალვა, მაგრამ რეალური ფაქტები მი-  
უთითებენ მსგავსი მიდგომის მცდარობასა და უსაფუძვლობაზე. ამას ადას-  
ტურებს თუნდაც ის, რომ ღღემდე არ გამოქვეყნებულა არც ერთი დიდი თუ  
მცირე მოცულობის გამოკვლევა, სადაც მწერლის ეს თითქოსდა „გადაულა-  
ხავი სქესობრივი“ მდგომარეობა სპეციალური მსჯელობის საგანი იყოს, პირი-  
ქით: ყველა მათგანში ლაპარაკია იმ აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე,  
რომლებიც დასვა და თავისებურად გადაჭრა მწერალმა თავის ნაწარმოებებში.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ანტონი წარმოთქვამს გრძელ პათეტიკურ  
მონოლოგებს და ესაუბრება საიდანდაც მოვლენილ სიმბოლურ პერსონაჟებს.  
აქ ყველაფერი ემორჩილება მარტოხელა კაცის უსაზღვრო მოწყენილობის  
გრძნობის გამოხატვას, ეული კაცისა, რომელმაც უარყო ბიურგერული სამ-  
ყარო და ოცნებობს ახალ ადამიანზე, ახალ ცხოვრებაზე. „ანტონ და გერდა-  
ში“ მრავლადაა ადგილები, რომლებიც ან მთლიანად ემთხვევიან, ან ეხმაუ-  
რებიან გერმანელ ექსპრესიონისტ მწერალთა და დრამატურგთა ამა თუ იმ  
ნაწარმოებში ასახულ განწყობილებებს. ამიტომ არაა ძნელი დაიძებნოს პა-  
რალელები ფალადას რომანებსა და სხვა გერმანელ ექსპრესიონისტ მწერალ-  
თა ნაწარმოებებს შორის. მაგალითად, ასეთ სიახლოვეს ამკვლევებენ „ახალ-  
გაზრდა გოდემალი“, „ანტონი და გერდა“ ექსპრესიონისტ რაინჰარტ ზორგეს  
ლირიკულ-დრამატულ პოემა „ლატაკთან“, ვალტერ ჰაუნეკლევერის „ვაი-  
შიელთან“, ფრანც კაფკას „განაჩენთან“, „პროცესთან“ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტონის მშობლების სახის დახატვით ფალა-  
დამ უკვე მოხაზა თავისი მომავალი გმირების ხასიათის კონტურები, მაგალი-  
თად: ანტონის მამა, პროფესორი ფერბერი, ბევრი რამით ჩამოჰგავს ვუსტავ  
ჰაქენდალს („რკინის ვუსტაეი“), ხოლო ანტონის დედას ხასიათის ბევრი ნი-  
შანი აახლოებს ქალბატონ პაგელთან („მგელი მგლებს შორის“).

ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტსაც:  
როდესაც ვლაპარაკობთ პანს ფალადას ექსპრესიონისტული რომანების გმირ-  
თა ხასიათის ცალკეული ნიშნების განვრცობასა და გამოკვეთაზე მწერლის  
სხვა ნაწარმოებების გმირთა სახეებში, უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდა  
პანს ფალადა, თითქმის ყველა ექსპრესიონისტი მწერლის მსგავსად, თავის  
გაუცხოებულ გმირთა სახეებს საკუთარი გაუცხოებული მდგომარეობიდან  
ქვრეტდა და ამოსავალ წერტილად საკუთარი „მე“-ს სულიერი ტრაგედია  
ესახებოდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში მანძილი მისა და მხატვრულ სახეებს  
შორის მინიმუმამდე დადიოდა ყოველთვის. ამიტომ მწერლის სუბიექტური  
პოზიციიდან დანახული გარესამყარო, მასში მცხოვრები გაუცხოებული ადა-  
მიანები, გარკვეული აზრით, მისივე ოქახური გარემოა მასში გააფეხებული  
ბიურგერული ყოფითა და სულმემხუთავი ატმოსფეროთი. რაც შეეხება ფა-  
ლადას დიდ ტილოებს, მის სოციალურ რომანებს, აქ მან გაუცხოება ასახა,  
როგორც სოციალური ტრაგედია და შეეცადა გამოენახა მისი დაძლევის სა-

შუალელები. ამ შემთხვევაში ის მოგვევლინა მე-19—20 საუკუნეთა რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა ტრადიციების მემკვიდრედ და განმავითარებლად.

საკურადლებოა ის ფაქტიც, რომ ფალადას ამ რომანებში უკვე გამოიკვეთა „პატარა კაცის“ ხასიათის მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც მწერალს ცხოვრების ფსევრზე დაცემული, გაუცხოებული ადამიანის ხსნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა. სახელდობრ აქ ლაპარაკია „პატარა კაცის“ წესიერებაზე. მის მიერ საკუთარი ღირსების გრძნობის შენარჩუნებაზე. ხასიათის ამ ნიშნებით გამოირჩევიან როგორც კაი გოდეშალი, ისე ანტონ ფერბერიც. ზრუნვა „პატარა კაცის“ ამ თვისებების შენარჩუნებაზე წითელი ზოლივით გასდევს მწერლის მთელს შემოქმედებას.

„ანტონ და გერდას“ გამომხატველობითი საშუალებები, მისი ფორმები აშკარად ექსპრესიონისტულია: აქ ხშირად ეხედებით ელიპტურ წინადადებებს, გაარსებითებულ ინფინიტივებსა და მიმღობებს. ასევე ქარბად იყენებს მწერალი საერთოდ ინფინიტივებსა და მიმღობებს, მაგალითად:

Ersah sie. Eine Spielerische hinter der Thüre, ein stumpfes junges Profil, zufahrend auf einen Pilscher, der bläht, tiefes Lachen, wie verhaltenes, Schultern in Seide, eine zugreifende gespreizte Hand und, da sie schlichtend die Flechten streicht, Steine dort zwischen den bläulich glänzenden Schwarz“ (გვ. 17). „...Gewachsen-Wachsendes...“ (გვ. 61). „...dem flimmernden Gepunkte enflöser Steine...“ (გვ. 67). „Gemurmel der anderen, gesenkte Köpfe, über die Lehne gefaltete Hände“ (გვ. 80).

როგორც ვხედავთ, ჰანს ფალადას ორივე რომანი — „ახალგაზრდა გოდეშალი“, „ანტონი და გერდა“ — ექსპრესიონისტული სტილის ნიშნების მატარებელია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფალადა არ იყო გულგრილი თავისი დროის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ, ეს რომანებიც მისივე „შინაგანი წვის შედეგად იშენენ“.

ჰანს ფალადას გმირთა გალერეაში კაი გოდეშალი დგას იმ სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე, რომლის მომდევნო საფეხურები უჭირავთ ანტონ ფერბერს („ანტონი და გერდა“), მაქს ტრედლუს („გლენები, ბობოლები და ბომბები“), იოჰანეს პინებერგს („პატარა კაცი, ახლა რა ექნათ?“), ვილი კუფალტს („ეისაც კი ერთხელ უგემნია პატიმრის ულუფა“), ვოლფგანგ ჰაგელს („მგელი მგლებს შორის“), ჰაინც ჰაყენდალს („კინის გუსტაეი“), ხოლო ამავე კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზეა ანტიფაშისტი ოტო კვანგელი. ჰანს ფალადას შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი ევოლუციის აღმაველ ხაზამდე მიყვავართ სწორედ ჰისი მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის ყოველმხრივ, საფუძვლიან შესწავლას, მემკვიდრეობისა, რომლის ორგანულ ნაწილს შეადგენენ მწერლის პირველი ექსპრესიონისტული რომანები „ახალგაზრდა გოდეშალი“ და „ანტონი და გერდა“.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჭიბლაძემ

Н. А. КЕНЧОШВИЛИ

## РАССКАЗЫ БХИШАМА САХНИ

На пути становления современной реалистической прозы хинди все больше выделяются писатели, вскрывающие недостатки современного индийского общества, обращающиеся к отображению жизни трудового народа, озабоченные судьбой своей страны и простого человека. Именно к таким писателям принадлежит активный участник ассоциации афро-азиатских писателей, известный прогрессивный индийский прозаик (коммунист) Бхишам Сахни (род. 1915), творчество которого представляет собой значительный вклад в современную художественную прозу хинди.

Б. Сахни несколько лет (1957—63 гг.) жил в Советском Союзе. Изучив русский язык, он перевел около 25 крупных произведений русской и советской литературы.

Впервые наш читатель с новеллистикой Сахни познакомился в 1960 году в переводе советского индолога Вл. Чернышева.

Развивая традиции критического реализма в новой индийской литературе, Бхишам Сахни в своем творчестве откликнулся на наиболее сложные и злободневные проблемы, стоящие перед современной индийской литературой.

В нашей статье дается лишь краткая характеристика новеллистики Сахни, подчеркиваются некоторые особенности его художественного метода изображения социальной действительности.

Начало творческого пути Бхишама Сахни связано с периодом второй мировой войны. Он автор четырех сборников рассказов: «Линия судьбы» (Бхатия рехха) (1953 г.); «Первый урок» (Пахла патх) (1956 г.); «Странствующий прах» (Бхатакти рахх) (1966 г.); «Рельсы» (Патаря) (1973 г.); и трех романов: «Окла» (Джарокхе) (1967 г.); «Тьма» (Тамас) (1973 г.); «Кольца» (Карян) (1970 г.).

Новеллистика Сахни тематически разнообразна, она характеризуется многогранностью проблематики. Это — рассказы о социальном неравенстве и вреде религиозных предрассудков, о судьбе индийских женщин и судьбе молодежи, рассказы на тему войны и мира и т. д. Отдельно можно выделить рассказы, в которых вместо острых общественных вопросов писатель заостряет внимание на проблеме морали.

Рассказы «Медаль за храбрость», «Необыкновенная кость», «Странствующий прах», «Капли крови» и др. затрагивают проблему войны и мира. В рассказах «Беспокойные души», «Романтический рассказ», «Честь семьи», «На платформе», «Начало жизни» и др. писатель в ярких, убедительных реалистических красках бичует религиозное мракобесие, средневековые отжившие традиции, социальные пороки.

Несмотря на многообразие проблематики, тема трагической судьбы человека, задавленного социальным гнетом, его обезображенной жизни в той или иной форме прослеживается во всей новеллистике



Б. Сахни. Таков, например, рассказ «Начало жизни», повествующий о тех злоключениях и несчастьях, с которыми сталкиваются бедные люди в начале жизненного пути.

Тема погубленной жизни, являющаяся лейтмотивом всей новеллистики Сахни, в той или иной степени заметна и в таких рассказах, в которых на первом плане не видно социальных проблем. Даже в рассказах, посвященных моральным проблемам, в деталях, в отдельных репликах, во всей атмосфере жизни, чувствуется трагическое ощущение того, что условия жизни мешают человеку быть до конца свободным, гордо шагать по земле.

Бхишам Сахин — ныне преподаватель английской литературы в колледже дельтского университета, в течение ряда лет работал учителем школы. Этот биографический момент нашел свое отражение в рассказах «Усталость» (Уб), «Диктант» (Имла), «Профессор» и др. Не случайно и то, что проблемы моральные, проблемы будущего молодежи, занимают важное место в новеллистике писателя-гуманиста. В рассказе «Бивар» писатель обличает хладнокровие и бессердечие, духовное убожество стяжателей, рассуждает о моральных аспектах богатства. Ни в чем неповинная собака Бивар стала жертвой душевной черствости своих хозяев.

В рассказе «Кровное родство» описывается история братской неблагодарности. Младший брат Малгансен — пятидесятилетний неудачник, инвалид войны, живет в знатной семье своего старшего брата, выполняя любые его указания, но вместо благодарности брат — хозяин наносит ему оскорбления, обвиняя даже в воровстве.

Взаимосвязанность моральных и социальных вопросов является одним из многих достоинств рассказов Сахни. Писатель смотрит на богатство, на жизнь привилегированных слоев, не только как на экономическую, но и как на моральную категорию.

Писатель верит в результаты борьбы за лучшее будущее, верит в прогресс. Достоинством его новелл также является то, что Сахни создает образы борцов за справедливость, вселяет веру в борьбу за лучшие идеалы.

Многие персонажи рассказов Сахни не жалкие и слепые рабы религиозного фанатизма или социального гнета, несправедливости, а люди стойкие духом, уверенные в своей правоте, борющиеся против отжившего уклада жизни. Индийские девушки — красавица Рукмани («Романтический рассказ»), смелая, молодая Сунда («Честь семьи»), напористая девушка Чамели («Новая дорога») и др., вступая в конфликт с действительностью, остаются победителями.

Молодая Сунда («Честь семьи»), недавно ставшая невесткой богатой консервативной семьи, однажды решила принять участие в школьном спектакле, так как она прекрасно танцевала. Узнав об этом, вся семья восстала против нее. Вначале Сунда не решается идти против веками укоренившихся взглядов семьи, но, в конце концов, выходит победителем.

Новелла «Романтический рассказ» по своему построению близка к традиционному индийскому рассказу. Здесь писатель поэтически воспевает борьбу человека за свои права. Еще в десять лет сирота Рукмани была выдана замуж за психически больного. Невзирая на свою тяжелую жизнь Рукмани тайком поступает в школу. Узнав об этом, братья мужа угрожают, а порой издеваются над ней. Но Рукмани проявляет твердость, непоколебимость характера — она продолжает ходить в школу и через несколько лет уже работает учительницей этой же

школы и тем самым становится независимой от братьев мужа. Писатель здесь подчеркивает, что борьба за свои права всегда приносит результаты.

Жизнь и работа в стране Советов, знание советской литературы оказали плодотворное влияние на мировоззрение Бхишама Сахни. Его творчество пронизано интернационализмом и симпатией к стране Советов, к Октябрьской революции (рассказ «Новое здание»). В беседе с советским индологом М. Курганцевым писатель сказал: «Интернационализм советской литературы был для меня ценным примером»<sup>1</sup>.

В рассказе «Товарищ Ленина» Сахни с большой силой и правдой схвачено главное: народность вождя мирового пролетариата, бессмертие образа Ленина, его простота и величие, чуткость к нуждам и стремлениям масс. В рассказе описывается как молодому индийцу-стенографисту довелось встречаться и работать с Владимиром Ильичом. Тридцать пять лет спустя этот индеец, рассказывая своим индийским друзьям о встречах с Лениным, с волнением говорит: «Я Ленина умершего видеть не могу. Образ, который живет в моем сердце, — это образ живого и здорового Ленина» (Пер. цитаты Н. К.).

Большинство рассказов Сахни полны тонкого психологизма, лаконичны, что отличает их от традиционных повествований некоторых индийских авторов. В своих замечательных повеллах «Сколько стоит курица», «Безобразный Хету», «Рекомендательное письмо», «Кровное родство», «Бивар» и др. писатель с большим мастерством художника-реалиста сочетает психологизм с изображением острых социальных аномалий.

В рассказе «Сколько стоит курица» мы не только видим тяжелую жизнь Ахмаду, его длительный изнурительный труд за гроши, но чувствуем и движение его души. В кузове грузовика дрожащему от страха Ахмаду еле удается тайком провести с трудом купленную курицу через городскую таможню. Но, когда он обнаружил, что курица мертва — зарыдал как ребенок. Плач Ахмаду по курице напоминает плач Акакия Акакиевича по шивели.

В рассказе нет прямого осуждения, морализаторства — есть тонкая разработка деталей, подтекст, высвечивающий атмосферу реальной жизни Индии. Картины, воссозданные писателем, вселяют в нас чувство боли и сожаления по поводу социальных порядков, колечаших человеческую душу. Отражение быта — органически сочетается с раскрытием души героя.

В рассказах Сахни жизнеутверждающее, «горьковское» начало сквозит не только в показе героев — борцов за свои права, но и в трактовке образов простых людей.

Писатель с большим мастерством художественного воплощения показывает богатство духовного мира социально подавленного маленького человека.

В рассказе «Безобразный Хету» (пер. Вл. Чернышева) на вид безобразный деревенский парнишка, слуга Хету, не желает зла даже своим жестоким хозяевам. В день рождения (мунда) единственного четырехлетнего сына своих хозяев «безобразный» Хету узнает, что в деревне у него умер сын, но он молчит о своем горе, в этот день нельзя говорить о смерти, и лишь после возвращения из деревни рассказывает о своем несчастье. Безобразный Хету не гротескный тип, а подлинно реалистический образ простого, доброго, великодушного человека.

<sup>1</sup> «Азия и Африка сегодня», 1974, № 8, стр. 4.

Бхишам Сахни отражает не только резкие контрасты, но и все оттенки, все грани жизни. Он зачастую избегает роли комментатора изображаемых событий. Писатель предпочитает отбирать такие факты, показывать такие конфликты, которые сами по себе были бы красноречивы. Позиция автора чувствуется в отборе фактов.

Одной из особенностей творчества Сахни является то, что убедительными, простыми художественными средствами он открывает перед читателем галерею ярких психологических портретов: неудачник Мангалсен, смирившийся с ролью нахлебника, слуги своего брата («Кровное родство»); внешне безобразный, но великодушный Хету («Безобразный Хету»); чиновник Трилоки, боящийся всяких, даже самых благоприятных для него, перемен в жизни («Рекомендательное письмо»); бедная и несчастная красавица Рукмани, еще совсем девочкой выданная замуж за эпилептика, сумевшая преодолеть традиционный уклад жизни («Романтический рассказ»); Тарачанд, просидевший двадцать пять лет на скамье у дверей хозяина и не мыслящий лучшей судьбы для сына («Усталость»), и многие другие.

Не прерывая связь с национальными традициями Б. Сахни в своем творчестве переосмыслил и творчески использовал лучшие достижения русской классической, советской и западной реалистической литературы.

В новеллистике Сахни особенно прослеживается сильное влияние русской литературы, в частности Чехова, Тургенева, Гоголя и родоначальника советской реалистической литературы Горького.

На наш взгляд, ряд коллизий чеховских рассказов находит своеобразную вариацию в рассказах Сахни. В частности, аналогию встречи богатого и бедного, ритуал чипопочитания в рассказах Чехова «Тонкий и Толстый» можно увидеть в ряде рассказов Б. Сахни.

Психология маленького и испуганного жизнью человека в рассказе «Рекомендательное письмо» раскрыта в сложной ситуации, явно объясненной своим генизмом рассказу Чехова «Смерть чиновника».

Простой чиновник министерства по делам беженцев — Трилоки, во время обеденного перерыва встречается с большим человеком — Ханом Сабахом, бывшим директором департамента просвещения. «Большой человек» обещает Трилоки, что он напишет рекомендательное письмо и Трилоки повысят в должности. Вначале «душа Трилоки в воздухе полетела», но к вечеру он огорчился, в нем появился страх, и если чеховский чиновник боялся гнева генерала, то Трилоки начинает бояться окружающих его на службе людей.

Психология забитого жизнью человека одинакова как у чеховского чиновника, так и у чиновника Сахни. Волна страха обрушивается на Трилоки также сильно, как удар сапога чеховского генерала в живот чиновника.

Подобно большинству индийских писателей, Сахни в своей новеллистике использует индийские легенды. Фабула рассказа-сказки Сахни «Необыкновенная кость» прямо восходит к старинным народным преданиям. Но в основе рассказа-сказки «Странствующий прах» вероятно лежит завещание покойного премьер-министра Индии Дж. Неру, чтобы после его смерти часть праха бросили в реку, а часть рассеяли по всей стране. В этом рассказе Странствующий, мерцающий прах — это символ победы добра над злом, стремления мира во всем мире, вера в творческие силы человека.

Возвышенная романтика, призыв к борьбе за свободу, легендарно-аллегорические образы (Данко с его пылающим сердцем) романтичес-

кого рассказа Горького «Старуха Изергиль» вдохновили Сахни на написание символично-романтического рассказа «Странствующий прах».

Некоторое сходство «Старухи Изергиль» и «Странствующего праха» ощущается не только в сходстве образов Данко и Странствующего праха, но и в построении рассказа, в характере повествования.

«Старуха Изергиль» (начало): «Однажды вечером, кончив дневной сбор винограда, партия молдаван... ушла на берег моря» и т. д.<sup>2</sup>

«Странствующий прах» (начало): «В деревне кончили сбор урожая, возвращаясь домой крестьяне смеялись, шутили и т. д.»

Используя фольклорные образы, Сахни, как и Горький, славит служение интересам народа, доказывая бессмертие борцов за лучшие идеалы.

Рассказы Горького о людях из народа вдохновили Сахни показать простых индийских людей не только как жертв социальных условий, но на примере их жизни отразить мучительный процесс постепенного пробуждения сознания людей. Вот почему рассказы Сахни и его герои не оставляют чувства подавленности, пессимизма.

Конечно, Сахни — писатель критического реализма, но его творческий метод во многом обогащен рядом лучших качеств литературы социалистического реализма. В своих рассказах Сахни сумел достичь органического синтеза национальных литературных традиций и современной манеры повествования, актуальности поставленных задач и глубины их идейной трактовки.

Язык новеллистики Сахни прост и ясен. Его писательское искусство сугубо современно, полностью лишено мистицизма или метафизических рассуждений.

Сахни находится в постоянном творческом поиске и направление этих поисков уловить нетрудно — это область моральных и социальных связей человека и общества, нравственный мир человека.

В заключение следует отметить, что изучение творчества Б. Сахни, в том числе его новеллистики, намного расширит наше представление о процессах, происходящих в современной прозе Индии, и поможет нам лучше уяснить характер критического реализма Индии на современном этапе.

---

М. Горький, Собрание сочинений, т. I, 1960, стр. 92.

Аспирант Института Азии и Африки АН СССР

Представил Институт востоковедения АН СССР им. акад. Г. В. Церетели

### ვივი ახელაღიანი

## ფოლკლორი თეიმურაზ ბაგრატიონისა და კლათონ იოსელიანის ისტორიულ შრომებში

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილს იკვრენ თ. ბაგრატიონი (1782—1846) და პლ. იოსელიანი (1809—1875).

თ. ბაგრატიონისა და პლ. იოსელიანის შრომების ფოლკლორთან მიმართებას ამა თუ იმ კუთხით ეხებიან შველევრები: მ. ჩიქოვანი, ჟს. სიხარულიძე, გ. შარაძე და სხვ. მათ მოეპოვებათ ცალკეული მითითებანი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. მაგრამ დასახელებულ ისტორიკოსთა შრომები დღემდე მინც შეუსწავლელი რჩება.

წინამდებარე წერილის მიზანია თ. ბაგრატიონის და პლ. იოსელიანის ისტორიულ შრომებში ფოლკლორული წყაროებისა და ქართული ხალხური ტრადიციის ძიება. აღნიშნულ ისტორიკოსთა შრომები სპეციალური მიზნით შედგენილი მატრიანებია, ისინი მხატვრულ მიზნებს არ ისახევენ. ამის გამო ზეპირსიტყვიერება მათში არცთუ ისე უხვად არის წარმოდგენილი.

საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ შემატრიანებს ისტორიულ შრომებში მხოლოდ ის შეჰქონდათ, რაც ღირსად მიაჩნდათ და მისი სინამდვილე სჯეროდათ. ამისდა მიუხედავად, ისინი ზეპირსიტყვიერებასაც იყენებდნენ ისტორიულ წყაროდ, მაგრამ ძლიერ თავშეკავებულად, კრიტიკულად, განხილვის შემდეგ<sup>1</sup>.

მე-19 საუკუნის ქართველ ისტორიკოსებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ იმდროის რუსულ მეცნიერებასთან. ამის გამო, ვფიქრობ, არ იქნება ინტერესმოკლებული გაკვრით შეეხვით XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსი ისტორიკოსების დამოკიდებულებას ფოლკლორისადმი. მათი პოზიცია ფოლკლორის გამოყენებაში არ იყო ერთნაირი. მაგალითად, ა. ლ. შლეცერი ფოლკლორული მასალის აუთენტიკურობას კითხვის ქვეშ აყენებდა ისტორიულ წყაროდ გამოყენების დროს. მ. ტ. კაჩენოვსკი და „სექტიკური სკოლა“ საესებით უარყოფდნენ ფოლკლორის მეცნიერულ ღირებულებას ისტორიის კვლევაში. ფოლკლორის გამოყენებაში ახალი გზების ძიება ნ. მ. კარაშინის სახელთან არის დაკავშირებული. ნ. მ. კარაშინის აზრით, ნებისმიერი ხალხური გადმოცემა, თუმცა „ყოველთვის მაცდური და არასწორი დეტალებში“, ემყარება ჭეშმარიტ შემთხვევას და ამის გამო ფასეული ისტორიული ცნობაა. ისტორიკოსის მოვალეობაა, გამოყოს მოგონილი და ადაღვინოს ნამდვილად მომხდარი ამბავი. ნ. მ. კარაშინის შეხედულებანი, რომელიც XVIII საუკუნის რუსული ისტორიული მეცნიერების საუკეთესო ტრადიციებისა და

1 მ. ჩიქოვანი, ორი ფოლკლორული ენარი ძველ ქართულ ლიტერატურაში, აკად. აღ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1974, გვ. 252—253.

ა. ლ. შლეცერის კრიტიკული მეთოდოლოგიის შერწყმას შეიცავდა, საფუძველად დაედვა იმ იდეებს, რომლითაც ხელმძღვანელობდა XIX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფია<sup>2</sup>.

თ. ბაგრატიონის ისტორიული შრომები გარკვეულ ინტერესს იწვევს ქართული ფოლკლორის თვალსაზრისით. თ. ბაგრატიონი თავის „ივერიის ისტორიაში“<sup>3</sup> საკმაო ადგილს უთმობს ზეპირსიტყვიერებას. ისტორიკოსს თავის შრომაში არა მარტო შემოაქვს ფოლკლორული მასალა და ისტორიულ წყაროდ იყენებს, არამედ ამავე დროს ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ზეპირსიტყვიერებისადმი, ფართოდ მსჯელობს მის მნიშვნელობაზე ისტორიისათვის. მეცნიერი ნაშრომის წინასიტყვაობაში წერს: „დღომატა აქუსთ თვისი წრფელი გზად სიმართლისა; ხოლო მოთხრობანი იგი, რომელთაცა ზედა იქმნეულება იქმნების, გინა იგინი, რომელნიცა თუ-სადმე ზღაპარ-სიტყვაობადცა აღსარებულ იყოს, ეგრეთცა სათანადოდ არს წარმოდგინებად ასპარეზსა ზედა მოთხრობათასა: მით რამეთუ მეტათა და განუწრფელბელთა მოთხრობათა შემოღებად არა სრულიად უნაყოფო არიან; არამედ ჰსჭირთ მათ ესე ხშირად, რომელ შეუძლებელ არს მათ შორის არა იპოვებოდნენ მცირედნი ანუ ზოგნი ნაწილნი სიმართლისანი ადგილათთვის მცხოვრებთა, თემთა, გვარეულბათა, გინა სხვათა სახელის-დებათუს საისტორიოთა და ერისა. ეგრეთვე რომელნიმე ზღაპარ-სიტყვაობანი არიან აღიღორიანი და ესე ვითართა მოთხრობათაგან შესაძლო არს, რომელისამე ეამთა ვითარებათა გარდასრულთა შინა შემთხვეულებათა საქმისათა მოპოვება.“

და ვინაჲდგან ესე ესრეთ არს და უძველესთა ისტორიათათვის ჩვენთა, ესე იგი ივერიელთა მოთხრობისათვის, რამცა შეუძლე პოენად ძველთა და უძველესთა შინა გამოძიებათა სრულიად შემოვკრიბენ იგინი და არა დაუტყვენ იგინი არცა ერთი; არამედ მოკუთხრობდე მათ თუს, რომელნიცა რომელთაგანმე მომთხრობელთა შეწყნარებულცა არიან. ხოლო უმრავლეს ამათსა მქონან მზად მოპოვებულ დღომატნი ჩვენისა ამის ისტორიისათვის, რომელნიცა თუს თუსსა ადგილსა შთააქერებთან უკლებლად. ზემო ამისა თქმულთა თუს უძველესთა ამბავთა, რომელნიმე სხვათა ენისა მოთხრობათაგან, რომელნიმე ჩვენთა და რომელნიმე ზეპირცა სმენილნი არა უგულბებელს ვყვენ აღწერად ნივთთა განმრავლებისათვის ამბავთა შინა“<sup>4</sup>.

„ივერიის ისტორიაში“ მოტანილია ორი თქმულება<sup>5</sup>, რომელთაგან პირველი ბრუტსაბძელას მთაზე დაბმული ტარტაროზის ამბავს გადმოგვცემს და ამირანის ორეულის — ორკაპის სიუჟეტს იმეორებს, ხოლო მეორე საყორნის მთაზე მიჯაჭვული გვირის შესახებ მოგვითხრობს. ორივე ეს თქმულება ამირანის ციკლის თქმულებების პირველი წმინდა ქართული ჩანაწერია<sup>6</sup>.

ამავე შრომაში თ. ბაგრატიონი განიხილავს კავკასიის ხალხთა („თარგამოზიანთა ხალხის“) წარმოშობის საკითხს. ისტორიკოსი შრომის ერთ-ერთ თავ-

2 А. А. К р у п п, Фольклорный материал в русской исторнографии начала XIX века, Русский фольклор, XIII, 1972, гв. 219—223.

3 თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დაწეუბითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს ისტორია სრულიად საქაროველთა, სპბ, 1848.

4 თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დაწეუბითგან ივერიისა..., გვ. 1—2.

5 იქვე, გვ. 7—9.

6 М. Ч и к о в а н и и, Народный Грус. эпос о прикованном Амيرانе, М., 1966, гв. 9; მისივე, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 31, 48, 140, 190, 191, 193.

ში „პირველ-უწყებანი შთაპაძელობათა ივერიელთა თემისა“ წერს: „მოთხრობანი ჩვენნი ესე იგი ივერიელთანი ღა სომეხთანიცა იტყვიან თარგამოსისაგან, რომელიცა იყო შვილის შვილთაგანი ნოეს ძის იაფეთისა; და ამ თარგამოსისა ძენი იყვნეს: ქართლოს ნათესავთ-მთავარი სრულიად ივერიელთა და სხვანი ძმანი მათნი ექვსნი ხელის-ქვეშენი ქართლოსიანი... ქართლოსისა და ამათგან არიან ერნი ყოვლისა ივერიისანი, ეგრეთვე ჰაოსცა მამა ჰაოსიანთა, ესე იგი სომეხთა ანუ არმენთა იყო ძმაი ქართლოსისა“<sup>7</sup>.

„ძმანი ქართლოსიანნი, ძენი თარგამოსიანნი იყვნეს: ჰაოს (ნათესავთმთავარი სომეხთა). ბარდო, მოვაკან, ლეკან, კაკასო, ჰეროს, ეგრო და ძენი ქართლოსისანი: კაკო, მცხეთოს, კუხუს, გაჩიო, გარდაბან, ძენი მცხეთოსისა: უფლოს, ჭავახო, ოძრხო. ესენი და ძენი ამათნი იყვნეს გვირნი და ნათესავთ-მთავარნი, რომელნიცა დაემკვიდრნეს ქვეყნისა ამას შინა ივერიისა და გარეშეიცვეს საზღვარნი კასპიის ზღვიდგან ვიდრე პონტოდმდე“<sup>8</sup>.

აშკარაა, აქ ბევრი რამ ზღაპრულია. მემბტიანეს მიერ მოტანილი გენეალოგიური სქემაც ბიბლიური ხასიათისაა და მას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. თითო წინაპართაგან ხალხთა წარმოშობის თეორია დიდი ხანია უარყოფილია.

კავკასიის ხალხთა („თარგამოსიანთა სახლის“) წარმოშობის ამბების გადმოცემისას თ. ბაგრატიონი მიუთითებს გამოყენებულ წყაროებზე: „ესრეთ ვარდამოციემიან საქართველომისა, ესე იგი ივერიელთა ისტორიათაგან, ქართლის ცხოვრებისაგან ვახტანგ მექვისისა ქართლისა მეფისა მიერ აღწერილია და ძისა მისისა ვახუშტისაგან და სხვათაგანცა აღმწერელთა, რომელთავე ძეგლთა მატიანეთა და მომხრობელთაგან, და რომელთავე ახალთა და ერმანთაუცა ისტორია, ესე იგი სომეხთა, მოუთხრობს ეს-სახედვე“<sup>9</sup>.

კავკასიის ხალხთა ერთი წინაპრიდან წარმოშობის აზრმა მოსე ხორენელის ისტორიაშიც იჩინა თავი. „სომეხთა ისტორიაში“ მოთხრობილია სომეხთა მამანთავარ ჰაიკისა და მისი შთამომავლების შესახებ. მოსე ხორენელის მიხედვითაც, სომეხებისა და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი თარგამოსი იყო<sup>10</sup>. ხორენელს თავისი თხზულების პირველ წიგნში სომეხთა ისტორიის გადმოცემისას მასალები ამოაქვს ხალხური ეპოსიდან, ნ. ემინის შენიშვნით, პრეისტორიული ხანის სომეხი მეფეები: ჰაიკი, არმენაკი, არამი და სხვანი წარმოადგენენ მითიურ პერსონაჟებს, რომლებიც სომეხეთის ისტორიაში ხალხური გადმოცემიდან არიან შესული<sup>11</sup>.

ქართველი მემბტიანეები კავკასიის ხალხთა ერთი წინაპრიდან მომდინარეობის ამბების მოთხრობისას საჩვენებლოდ არა მოსე ხორენელის ისტორიით, არამედ ზეპირსიტყვიერი მასალით. ამასთან ისინი საკუთარი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე პოლიტიკური მიზნებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ<sup>12</sup>.

7 თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა..., გვ. 9.

8 იქვე, გვ. 26—27.

9 იქვე, გვ. 9.

10 Н. Эмин, Мойсей Хоренский и древний эпос Армянский, М., 1881, гв. 29.

11 იქვე, გვ. 70.

12 ივ. ჭავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 174—175. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 11. რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, გვ. 23; გ. ახვლედიანი, ლეონტი მროველის „მეფეთა

თეიმურაზ ბაგრატიონის შრომებში მდიდარი და საინტერესო ცნობებია დატული „გლოვის წესის“ შესახებ. ეს ცნობები იმითაა უფრო საყურადღებო, რომ აქ ლაპარაკია არა მარტო მეფეთა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის „გლოვის წესზე“. თეიმურაზ ბაგრატიონი „ისტორია ივერიისაში“ წერს: „არც ერთი ნათესაობა ქვეყანასა ზედა ჰყოფდეს გლოვასა და საღმობსა მკვდართა ზედა, ვითარცა ნათესაენი ქართველთანი, რომელ შემდგომად სიკვდილსა მოყვასთა თვსთანა, თვნიერ ტირილისა და გოდებისა, ჰკვემდესცა მათრახითა შიშველთა კორცთა თვსთა, ქალნი დასხდებოდეს ცხელთა ნაცაოთა ზედა ნაცვერცხალითა აღრეულსა, შეამკობდეს კაცთა მომკვდართა სამამაცოთა სამკაულითა და საჭურველითა, და ქალსა საქალოსა სამკაულითა, შთაუწყობდეს პირთა შინა ღრაჰანთა ოქროსა და ვერცხლისასა და ესრეთ მისცემდეს პატიოსანსა დაფლვასა მიწასა შინა. მერმე შემდგომად მგლოვიარენი მკვდართანი მოსწენიდეს წნელთა მიერ ზართა, ვითარცა მცირეთა რათმე სადღურთა, მოაკვირდენ ზარსა მას ძაძითა და ესრეთ შთასხდებოდინან მათ შინა მრავალ-ჟამ მგლოვიარენი. რომელნიმე წელიწადსა სრულსა, სხვანი ორსა და სამსა წელსა მას შინა იყოფოდინან; და უკეთუ წარვიდოდეს სამყოფით ნათით სხვასა რომელსაჲ სოფელსა ანუ სადღურსა. ზარი, მოკრული ძაძითა ურემთა ზედა შეამზადიან, შთასხდიან მათ შინა, და ესრეთ ადგილითი ადგილად მიმოვლიდიან<sup>13</sup>. შრომის სქოლიოშიც ლაპარაკობს თეიმურაზი ჩვენი წინაპრების „გლოვის წესის“ თაობაზე<sup>14</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონმა „დავით ბაგრატიონის ისტორიაში“, მის განკარგულებაში არსებული მასალისა და წყაროების მიხედვით, რელიგიურად წარმოგიდგინა ერეკლე მეორის გლოვის ცერემონიალური მხარე. აქ ერეკლე მეორის გლოვისა და დასაფლავების ისეთი დეტალებია მოცემული, რომელიც სხვაგან არ გვხვდება. მაგალითად, თეიმურაზისაგან მომდინარეობს ცნობები ერეკლე მეორის დამტირებელ ქიზიყელ ქალზე<sup>15</sup>, რომ შესაძლებელი ყოფილიყო „ტირილის“ ჩაწერა, მისი სახით ჩვენ გვექნებოდა ფრიალ ფასეული მასალა ამ ეპიზოდის შესასწავლად.

თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიულ თხზულებებში დატული ცნობები ჩვენი წინაპრების „გლოვის წესის“ თაობაზე უაღრესად ფასეულია ხალხური სამგლოვიარო პოეზიის მეცნიერული შესწავლისათვის.

თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის ცნობა მაჩაბელა საზანდარსა და 1795 წელს ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისში მისი გმირულად დაღუპვის შესახებ<sup>16</sup>.

ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 4. გვ. 87—88.

<sup>13</sup> თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწვებიდან ივერიისა..., გვ. 53.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>15</sup> თ. ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, გვ. 70—73. ამის შესახებ იხ. მეფე ერეკლეს სიკვდილი, „ივერია“, 1898, № 7. კ. ქეკელიძე, „გოდების“ ეპიკური და „გლოვის წესი“, ეტიუდები, I, 1956, გვ. 219—220. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 1975, გვ. 204—ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საემირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 92—93. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974, გვ. 7.

<sup>16</sup> თ. ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, გვ. 35. თეიმურაზ ბაგრატიონის ამ ცნობის მიხედვით. გ. ლეონიძემ უარყო ლეგენდა საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის შესახებ თბილისის დაცვისას, 1795 წელს (გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა,



თეიმურაზ ბაგრატიონი „ივერიის ისტორიაში“ მსხვერპლშეწირვის რიტუალს ეხება. აქ ისტორიკოსი არ ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში ოდესღაც არსებულა მსხვერპლშეწირვის ტრადიცია, რომელიც შემდგომ საუკუნეებში აღკვეთილ იქნა მეფე რევის მიერ<sup>17</sup>. მეცნიერი წერს: „კვალად ესეცა წერილ არს, ვითარმედ დაუკვლიდესო, რეცა მსხვერპლად კერპთა ქართლოსიანნი ძეთა და ასულთა თვისთა, ესეცა არა არს ქეშმარიტ, ვინაიდგან უძველესნი ერნი ქართლოსიანთა არა თუ ძეთა და ასულთა დაუკვლიდეს, არამედ პირველსა ჟამსა მხოლოდ შესაწირავი მათი იყო კერპთა მიმართ მფრინველთაგან წმინდათა, გარდა ქათმისა, ხილნი ფერად ფერადნი ახალნი და ძველნი, თათლნი ახალნი გარდაუმდნარნი გოლუულთა, გამტკიცულნი პურნი შოთად გამომცხარნი ფრიად წმინდათაგან იფქლთა, რომელსაცა სახელის-ღება მისეუ არმავ ღუთად საგონებელისა აქვნდა. შოთთა არს არმავ ღმერთისა სახელი, ხოლო შოთი პურისა მისდამი შეწირულისა. რეცა, იგი არს სახე მკლავისა კაცისა, რომელსაცა მოცემისათვის მკლავისა ძლიერებისა და ხრმლისა მკვეთლობისათვის შესწირვიდეს ღმერთთა (ესეგვართა პურთა აწცა აცხოვენ ფრიად წმიდისაგან იფქლისა, სპეტაკსა და უკეთესსა, რომელსაცა სახელის ღება აწცა იგივე აქვს ძველი და უწოდებენ შოთსა). შესწირვიდეს ღვინოსა ახალსაცა და ძველსა, აღუწებდეს სანთელთა დიდ-ღირდა შთამოსხმელთა ცვილთაგან (ესე იგი წმინდა სანთლებს), უკმევიდეს წმიდათა და ფრიად სურნელთა საკმეველთა და შეამკობდეს ფერად-ფერადითა ყვავილებითა, ძროხათა და საცხოვართა არა დაუკვლიდეს პირველ, არამედ შემდგომად, მეფემან სრულიად ივრთამან რეუ პირველად განუწენსა შემდგომად მრავალთა საუკუნეთა, ვინაითგან კეთილი და მოწყალე კაცი იყო იგი და უყვარდა გლახკანი, რათა შეწირულნი იგი ცხოვარნი და ზროხანი მიეცემოდეს გლახაკთა, რათა საკვარ იყოს განძებდა მათი ამით“<sup>18</sup>.

თეიმურაზის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება უთუოდ საინტერესოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისტორიკოსი ამ შემთხვევაში უნდა გადმოგვეცნადეს ქართული კულტურის განვითარების იმ საფეხურს, როცა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მსხვერპლის სხვადასხვა სახით შეიცვალა და მხოლოდღა მოგონება დარჩა ამ ფაქტის შესახებ თაობიდან თაობამდე გადასული.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის საყოველთაო ჩვეულება იყო. მას საფუძვლად უდევს ძველი დროის ადამიანთა პრიმიტიული წარმოდგენები ბუნების მოვლენებზე. მართებულად ამბობდა

ჟ. ფრეზერი: „Человек которого изобильная фантазия верующих людей всячески божественными отряпками, должен был пожертвовать своей жизнью за жизнь природы“. ახალ გვიწიაში, ენგას ტომში დღემდე ცოცხლობს კაცობრიობის შორეული წარსულის სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალი<sup>19</sup>.

„ივერიის ისტორიაში“ თეიმურაზ ბაგრატიონი ვრცლად მოგვითხრობს ასურეთის დედოფალ სემირამიდას შესახებ. ისტორიკოსი წერს: „სემირამი-

თბ., 1930, გვ. 38—39; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974, გვ. 7. შტრ. ალ. ბარამიძე, საიანოვა, თბ., 1963, გვ. 104; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, თბილისის უნივერსიტეტის პუბლიკაციური სამსახური, ტ. VII, თბ., 1949, გვ. 94).

<sup>17</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისა, გვ. 139.

<sup>18</sup> თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა..., 191—193.

<sup>19</sup> იენს ბიერი, შეხვედრა ქვის ხანასთან, თბ., 1970, გვ. 27—29.

დათუს მოუთხრობენ პირველთაგან ცხოვრებასა მისსა. უშეტეს სტიხის მოქმედნი უწოდენ მას ასულად სირინოზთა და ღერცეტთა (მათ აღიარებენ ბერძენნი ღმერთებად). სემირამიდა დატევებულ იყო ეამსა შობისა თუსისა ერთსა უდაბურსა ადგილსა და აღზრდილ იყო ტრედთაგან, რომელნიცა მოუტანდენ მცირესა რასმე კურკელსა შინა შთასხმულსა სძესა, აღისწილდენ მას პირით თუსით და ასმიდენ სძესა მას ესრეთ და თუსითა ფრთითა ზედა აგრილებდენ მას. „სემირამიდაჲ, რეცა საკვირველისა ამა შემთხვეულებსა გამო მიიღო ტახტის ასურეთისა და უკეთუმცა არა ჰყოლოდა დედად სირინოსი არამცა აღზრდილ იყო ტრედთაგან, რომელთაცა მიიღო სახელიცა, ვინაიდან სემირამიდა ნიშნავს ასურულად ტრედსა. მაშასადამე, სახელი მისი იწარმოებობს, რეცა სასწაულებრივისა ამის შემთხვეულებისაგან. საგონებელი ესე ქალი ასულად სირინოზთა აზრდილ იყო მწყემსთა შორის და ეამსავე სიმცრომსა თუსისასა იყოფოდა სრულიადსა განსაკვიფრებელსა შინა მშვენიერებასა, სრულიად აღმოსავლეთსა შინა არა იპოვებოდა მსგავსი მისი“<sup>20</sup>.

„ივერიის ისტორიაში“ გადმოცემულია აგრეთვე ივერიის მამასახლისის სამი ძის (სამი ქართველი ძმის) თანხლებით სემირამიდას ივერიაში მოსვლისა და კეკელიძის ერთ უმცირეს კლდეზე, სემირამიდას ბრძანებით, მისი სახის გამოკვეთის ამბავი (გვ. 67, სქ.).

თ. ბაგრატიონი სემირამიდას მითის გადმოცემისას წყაროებსაც ასახელებს: „მოუთხრობენ მისთვის ჰერადოტ, იუსტინე, ვალერიანე, მაქსიმოიანე, სტრაბონ და დიოდორ“ (გვ. 65, სქ.), პლუტარხ (გვ. 64).

საგულისხმოა ისტორიკოსის თვალსაზრისი აღნიშნული მითის ისტორიულ ღირებულებაზე. იგი წერს „თუმცაღა ტრედთა მიერ აღზრდაჲ მისი არს ზღაპარსიტყუაობა, მაგრამ ხელმწიფებისა მისისა დიდებულნი და ღირსსახსოვარი საქმენი არიან მართალ“ (გვ. 65).

სემირამიდა — ასურეთის დედოფლის-შამურამიტის (IX ს. ჩვ. წ-დღე) გაბერძნულებული სახელწოდებაა. მის შესახებ შეიქმნა მრავალი მითი, რომლებიც თანდათან გადადიან სიყვარულისა და ნაყოფიერების ღმერთებზე: დერკეტოსა და ასტარტეზე.

სემირამიდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც არის დამოწმებული<sup>21</sup>.

სემირამიდას გარდაცვალებაზე არსებობს საკმაოდ ლამაზი მითი, რომლის მიხედვითაც იგი კი არ მოკვდა, არამედ როდესაც სიკვდილის დრომ მოუწია, მტრედად იქცა და ცაში გაფრინდა, იქ კი ღვთაებად გადაიქცა. დიდი სახელმწიფოს დამაარსებელთა და ხალხისათვის სათაყვანებელ აღამიანთა ღვთაებად ქცევის მითები საკმაოდ ბევრია ყველა ხალხის მითოლოგიაში.

ხალხის უძველესი წარსული ხშირად რომანტიკულ ინტერესს იწვევს და ლეგენდებით იმოსება. ძნელია მოიძებნოს ხალხი, რომლის წარმოშობისა და შორეული წარსულის შესახებ შეთხზული არ იყოს ათასგვარი ზღაპარი და ლეგენდა. სწორედ ასეთ ლეგენდათა ჯგუფს მიეკუთვნება თ. ბაგრატიონის „ივერიის ისტორიაში“ დატული ხალხური გადმოცემა ა. მაკედონელის საქარ-

<sup>20</sup> თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა...

<sup>21</sup> ეფრემ მ. მცირე, ელინთა ზღაპრობანი, ილია აბულაძის გამოცემა, ენიშკის მოამბე, ტ. X, 1941, გვ. 28. პეტრე ჩხატარაისძე, „ქართული აღუქსანდრიანი (იხ. აღ. ბარაბაძე, ქართული აღუქსანდრიანი, ნარკვევები, II, 1940, გვ. 235—236. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974, გვ. 194).

თველოში ლაშქრობისა და აზოს შესახებ (გვ. 109—111). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვადმოცემის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია, რომ თითქოს ა. მაკედონელს „შიგნითა კახეთისა თავსა“ უჩვენეს „საშინელად სახილველი იგი კლდე მთისა მის დიდისა კავკასიისაგანი, რომელსაცა ეწოდებოდა საყორნე. სადაც პრომეთეოსი იყო დამსკველული“ (გვ. 111).

ა. მაკედონელის ქართლში მოსვლის ამბავს „მოქცევა ქართლისაჲს“<sup>22</sup> საისტორიო ქრონიკიდან მოყოლებული ბევრი ქართველი შემატიანე მოგვითხრობს, მაგრამ მას რაიმე რეალური საფუძველი, ან ისტორიული გამართლება არ გააჩნია. როგორც ჩანს, ქართველი შემატიანენი შეცდომაში შეუყვანია იმ დროს გავრცელებულ აზრს ორი კავკასიონის — ერთი ძველი, ტრადიციული, დღევანდელი კავკასიონის, მეორე — შედარებით ახალი, ინდოეთის კავკასიონის (დღევანდელ პინდიუსის აღნიშნავს) არსებობის შესახებ. სტრაბონის აზრით. ინდოეთის კავკასიონის წარმოშობა ხელოვნურია, მასში წილი მიუძღვის ა. მაკედონელის მწერლებს, რომლებსაც თავიანთი მეფის მოღვაწეობის გაზვიადების მიზნით, თანდათან შორს გადაქონდათ მისი ლაშქრობების საზღვრები. სტრაბონის სიტყვებით, „მრავალთა მიერ განსადიდებლად ვადმოცემული მოთხრობები (მათ შესახებ), თუ ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ ეს იმიტომ, რომ შენთხვევლები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ. ეიღრე ჰემ-მარიტებაზე“<sup>23</sup>.

\* \*

3. იოსელიანის ისტორიული მონოგრაფია „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“<sup>24</sup> (როგორც შემდეგ გამოირკვეა, ეს იყო გიორგი მეთორშეტე), ისტორიული ცნობების გარდა, საჭირო მასალას გვაწვდის ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების შესახებ.

ისტორიკოსს ფოლკლორული მასალა სჭირდება ისტორიული გარემოს უფრო ნათლად წარმოსაჩენად. 3. იოსელიანის „ისტორიაში“ ზეპირსიტყვიერება მეფის მოღვაწეობის შესაფასებლად და ძირითადად გამოყენებული, მეფის ბუნების წარმოსახვას ენახებრება და ამავე დროს ყოფის სურათის შექმნის ფუნქციაც აქვს დაკისრებული.

3. იოსელიანის შრომაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ჩართულია ტრადიციული საბავშვო ლექსი „იწილო ბიწილო“, ნაჩვენებია ამ ლექსის როლი ბავშვის გართობა-თამაშობაში, მინიშნებულია მის სასწავლო დანიშნულებაზე.

ისტორიკოსი ვადმოგვეცხვს: „დღესა ერთსა მეფესთან (გიორგი XII-თან. — გ. ა.), განრისხებულსა ძმათაგან თვისთა შფოთთა გამო, შეიყვანეს წვრილნი შვილნი მისნი: ოქროპირ და ირაკლი. — გამდელთა მათთა დაუსვენს იგინი ახლოს მცფესა დაფიჭრებულსა. ლალა მეფის ძის ილიასი დავით აბაშიძე და გოგია ბარათაშვილი უალერსებდნენ და ეთამაშებოდნენ ყმაწვილთა. ესრეთსა აღერსსა შეუდგა თქმა წყობითი „იწილო-ბიწილოსი“. საცხებისათვის მოთხრობისა ამის მართლიე დაესწერ ამასაც აქავე:

<sup>22</sup> E. Такашвили, Описание, т. II, вып. 4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964.

<sup>23</sup> თ. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 139—140; მ. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 284—285.

<sup>24</sup> 3. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936.

„იწილო ბიწილო, შროშანო გვირგინო, ალხო მაღხო, ჩიტმა განახოს, შენი ფესვი	ფესმანდუკი, აბლა უბლა გადასუბლა, აქეგ მაქეგ, მეფეე ჩაქეგ“.
--	--

ჩვეულებრივად ქართულთა, იტყოდენ ამას რამდენჯერმე და დაასწავლი-  
დენ ყრპათა განმახელებისათვის და დალესვისათვის მეხსიერებისა; ეგრეთვე  
ძლიერისა, მტიციისა და წყობითისა ლექსთა და სიტყვათა წარმოთქმისათვის.

...მეორესა დღესა განვიდა ხმა ქალაქში მეფე იწილო-ბიწილოსა შეექცე-  
ვაო. სცნო ესე მეფემან, გარნა არ განრისხდა; შეივლესა დასდვა ეპვი და  
სდუნა. — დედოფალმან მარიამ შეიტყო ესე და შესჩივლა მამასა თვისსა გო-  
გიას. აჩქარებული გოგია დაამშვიდა თვით მეფემან, სიძემან მისმან და უბრ-  
ძანა დეძილი. ამავე დროს შევიდნენ მეფესთან სარდალი იოანე, ალექსანდრე  
მაყაშვილი, ელიზბარ ფალავანდიშვილი, და მელიქი ქალაქისა დარჩია, თან  
შეჰყუა ამათ წირვისა შემდგომად მღვდელი ონისიმე იოსელიანი და მიართვა  
მეფესა სეფისკერი. მაშინ უბრძანა შეიყვანონ მასთან ყმაწვილები ილია,  
ოქროპირი და ირაკლი. „გოგიაე, — ბრძანა მეფემან, — თუ გიყვარდე, შეაქ-  
ციე ყმაწვილები იწილო-ბიწილოთი, დასხედით ონისიმესთან, მაგასაც ეცოდინ-  
ება იწილო-ბიწილო“. — ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომელ მეფობისა საქმე-  
თაც განვაგებო და ალერსსაც ყმაწვილებთან დროს ვუპოვიო<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, ისტორიკოსმა ხალხურ მასალას მისცა თავისებური  
გააზრება, დააყისრა გარკვეული ფუნქცია მეფის ხასიათის ნათლად წარმოჩე-  
ნისათვის.

ლექსი „იწილო-ბიწილო“ დღესაც ცოცხალია ზეპირსიტყვიერებაში. იგი  
ხალხურ საბავშვო რეპერტუარშია შესული.

ზემოთ მოყვანილი ადგილი არაა ინტერესმოკლებული იმ მხრივაც,  
რომ აქ თხრობის სტილი მსუბუქია და სადა. საერთოდ ამ ისტორიულ მონო-  
გრაფიაში შეინიშნება სტილის სისადავე, ცოცხალ ენასთან სიახლოვე. ეს მით  
უფრო საყურადღებოა, რომ პ. იოსელიანის ბევრი შრომის ენა ამაღლებული  
სტილისაა.

პ. იოსელიანის სტილზე დაკვირვებისას შეგვიძლია დავიმოწმოთ ისტორიის  
მამის—ჰეროდოტეს საყოველთაოდ ცნობილი მაგალითი. ჰეროდოტე არა მარ-  
ტო სწორუპოვარი ისტორიკოსი იყო, არამედ აგრეთვე ზღაპრულ-ლეგენდური  
მოტივების დიდებული მთქმელი-იმპროვიზატორიც ყოფილა. მისი უკვდავი  
„ისტორიის“ ყველა წიგნი აღსავსეა ზღაპრული თქმულება-ლეგენდებით, რომ-  
ლებიც მთქმელის სტილით გადმოუცია სახელოვან ისტორიკოსს<sup>26</sup>. ამიტომ  
მკვლევრები ჰეროდოტეს თხზულებებში არჩევენ ორ სტილს: ერთი, რომლი-  
თაც ისტორიკოსი გადმოგვცემს თავის დაკვირვებებს, — აქ იგრძნობა მისი,  
როგორც მეცნიერის, სტილი, ხოლო მეორე, რომლითაც გადმოგვცემს ლე-  
გენდურ ამბებს, აქ კი იგრძნობა მისი, როგორც მთქმელის სტილი<sup>27</sup>.

<sup>25</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერლის შესავალი  
წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 172—173.

<sup>26</sup> В. Клиффер, Сказочные мотивы у Геродота, Киев, 1903, И. И. Толстой,  
Язык сказки в греческой литературе, «художественный фольклор», IV—V, М., 1928,  
გვ. 82—93.

<sup>27</sup> ალ. დლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975, გვ. 12.

ბ. იოსელიანს თავის „ისტორიაში“ მოყვანილი აქვს ძველი ღროიდანვე მომდინარე მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლექსი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დახასიათებას შეიცავს. ისტორიკოსი წერს: „თავადა იოანე აფხაზიშვილსა, კარდანახელსა, მეფისა გიორგისა მიჩნეულსა და პატივემულსა, ხშირად წარმოათქმევინებდა ლექსთა ძველად გოჩასაგან თქმულთა, ოდეს დაესწრებოდა თფილისს და ეახლებოდა მეფეს:

განთქმულა პირველ ბრძენთაგან, სიღარბისლე მესხისა,  
 ომი და შებმა კახელთა, მისანდომია არ სხვისა,  
 ჩუქება პირველ ეარგობა, ქართველთა არ ეძრახვისა,  
 არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა.  
 მთიულნი ცხენსა მოგპარვენ, თუ თვალი დაიხუჭია,  
 მიბრძანდი საციციანოს, მოგართვან ბატის კუჭია,  
 საამილახვრო ბიჭები, მკერდ-ზრქელნი, შიგნით ფუჭია;  
 დოიანთ ბარათიანთა ხმაღულად აცელებათ მუჭია.

მეფე ათქმევინებდა ამას გასამხნეებლად კახთა ომისა და ბრძოლისათვის. „მეამება, როცა შენ წარმოსთქვამ ლექსთა ამათო, — მიბრძანებდა მეფეო, — მსუქნად იტყვი ხოლმეო და მადიანად“. ბ. იოსელიანი დასძენს: „ეს მოთხრობა თვით იოანე აფხაზისაგან მაქვს გაგონილი ჩემსა სიყრმეში“ (გვ. 166).

მ. ჯანაშვილს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომში „მესხეთი“ მოყვანილი აქვს ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი ასეთი სახით:

„პირველ თქმულია ძველთაგან სიღარბისლე მესხისა,  
 ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა,  
 პურადობა და ვაჭრობა ქართლელს არ ეზრახისა,  
 ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა“<sup>28</sup>.

ე. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, ამ ლექსს ზოგნი თეიმურაზ პირველს აკუთვნებენ და ზოგნი გოჩას: „Стихотворение, приписываемое то Тенмуразу I, то Гоче описаны: таха хаҭаҭеристиკи карталинцев, кахетинцев и имеретин. ზრდულნი არიან იმერნი, с неудачными прибавлениями о Гурийцах, мингрелцах, обхазцах и сванах“<sup>29</sup>.

ა. ხახანაშვილმა ლექსის მეორე ოთხი სტრიქონი, რომელიც შეიცავს სატირას („მთიულნი ცხენსა მოგპარვენ...“) თეიმურაზს მიაწერა<sup>30</sup>. მაგრამ იგი, როგორც ნუსხებშია აღნიშნული (S 1512; 212, 213)<sup>31</sup>. ეკუთვნის არა თეიმურაზს, არამედ გოჩას.

განსახილველი ლექსი გახალხურებულია. ხელნაწერებსა და გამოცემებშიც ვარიანტების სახითაა დაცული, თუმცა მისი ავტორია ვინმე გოჩა.

ხალხურად ქცეული ამ ლექსით არის შთაგონებული გრ. ორბელიანის „საღდეგრძელის“ სტრიქონები:

„თაშარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,  
 კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს შეენის ახჭარი,  
 მკლავით ძლიერით ქართველი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,  
 ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!  
 მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,  
 და მშვიდღოსობით აფხაზი, გურული, მეკრი მშვირცხლობით“..

<sup>28</sup> მ. ჯანაშვილი, მესხეთი, თბ., 1915, გვ. 8.

<sup>29</sup> ე. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 319.

<sup>30</sup> Очерки, III, გვ. 154, 155.

<sup>31</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექციისა, II, გვ. 279.

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ეს ნაწევები ქართული ფოლკლორის ტრადიციას ეყრდნობა და ავითარებს.

პ. იოსელიანის შრომაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ მოიპოვება საყურადღებო ცნობები ხალხური ტრადიციის თაობაზე. მაგალითად, აქ დაცულია ცნობები საიათნოვას (გვ. 263), ოთარ ქობულაშვილის (გვ. 263), შიო მექიანურის (გვ. 264), დავით მეთარე წავეისელს (გვ. 264) და სხვათა შესახებ.

საიათნოვა ასეა დახასიათებული: „საიათნოვა იყო მწერალი მარტივისა საუბრისა ენითა, გარნა ჰპართა მკვეთრთა მექონი. მისთა თქმათა დღესაც იგავად იტყვიან ქართველნი; იყო მომღერალიცა“. ოთარ ქობულაშვილზე ნათქვამია: „ოთარ ქობულაშვილი სოფლისა კისისხევისა, დესპანი ქართველთა მოსკოვსა, ოდეს შეერთდა საქართველო რუსეთსა 1801 წელსა. იყო ესეცა მოლექსე სიყვარულისა და მიჯნურობისა. ლექსთა მისთა იმღერდნენ ქართველთა მოსაკრავენი და მექიანურენი“. საინტერესო ცნობაა დაცული შიო მექიანურზე: „შიო მექიანურე, ქებული მრავალთაგან და მომღერალიცა... გვეშული დროთა ცვლილებისაგან, მტირალი წარსულთა ეამათათის, მისთვის ტყბილთა და ცრემლით მოსაგონთა. თვით პოეტი გოდებით ჰკრავდა ჩანგთა და აგოდებდა თვით ჩანგსა“. აქვე მოხსენიებულნი არიან თბილისელი მომღერლები: ალაქა, ალავერდა, ოტია (გვ. 265).

მრავალმხრივი საინტერესო ნაშრომაა პ. იოსელიანის „ქალაქ დუშეთის აღწერა“<sup>32</sup>. გაწეული შრომის შესაფასებლად ავტორს მისთვის წარუშლდებარებია არისტოტელეს სიტყვები: „ამ ნაშრომს მე ბევრი დრო და ენერჯია მოვახმარე“. „აქ დუშეთის მთელი მაშინდელი მაზრაა აღწერილი გეოგრაფიულად და კლიმატურად, დახასიათებულია მისი მოსახლეობა და ეკონომიკა, ისტორიული ძეგლები და ხალხის ჩვეულებები“<sup>33</sup>. ნაშრომი გვაწვდის რაც ცნობებს ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების შესახებაც. ერთ-ერთ თავში „ეთნოგრაფიული შენიშვნები“ ავტორი ვრცლად მიმოიხილავს სახალხო დღეობებსა და წეს-ჩვეულებებს: 1. ცეცხლზე გადახტომა ვნების კვირის ოთხშაბათს, 2. კიდაობა, 3. მუშტით ბრძოლა (კრივი), 4. ყველიერის დღის გართობა-თამაშობანი, 5. ცხენთა ჯირითი, 6. ყეენობა, ჭონა და სხვ. ისტორიკოსი თითოეული წეს-ჩვეულების დახასიათებას სხვა ხალხთა წესჩვეულებებთან მიმართებაში გვაწვდის. ყეენობაზე იგი ამბობს: ყეენობა „იმართებოდა დიდი მარხვის პირველი კვირის ორშაბათს. ფიქრობენ, რომ ის გამოხატავდა ძველი შაჰების გამასხარაუებასა და დამცირებას. მთელი ქალაქი მონაწილეობდა ამ წარმოდგენაში. პ. იოსელიანი ყეენობის თამაშში ხედავს იმის განმეორებას, რაც იყო საფრანგეთში ჭერ კიდევ მე-15 საუკუნეში „mer folle“-ს სახელწოდებით. მას მიზნად ჰქონდა მხიარულობა და გართობა ყველიერის დღეებში. კრებული შედგებოდა ექვსასი კაცისაგან. მათგან რამდენიმე კაცი მწვანე, წითელსა და ყვითელი ფერის კოსტუმს იცვამდა. სასაცილო ქულით თავზე სხდებოდნენ ეტლზე და შემოვილიდნენ ქალაქის ჭუჩებს, აცინებდნენ ხალხს მუხიკის ხმაზე და ხელში ეჭირათ სულელური ქული და სულელის თავი. ამ თავყრილობის მოთავე სულელად ინათლებოდა. მას ჰქონდა თავისი ეზო, ჰყავდა დაცვა, მისი ნებასურვილი სწრაფად სრულდებოდა“ (გვ. 68). პ. იოსელიანის აზრით, საქართველოში როდის შემოვიდა ეს ჩვეულება არაა ცნობილი. მაგრამ ის საკმაოდ ძველია და ფართოდ გავრცელებული.

<sup>32</sup> პ. იოსელიანი, Описание города Душета, Тб., 1860.

<sup>33</sup> ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 78.

პ. იოსელიანი კონანს შესრულების აღწერილობაში იყენებს როგორც ლიტერატურულ, ისე ფოლკლორულ ლექსებს. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ კონაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, დადიან სახლებში ყოველ საღამოს, დიდი მარხვის შუა დღეებიდან მოყოლებული აღდგომამდე და თითოეული სახლიდან კრებენ კვერცხებს. ამასთან უპირატესად მღერაინ შემდეგ კუპლეტებს:

„შე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა,  
მოკუჭდები ჭავრი ჩაშუება, სამის ღამაზის ქალისა,  
ერთი მეტად ღამაზია, მეორე ღელწამატანისა,  
შესამე ასეთი არის, დამყენებელი თვალისა“.  
„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი,  
ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“.

პ. იოსელიანის აზრით, კონა მსგავსია მუსულმანურ სამყაროში გავრცელებული წეს-ჩვეულების „ჩენკისა“, რომელიც მას კონსტანტინოპოლში უნახავს 1849 წელს. იმ განსხვავებით, რომ იქ ჩენკებად 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები იწოდებიან. იგი ფიქრობს, რომ კონა დღემდისა და სქართველოს სხვა კუთხეებში თურქეთის დროებითი მფლობელობის ნაშთი უნდა იყოს და ამ სახელის ქვეშ მუსულმანური მუზის კვალი იქნა შემონახული (გვ. 71). რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი, კონა, როგორც გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურაში, დიდმარხვის. აღდგომის წინა პერიოდის ჩამოვლითი სახალხო ჩვეულებაა. რამელიც გენეტიკურად ახლოაა აღდგომის დღესასწაულთან. კონა აღდგომასთან შემაერთებული ხილია, თუმცა როგორც კონის, ისე აღდგომის წეს-ჩვეულებათა სათავეს ქრისტიანობამდელი წყაროები აქვს<sup>34</sup>.

ყურადღებას იქცევს პ. იოსელიანის შეხედულება არაგვის მოსახლეობის სიმღერებზე. ისტორიკოსის დაკვირვებით, თბილისელ ქართველთა სიმღერებისაგან რამდენადმე განსხვავებულია არაგვის მოსახლეობის სიმღერის კილო. რადგან მათი მართლმადიდებლური ღირსათვის უცხოა მუსულმანური სამყაროდან მოტანილი ხმები. „Грузин берегов Арагви, — ამბობს ისტორიკოსი, — поёт как бы воздыхающий, жалующийся, плачущий, сокрушённый чувствованиями, и в то время когда нашет, и в то время, когда ширует свадьбу.“

Дворянство арагвское, как вообще грузинское, с еди бурьбы за св. крест изучило песнопения святых, песнопения сions и лири духовной, религиозной. За большим столом оно пело и поют ирмоси церковные. (გვ. 71).

ქართული ფოლკლორის პრობლემების კვლევის დღეიანდელ ეტაპზე პ. იოსელიანის ზოგიერთ მოსაზრებას ფოლკლორული ტრადიციის ამა თუ იმ საკითხზე უკრიტიკოდ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ მისი თვალსაზრისი არაგვის მოსახლეობის სიმღერების თაობაზე სწორია და გასაზიარებელი

განხილული მასალის საფუძველზე ერთგვარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ქართველი ისტორიკოსების — თეიმურაზ ბაგრატიონისა და პლატონ იოსელიანის შრომების ერთ-ერთი წყარო ფოლკლორია. მათ შრომებში დამოწმებულია ზეპირსიტყვიერების ისეთი ეანრები, როგორცაა: — შიტები და ლეგენდა-გადმოცემები, ხალხური პოეზიის ნიმუშები, საწესჩვეულებო რიტუალები და სხვ.

<sup>34</sup> შ. ნ. იქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 1975, გვ. 499.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ნანა ჩხეიძე

## „ქილილა და დამანას“ A ვერსია

(ორიგინალთან მიმართება)

ენგზ ქაშეჩის (გ. 1505 წ.) თხზულების „ანვარ-ე სოჰაღის“ ანუ „ქილილა და დამანას“ პირველი ქართული მთარგმნელია დავით კახთა მეფე (გ. 1602წ.), თეიმურაზ I-ის მამა და ქეთევან წამებულის მეუღლე<sup>1</sup>. დავითს არ დასცალდა ამ ძეგლის დასრულება. ვახტანგ VI-ის (გ. 1737 წ) გადმოცემით, „ქილილა“ მას ნხოლოდ „ქუსა და მორიელის“ არაკამდის უთარგმნია.

დაწყებული საქმის გავრცელება ვახტანგ VI-ს ქართულის მცოდნე სპარსელისათვის მიუხდევია. „...მან თარგმნა იყყო, მაგრამ ენას უცოდინრობით ვერც კარგა გაყოილო, და გასრულებამდი მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა... და მან შეასრულა“<sup>2</sup>.

ამრიგად, ცხადია, რომ „ანვარ-ე სოჰაღის“ ერთ-ერთი ვერსია სამ პირს უთარგმნია: დავით მეფეს, უცნობ სპარსელსა და უცნობ სომეხს<sup>3</sup>. ეს თარგმანი ლტერატურაში A ვერსიის სახელით არის ცნობილი. სწორედ ამ ვერსიით იწყება ქართული „ქილილა და დამანას“ ისტორია.

ქართული „ქილილა და დამანას“ A ვერსიის ერთი მხრივ ორიგინალთან, ხოლო მეორე მხრივ სხვა ქართულ თარგმანებთან შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში: 1. A ვერსიაში უკეთაა გაგებულნი ტექსტი, ვიდრე სხვა თარგმანებში. 2. ორიგინალის რთულ ტექსტს A ვერსიის მთარგმნელი ვერ იგებს. 3. ზოგი ადგილი მას საერთოდ არ აქვს თარგმნილი. 4. შინაარსი გამარტივებულია. 5. ტექსტი გაერცობილია.

## 1. A ვერსიაში უკეთაა გაგებულნი ტექსტი, ვიდრე სხვა თარგმანებში

— جداول چشمه ساراش چون جویهای روضه رضوان درخشان<sup>4</sup> —  
 „მდინარეები, ვითარცა საშობის ბაღის ნაკადულები ისე ბრწყინავდნენ“. A 2—...მ დ ი ნ ა რ ი ს ა ე ა ზ ნ ე ბ ი ს ა საშობის წყაროსა მსგავსად ნათობდა<sup>5</sup>. B 18—

ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ანვარი სოჰაღის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1945, გვ. 248.

2 ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა, ი. ჭ ყ ო ნ ი ა ს რედაქციით, 1886, გვ. 11.

3 ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

4 (მითითების დროს აღენიშნავთ ლიტერით — 0) , کلبه و دهنه کاشفی یا انوار سبلی ، تهران ، ۱۳۴۱ ، شمسی

5 ტექსტზე მუშაობისას ხელთ გვერდნა A ვერსიის ორი ნუსხა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (S—3177) და საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის (№ 03628). ეუთოთებთ პირველს.



მისის წყაროების რუის ნაპირს სამოთხის ბაღებსავე ხენი გამოწყო-  
ბილნი იყო. C 207,28—მისთა წყაროთა ნაღინობათა კიდეთა, სამოთხისა  
მსგავსად ხენი გაწყობით იღგნეს<sup>7</sup>.

როგორც ჩანს, درختان — (ბრწყინვა(ღება), ელვარება) ეახტანგს წაუ-  
კითხავს როგორც درختان — ხეები. საბაე იმეორებს ეახტანგის შეცდომას.

2. 040 وهر قوتی و حر کنی که در اعضا و احرای او بود روی بحیز عدم آوردہ  
„რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პირი არყოფნისაკენ იბრუნა“. A 33—  
რაც ძალი და სამრახობა ჰქონდა, ყუალა დაჰქარგა. B 55—რაც ძალი  
ტანშიდ ჰქონდა, სულ ცხვირიდამ წაედინა. G 243,26—ტანის ძალი  
და სიძენე ცხვირის ნესტოდამ გასთხია.

3. 049 سیر و قاحت در روی کشیدہ — „ურცხვობის ფარი პირზე დაიფა-  
როს“. A 43 — ფარი ურცხვობისა პირზედან დაიდვას. B 69 — ურცხვო-  
ბის ფარი პირზე არ დაიფაროს. C 256,29—უსირცხვილობის( ) ფარი პირთა  
არ დაიფაროს.

ტექსტში კატის უტიფრობაზეა ლაპარაკი. უსირცხვილობის ფარი დაიფა-  
როს პირზე, ე. ი. უტიფრად მოიქცეს. ეახტანგს რატომღაც წინადადებაში უარ-  
ყოფა შეუტანია, რითაც აზრი იცვლება.

4. 061 اگر پادشاه اهل غرض را از فساد و اضرار منع نفرماید بیشترى ارکان دولت  
سازد „თუ ხელმწიფე შურიან ხალხს აეკაცობას და სი-  
ბოროტეს არ მოაშლევინებს, უმეტესად ქვეყნის თავკაცებს დაამცირებს და  
დასცემს“. A 61 — ქელმწიფემან თუ ჩხუბიანი კაცი არა შეაშინა, უფროსი  
თავის სახელმწიფო ააოხროს და დაჰციოს. B 89 — თუ ხელმწიფემ მობეზ-  
ლართა და მეშურნეთ და ავენათ კაცს აეკაცობა და მის ენა და ბეზლობა და  
სიტყვა არ დააშლევინოს, მრავალი ბედნიერების გამრიგე-  
ბელთა და ერდგული სამსახურისაგან ხელს ააღებინებს და წაახდენს. C  
275,9 — თუცა ქელმწიფემან მამბეზლართა და მეშურნეთა და ავენა კატა მი-  
სი სიბოროტე, შესმენა და ავისიტყობა არ მოაყუეთინა, ბედნიერობის  
მარიგებელთა და ერთგულთა სამსახურისაგან კელს ააღებინებენ და  
წააქდენენ.

A-ს კარგად ესმის ტექსტი بیشترى — ამ შემთხვევაში ნიშნავს: „უმთავ-  
რესად, უმეტესად, უფროსი“. B უხვევს ტექსტიდან. მან დედნისეული بیشترى  
დაუკავშირა ارکان دولت-ს, რაც აზრს არღვევს. C თითქმის იმეორებს B-ს, —  
بیشترى საერთოდ ამოუღია. როგორც ჩანს, ეს სიტყვა მას ეახტანგის თარგმან-  
შიც ეჩოთირა, თავისი ადგილი ვერ მოუჩინა და საერთოდ ამოიღო.

<sup>8</sup> უეთოთებთ „ქილილა და დამანას“ ეახტანგისეულ თარგმანს, რომლის ნუსხა დაცულია  
ლენინგრადში (ყოფილი სააზრო მეზუელის ბროსესეული კოლექციის ხელნაწერი M-53) (აღ-  
წინაშეთ ლიტერით—B).

<sup>7</sup> ჩვენ ვსარგებლობთ ამ ვერსიის ბოლო გამოცემით: ქილილა და დამანა, სპარსულიდან  
თარგმნილი ეახტანგ შეექვისისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესა-  
ველი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბილისი, 1976 (აღწინაშეთ  
ლიტერით — C).

5. 092 جوغرى اموختى — „ბრწყინვალე მას ასწავლიდა“. A 107 — სიბრწყინვალესა ასწავებდის. B 136—მძიმედ ყოფნას ასწავლიდა. C 314,21—საპატიურობასა ასწავლიდა.

6. 0147 — وختان نادان — „ეი. უეიციო ვერაგო“. A 177 — ეპა უქკუო მუხანათო. B 222—ეპა უგუნურო და მოუხარშაო. C 393,28—ე, უგუნურო და უგბილო!

ვახტანგს وختان (ვერაგობა. ცბიერება) წაუკითხავს როგორც خام (უმო, მოუხარშავი).

7. 0149—... اداس و كم آزار بود — „ხელმწიფე თავის ბუნებით რაგინდ კეთილი და უწყინარი იყოს“... A 180—ხელმწიფე რაგინდ სამართლიანი და უწყინარი და შემბრალებელი იყოს... B 225—კელმწიფე რომ ბუნებით უსახელო და უდიერი იყოს. C 397,6—კელმწიფე რომე ბუნებით გაუსინჯავი და უდიერი იყოს.

8. 0340— كمر شبروى — „ქურდობის ქამარი“. A 398—მტრობის სარტყელი. B 504 — დამით სიარულის წელი. C 670,6—დამე სლვის აგან.

9. 0393 موش در گوشه مقام خود بزمزمه مشغول بود راست که نمره شور — „თავი თავის სოროში ჩუმად ღიღინებდა, როდესაც ბაყაყის შემზარაეი ხმა მოესმა“. A 463—თავი თავის სოროში იმღერდა კმითა წუნარიტა და შეესმა ქმა ბაყაყისა თავუსა. B 561—თავი თავის ალაგიდამ ერთს კუთხეში იმღერდა მართლა ტირილის ასაყენებელის კმით, რა ბაყაყმა გაიგონა... C 738,26—თავი იგი მისსა სამყოფისა ერთსა ყურესა იმღერდა, სატირალის რასმე კმითა წუწუნებდა. მან მყუარმან რა თავის სიმღერა მოისმინა.

ვახტანგისა და საბას თარგმანი არაზუსტია. თავი კი არ მღეროდა ცული, შემზარაეი ხმით, არამედ ბაყაყი. ამავე ღროს, ბაყაყს კი არ მოესმა თავის ხმა, არამედ, პირიქით, თავეს — ბაყაყისა.

## II. B, C ვერსიებში უკეთაა გაგებული ტექსტი, ვიდრე A-ში

1. 051 ميخواهم پيش از آنکه نفس بدانديتى ترا در مهلكه شہوت افكند — „მინდა, ვიდრე ბოროტი სული შენ გარყენილების საშიშროებაში ჩაგაგდებდეს...“. A 46—ასრე მინდა რომე სანამდისი შენი შევნიერი ტანი და შენი ჩემთვის დიდად სანატრელი სული ეშმაკის ხრახნილსა შინა არა ჩაეარდნილიყოს B 72—მეშინიან ავის მოქმედმა სული ავის მოქმედებისა შენს აგებულემაში არ ჩააგდოს. C 259,21—მეშინის ბოროტის მოქმედის სულისაგან ბოროტის ქმელობა შენთა ბუნებათა შინა არ დათესოს.

A ვერსიის მთარგმნელს, ამ შემთხვევაში დაეითს. بداندى (ბოროტი, ავისმოქმედი) უთარგმნია როგორ ტანი, ე. ი. წაუკითხავს بدن — بدن ტანთან იქვე ჩაუმატებია შევენიერი, დიდად სანატრელი. ვახტანგს დავითის თარგმანზე ხომ არ ეჭირა თელი? — بداندى მას სწორად ესმის, ტექსტი კარგად გაუგია, მხოლოდ საიდან უნდა გაჩენილიყო „აგებულობა“?.

2. 052—... باجگان و داع نمود... — „ქორი ყვავს გამოემშვიდობა თავისი შვილებიანად“. A 48—ყორანი დალოცა და ძმებსა

თავისი სული და თავი შეაბრალა და მამასა... B 74—ქორი ყორანსა და მის ბახალე ბს გამოესალმა. C 261. 1—ქორი იგი ყორანსა და მის მართუეთა გამოესალმა...

3. 066—آباد آبی راه بار در قسری — „მცირე ტვირთი წყლის გზაზე ჩაქარდნილიყო“. A 68—ვითა ქარი მცირედი შეპოვიდის მას ლაქუასა შინა. B 96—ერთი რამ იმ წყლის გზაში ჩაქარდნილ იყო. C 290,22—ერთი რამ მის წყლის გზათა ჩაქარდნილიყო.

როგორც ჩანს, დავითს *ბარ* (ტვირთი) წაუკითხავს როგორც *ბარ* (ქარი).

4. 078 — از گرداب بلا و تحمل بار عنا نخواهم انديشد — „გასაქირისა და მოთმინების მორევიდან საძნელო ტვირთს აღარ ვიფიქრებ“. A 87—ქართა კირისათა დათმობისა მწუხარებისათა არა შევზინდე. B 115—მოკეთეთ მორევსა და კირის საძალნეს აღარ ვიფიქრებ. C 297,23—მოკეთეთ მორევსა და კირის ტვირთებსა აღარა ეზრუნავ.

ჩანს, ისე როგორც წინა შემთხვევაში, დავითს *ბარ* (ტვირთი) წაუკითხავს როგორც *ბარ* (ქარი).

5. 0 168 — اورا بنوعی سیاست فرمود — „ისინი რაიმეთი დასჯა ბრძანა“. A 201—ასეთი სიხასათი და თვისი წყარო მისცა. B 253—მას ერთის რიგის რისხვით გარდაბადდევინა. C 422,26—და იგი რა ერთის რიგისა რისხვითა დასაჯა.

6. 0 242 — زاهی زان — „ყვავის სიწავე“. A 290—ყვავის ჩრდილი. B 364—ქილყუავის სიწავე. A-ს *سياه* (შავი) წაუკითხავს როგორც *سياه* (ჩრდილი).

7. 0 441 — شبی سوادای صحبت ملای — „კნიზკ დო სე როჯი ვბრ კრდო ვიბიდა და ერთ ღამეს მეფესთან შეყრის ხლომა თავში აუქარდა“. A 511—მოუნდა შეყრა ქალისა. B 611—მოახლემ ორიოდ დღე რომ თავისთვის დაქდა, ერთს ღამეს კელმწიფის ლხინის სევედა თავში შეუქარდა. C 802,10 — რა მხევალი იგი ორსაოდ დღესა თავით თვისით ქდა, ერთსა ღამესა ხალიფას ლხინისა საწადელი მოერია.

ქალმა ითმინა ორი-სამი დღე და არა მეფემ.

8. 0 527 — در اول تابستان — „აღრე ზაფხულზე“. A 595—შემოდგომის პირს B 704—გაზაფხულის პირველში C 916,22—გაზაფხული.

საიღას გაჩნდა A-ში „შემოდგომა“? იქნებ მთარგმნელს ისეთი სპარსული ნუსხა ჰქონდა ხელთ?

9. 0 527 — پس مردی زن ناز و جوان در عقد آرد دل در او بند و — „იღბლის წყაროს და უღირსი ქალი შეერთოს და მას შეეთვისოს, ის ქალი კი დმერთს მის სიკვდილის შესახებ დედას“.

A 596 — ბერმა კაცმა ქალი შეერთოს ქალი ყოველდღე სიკვდილის ნატრის იმკაცის კელიდამ. B 706—ერთმა ბერმა კაცმა ყმაწვილი ქალი შეერთოს ავგული გული დაანდოს, ის დედაკაცი მის სიკვდილის ყოველდღე ღმერთს ეხევეწებოდეს. C 917,30 — ბერმა კაცმა ყმაწვილი ქალი შეერთოს და ქალი, გულწაშხდარი მის სიკვდილის ნატრობდეს.

### III. ზოგი ადგილი A ვერსიაში ხაერთოდ არაა თარგმნილი

1. 064 — سرچشمه اقبال که چون سراب نمایش ندارد — „იღბლის წყაროსთვის, რომელიც მირაჟით არ მოსჩანს“. A 66—B 93—ბედნიერების

წყაროს სათავე რომ წყლის სათავეს მზგავსისად მოჩვენების მეტი არა არის რა. C 278,25—სენევიანობის წყაროს სათავე, რომელიც წყლის სათავეს მზგავსად მოჩვენების კიდე არა არის რა.

3. თოდუას ვარაუდით, ვახტანგს سراب (მირაჟი) ესმის როგორც سرآب (წყაროს თავი) <sup>8</sup>, მაგრამ საიდან გაჩნდა „მოჩვენების“? ناپیش (გარეგნობა, ჩვენება) ხომ არ ვაიგო, ვახტანგმა მოჩვენებად?

2. O 150—منه گفت مرا از بن عمل مقصود جز شرف خدمت ملک نبود  
„დამანამ თქვა: მე ამ საქმეში გარდა მეფის სამსახურად მზადყოფნისა სხვა მიზანი არა მქონია“ A 180 —B 226—დამანამ უთხრა: მე მაგ საქმისაგან არა მქონია რა ხელმწიფის სამსახურში შემატების მეტი. C 397,16—დამანამ უთხრა მე ეგეთი რამე არა მიქნია რა, ხელმწიფის სამსახურის გაძლიერებისაგან კიდე.

რიგ შემთხვევებში, როდესაც A ტექსტს არ თარგმნის, აზრი არ ირღვევა. ამ შემთხვევაში კი თარგმნა აუცილებელი იყო.

3. O 206 — عطرفروش صبا چون جین زلف مشکبازش ایامی نَشوده  
„ნიავე სურნელთ მყიდველი მზგავსად მისი მუშისმძღვრქვეველი ზილფებისა ნასკეს ვერა ხსნიდა“. A 252—B 212—ამბრის სურნელის მსყიდველი მის მუშკიანის ზილფის ნასკეს ვერ გახსნიდა. C 477,24—ამბრის სულნელებისა ვაჟა-რი მის მუშკის პაწაყისა ნასკეთა ვერ გახსნიდა.

ასეთი მხატვრული სახეების გადმოცემას A ხშირ შემთხვევაში გვერდს უვლის. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქაშუქის დღლარქნილი ტექსტის გადმოცემა ქართულად შეიძლება გასჭირვებოდეთ ანონიმ მთარგმნელს, რომლებიც ალბათ არც თუ ბრწყინვალედ ფლობდნენ ქართულ ენას. მაგრამ არის უამრავი ისეთი შემთხვევა, როდესაც ძალზე გასაგები ადგილებიც არ არის თარგმნილი.

4. O255 از گلشن حیات، گلخن فوات، رسانید  
„რიდან სიყვდილის აბანოს ღუმელში მიაღწევიანა“. A 301—B384—სიცოცხლის წალკოტილამ სიყვდილის მწვირებზე მიაწეინა. C 548,2 — სიცოცხლის წალკოტით გამოიყვანა და სიყვდილის მწვირეთა გარია.

შეენიშნაეთ. რომ ვახტანგს گلخن (აბანოს ღუმელი) წაუკითხავს როგორც گل (ტალახი, თიხა).

5. O 407—را حلة قوت من بدان گرانبار شده تحمل بار دیگر ندارد—  
„ჩემი ძალის სახედარი ისეთი დატვირთულია, რომ მეტი ტვირთის ზიდვა აღარ ძალუძს“. A 487—B 577 ჩემი ყუთის წაღება გასჭირებია. C 756,27 — ჩემსა წამლებსა მეტის წაღება არა ძალუძ, არათუ სხუადა ტვირთისა აკიდება შეეძლოსო.

6. O414—دود انتقام که از سر آتش کینه برخیزد بسی دماغ ها را  
„შურისძიების კვამლს, რომელიც ბოროტების ცეცხლიდან აღის, ბევრი ხახა გაუშრია და ბევრი თვალი აუცრემლებია“ A 493 —B 584—ჭაერის ამოყრის კომლი რომ შურის ცეცხლით ამდგარა, ბევრი სასა გაუშრია და მრავალი თვალი გაუცრემლიანებია. C 755,2—ძვირის ხსენების კვამლი, რადგან ღაზოდ აღგზნებულა, მრავალთა ხორხი ამოუხშიმა და მრავალი თვალი ცრემლმდინარე შეუქნიაო.

7. 0537— چون وزیر دیده که پادشاه در تربیت زرگر از حد اعتدال در گذشت  
 „როცა ვეზირმა დაინახა, რომ მეფე ოქრომჭედლის აღზრდა-განათ-  
 ლებში ზომიერების საზღვარს გასცდა...“. A 605— B 716—რა რომ ამ ვეზირ-  
 მა ნახა, რომ ჯელმჭიფე იმ ოქრომჭედლის თათბირის გაგონებაზე ზომისაგან  
 მეტად დამდგარა... C 930,31—რა მან ვეზირმან სცნა ხელმწიფისაგან მის  
 ოქრომჭედლისა ეგეთი ქცევა და რჩევის დაჯერება და ზომისაგან მეტი პატი-  
 ვი...

შევნიშნაეთ, რომ ვახტანგს تربیت (აღზრდა, განათლება) წაუციტხავს რო-  
 გორც تدبير (რჩევა, დარიგება).

#### IV. A ვერსიაში შინაარსი გამარტივებულია

1. 0204 — کلیله همه شب بر خود می پیچید و چون صبح بر آمد  
 „ქილილა შთელი ღამე იგრიხებოდა და რა გათენდა, სული განუ-  
 ტევა“. A 249—ქილილა ღამით გათენებამდინ ნალულით აღარ იყო. B 308—ქი-  
 ლილა იქით და აქეთ ბრუნევდა, რა დილა გათენდა, სული დალია. C 473,29—  
 ქილილა... კუნესით ტრიალებდა და რა დილა გათენდა, ანაზღად მოკვდა.

2. 0224— چون یارخود را بستہ بند بلا دید جوی خوانه از چشمه چشم  
 بر صفحه رخساره روان ساخت و آه دردآلود از جگر سوخته باوج سهر رسانید  
 „როცა თავისი მეგობარი უბედურების მახეში გაბმული ნახა, თვალთა წყარო-  
 დან ღაწვებზე სისხლის ცრემლებმა იწყო დენა და დამწვარ გულიდან დარდი-  
 ანმა ოხვრამ ცის ტატნობს მიადღია“. A 270—ნახა თავის მოკეთე ბადეში გახ-  
 ვეული, ტირილი ღაიწყო. B 337—რა თავის მოყუარე ჭირის ბადეში გაბმული  
 დაინახა, სისხლის წყალი თვალის წყაროდამ პირის სახეზედან ჩამოეშვა და შე-  
 წუხებული ოხრა დამწურის ღვიძლისაგან ლურჯის ცის სიმაღლეზე მიაწვდინა.  
 C 503, 19—თვისი მოყუარე ჭირთა ბადეთა დაბმული ნახა, სისხლისა წყალი  
 თუალთა წყაროდამე ღაწეთა ჩამოადინა, კეშანმოკრეული სულთქმა დამწურის  
 ღვიძლისაგან ღაყუარდის ცის სიმაღლედ აღაბნია.

3. 0274 — از بیم آتش شمشیر برق آتارش با دراز هره آن نبود که مخالف  
 صوب راستی تواند وزید و از هبیت سنان جانستان صاعقه کردارش —  
 „მისი ელვისმფრქვეველი ხმლის ეცხლის შიშით, ქარს იმის გამბედაობა არ ჰქონდა, რომ წალმა მხრის  
 საწინააღმდეგოდ ექროლა და მისი სულის წამლები ქუხილის შიშით, წყალს  
 იმის ძალა არ ჰქონდა, რომ მიწაზე ირიბად ედინა“ A 322—მისის კლმის ში-  
 შით ქარი ურიგოდ ვერ აქროლდებოდა. B 412—მისის ბასრის კლმის ეცხ-  
 ლის შიშით ქარს ის გაბედვა არა ჰქონდა, რომ ან მრუდედ და ან მართლად  
 აქროლებულიყო; მას სულის ამომრთმევის ქუხილის წვიმას ის ღონე არა ჰქონ-  
 და, რომ მიწის პირზე მრუდათ მოსვლა შესძლებოდა. C 573,28—მისის ბას-  
 რის კრმლის ეცხლისა შიშითა ქარი აქა-იქ ქროლათა ვერა იყადრებდა, სულ-  
 თა გამაქრობელისა ქუხილიანს წვიმათა სიმრუდით მიწისა დაღტობა არა  
 ძალ-ეღვა.

ასეთი შემოკლება-გამარტივებით ზოგ შემთხვევაში ტექსტის შინაარსი  
 ძალზე ღარიბდება და ბუნდოვანი ხდება.

4. 0372—*جام را پاکیزه‌ش و خواست که شاه را آبد دهد*—„ჯამი სუფთად გარეცხა და უნდოდა, მეფისთვის წყალი მიეწოდებინა“. A 435—*მიართვეს (წყალი) და შესვა*. B 539—*თასი წმინდად გარეცხა, მოინდომა, რომ კელმწიფისათვის წყალი მიერთმევიანა*. C 712,21—*თასი გარცხად და მეფის წყლის მირთმა მოინება*.

მეფეს წყალი არ შეუსვამს, როგორც ეს A ვერსიაშია, არამედ გააგზავნა მის მოსატანად. რომ შეესვა, მოკლავდა.

5. 0452—*هفتم آنکه بقلب حیا موصوف بود و بشوخ جسمی و بی ادبی گفراند*—„მეშვიდე ის, რომ ძალიან ცოტა სირცხვილა ჰქონდეს და უტიფრად და უზრდელად დააბიჯებდეს“. A 521—*მეშვიდე—უნამუსო*. B 625—*მეშვიდე ეს, რომ უსირცხვილობაზე თქმულოყოს სიცრუითა და უმსგავსობით იარებოდეს*. C 816,27—*მეშვიდე, ურცხვი იყოს და მტყუანი და უმსგავსოდ ელიდეს*.

#### V. A ვერსიაში ტექსტი გავრცობილია

1. 085—*شیر چون سخن دهنه شند*—„ლომმა რა დამანას ნათქვამი ისმინა... A 94—*ლომმან დამანას ქართულები გაიგონა და მისი კარგი მექართულობა და ლამაზი სიტყუანი მოისმინა*. B 125—*ლომმა რომ დამანას სიტყვები გაიგონა*. C 305,30—*ლომმა რა დამანას გაწყობილი სიტყვები მოისმინა*.

2. 0393—*قصه باهم خوش بر آمده همواره مصاحب بودندی و حکایات خواندندی*—„ბოლოს ერთმანეთს შეეწყვენენ, მუდამ მეგობრები იყვნენ და ერთმანეთს ამაღლელებელ ამბებს უამბობდნენ“. A 463—*დაემოყურა მას და უმუსაიბა, მაგრამ მასუჟან იტყოდა გუნებაში ამგვარის ვისმე მუსაიბობა არ ვარგა ამაღ, რომ უცხოს გვარის არისო*. მაგრამ რადგან ერთხელ შეისწავლა, კელი აღარ აიღო და ფიქრითა და ხერხით იქცეოდა და ერთმანერთს კარგად უმეგობრეს და უაღვობრესს და შეეცქიოდენ და ერთმანერთის კაის კმით ლაპარაკითა. B 562—*რალას ვაქნეთ, ერთმანერთის გაწყობა დაიწყეს და ყოველთვის მუსაიბად იყუნენ და კარგს არაკებსა და გულის მოსანდომს ზღაპრებს ერთმანერთს უკითხებდნენ*. C 740,1—*რალას ვაგრძელებ, ერთმანეთს დაემეგობრეს. და ნიადავ ერთად იყოფებოდნენ და უცხო-სა არაკებსა და გულის საწადელსა ამბებსა ერთმანეთს ეტყოლიან*.

3. 0394—*روزی موش بر لب آب آمده تا غوک را طلب داشته اساس صحبتی افکنند*—„ერთ დღეს თავი წყლის ნაპირას მოვიდა, რათა ბაყაყი მოეძია და მეგობრობის საძირკველი ჩაეყარათ“. A 464—*ერთ დღეს მივიდა თავი და გამოსწია თოქსა, შეიტყო ბაყაყმან და გამოვიდა ნაპირსა და ნახა თავის მოყუარე თავი და უსალამა და უმუსაიბა*. მერმე დასხდენ ერთმანერთის შორი ახლოს ბაყაყი წყლის პირსა და თავი მინდოქსა და ვეზირობდენ რასმე. B 563—*ერთ დღეს თავი წყლის ნაპირს მოვიდა, რომ ბაყაყს დაუძახოს და ალერისს საძირკველი დასდევან*. C 741,6—*დღესა ერთსა თავი წყლის პირსა მივიდა მყვარისა გამოსაწოდებლად და ალერისისათვის*.

4. 0418—*مغز گف در مواعظ اختصار فرمای*—„მგელმა უთხრა: ქადაგი შეამოკლე“. A 496—*მგელმან უპასუხა: კმარა ამდონი სწავლება, ნუ აგვიანებ სიტყუას, დროზე გაათავე*. B 589—*მგელმა უთხრა: ქადაგობის თქმა გაათავე*. C 771,7—*მგელმა უთხრა: ქადაგება შეამოკლეო, მე არ მცალის*.

Н. Г. ЧХЕИДЗЕ

## ВЕРСИЯ А «КАЛИЛЫ И ДИМНЫ»

## Резюме

После сравнения версии А «Калилы и Димны», с одной стороны, с оригиналом, а с другой — с некоторыми грузинскими переводами, выясняется, что в ряде случаев: 1. в версии А текст понят лучше, чем в других переводах; 2. переводчик версии А не понимает сложный текст оригинала; 3. некоторые места (отрывки) в версии А вообще не переведены; 4. содержание в версии А упрощено (таким сокращением и упрощением в ряде случаев не меняется содержание текста, хотя иногда оно беднеет и становится неясным); 5. в версии А текст распространял.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი





სხვა ხელნაწერის კუთვნილი ჩანს. ხელნაწერის თავსა და ბოლოში დართული ფურცლები (13r-მდე და 117r-დან) სხვა ხელით ნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. იმისდა მიუხედავად, თავსა და ბოლოში დართული ფურცლები სხვა ხელითაა ნაწერი, თუ გადამწერი გიორგის ხელით, ერთი ცხადია, ეს ფურცლები დამატებულია ტიპიკონის ტექსტზე.

მოკლედ შევიჩრდებით ხელნაწერის შედგენილობაზე: 1r—12v-ზე შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრებაა, აგრეთვე ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლები და საგალობელი „ვიეთთუსცა გიკმდეს მამათათს. 13r—110v უკავია ტიპიკონის ტექსტს: ღამისთევათა განგება, იერუსალიმის მონასტერთა შემოკლებული განგება, „სუნაქსარი ათორმეტთა თუშთა წელიწადისათაჲ“ სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით, „ლიტანიისანი“ იმ დღესასწაულთათს, რომლებიც ადრე მხოლოდ დასაწყისებით იყო წარმოღვენილი, მარხვათა განგება, ზატიკთა განგება, შაბათთა განგება. 110v—116v-ზე სინოდოკონია „თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობაჲ“<sup>5</sup>. 117r-დან ბოლომდე „გამოაგლინენი თუშთანი სრულიად“, „გამოაგლინენი მარხვათა და ზატიკთანი“, „ქრონიკონი შერწყმული“ — პასქალიის ცხრილი (1172—1224 წწ.), კონდაკნი და იკონნი წლის სხვადასხვა დღეებზე, ბოლო ორ ფურცელზე ეფერმ ასურისადმი მიძღვნილი საგალობელია.

ამ ხელნაწერისადმი ინტერესი ამჟერად იმითაა გამოწვეული, რომ ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის ნუსხა Sin. 83, აგრეთვე ტიპიკონი, რედაქციულად დადგა ე. წ. შიომღვიმის ტიპიკონთან. ე. კეკელიძისთვის ამ ხელნაწერის რაობა ცნობილი გამხდარა ნ. მარის კერძო წერილიდან, ხოლო მისი რედაქცია გაურკვეველი დარჩენილამ, შემდგომ კი ამ საკითხს აღარ მობრუნებია. ხელნაწერი Sin. 83 ნაკლულია<sup>6</sup>, იწყება მესამე დეფექტური რეეულით, წყდება 24-ე რეეულის პირველ ფურცელზე, აკლია შუაშიც. ტექსტს არ ახლავს გადანაწერის ანდერძ-მინაწერები. ასე, რომ არავითარი ცნობა მის შესახებ არ გავაჩნია. ხელნაწერი რომ სინური კოლექციისაა, მიახლოვებით მიგვანიშნებს მის წარმომავლობას, ხელის მიხედვით კი XII—XIII ს-ით თარიღდება. ნუსხა იწყება 4 სექტემბრის ბაბილა ანტიოქელ მთავარეპისკოპოსის ხსენების დასასრულით. ხელნაწერების Sin. 83-ისა და H—1349-ის წლის ყველა დღის განგება, აგრეთვე „ლიტანიისანი“, მარხვათა, ზატიკთა და შაბათთა განგებანი (ბოლო აბზაცის გარდა) თანხვედრილია შედგენილობითაც და ტექსტობრივადაც, სხვაობა მხოლოდ ვარიანტულია (Sin. 83:1r—129v, H—1349: 13r—109v). რაც შეეხება შაბათთა განგების ბოლო აბზაცს — „შაბათსა ნეტარარინთა ზედა აგ<sup>7</sup> ი: წმიდათამან კრებულმან პოვა წყაროა ცხურებისა და კარი სამოთხისაჲ. ვპოე მეცა გზაჲ იგი სინანულისა მიერ. მე ვარ ცხოვარი წარწყმედული, მაცხოვარ, კუალად აღმომიწოდე და მაცხოვრე მე“ — ეს უკანასკნელი მხოლოდ Sin. 83-შია.

ეს ორი ნუსხა სხვაობს 12—14 იანვრის მასალით. სხვაობა გამოწვეულია ნინოსადმი მიძღვნილი განგების ჩართვით საბაწმიდურ ტიპიკონში. H—1349

<sup>5</sup> К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники..., გვ. 35, სქოლიო; გვ. 347.

<sup>6</sup> იხ. იქვე, გვ. 511—512, სქოლიო.

<sup>7</sup> აღწერილია ნ. მარის მიერ — ნ. Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1940, გვ. 231—242.

ხელნაწერის 51v-ს მეორე სვეტის ბოლო სტრიქონები უკავია 12 იანვრის განგებას. საგულისხმოა, რომ ბოლო ორ სტრიქონზე, რომელზეც განგება უნდა დაწყებულყო, თავდაპირველი ტექსტი ამოფხეილია და გადაშლილ სტრიქონებზე ახალი ტექსტია დაწყებული, დაუწერლად დატოვებული მომდევნო ფურცლის I სვეტის 14 სტრიქონიც. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ნინოსადმი მიძღვნილი განგება, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ცვლილებები, 12—14 იანვრის დღეებისთვის წინასწარ განსაზღვრულ სტრიქონებზე ვერ დაეტეოდა, 51-ე ფურცლის მომდევნოდ ჩაუკერებიათ სხვა ხელით ნაწერი ფურცელი, რომელზეც გრძელდება 51v-ზე დაწყებული ტექსტი. ზედმეტი ფურცლის ჩაკერების შედეგად მეხუთე რვეული ცხრა ფურცლიანი გამხდარა (45r—53v). მოვიყვანთ ტექსტს ორივე ხელნაწერიდან:

H 1349-ში: [51 v] „ა. წმიდისა მოწამისა ტატიანესი—ხოლო ჩვენ წმიდისა ნინოსა დღესასწაულსა [52 r] მიხეზიანთს აგ-სა წარკეცხენით დღესასწაულსა ნათელასა და ამისათს წმიდისა ტატიანესა თანა გარდავიდით წმიდისა ეზბივე და სტრატიონისა და განგებასა თანა დღესასწაულსასა.

ფ. წმიდათა ერპულე და სტრატიონისი — ამათი გნეჟაჲ ყოველივე აბაჟეჟულან ტატიანესა თანა, ვინათჳან ჩვენ ფარკეცხენით დღესასწაულსა ნათელასა და ყოველავე წესსა მისსა უკუაღებულად სრულეყოფი.

იღ. წმიდისა და მოციქულთა დიკთა სწორისა დედისა ჩუენისა ნინოსისა და წმიდათა მამათა, რომელნი სინას და რაათს მოაზრეს—ამათსა სეჳობისად ვარდ ევიდით ყოველავე ფაჲა მწუხრი მამათასა, ხოლო ნინომასა მწუხრი დამს-თვეად შეიპოსების მღღევი და ნემდომად აკრთხევისა ორო ღღეჟსა უკვეჲთ მქელთა ზედა, კჳა დ: სიტყჟსა დობრისა. სხუანი ზ გვი: წმიდისა ქაჲჟისა...“

ამრიგად. H—1349 ხელნაწერში ნათლად ჩანს ნინოსადმი მიძღვნილი განგების ჩართვის პროცესი. H—1349 ხელნაწერის დედანში 12—14 იანვრის ტექსტიც Sin. 83 ხელნაწერის თანხვედრილი უნდა ყოფილიყო. 15 იანვრიდან ეს ორი ხელნაწერი კვლავ ერთად დგება.

H—1349 ხელნაწერში ტიპიკონის ტექსტს, კიდევბზე. გადამწერის ხელით, უხვად ახლავს შენიშვნები, რომლებშიც ასახულია ჩვენში დამკვიდრებული ტრადიცია, განსხვავებული საბაწმინდური წესისაგან<sup>8</sup>. ამ რიგის მიწაწერები არ ერთვის ხელნაწერ Sin. 83-ს. შენიშვნები, ჩვეულებრივ, იწყება სიტყვებით: „ხოლო ჩუენ“<sup>9</sup>. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს: 13r-ზე, იმ ტექსტის გასწვრივ, სადაც „სარეკლით რეკაზეა“<sup>10</sup> საუბარი, სათანადო მითითებით (სინგურით ჩახატული გაწვილილი საჩვენებელი თითით) შენიშნულია: „ხოლო ჩუენ არა ესრეთ,

Sin 83-ში: [40 r] „ა. წმიდისა მოწამისა ტატიანესი—განგება დღესასწაულსაჲსა, საჲმთხეი მხოო კჳ პარასყეჟსა. სახარებაჲა მხოო ორმამათსა დ ზ ლუკასთა შინა: ევერდებოდა ვინეჲ.

ფ. წმიდათა მოწამეთა ერმულე და სტრატიონისი—განგება დღესასწაულსისა და წმიდისაჲ, ხოლო ამასვე დღესა აღუასრულებთ განგებასა ყოველსა წმიდათა მამათასა. ვინა-ფგან ათორმეტსა წარკეცხენით დღესასწაულსა და მისსა გუჟს თქჳთა ყოველსევე.

იღ. წმიდათა და მღმრთ-შემოსილთა მამათა ჩუენთა სინას და რაათს [v] მოწუქედითაჲ, ხოლო განგებაჲ ყოველ ევე მწუხროსა და ცისკრ-დ და საზრ-დ დღესასწაულსისაჲ აღესრულთა უკუაღებულად“.

<sup>8</sup> კომენტარები H—1349 ხელნაწერის შემდეგ ფურცლებზე: 13r, 16v, 25v, 26r, 27v, 31r-v, 32v, 33v, 34v, 35r, 36r, 37r, 38v, 39v, 40i-v, 41r, 43r, 47v, 53r, 54r, 55r, 56r, 61r, 68v, 69r-v, 71r-v, 74v, 75v, 76v, 77v, 79r, 86v, 87r, 89v, 90r-v, 92r-v, 97v, 98v, 101r-v, 103v, 105r-v, 107r, 108r და 109v.

არამედ თუსა ქამსა ეპრეთ და სრულ-ვყოფთ სამწუხროსა დიდების-მეტყუე-ლებასა...”

15r-ზე ძირითად ტექსტშია: „და შემდგომად მამაო ჩუენომაა მღვდელმან ასაძალღებელი: რამეთუ შენი არს სუფევამ. ხოლო ჩუენ ვიტყუეთ ლიტანიისასა: ღმრთინა მობგლო ქალწულო, გინაბოდენ მიწადღებ. ბ გზის“ კიდევია: „ხოლო ჩუენ ოხითასა ვიტყუეთ აღდგომისასა, რომელიცა ჯამა იყოს მსგედისასა“. კომენტარი მითითებულია ძირითადი ტექსტის ფრაზასთან: „ხოლო ჩუენ ვიტყუეთ ლიტანიისასა“. 26r-ზე, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე ძირითად ტექსტშია: „შესწავებაჲ საქმარ არს, ვითარმედ უუეშეთ კურიაკესა დახუდეს, პირველად ითქუმიან აღდგომისანი, ხოლო არა წარციხთხვის საკუროა ცისკრისა სახარებაჲ“. კიდევია: „ხოლო ჩუენ არა დაუტეობთ საცისკროსა სახარებასა კურიაკისასა, არამედ თუსა ადვილსა თუსითა წესითა წარციხთხაეთ მას“...

ყველა შენიშვნა H—1349 ხელნაწერის კიდევებზეა მიწერილი. გარდა ბოლოსი (109v-ზე), რომელიც შაბათთა განგებლს უქანასწელი აბზაცის სანაცვლოდ აკრძალვებს ძირითად ტექსტს. როგორც ჩანს, ამით მთავრდებოდა ტიპიკონის ტექსტი, ამიტომ კომენტარის კიდევ მიწერის საჭიროებაც აღარ ჩანდა. ბოლო კომენტარს მოსდევს „თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობა“<sup>9</sup>. დასასრულ, მიწერილია თარიღი—1172 წ., რომელიც კ. კეკელიძის დედნიდან გადმოყოლილად მიიჩნია. ეს მიგვაჩვენებს, რომ შიომღვიმის ტიპიკონის დედნად აღებული ნუსხა აქ მთავრდებოდა.

ნუსხებს შორის სხვაობა იწყება შაბათთა განგების შემდგომ: H—1349 ხელნაწერში 110v-დან, ხოლო Sin 83-ში 129v-დან. ამ ფურცლებზე წარმოდგენილია მასალა, რომელიც ან სულ არ არის ასახული ტიპიკონში, ან, რედაქტორისა თუ ვადაწყურის თვალსაზრისით, საჭიროებს შევსებას. ხელნაწერ Sin. 83-ის ბოლო 129v—148v-ზეა „ლიტანიისა დაუჯდომელთა დ გ ი“, დაწერილებითი განგება ქრისტეს შობის წინა დღისა (24 დეკემბერი), განცხადების წინა დღისა (5 იანვარი) და ენების კვირის პარასკევისა (ამ დღეთა განგებანი, მკირე მოკულობისა. ტიპიკონის ტექსტში თავ-თავის ადვილასაა ჩართული), აღდგომის ფსალმუნური საგალობლები რვავე ხმაზე, სამსგედსო ფსალმუნური საგალობლები და საკითხაუბები სახარებიდან, სახარების საკითხაუბი მარხვის შაბათ-კვირის დღეებზე. H—1349 ხელნაწერის განსხვავებული ტექსტის შედგენილობა 110v-დან იხ. ზევით.

რაც შეეხება H—1349 ხელნაწერის თავში დართულ შიომღვიმელის სვინაჰარულ ცხოვრებას, ნინოს საგალობლებს და საგალობელს „ვიეთთუსცა გიკმდეს ჩამათათუს“, მათი დამატება შიომღვიმის ლავრისთვის განკუთვნილ ტიპიკონზე საეკლესიო ბუნებრივია: ტიპიკონის წმიდათა ხსენების კალენდარში არ არის ასახული შიომღვიმელის ხსენება. ეს ხარვეზი შევსებულია შიომღვიმელის სვინაჰარული ცხოვრების დართვით<sup>10</sup>. კალენდარში ზერზეა ჩამატებული ნინოს განგებაც, ხელნაწერის თავში კი ნინოს საგალობლებია დართული. ასევე ბუნებრივია „მამათა“ საგალობლის დართვაც ასურელი მამის შიომღვიმელის მონასტერში მოსახმარ ტიპიკონზე.

<sup>9</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники.... გვ. 35, სქოლიო.

<sup>10</sup> ე. გ. ბ. ი. ძ. ა. შ. ვ. ლ. ი., აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 164.

ამრიგად, ხელნაწერები H—1349 და Sin 83 იმ ნაწილში, რომელიც საკუთრივ ტიპიკონის ტექსტს მოიცავს, თანხვედრილია. სხვაობა, რომელიც ნინოს განგების ჩართვითაა გამოწვეული, აშკარად მეორეულია. მეორეულია კიდევ მინორილი ქართული ტრადიციის ამსახველი კომენტარებიც, რომლებიც გასდევს ტიპიკონის მთელ ტექსტს — ხელნაწერი Sin. 83 ტიპიკონის ტექსტის თანხლებს კომენტარებს არ იცნობს. ვფიქრობთ, Sin. 83 ხელნაწერის სახით ხელთ გვაქვს საბაწმიდური ტიპიკონის სემეონწმიდის რედაქციის ქართული თარგმანი. ვიდრე მას ქართული ტრადიციის ამსახველი მასალა დაერთოდა.

Ц. А. ЧАНКИЕВА

## ОБ ОДНОМ СПИСКЕ САВВИНСКОГО ТИПИКА

Резюме

С XII века в Грузии распространяется Дивногорская редакция Саввинского типика. Вначале он применялся в Шио-Мгвимском монастыре. Типиком Шио-Мгвимского монастыря является рукопись H 1349 (1247—1269 гг.).

В статье дается анализ Спнайской грузинской рукописи, Sin. 83 (XII—XIII вв.), содержащей текст типика, но без начала. Сличение этих рукописей выяснило, что сходны они как текстуально, так и по составу. Разница обнаруживается лишь в следующем: текст типика Шио-Мгвимского списка снабжен комментариями, в календарь святых включена память св. Нины, в результате чего меняется и служба предыдущих дней (12—14 января), в начало рукописи включены синаксарское житие Шио-Мгвимели, песнопения Нины и св. отцов — все разногласия являются следствием поздней обработки перевода. Рукописи расходятся и материалом, добавленным к тексту типика.

Таким образом, выясняется, что в виде рукописи Sin. 83 имеем первоначальный вид грузинского перевода Дивногорской редакции Саввинского типика.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

## ბივი ნაბიერია

## ქვევის კატეგორია ქართულში

## (ტრანსფორმაციული ანალიზი)

ქართულში, როგორც ცნობილია, განასხვავებენ სამ ქვევას: 1. საარვისო (აშენებს), 2. სასხვისო (უშენებს), 3. სათავისო (იშენებს) [2, 303]. ჰქვევის საკითხის განხილვას ქართულში ჩვენ დავიწყებთ სასხვისო ქვევით, რომელიც ასეთ პარადიგმას იძლევა:

- |                              |                          |
|------------------------------|--------------------------|
| (I) 1. a. მე გიშენებ შენ მას | 3. a. ის მიშენებს მე მას |
| b. მე უშენებ მას მას         | b. ის გიშენებს შენ მას   |
| 2. a. შენ მიშენებ მე მას .   | c. ის უშენებს მას მას    |
| b. შენ უშენებ მას მას        |                          |

როგორც ვხედავთ, მოცემულ პარადიგმაში სუბიექტი და ირიბი ობიექტი არასოდეს არ არის ერთმანეთის იდენტური, ე. ი. სუბიექტსა და ირიბ ობიექტს არასოდეს არა აქვთ ერთი და იგივე რეფერენტი (დენოტატი). სუბიექტისა და ირიბი ობიექტის იდენტობის შემთხვევაში ჩვენ გვექნება ასეთი პარადიგმა:

- |  |
|--|
| (II) 1. a. მე *ვიშენებ მე მას                    |
| b. შენ *იშენებ შენ მას                           |
| c. ის <sub>1</sub> *იშენებს მას <sub>1</sub> მას |

მაგრამ ასეთი პარადიგმა ზედაპირისეული სტრუქტურის დონეზე არა გვაქვს. ამ დონეზე (II) პარადიგმის ნაცვლად გვაქვს (III) პარადიგმა:

- |                         |
|-------------------------|
| (III) a. მე ეიშენებ მას |
| b. შენ იშენებ მას       |
| c. ის იშენებს მას       |

(III) სქემა წარმოდგენს ქართულში სათავისო ქვევის პარადიგმას მოქმედებითი გვარის ზმნებში. მაგრამ ეს პარადიგმა გვაქვს მხოლოდ ზედაპირისეულ დონეზე, რომელიც სიღრმისეულ დონეზე წარმოდგება (II) პარადიგმის სახით.

სათავისო ქვევის პარადიგმის (სქემა III) წარმოდგენას სიღრმისეულ დონეზე (II) სქემის სახით თავისი საფუძველი აქვს თვითონ ზედაპირისეულ დონეზე. საქმე ისაა. როცა სათავისო ქვევაში სუბიექტი მოქმედების აგენტიცაა და რეციპიენტიც. განსხვავებით სასხვისო ქვევისაგან, სადაც სუბიექტი მხოლოდ აგენტია, ხოლო ირიბი ობიექტი — რეციპიენტი. მაგრამ სათავისო ქვევაში მოქმედების აგენტი და რეციპიენტი გაერთიანებულია სუბიექტში, რადგანაც აგენტი და რეციპიენტი ერთმანეთის იდენტურია. სხვა სიტყვებით რომ

1 ინდექსი 1—1 მიუთითებს ერთსა და იმავე რეფერენტზე.

2 ზედაპირისეული და სიღრმისეული დონეების გამოყენის შესახებ იხ. [6; 8; 9].

ვთქვათ, ზედაპირისეულ დონეზე მოქმედებს რეფლექსივიზაციის წესი<sup>3</sup>, რომლის მიხედვითაც წაიშლება აგენტის იდენტური ირიბი ობიექტი და ორივე მათგანი — აგენტიცა და რეციპიენტიც (ირიბი ობიექტი) ერთიანდება სუბიექტში. ირიბი ობიექტის ასეთი წაშლა განპირობებულია იმით, რომ აგენტსა და რეციპიენტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ. თუ აგენტსა და რეციპიენტს სხვადასხვა რეფერენტი აღმოაჩნდებათ, მაშინ, ბუნებრივია, ვერც რეფლექსივიზაციის წესი იმოქმედებს. ამიტომ სასხვისო ქვევის პარადიგმაში, სადაც რეფლექსივიზაციის წესი ვერ მოქმედებს, ირიბი ობიექტი წარმოღვენილია ზედაპირისეულ დონეზეც. რამდენადაც სათავისო ქვევის პარადიგმაში სუბიექტი აგენტიცაა და რეციპიენტიც, ამდენად სიღრმისეულ დონეზე ამგვარი სუბიექტი უნდა წარმოვადგინოთ ორგვარად — როგორც აგენტი, ანუ როგორც სუბიექტი იმავე აზრით, რა აზრით აქვს მას სასხვისო ქვევის პარადიგმაში და როგორც — რეციპიენტი, ანუ როგორც ირიბი ობიექტი. ამიტომ სქემა (II). სხვა არაფერია, თუ არა იმ სინტაქსურ მიმართებათა გაშლილად წარმოდგენა, რომელი მიმართებებიც სათავისო ქვევის პარადიგმაში გვაქვს ზედაპირისეულ დონეზეც.

ამრიგად, სიღრმისეულ დონეზე ირიბი ობიექტი გვაქვს არა მარტო სასხვისო ქვევის პარადიგმაში, არამედ სათავისო ქვევის პარადიგმაშიც. მაგრამ სათავისო ქვევის პარადიგმაში ირიბი ობიექტი ყოველთვის იდენტურია თავისი სუბიექტისა, ხოლო სასხვისო ქვევის პარადიგმაში ირიბი ობიექტი არასოდეს არ არის თავისი სუბიექტის იდენტური. სუბიექტისა და ირიბი ობიექტის იდენტურობა განსაზღვრავს სათავისო ქვევის რეფლექსურ ხასიათს, ე. ი. იმას, რომ სუბიექტის მოქმედება ისევე სუბიექტსავე უბრუნდება, რადგანაც იგი ამავე დროს რეციპიენტიცაა. ამის საწინააღმდეგოდ, სასხვისო ქვევაში სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის მიმართება ირეფლექსურია, რადგანაც სუბიექტი და ირიბი ობიექტი აქ ერთმანეთის იდენტურნი არ არიან. ამიტომ სასხვისო ქვევის პარადიგმაში სუბიექტი ყოველთვის აგენტიცა, ხოლო ირიბი ობიექტი — ყოველთვის რეციპიენტიც.

ერთი სიტყვით, სათავისოა ქვევა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ, ხოლო სასხვისოა ქვევა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ. ამრიგად, სათავისო ქვევა შეიძლება განვიხილოთ როგორც სასხვისო ქვევის კერძო შემთხვევა, სახელდობრ, ისეთი შემთხვევა, როდესაც სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენციალური მნიშვნელობა აქვთ. რადგანაც სათავისო ქვევა სასხვისო ქვევის კერძო შემთხვევაა, ამიტომაც, ბუნებრივია, გენერტური კავშირი დაეინახოს სათავისო ქვევის /ი-/ ნიშანსა და სასხვისო ქვევის /ო-/ ნიშანს შორის. ჩვენი აზრით, ეს ნიშნები ერთი და იგივე მორფოლოგიური ელემენტია, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებენ სხვადასხვა სინტაქსურ გარემოცვაში: თუ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ, მაშინ /ი-/ სათავისო ქვევის ნიშნად გვე-

<sup>3</sup> რეფლექსივიზაციის წესის შესახებ იხ. [6, 144—147; 9, 9—14], მაგრამ მათ ეს წესი გამოყენებული აქვთ პირდაპირი ობიექტის მიმართ. ასე მაგალითად. წინადადებაში „მან მოიყლა ის.“ თუ სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი ექნებათ, მაშინ ეს წინადადება რეალიზდება როგორც „მან მოიყლა თავი“. მაგრამ თუ მათ სხვადასხვა რეფერენტული ექნებათ, მაშინ, რეფლექსივიზაციის წესი აღარ იმოქმედებს (მღრ. მან მოიყლა წყურვილი).

ლინება, ხოლო თუ მათ სხვადასხვა რეფერენტი აქვთ, /ი-/ სასხვისო ქცევის ნიშანია. ბუნებრივია, დაისვას კითხვა სასხვისო ქცევის /უ-/ ალომორფის კავშირის შესახებ სათავისო და სასხვისო ქცევის /ი-/ ნიშანთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს /ი/→/უ/ აბლაუტთან, რაც გამოწვეულია სათავისო და სასხვისო ფორმებს შორის მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან აცილების საჭიროებით. /უ-/ სასხვისო ქცევის ალომორფად გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ირიბი ობიექტი მესამე პირია. ამავე დროს /უ-/ ალომორფი გვაქვს ისეთ ფორმებში, რომლებიც, თუ /ი-/ ალომორფით აწარმოებდნენ სასხვისო ქცევას, მთლიანად დაემთხვეოდნენ სათავისო ქცევის ფორმებს:

სათავისო ქცევა

- (IV) a. მე ვიშენებ მას  
b. შენ იშენებ მას  
c. ის იშენებს მას

სასხვისო ქცევა

- a. მე ვუშენებ მას მას  
b. შენ უშენებ მას მას  
c. ის უშენებს მას მას

თუ სასხვისო ქცევის პარადიგმაში /უ-/ ალომორფს შევცვლით /ი-/ ალომორფით, მაშინ მივიღებთ სათავისო ქცევის ფორმებს. როგორც ჩანს, მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან აცილების საჭიროებამ განაპირობა /ი-/→/უ/ აბლაუტი ქართულში და სასხვისო ქცევის /ი-/ ალომორფის გვერდით /უ-/ ალომორფის არსებობაც. თუ ეს დებულება სწორია, მაშინ სათავისო ქცევის /ი-/ და სასხვისო ქცევის /ი-/ და /უ-/ ალომორფები ერთმანეთთან გენეტურ კავშირშია.

ზემოთ ჩვენ სათავისო ქცევა განვიხილეთ როგორც რეფლექსური მიმართება სუბიექტსა ირიბ ობიექტთან, ხოლო სასხვისო ქცევა — როგორც ირეფლექსური მიმართება სუბიექტისა ირიბ ობიექტთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. სათავისო და სასხვისო ქცევების განსაზღვრისას ჩვენ ვეყარნობით მხოლოდ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს, ე. ი. უგულებელვყოფთ პირდაპირ ობიექტს, როგორც ირელევანტურს. ჩვენი აზრით, პირდაპირი ობიექტი ქცევის კატეგორიისათვის ირელევანტური ოდნობაა, რადგანაც ქცევის შესახებ ამ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით სათავისოა ქცევა, თუ სუბიექტი რეფლექსურ მიმართებას ამყარებს ირიბ ობიექტთან, ე. ი. სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ. სასხვისოა ქცევა, თუ სუბიექტი ირეფლექსურ მიმართებას ამყარებს ირიბ ობიექტთან, ე. ი. სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ. ამდენად, სათავისო და სასხვისო ქცევების ზუსტი დეფინიციისათვის რელევანტურია მხოლოდ სუბიექტი და ირიბ ობიექტი, რადგანაც ქცევის ასეთი დეფინიცია უგულებელყოფს პირდაპირ ობიექტს. ამიტომ სათავისო და სასხვისო ქცევა შეიძლება ჰქონდეს არა მარტო მოქმედებითი გეარის ზმნებს. რომელთაც პირდაპირობიექტური პირი ყოველთვის აქვთ, არამედ ენებითი და საშუალო გეარის ზმნებსაც, რომელთაც პირდაპირობიექტური პირი არ შეეწყობათ. ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად განვიხილოთ საშუალო გეარის ზმნები, კერძოდ კი ე. წ. მედიოაქტიური ზმნები.

სასხვისო ქცევა მედიოაქტიური ზმნების აორისტში გვაძლევს შემდეგ პარადიგმას:

- (V) 1. a. მე გიჩილე შენ  
b. მე ვუჩილე მას  
2. a. შენ მიჩილე მე  
b. შენ უჩილე მას

3. a. მან მიჩილა მე  
b. მან გიჩილა შენ  
c. მან უჩილა მას

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ და გვაკლია იდენტური სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მქონე წინადადებები. ეს წინადადებები ასეთია:

- (VI) 1. a. მე ვიჩილე მე  
 b. შენ იჩილე შენ  
 c. მან<sub>1</sub> იჩილა მას<sub>1</sub>

ზედაპირისეულ დონეზე (VI) პარადიგმა რეალიზებულია როგორც (VII).

- (VII) a. მე ვიჩილე  
 b. შენ იჩილე  
 c. მან იჩილა

(VI) პარადიგმის ასეთი რეალიზაცია ზედაპირისეულ დონეზე შეპირობებულია იმავე რეფლექსივიზაციის ტრანსფორმაციული წესის მოქმედებით. რადგანაც სუბიექტსა და ირიბ ობიექტს (VI) პარადიგმაში იდენტური რეფერენტი აქვთ. ამიტომ /-/ პრეფიქსი (VII) პარადიგმაში სათავისო ქცევის ნიშანია, ხოლო (V) პარადიგმაში — სასხვისო ქცევის ნიშანი, რომელიც აბლაუტურ მიმართებაში იმყოფება /უ/ ხმოვანთან. /-/-/უ/ აბლაუტის მიზეზი ამ შემთხვევაში იგივეა. თუ ასეთი აბლაუტი არ იქნება, მაშინ სათავისო ქცევის ფორმები (ვიჩილე, იჩილე, იჩილა) დაემთხვევა სასხვისო ქცევის ფორმებს (ვეჩილე, უჩილე, უჩილა).

ამრიგად ქცევის თვალსაზრისით მოქმედებით გვარსა და მედიოაქტივს შორის თითქოს სრული ანალოგია გვაქვს, მაგრამ გარკვეული განსხვავება მაინც შეიმჩნევა და ეს განსხვავება გამოწვეულია ირიბი ობიექტის სხვაგვარი სინტაქსური ფუნქციით მედიოაქტიურ ზმნებში. ირიბი ობიექტი რეციპიენტია მედიოაქტიურ ზმნებში, მაგრამ იგი მაინც განსხვავდება მოქმედებითი გვარის ირიბი ობიექტისაგან. განვიხილოთ ეს განსხვავება ჭერ სასხვისო ქცევის ფორმებში. მოქმედებითი გვარის ზმნაში სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე და ეს ~~საბოლოო~~ ობიექტი დანიშნულია ირიბი ობიექტისათვის. „პეტრე პავლეს სახლს უმეჩებს“ ნიშნავს იმას, რომ პეტრე აშენებს სახლს პავლესად, ე. ი. პირდაპირი ობიექტი დანიშნულია ირიბი ობიექტისათვის. სხვა სიტყვებით: რომ ვთქვათ, სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის კავშირი მოქმედებითი გვარის ზმნაში გაშუალებულია პირდაპირი ობიექტით<sup>4</sup>ეს მიმართება სქემატურად ასე შეიძლება გამოვხატოთ: S—R—DO—R—JO. მედიოაქტიურ ზმნაში პირდაპირი ობიექტი არა გვაქვს და ამიტომ სუბიექტი ირიბ ობიექტს უშუალოდ უკავშირდება შემდეგი სქემის მიხედვით: S—R—JO. ამიტომაც მედიოაქტიურ ზმნაში ირიბი ობიექტი სუბიექტის მოქმედების განმცდელია, ე. ი. რეციპიენტია არა პირდაპირ ობიექტთან მიმართებაში, არაჩედ სუბიექტთან მიმართებაში. მედიოაქტიური ზმნის სასხვისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ირიბი ობიექტი, ხოლო სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ისევე სუბიექტი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიოაქტიური ზმნის სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტი ერთდროულად აგენტიც არის და მოქმედების განმცდელიც (რეციპიენტი). ამიტომ, ვთქვათ, „იჩილა“ რეფლექსური ზმნაა და ეს რეფლექსურობა გამოხატება /-/- ნიშნით ისევე, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნის სათა-

4 S (სუბიექტი), DO (პირდაპირი ობიექტი), JO (ირიბი ობიექტი), R (რელაცია).



ვისო ქეცვის ფორმებში. პირიქით, „უჩიელა“ ირეფლექსური ზმნაა, რადგანაც სუბიექტი თვითონ კი არ განიცდის მოქმედებას, არამედ ირიბ ობიექტს განაცდევინებს მას. ჭრთი სიტყვით, მედიოაქტიური ზმნების რეფლექსურ ფორმებში /ი-/ სათავისო ქეცვის ნიშანია, ხოლო ირეფლექსურ ზმნებში — სასხვისო ქეცვის ნიშანი. 4

როგორც ცნობილია, მედიოაქტიურ ზმნებს ზოგჯერ შეიძლება პირდაპირი ობიექტიც ჰქონდეს. (მაგშვმა წიგნი წაიკითხე, დედამ თაფლი იყიდა და სხე). ასეთ შემთხვევაში სუბიექტი ირიბ ობიექტზე მოქმედებს ორგვარად—პირდაპირი ობიექტის მეშვეობით და უშუალოდაც. ამიტომ ამ შემთხვევაში ირიბი ობიექტი რეციპიენტიცაა, ისევე როგორც მოქმედებით გვარში, და განმცლებიც ისევე როგორც პირდაპირი ობიექტის არმქონე მედიოაქტიურ ზმნებში.

მედიოაქტივის მეორე სერიის ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მყოფადის წრეშიც. აქაც განსხვავებულია რეფლექსურ (ვიჩივლებ, იჩივლებ, იჩივლებს) და ირეფლექსურ (გიჩივლებ, ვუჩივლებ, მიჩივლებ, უჩივლებ, მიჩივლებს, გიჩივლებს, იჩივლებს) ზმნათა პარადიგმები. რეფლექსური ზმნის პარადიგმაში /ი-/ სათავისო ქეცვის ნიშანია, ხოლო ირეფლექსური ზმნის პარადიგმაში /ი-/ და /უ-/ სასხვისო ქეცვის ნიშნებია. /ი-/—/უ/ აბლაუტი აქაც შეპირობებულია იმავე მიზეზით, რაც ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვექონდა.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს მედიოაქტივის აწმყოს წრეში. მართალია, სასხვისო ქეცვის პარადიგმა აქაც /ი-/ და /უ-/ ალომორფებითაა წარმოდგენილი (გიჩივი, ვუჩივი, მიჩივი, უჩივი, მიჩივის, გიჩივის, უჩივის), მაგრამ სათავისო ქეცვის ნიშნად მოსალოდნელი /ი-/ ალომორფის ნაცვლად გვაქვს ნულოვანი ალომორფი (ვიჩივი, ჩივი, ჩივის). ბუნებრივია, დაისვას კითხვა, თუ რა იწვევს ამ შემთხვევაში /ი-/ ალომორფის წაშლას სათავისო ქეცვის პარადიგმაში. სათავისო და სასხვისო ქეცვის ფორმებს შორის მოსალოდნელი დამთხვევით ამ ფაქტს ეწინააღმდეგება, რადგანაც მათ შორის არ გვექნებოდა დამთხვევა სათავისო ქეცვის /ი-/ ალომორფით განზოგადების შემთხვევაშიც. /ი-/—/ აბლაუტი, როგორც ჩანს, შეპირობებულია აწმყოს წრესა და მყოფადის წრის ფორმებს შორის მოსალოდნელი ომონიმიის თავიდან აცილების საჭიროებით. [5, 81]. რა თქმა უნდა /ი-/—/0/ აბლაუტი არ წარმოდგენს მათ შორის ერთადერთ განმასხვავებელ საშუალებას, რადგანაც თემის ნიშნების მონაცვლეობაც დასტურდება [2, 424—417], მაგრამ მოცემული აბლაუტი ერთ-ერთი საშუალებაა აწმყოსა და მყოფადის წრეთა ფორმებს შორის დისტანციის დასამყარებლად. ავიღოთ საანალიზოდ იგივე „ჩივის“ ზმნა აწმყოსა და მყოფადში და შევეუბირისპიროთ ისინი ჰიპოთეტურ ფორმებს.

(VIII) აწმყო

- a. მე ვიჩივი  
b. შენ ჩივი  
c. ის ჩივის

მყოფადი

- a. მე ვიჩივლებ  
b. შენ იჩივლებ  
c. ის იჩივლებს

ჰიპოთეტური ფორმები

- a. მე ვიჩივი  
b. შენ იჩივი  
c. ის იჩივის

აბლაუტი /ი-/—/0/ აწმყოს წრეში რომ მყოფადისა და აწმყოს წრეების განსასხვავებლად მოქმედებს, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს ამ საკითხის დი-აქრონიული თვალსაზრისით განხილვის შემთხვევაში. შემჩნეულია, რომ სათავისო ქეცვის პარადიგმა /ი-/ ალომორფისა და შეიცავს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს შემდეგ ზმნებში: იგლოვს, იმღერს, ინანის, იღიმის, იცინის, ისწრაფვის [5, 80]. ი. ჭავჭავაძისა და ბ. ჭორბენაძის დაკვირვებით, ძველ ქართულში ასე-

თი მაგალითები კიდევ უფრო მეტია; ისტვენს (სტვენს), იბრლლუნს (ბრლლეინავს), იმარბავს (მარბულობს); იმრუშებს (პრუშობს). ინადრობს (ნადრობს). არს. ჩიქობავა [4, 224—230] და იე. ქავთარაძე [1, 259—260] საწყისებზე დაყრდნობით /ი-/ პრეფიქსს აღადგენენ ზოგ ისეთ ფორმებში, სადაც ეს /ი-/ არც ძველ ქართულში გვაქვს. \*იემის—ს—ი—ემილი, \*ი-ძვის—ს—იძვა, \*ი-რცხელს — სირცხელილი, \*ი-მშის—ს—ი-მშილი, \*ი-კუდის—ს—ი-კუდილი. ეს გარემოება საფუძველს იძლევა /ი-/ ალომორფის პოსტულირებისათვის მედიოაქტივის აწმყოს წრეში საერთოდ და ამგვარ დაშვებას მხარს უჭერს სხვა ქართველურ ენათა მონაცემებიც [5, 80]. ამიტომ „ჩივის“ ტიპის ფორმების არქტიკიპებად /\*იჩივის/ ტიპის ფორმების პოსტულირება საეხებით დამაჯერებელი ჩანს.

აწმყოვად. აწმყოში უნდა გვექონოდა \*იჩივის. \*იქითხულობს და სხვა. ფორმები. რატომ წაიშალა ამ ფორმებში /ი-/ ალომორფი. ე. ი. რატომ განხორციელდა /ი/→/0/ აბლაუტი? როგორც ცნობილია, მყოფადის წრე ძველ ქართულშიც კი არ გვექონდა [2, 266—272] და ამიტომ იგი ინოვაციას წარმოადგენს. როგორც ჩანს, მყოფადის წრის წარმოშობამ განაპირობა სათავისო ქცევის პარადიგმის ორად გაყოფა აწმყოში. რის შედეგადაც ინიანი ფორმები მყოფადის წრეში აღმოჩნდნენ, ხოლო /ი/-ს გარეშე დარჩენილმა ფორმებმა აწმყოს წრის ფორმების გაგება მიიღეს. როგორც ვხედავთ, დებულებას იმის შესახებ, რომ /ი/→/0/ აბლაუტი შეპირობებულია აწმყოსა და მყოფადის წრეებს შორის დისტანციის დამყარების აუცილებლობით. დიაქრონული საფუძველიც აქვს.

მედიოაქტივი გვაქვს ერთი წყება ზმნებისა (ნასახელარი ზმნები, ა. შანიძის მიხედვით) [2, 475], რომლებშიც ქცევის ნიშნები სასხვისო ქცევის პარადიგმაშია წაშლილი. ასეთებია: გხელმძღვანელობ მე შენ, ვხელმძღვანელობ მე მას, მხელმძღვანელობ შენ მე, ჰხელმძღვანელობ შენ მას, მხელმძღვანელობს ის მე, გხელმძღვანელობს ის შენ. /ჰხელმძღვანელობს ის მას. მყოფადში /ი-/ და /უ-/ ალომორფები თავის ადგილზეა: გიხელმძღვანელებ მე შენ, ვუხელმძღვანელებ მე მას, მიხელმძღვანელებ შენ მე. უხელმძღვანელებ შენ მას, მიხელმძღვანელებს ის მე, გიხელმძღვანელებს ის შენ, უხელმძღვანელებს ის მას. ახვეე თავის ადგილზეა /ი-/ და /უ-/ ალომორფები წყვეტილშიც: გიხელმძღვანელებ მე შენ, ვუხელმძღვანელებ მე მას, მიხელმძღვანელებ შენ მე, უხელმძღვანელებ შენ მას, მიხელმძღვანელებ მან მე. გიხელმძღვანელებ მან შენ. უხელმძღვანელებ მან მას. აქ უფრო აშკარად ჩანს აწმყოსა და მყოფადის ფორმებს შორის დაშტევა, თუ, რა თქმა უნდა, აწმყოშიც /ი-/ და /უ-/ ალომორფები გვექნებოდა. ასეთ შეშტევაში აწმყოსა და მყოფადის ფორმების ერთმანეთისაგან განსხვავება ძნელი იქნებოდა, რაც, როგორც ჩანს, განაპირობებს /ი/→/0/ და /უ/→/0/ აბლაუტურ ტრანსფორმაციებს.

აწმყოვად, /ი-/ პრეფიქსი რეფლექსური ზმნების პარადიგმაში სათავისო ქცევის ნიშანია როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ისე მედიოაქტივშიც. ეს თვალსაზრისი გარკვეულად განსხვავდება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისისაგან. ა. შანიძის აზრით, /ი-/ პრეფიქსი მედიოაქტივის რეფლექსური ზმნების პარადიგმაში ქცევის მიხედვით

უფუნქციო ელემენტია სინქრონიული თვალსაზრისით, მაგრამ დიაქრონიული თვალსაზრისით იგი სათავესო ქცევის ნიშანია: „მაგრამ ეს სათავესო ქცევის ფორმა, — წერს ა. შანიძე, — დატლილია ქცევის შინაარსისაგან იმით, რომ პირდაპირი ობიექტი ჩამოეცალა და უობიექტოდ დამჩალი ზმნა გარდაუვალი გახდა“ [2, 354].

მაგრამ ირკვევა, რომ ჩვენთვის საინტერესო /ა-/ პრეფიქსი სათავესო ქცევის ნიშანია სინქრონიული თვალსაზრისითაც და იგი სრულიადაც არ არის ქცევის თვალსაზრისით უფუნქციო ელემენტი. და თუ ა. შანიძე მას მიანიც უფუნქციო ელემენტად მიიჩნევს. ეს გამოწვეულია იმით, რომ სათავესო ქცევა, მისი აზრით, აუცილებლობით გულისხმობს პირდაპირი ობიექტს. წა. შანიძის მიხედვით, საარვისოა ქცევა, თუ პირდაპირი ობიექტი არ წარმოადგენს არც სუბიექტისა და არც ირიბი ობიექტის ეფუნცილებას; სათავესოა ქცევა, თუ პირდაპირი ობიექტი სუბიექტის ეფუნცილებას, ხოლო სასხვისოა ქცევა, თუ პირდაპირი ობიექტი ირიბ ობიექტს ეფუნციონის [2, 323]. მაგრამ ქცევის ასეთი გაგება ვარგისია მხოლოდ გარდამავილ ზმნებისათვის. რადგანაც მხოლოდ მათ აქვთ პირდაპირი ობიექტი. გ. დეატერსი [7, 70] აღნიშნავს, რომ *mutatis mutandis* ეს გაგება გავრცელდება გარდაუვალ ზმნებზეც. ჩვენი აზრით, არსებითი ცვლილებები უნდა შეეიტანოთ ქცევის გაგებაში. რომ იგი გარდაუვალ ზმნებზეც გავრცელდეს, თუ პირდაპირი ობიექტი ქცევის დეფინიციისათვის რელევანტური ოდენობაა. მაშინ ქცევა გარდაუვალ ზმნებში საერთოდ არ უნდა გვქონდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქცევის კატეგორია ახსიათებს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს და ამიტომ, ჩვენი აზრით, ქცევის ზოგადი დეფინიციისათვის პირდაპირი ობიექტი ირელევანტურია. როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ქცევის დეფინიციისას რელევანტურია მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი: ითუ სუბიექტის მოქმედება რეფლექსურია, ე. ი. სუბიექტი ერთდროულად აგენტიც არის და რეციპიენტიც. მაშინ გვექნება სათავესო ქცევა, თუ სუბიექტის მოქმედება ირეფლექსურია, მაშინ გვექნება ორგვარი ქცევა — სასხვისო და საარვისო. სასხვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი მხოლოდ რეციპიენტი. ხოლო საარვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი ან არ გვექნება, ანდა არ იქნება რეციპიენტი.

ქცევის ამგვარ გაგებას თითქოს მხარს არ დაუჭერს ვნებითი გვარისა და მდლიოპასივის ერთობრიანი ზმნები. რადგანაც ამ ზმნებში ერთი შეხედვით ირიბი ობიექტი არა გვაქვს. ამიტომ ახლა ეს ზმნები განვიხილოთ. დაეწყოთ ე. წ. ენიანი ვნებითის განხილვით, ენიანი ვნებითის პარადიგმა აბსოლუტურად იგივეა, რაც სასხვისო ქცევის პარადიგმა:

(IX) 1. ა. მე	გვალეზი	შენ	3. ის	მემალება	მე	
	ბ. მე	ვემალები	მას	ბ. ის	გვმალება	შენ
2. ა. შენ	მემალები	მე		ც. ის	ემალება	მას
	ბ. შენ	ემალები	მას			

ამ შემთხვევაშიც გვაკლია პარადიგმაში იდენტური სუბიექტისა და ირიბი ობიექტის შემცველი წინადადებები:

(X) ა. მე	*ვემალები	მე
ბ. შენ	*ემალები	შენ
ც. ის <sub>1</sub>	*ემალება	მას <sub>1</sub>

(X) პარადიგმა ზედპირისეულ დონეზე წარმოდგენილია როგორც (XI).

(XI) a. მე ვიმალება

b. შენ იმალება

c. ის იმალება

(X) პარადიგმის (XI) პარადიგმაში ტრანსფორმაცია შეპირობებულია რეფლექსივიზაციის ტრანსფორმაციული წესით, რომლის მიხედვითაც სუბიექტის იდენტური ირიბი ობიექტი უნდა წაიშალოს. ამიტომ (IX) და (XI) პარადიგმებს შორის იგივე განსხვავება გვაქვს, რაც სხვა ანალოგიურ პარადიგმებში. ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ (XI) პარადიგმაში წარმოდგენილი ზმნური ფორმები რეფლექსური ზმნური ფორმებია, რომლებშიც სუბიექტი ერთდროულად აგენტიც არის და რეციპიენტიც, „იმალება“ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტის მოქმედება თვითონ სუბიექტსავე უბრუნდება და არ გადაეცემა ირიბ ობიექტს. სუბიექტის გამოსვლა აგენტისა და რეციპიენტის როლში თავის მხრივ შეპირობებულია იმით, რომ აგენტსა და რეციპიენტს (X) და (XI) პარადიგმებში ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ. სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით (IX) პარადიგმაში. აქ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ და ამიტომ სუბიექტის ნიშანტება ირიბ ობიექტთან ირეფლექსურია. ე. ი. სუბიექტი ყოველთვის აგენტია, ხოლო ირიბი ობიექტი — ყოველთვის რეციპიენტი.

თუ (XI) პარადიგმის ზმნური ფორმები რეფლექსური ფორმებია, მაშინ /ი-/ პრეფიქსი აქ სათავისო ქვევის ნიშანია. ასევე თუ (IX) პარადიგმის ზმნური ფორმები ირეფლექსურია, მაშინ /ე-/ პრეფიქსი სასხვისო ქვევის ნიშანია. 1926 წ. გამოქვეყნებულ ნიშრობში „ქართული ზმნის საქცევი“ ა. შანიძე ენებთმთხვე წარმოდგენილი /ი-/ და /ე-/ პრეფიქსებს ქვევის ნიშნებად მიიჩნევდა: /ი/-ს საარვისო ქვევის ნიშნად; ხოლო /ე/-ს სასხვისო ქვევის ნიშნად [3, 312—333]. შენდევში ეს თვალსაზრისი უარყო თვითონ მანვე და მოცემული პრეფიქსები ენებითის ნიშნებად ჩათვალა, თუმცა ქვევის გამოხატვის ფუნქციად ბოლომდე არ უარყო და ენებითის ნიშნების კონტრაციად მიიჩნია საარვისო და სასხვისო ქვევის გამოხატვა [2, 341]. დღესათვის სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია ა. შანიძის ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც /ი-/ და /ე-/ პრეფიქსები ენებითი გვარის ნიშნებად განიხილება.

ჩვენი აზრით, /ი-/ პრეფიქსი ენებითი გვარის ზმნებში არც ენებითის ნიშანია და არც საარვისო ქვევისა. ეს პრეფიქსი წარმოდგენილია რეფლექსური ზმნების პარადიგმაში და ამიტომ იგი სათავისო ქვევის ნიშანია ისევე, როგორც მოქმედებითი გვარის ან საშუალო გვარის ზმნებში. რაც შეეხება /ე-/ პრეფიქსს ა. შანიძის აღრინდელი შეხედულება ამ საკითხზე, ე. ი. /ე-/ პრეფიქსის განხილვა სასხვისო ქვევის ნიშნად, ჩვენი აზრით, არ უნდა იწვევდეს რაიმე ეჭვს. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. შანიძის ახალ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც /ე-/ პრეფიქსი ენებითის ნიშნად განიხილება.

ამრიგად, /ი-/ და /ე-/ პრეფიქსები ენებითი გვარის ზმნებში ქვევის ნიშნებია და არა გვარის ნიშნები: /ი/-სათავისო ქვევისა, ხოლო /ე/-სასხვისო ქვევისა.

ზემოთ ჩვენ სათავისო ქვევის /ი-/ ნიშანი ენებითი გვარის ზმნებში სიღრმისეულ დონეზე წარმოვადგინეთ /ე-/ პრეფიქსის სახით (იხ. სქემა XI). მაგრამ ეს /ე-/ პრეფიქსი ზედპირისეულ დონეზე რეალიზებულია /ი-/ პრეფიქსის სა-

ხით, ე. ი. საქმე გვაქვს /ე/→/ი/ აბლაუტთან. ამ აბლაუტის მიზეზიც ისევე მორფოლოგიური ომონიმიის დაძლევით არის განპირობებული. თუ სათავისო ქტევის პარადიგმაში /ე-/ პრეფიქსი გვექნებოდა, მაშინ ერთმანეთს დაემთხვეოდა სათავისო და საარვისო ქტევების შემდეგი ფორმები: მე \*ემალე-ბი მე—მე ემალები მას, შენ \*ემალები შენ—შენ ეპალები მას, ის<sub>1</sub> ემალება მას<sub>1</sub>—ის ემალება მას. სწორედ იქ, სადაც მოსალოდნელი იყო დამთხვევა, განვითარებულია /ე/-/ი/ აბლაუტი. რის შედეგადაც /ი-/ სათავისო ქტევის ნიშნად გვევლინება, ხოლო /ე/-/სასხვისო ქტევის ნიშნად. /ე/-ს გადასვლას /ი/-ში და არა. ეთქვათ, /ო/-ში. როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმანაც. რომ სათავისო ქტევის ნიშნად სხვა შემთხვევებშიც /ი-/ გვაქვს.

✓ უნიშნო და დონიან ენებითში სასხვისო ქტევის პარადიგმა ისეთივეა, როგორც მოქმედებით გვარსა და მედიაოპტივიში:

(XII) 1. ა. მე გიჭრები	შენ	3. ა. ის მიჭრება	მე
მე გიწითლდები	შენ	ის მიწითლდება	მე
ბ. მე ვუჭრები	მას	ბ. ის გიჭრება	შენ
მე ვუწითლდები	მას	ის გიწითლდება	შემ
2. ა. შენ მიჭრები	მე	ც. ის უჭრება	მას
შენ მიწითლდები	მე	ის უწითლდება	მას
ბ. შენ უჭრები	მას		
შენ უწითლდები	მას		

რეფლექსური ზმნების პარადიგმა სიღრმისეულ დონეზე ასეთი იქნება:

(XIII) მე *ვიჭრები	მე	შენ *იწითლდები	შენ
მე *ვიწითლდები	მე	ის <sub>1</sub> *იჭრება	მას <sub>1</sub>
შენ *იჭრები	შენ	ის <sub>1</sub> *იწითლდება	მას <sub>1</sub>

მაგრამ ზედაპირისეულ დონეზე /ი-/ პრეფიქსი წაშლილია და სათავისო ქტევის ნიშნად გვევლინება ნულოვანი ალომორფი, ე. ი. საქმე გვაქვს /ი/→/ო/ აბლაუტთან.

(XIV) ა. მე ვჭრები	ბ. ის ჭრება
მე ვწითლდები	ის წითლდება
ბ. შენ ჭრები	
შენ წითლდები	

/ი/→/ო/ აბლაუტის მიზეზს არ წარმოადგენს არც სათავისო და სასხვისო ფორმებს შორის მორფოლოგიური ომონიმიის დაძლევა და არც აწმყოსა და მყოფადის წრეებს შორის დისტანციის დამყარების აუცილებლობა, რადგანაც მყოფადის წრის რეფლექსურ ფორმებშიც /ი-/ პრეფიქსი წაშლილია (მღრ. გა ე წ ი თ ლ დ ე ბ ი, გა წ ი თ ლ დ ე ბ ი, გა წ ი თ ლ დ ე ბ ა). ასევე წაშლილია ეს /ი-/ მეორე სერიაშიც (მღრ. გა ე წ ი თ ლ დ ი, გა წ ი თ ლ დ ი, გა წ ი თ ლ დ ა). რადგანაც /ი/-ს წაშლა ვრცელდება ნთელ პარადიგმაზე, ე. ი. /ი-/ სათავისო ქტევის ნიშნად არა გვაქვს არც პირველ და არც მეორე სერიაში, ამიტომ /ი/→/ო/ აბლაუტის მიზეზი, როგორც ჩანს, თვითონ უნიშნო და დონიანი ენებითების თავისებურ სემანტიკაშია. საქმე ისაა, რომ ამ კლასის ზმნები /ი-/ პრეფიქსის გარეშეც რეფლექსური ზმნებია: „ჭ რ ე ბ ა“ ნიშნავს იმას, რომ აგენტი თავის თავზე განიცდის მოქმედებას. ანალოგურია კვ დ ე ბ ა, დგება, თბება, ხმება და სხვ. ასევე „წ ი თ ლ დ ე ბ ა“ ნიშნავს იმას, რომ აგენტის მოქმედების განმცდელი ისევე აგენტი, ე. ი. ზმნა რეფლექსურია. ზუსტად ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ამ კლასის სხვა ზმნებშიც: შავდება, ვაპრ-

დება, ჩნდება, კედება და სხვ. რადგანაც უნიშნო და დონიანი ვნებითები თავიანთი სემანტიკით რეფლექსური ზმნებია, ამიტომ რეფლექსურობის (სათავისო ქვევის) /ი-/ პრეფიქსი ამ შემთხვევაში ჰარბია და ამიტომ იგი წაშლილია. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული /ი-/ პრეფიქსი არ შეიძლება გვექონდეს უნიშნო და დონიან ვნებითში, ამ კლასის ზმნებს შესაძლებელია ჰქონდეთ ან ჰქონდათ /ი-/ პრეფიქსი სათავისო ქვევის ნიშნად. მაგრამ გრამატიკული თვალსაზრისით იგი ჰარბია და ამიტომაც მისი წაშლა შესაძლებელია, მაგრამ არა აუცილებელი. რადგანაც სათავისო ქვევის /ღ-/ პრეფიქსი ჰარბია უნიშნო და დონიან ვნებითებში, ამიტომ /ი/→/0/ აბლაუტი ხორციელდება ამ კლასის ზმნათა მთელ პარადიგმაში და არა მის ერთ რომელიმე რგოლში.

სტატიკურ ვნებითსა და მედიოპასივში ქვევის თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობა გვაქვს: აწმყო წრეში სტატისტიკურ ვნებითსა და მედიოპასივის შორის სრული ანალოგიაა, რადგანაც ორსავე შემთხვევაში სასხვისო ქვევის პარადიგმა ასეთია:

(XV) 1. a. მე ვიწერივარ	შენ	3. a. ის მიწერია	მე
მე ვიზივარ	შენ	ის მიზის	მე
b. მე ვეწერივარ	მას	b. ის ვიწერია	შენ
მე ვეზივარ	მას	ის ვიზის	
2. a. შენ მიწერიხარ	მე	c. ის უწერია	მას
შენ მიზიხარ	მე	ის უზის	მას
b. შენ უწერიხარ	მას		
შენ უზიხარ	მას		

სათანადო რეფლექსური ზმნების პარადიგმა კი ასეთია:

(XVI) a. მე ვწერივარ	c. ის სწერია
მე ვზივარ	ის ზის
b. შენ სწერიხარ	
შენ ზიხარ	

სიღრმისეულ დონეზე (XVI) პარადიგმა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც

(XVII) a. მე ვწერივარ	მე	c. ის <sub>1</sub> სწერია	მას <sub>1</sub>
მე ვზივარ	მე	ის <sub>1</sub> ზის	მას <sub>1</sub>
b. შენ სწერიხარ	შენ		
შენ ზიხარ	შენ		

(XVI) პარადიგმის წარმოდგენას (XVII) პარადიგმის სახით ის საფუძველი აქვს, რომ რეფლექსური ზმნის სუბიექტის მდგომარეობას განიცდის ისევე სუბიექტი. ე. ი. სუბიექტი აქაც აგენტია და რეციპიენტიც. „სწერია“ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტის მდგომარეობას ისევე სუბიექტი განიცდის, ხოლო „უწერია“ იმას, რომ სუბიექტის მდგომარეობას განიცდის ირიბი ობიექტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სწერია“ ზმნაში სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ, რაც განაპირობებს იმას, რომ სუბიექტი აგენტის როლშიც გვევლინება და რეციპიენტის როლშიც, ხოლო „უწერია“ ზმნაში სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი მხოლოდ რეციპიენტი. რადგანაც სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ.

!სტატიკური ვნებითისა და მედიოპასივის აწმყოში, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს /ი/→/0/ აბლაუტთან. ე. ი. აწმყოში აბლაუტის თვალსაზრისით სტატიკური ვნებითი და მედიოპასივი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, მაგ-

რამ მყოფადისა და წყვეტილში მათ შორის განსხვავება გვაქვს. განვიხილოთ ჯერ მედიოპასივი. სათავისო ქცევის პარადიგმა მედიოპასივის მყოფადში იქნება შემდეგი. მე ეიჯღებო, შენ იჯღებო, ის იჯღება. სასხვისო ქცევის პარადიგმა კი ასეთია: მე შენ გეჯღებო, მე მას ვეჯღებო. შენ მე მეჯღებო, შენ მას ეჯღებო. ის მე მეჯღება, ის შენ გეჯღება. ის მას ეჯღება. როგორც ვხედავთ, მყოფადში დასტურდება /ე/→/ი/ აბლაუტი და /ი-/ სათავისო ქცევის ნიშნად წილის, ხოლო /ე/—სასხვისო ქცევის ნიშნად (სიღრმისეულ დონეზე სათავისო ქცევის პარადიგმა ასეთი იქნება: მე ეეჯღებო მე-, შენ ეეჯღებო შენ. ის ეეჯღება ის. აქაც /ე/→/ი/ აბლაუტის საფუძველია მორფოლოგიური ომონიმია. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს წყვეტილშიც. სათავისო ქცევის პარადიგმა აქ ასეთია: მე ეიჯექი, შენ იჯექი, ის იჯღა, სასხვისო ქცევისა კი ასეთია: მე გიჯექი შენ, მე ვუჯექი მას, შენ მიჯექი მე. შენ უჯექი მას. ის მიჯღა მე, ის გიჯღა შენ, ის უჯღა მას. წყვეტილში გვაქვს სასხვისო ქცევის მეორე პარადიგმა: მე გეჯექი შენ, მე ვეჯექი მას, შენ მეჯექი მე, შენ ეჯექი მას, ის მეჯღა მე, ის გეჯღა შენ, ის ეჯღა მას ამრიგად, წყვეტილში გვაქვს როგორც /ე/→/ი/ აბლაუტი, ისე /ი/→/უ/ აბლაუტი. ორსავე შემთხვევაში რეფლექსურ ფორმებთან /ი-/ სათავისო ქცევის ნიშანია. ისევე როგორც ფორმებთან კი ერთ შემთხვევაში სასხვისო ქცევის ნიშნებია /ი-/ და /უ-/ , ხოლო მეორე შემთხვევაში /ე-/ , /მე მიჯღა ის/ და /მე მეჯღა ის/ წინადადებების იდენტურობა ერთხელ კიდევ გახაზავს იმას. რომ /ე-/ სასხვისო ქცევის ნიშანია და არა ვნებითისა.

ამრიგად, /ე/→/ი/ და /ი/→/ო/ აბლაუტური მონაცვლეობის მიზეზი მედიოპასივის წყვეტილში, ანდა /ე/→/ი/ აბლაუტისა მედიოპასივის მყოფადში გასაგებია. მაგრამ ასახსნელია /ი/→/ო/. აბლაუტის მიზეზი მედიოპასივის აწმყოში. აქაც, როგორც ჩანს, აბლაუტის მიზეზია აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს შორის მორფოლოგიური დისტანციის დამყარების აუცილებლობა, რის შედეგადაც სათავისო ქცევა მყოფადში /ი-/ ნიშნით გამოიხატება, ხოლო აწმყოში—ნულოვანი ალომორფით.

სტატიკური ვნებითის მყოფადსა და წყვეტილში /ე/→/ი/ აბლაუტი არ დასტურდება, ამიტომ /ე-/ პრეფიქსითაა ნაწარმოები როგორც სათავისო ქცევის, ისე სასხვისო ქცევის პარადიგმა:

**მყოფადი**

სათავისო ქცევა	სასხვისო ქცევა	
(XVIII) a. მე ვეწერები	1. a. მე გეწერები	შენ
b. შენ ეწერები	b. მე ვეწერები	მას
c. ის ეწერება	2. a. შენ მეწერები	მე
	b. შენ ეწერები	მას
	3. a. ის მეწერება	მე
	b. ის გეწერება	შენ
	c. ის ეწერება	მას

**წყვეტილი**

სათავისო ქცევა	სასხვისო ქცევა	
(XIX) მე ვაწერ	1. მე გაწერ	შენ
შენ ეწერ	მე ვაწერ	მას
ის ეწერა	2. შენ მეწერ	მე
	შენ ეწერ	მას

3. ის გეწერა	მე
ის გეწერა	შენ
ის ეწერა	მას

ბუნებრივია, დასვას კითხვა, თუ რატომ არ განხორციელდა /ე/→/ი/ აბლაუტი სტატიკური ვნებითის მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებში? როგორც ცნობილია, სტატიკური ვნებითის მყოფადი ისედაც ემთხვევა დინამიკური. ე. წ. ენიანი ვნებითის აწმყოს [2. 464—466]. ამიტომ სტატიკური ვნებითის მყოფადის პარადიგმა სასხვისო ქცივისა ამავე დროს არის დინამიკური ვნებითის აწმყოს სასხვისო ქცივის პარადიგმაც. თუ სტატიკური ვნებითის მყოფადის პარადიგმა სათავისო ქცივისა /ი-/ ალომორფით იქნებოდა ნაწარმოები (ე. ი. ვეკნებოდა: \*ვიწერები. \*იწერები. \*იწერება), მაშინ სტატიკური ვნებითის მყოფადის პარადიგმაც სათავისო ქცივისა დაემთხვეოდა დინამიკური ვნებითის აწმყოს სათავისო ქცივის პარადიგმას. ასევე სტატიკური ვნებითის წყვეტილის პარადიგმა სასხვისო ქცივისა ემთხვევა ანალოგიურ პარადიგმას დინამიკურ ვნებითში. თუ აქაც სათავისო ქცივის პარადიგმა /ი-/ ალომორფით იქნებოდა ნაწარმოები. მაშინ სტატიკური ვნებითის წყვეტილის პარადიგმაც სათავისო ქცივისა დაემთხვეოდა ანალოგიურ პარადიგმას დინამიკური ვნებითის წყვეტილში. ამრიგად, სტატიკურ და დინამიკურ ვნებითებში ერთმანეთს დაემათხვეოდა როგორც სასხვისო. ისე სათავისო ქცივის პარადიგმები. ასეთი სრული დამთხვევის თავიდან აცილების მიზნით, როგორც ჩანს, /ე/→/ი/ აბლაუტი არ განხორციელდა სტატიკური ვნებითის აწმყოსა და წყვეტილში და ამიტომ /ე-/ ალომორფი აქ სასხვისო ქცივის პარადიგმასაც აწარმოებს და სათავისო ქცივის პარადიგმასაც: რეფლექსურ ფორმებთან /ე-/ სათავისო ქცივის ნიშანია. ხოლო ირეფლექსურ ფორმებთან — სასხვისო ქცივის ნიშანი.

ამრიგად, ერთი და იგივე /ე-/ პრეფიქსი სტატიკური ვნებითის მყოფადსა და წყვეტილში ორგვარად ფუნქციონირებს: რეფლექსური ზმნების პარადიგმაში იგი სათავისო ქცივის ნიშანია, ხოლო ირეფლექსური ზმნების პარადიგმაში—სასხვისო ქცივის ნიშანი, ზემოთ ჩვენი სათავისო ქცივის /ი-/ და სასხვისო ქცივის /ი-/ მოქმედებითი გეარის ზმნებზე და მედიოაქტივში ერთ და იმავე ნორფოლოგოურ ელემენტად ჩაეთვალეთ და მას ორგვარი ფუნქცია მივაწერეთ. ამ დებულების ფაქტიური დადასტურებაა სტატიკური ვნებითი, რომელიც აშკარად გვიჩვენებს იმას, რომ ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა დონორბიტული პირობებში სხვადასხვაგვარად შეიძლება ფუნქციონირებდეს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სათავისო ქცივის /ი-/ ნიშნისა და სასხვისო ქცივის /ი-/ ნიშნის შორის გენეტური კავშირის საკითხი დამაჩვენებელი უნდა იყოს.

სტატიკური ვნებითი საყურადღებოა სხვა თვალსაზრისითაც. ზემოთ ჩვენ /ი-/ პრეფიქსიანი ვნებობები (სქემა XI) სიღრმისეულ დონეზე წარმოადგენს ერთ /ე-/ პრეფიქსით (სქემა X). ეს ნიშნავს იმას, რომ სიღრმისეულ დონეზე სათავისო ქცივის ნიშანია /ე/-, რომელიც ზედაპირისეულ დონეზე გარკვეული მიზეზის გამო რეალიზდება როგორც /ი-/. ახლა კი აღმოჩნდა, რომ /ე-/ სათავისო ქცივის ნიშნად შესაძლებელია გვეჩვენოს ზედაპირისეულ დონეზეც, თუ არ განხორციელდება /ე/→/ი/ აბლაუტი. ამიტომ (XI) პარადიგმის წარმოდგენა სიღრმისეულ დონეზე (X) პარადიგმის სახით სავსებით რეალური ლინგვისტური ოპერაციაა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დაეასკვნათ შემდეგი:



ა) სათავისო ქცევა სხვა არაფერია, თუ არა რეფლექსური მიმართება სუბიექტისა ირიბ ობიექტთან. ე. ი. ის, რომ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ. სასხვისო ქცევა კი წარმოადგენს ირეფლექსურ მიმართებას სუბიექტისა ირიბ ობიექტთან, ე. ი. იმას, რომ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ.

სათავისო და სასხვისო ქცევის ამგვარი გაგება ქცევის კატეგორიას აქცევს უნივერსალური გრამატიკის სფეროში, რადგანაც სუბიექტის ირიბ ობიექტთან რეფლექსური ან ირეფლექსური მიმართების საკითხი უნივერსალური გრამატიკის საკითხია. მაგრამ ქართულის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სხვადასხვაგვარი მიმართება სუბიექტისა ირიბ ობიექტთან სპეციალური ნიშნებით გამოიხატება, თვითონ ზნნაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით ქართული არ წარმოადგენს გამოწკისის, რადგანაც ასეთი მდგომარეობა სხვა ენებშიც გვაქვს. ქცევის ამგვარი გაგება არსებითად აფართოებს ქცევის კატეგორიის ფარგლებს თვითონ ქართულში, რადგანაც ამ გაგებით სათავისო ქცევა აქვს არა მარტო მოქმედებითი გვარის, არამედ ენებითი და საშუალი გვარის ზნნებსაც.

ენებითი და საშუალო გვარის ზნნებში განსხვავდება ქცევის ორი სახე — სათავისო და სასხვისო, ხოლო მოქმედებითი გვარის ზნნებში სამი — სათავისო, სასხვისო და საარვისო. ქცევის კატეგორიას თუ შევხვდებით სიღრმისეული დონიდან, მაშინ აღმოჩნდება, რომ სათავისო ქცევის ზნნა არ შეიძლება ერთპირიანი იყოს როგორც მოქმედებით, რწუნებით და საშუალო გვარში; არ შეიძლება ერთპირიანი იყოს, რადგანაც სათავისო ქცევა ყოველთვის გულისხმობს სუბიექტის იდენტურ ირიბ ობიექტს. ასევე შეუძლებელია გვქონდეს ერთპირიანი სასხვისო ქცევის ფორმა, რამდენადაც სასხვისო ქცევა ყოველთვის გულისხმობს სუბიექტის არაიდენტურ ირიბ ობიექტს. ერთპირიანი შეიძლება იყოს საარვისო ქცევის ფორმა, მაგრამ საარვისო ქცევა მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზნნებში გვაქვს, სადაც პირდაპირი ობიექტი ყოველთვისაა წარმოდგენილი. გამოდის, რომ სიღრმისეულ დონეზე ერთპირიანი ზნნა საერთოდ არა გვაქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთპირიანი ზნნები არა გვაქვს ზედაპირულ დონეზე. როგორც ვნახეთ, რეფლექსივიზაციის წესის მიხედვით ირიბი ობიექტი ზედაპირულ დონეზე ყოველთვის წაიშლება და ამიტომ სათავისო ქცევის ფორმა სათანადო. სასხვისო ქცევის ფორმასთან მიმართებით ყოველთვის ერთი პირით ნაკლებს შეიცავს. ეს წესი აბსოლუტურია როგორც მოქმედებითი, ისე ენებითი და საშუალო გვარის ზნნებში. მაგრამ სიღრმისეულ დონეზე სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს შორის ეს განსხვავება არა გვაქვს, რადგანაც ამ დონეზე ყოველთვის შესაძლებელია აღუადგინოთ სუბიექტის იდენტური ფორმა ობიექტი სათავისო ქცევის ფორმასშიც.

დასასრულ გვინდა შევჩერდეთ ერთ საკითხზეც. როგორც ცნობილია, ქცევის შესახებ თეორია ქართულში დაამუშავა ა. შანიძემ და ეს თეორია, ზოგიერთ განსხვავებებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მთლიანადაა გაზიარებული როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთელი ქართველოლოგების მიერაც. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ქცევის მოდელი ერთი შეხედვით არსებითად განსხვავდება ა. შანიძის მოდელისაგან. რა თქმა უნდა, ეს მოდელი ახალი მოდელია ქცევისა ქართულში, მაგრამ იგი არსებითად მაინც არ განსხვავდება ა. შანიძის მოდელისაგან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბლაუტურ წესების დადგენას, ქცევის აქ წარმოდგენილი მოდელი ა. შანიძის ანალო-

გიური მოდელისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ სათავისო ქცევა ჩვენ გამოვეყავით ენებითი და საშუალო გვარის ზმნებშიც.

ამრიგად, ქვეის ჩვენი მოდელი ქართულში ახალია მხოლოდ ენებითი და საშუალო გვარის ზმნებისათვის. ა. შანიძე, როგორც ცნობილია, ენებითი და საშუალო გვარის ზმნებში განასხვავებს საარვისო და სასხვისო ქცევას, ხოლო ჩვენ კი სათავისო და სასხვისო ქცევას. მაგრამ ასეთი დაზუსტება არსებითია ორი თვალსაზრისით: ა) /ი-/ და /ე-/ პრეფიქსები ენებითი გვარის ზმნებში განიხილება არა როგორც ენებითის ნიშნები, არამედ როგორც ქვეის ნიშნები, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ენებითში წარმოდგენილი /ი-/ პრეფიქსი და საშუალო გვარის ზმნების რეფლექსურ ფორმებში არსებული /ი-/ ერთ (სათავისო ქვეის) მორფოლოგიურ ელემენტად მივიჩნიოთ და დაეუქვეიროთ იგი სათავისო ქვეის ნიშანს მოქმედებითი გვარის ზმნებში; ბ) ასეთი დაზუსტების შემდეგ ქვეის მოდელი უფრო ეკონომიური ხდება, რადგანაც იგი ცალსახად აღწერს ზმნური ხმოვანპრეფიქსების ყველა გამოვლენას ქართულში.

#### ლიტერატურა

1. ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.
2. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ზმნის საქცევი, თსუ შოამბე, VI, თბილისი, 1926.
4. ა რ ჯ. ჩ ი ქ ბ ა ე ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
5. ბ. ჟ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.
6. N. Chomsky, Aspects of the theory of syntax, Cambridge, 1965.
7. G. Deeters, Das knartawelische Ve.bum, Leipzig, 1930.
8. G. Lakoff, Deep and surface grammar, 1966.
9. D. Perlmutter, Deep and surface structure constraints in syntax, MIT, 1971.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა

## ცირა ბოჭორიშვილი

### XVIII საუკუნის ძეგლის „მირიანის“ ენობრივი თავისებურებანი

#### სახელთა ბრუნება

მირის, ჩინელთ ჰაბუკის, წიგნის — „მირიანის“ ჩვენი ხელნაწერი მეტად საყურადღებო ეტაპს წარმოადგენს სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორიაში. ეს არის გარდამავალი ხანა საშუალი ქართულიდან ახლისაკენ — მე-18 საუკუნის II ნახევარი.

ცალ-ცალკე განვიხილავთ ამ ძეგლის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სტილურ და ლექსიკურ თავისებურებებს ძველ და ახალ ქართულთან მიმართებით, ზოგჯერ კი უშუალოდ წინა პერიოდის საშუალი ქართულის ძეგლების ენასთან მიმართებით, რაც საშუალებას მოგვცემს, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედის სალიტერატურო ქართულ ენაზე ჩვენი ძეგლის მიხედვით.

ამ წერილში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სახელთა ბრუნება.

#### I. საზოგადო სახელთა ბრუნება

ბრუნებათა ფუნქციები ძველსა და ახალ ქართულში არსებითად არ შეცვლილა, თუ ნხედველობაში არ მივიღებთ სადავო წრფელობით ბრუნვას, რომელიც აღარ გვხვდება ქართულის დიალექტებსა და სალიტერატურო ენაში... სხვაობა ენის განვითარების ამ ორ საფეხურს შორის ბრუნებათა გაფორმების მხრივ გვაქვს.

საზოგადო სახელთა ბრუნებისას „მირიანი“ არსებითად ახალი ქართულის ნიშნებს გვიჩვენებს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ძველი ქართულის ფორმებიც არის გამოყენებული.

განვიხილოთ სათანადო სისტემა:

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ა მ ძ ე გ ლ შ ი ა ქ ვ თ მ ს ო ლ ო დ სა კ ე თ ა რ სა ხ ე ლ ე ბ ს, საზოგადოსთან არც ერთი მაგალითი არ დასტურდება.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს ბრუნვის ნიშნად ყოველთვის აქვს ი. მაგალითად: ჭოხი დაიჭირა (2,1); დიღმ და ძლიერი ქალაქები ქონდა (30,3) და სხვ.

სახელობითი ბრუნვის ფორმა თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს არსებითად ერთნაირი აქვთ სალიტერატურო ქართული ენის განვითარების მთელს მანძილზე და მაგალითებს აღარ გვაძრავლებთ, რადგან ჩვენი ძეგლი

1 ყოფილი საქართველოს საეკლესიო მუზეუმის ფონდი A—860. ხელნაწერი დათარიღებულია 1778 წლით: „განსრულდა წიგნი იგი მირიანი კელითა ჩანთაშვილის ნიკოლოზ მღვდლისათა. მკითხველნო, თქვენც მოგვიცხენეთ. ოკტომბერსა 1 იე, ქკს უაკ“, „მირიანი“, 35, 4—5.

ამ ნორმას არ უხვევს<sup>2</sup>. რაც შეეხება ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს, მათი სახელობითის ფორმა განსხვავებულად წარმოგვიდგება სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. „მირიანში“ ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები მხოლოდ ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: წყარო ნახეს (2, 17); სიძე და ქალი ზედ დასხა (3, 32); ...ქვეყანა იმით დაეჭირაო (I, II) და სხვ. მაშასადამე, სახელობით ბრუნვაში უკვე გვაქვს ფონოლოგიურად შეპირობებული ი-ი ალომორფები, რომლებიც საბოლოოდ დამკვიდრდა ახალ ქართულში.

მოთხრობითი ბრუნვა. შესაბამისად სახელის ფუძისა, ამ ბრუნვაში სახელები ძირითადად მ-მა ალომორფებით არიან წარმოდგენილი, როგორც ახალ ქართულში, მაგრამ, არცთუ იშვიათად, ძეგლი იყენებს ძველი ქართულის -მან სუფიქსსაც. მაგალითები: -მან: ფილოსოფოსმან (1,15), გვრიტმან (1,34), ზღვამან (4,10), ყველამან (6,13), ლომმან (12,28), კარმან (12,36) და სხვ.

-მა: ფილოსოფოსმა (1,31), ქალმა (3,4), ხალხმა (3,33).

-მ: ხელმწიფემ (17,46), დედამ (2,42) და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, თავისუფლად მონაცვლეობენ -მან და -მა ალომორფები — ფილოსოფოსმან/ფილოსოფოსმა. ეს შედეგია ძველი და ახალი ნორმების შექანყურად შენაცვლებისა (წიგნური ტრადიციისა და სამეტყველო ნორმების განურჩევლად გამოყენება)<sup>3</sup>. რაც შეეხება -მ ალომორფის იგი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია -მან/-მა თავისუფლად მონაცვლე ალომორფებთან: -მან/-მა მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებთან. ეს დამოკიდებულება კი ახალი ქართული ენისაა. ძველი ქართული ამ ბრუნვაში სახელებს არ არჩევდა ფუძეების მიხედვით (ქალ-მან და დედა-მან).

მიცემითი ბრუნვა. ეს ფორმები გვხვდება როგორც ემფატიკური — ხმოვნით, ისე მის გარეშე. მაგალითად: მუშთარი ...ზღვას ფიცრით წაელო (13,9); შეხვდა ხალხსა (13, 19); თავი ლომს უგავნდა, კისერი — აქლეშსა, ხელები — მაიმუნსა, ფეხები — ზროხასა, რქები — ირემსა (6,16) და სხვ.

მსგავსად ახალი სალიტერატურო ქართულისა, ემფატიკური ხმოვანი არსებითად იხმარება პაუზის წინ<sup>4</sup>.

სადაობითი დამიწვენითი ბრუნვების ფუნქცია მიცემითის უთანდებულო ფორმითაა გადმოცემული, რითაც ძეგლი გვაგონებს ქართული ენის აღმოსავლურ კილოებს.

<sup>2</sup> ცნობილია, რომ მთის კილოებში თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი გარკვეულ პოზიციებში ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში. იხ. მაგ.: აღ. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 45 და 48; თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 21. მსგავსი ეთარება იშვიათად ძველ ქართულშიც დასტურდება. იხ. ჯ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, „იმომპილველი“, 4—5, 1968.

<sup>3</sup> ქართულ ძეგლებში უკვე IX—X საუკუნეთა მიჯნაზე იჩენს თავს -მა ვარიანტი. იხ. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 22.

<sup>4</sup> ა. ზურაბიშვილი, მავრიტობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის ევლტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972.

სადაღობითი: მალრიბის ქვეყანას ერთი ხელმწიფეა (4, 13); ერთ დღეს სანადიროს იყო (4, 3) და სხვ.

მიწვევითი: არამია რომ იერუსალიმს მივიდოდა... (10,2); შღრ. ძე. ქართ. იერუსალიმდ. მინდა სარანდობის ქვეყანას წავიდეო (5, 11); შღრ. ძე. ქართ. ქუეყანად.

საყურადღებოა ზნინუდის ფორმა გვერთ „გვერდით“: მუშთარს გვერთ დასევედა (4,37). გვერთ უთუოდ მიცენითი ბრუნვის ფორმაა მრავლობით რიცხვში გაქვევებული (გვერდ-თ გვერ-თ), ე. ი. არ იეარაუდება გვერდს > გვერდ > გვერთ, რადგან ასეთი ცვლილების ვარაუდის საფუძველს ძეგლი არ იძლევა.

ნათესაობითი ბრუნვა. ეს ბრუნვა გვხვდება როგორც გაუერცობელი, ისე გაერცობილი სახით. გაერცობილ ფორმებს არსებითად პაუზას წინ ეხვდებით.

მოქმედებითი ბრუნვა. ძეგლში ისეა წარმოდგენილი, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში. მას იშვიათად ეხვდებით გამოსვლითი ფუნქციით (მირი ზღვით გამოვიდა—13, 14). რაც მოქმედებითს დღემდე შემორჩა მთის დიალექტებში.

რაც ყველაზე უფრო არსებითია, ხმოვანფუძიანი უკვეცლა სახელების მომდევნოდ უკვე გვაქვს ბრუნვის ნიშნის + -თ ალომორფი: ჯადოთი შეუკრავს (1,21). ეს ვითარება ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ძეგლისათვის, რომელშიც -ა ალარ გვხვდება ბრუნვათა ფორმებში (სახელობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი), ხოლო ვითარებითი ბრუნვის -ად -დ ალომორფები არსებითად უკვე -ათ-თ სახით არის წარმოდგენილი (იხ. ქვემოთ).

ვითარებითი ბრუნვა. ამ ბრუნვის ნიშნის თანხმომიანი ძეგლში ძირითადად დაყრუებული სახით გვხვდება და ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია -ათ-თ ალომორფებით, თუმცა გვხვდება -ად-დ ვარიანტებიც. -ათ და -ად თავისუფლად მონაცვლეობენ. ასევე -თ და -დ, თვით -ათ და -თ (resp. -ად და -დ) პოზიციით შეპირობებული ალომორფებია, ე. ი. მათ შორის გვაქვს დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება, რაც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ ძეგლი და ახალი ქართული არ განსხვავდება.

ქვემოთ მოგვეყვას მაგალითები ჩვენი ძეგლიდან: -თ: ხოჯათ მოირთო (26, 11); ტყვეთ არის (16,22); ხელმწიფეთ დასვეს (14, 46) და სხვ.

-ათ ტუსალათ (2,23), მეტათ, (7,33), დასანახაეთ (9, 11) და სხვ.

თ ~ ათ გვხვდება გაერცობილი სახითაც: გამოიყვანეს სასიკვდილოთა (13,6) ...მშათ იყავი საომრათაო (18,1).

ამთ გვერდით ძეგლისათვის ბუნებრივი ჩანს ვითარებითი ბრუნვის ალომორფები თავდაპირველი დაყრუებული სახითაც. მაგალითად, კარგად (20,4), ერთად (1,30), სიკვდილად მიყრილი (4,26) და სხვ.

ტუსალათ, ტყვეთ ფორმების გვერდით სასიკვდილოთა, საომრათაო ფორმების მონაცვლეობა ვითარებით ბრუნვაში უკვე პოზიციით არ არის შეპირობებული. -თ ~ -ათ გვაქვს როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ისე ხმოვნის წინ. მაშასადამე, ბრუნვის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ [-ათ] მორფემა -თ და -ათ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებით, ხოლო მათთან თავისუფლად მონაცვლე -დ ~ -ად ვარიანტები ლიტერატურული

ტრადიციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს და არა ძეგლის გადაწერის დროის შეტყველების თავისებურებად.

აღ>ათ და დ>თ პროცესის დასრულებასთან უნდა იყოს დაკავშირებული თი ალომორფის წარმოქმნა მოქმედებით ბრუნვაში: ვითარებითი ბრუნვის მორფემის თანხმონის დაყრუებისა და /ი/ ფონემის [ა] ალოფონის გაჭრობის შემდეგ უკვეცელი სახელების მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები ერთმანეთს დაემთხვა: უ ს უ ლ ო მ თ > უ ს უ ლ ო თ და მეორე მხრივ, უ ს უ ლ ო დ > უ ს უ ლ ო თ ბრუნვათა განსასხეავეზლად ნათესაობითის ანალოგიით მოქმედებითმაც დაირთო ი ხმოვანი<sup>5</sup>, რომელსაც, რა თქმა უნდა, სახელობითის ფუნქცია აღარ ექნებოდა.

წო დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ე ი ს ნიშნად გვაქვს როგორც -ო, ისე მისგან მიღებული -ვ ალომორფი. ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ ხმოვანფუძიან სახელებში. ამ ფორმებში მათი მონაცვლეობა არ არის განპირობებული რაიმე ფაქტორით, მაგალითად, ხელმწიფეო (1,7.) მაგრამ იქვეა: ხელმწიფევ (6,34); შეენებით საესევ (8,26), მაგრამ: ძმაო, რათა სტირი (4,5) და სხვ.

თანხმოვანფუძიან სახელებში წოდებითი ბრუნვის ნიშნად ყოველთვის გვაქვს -ო, იგი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია -გ-სთან, რომელიც მხოლოდ ხმოვანფუძიან სახელებთან არის შესაძლებელი.

ზემოთ ჩვენ გავეცანით ყველა ბრუნვის ფორმას „მირიანის“ მიხედვით. თუ ბრუნვათა ფუნქციებისა და ბრუნვათა ფორმების მიხედვით ვიმსჯელებთ, „მირიანი“ ახალი ქართული ენის ძეგლია: 1. საზოგადო სახელებს არა აქვთ წრფელობითი ბრუნვა; 2. სახელობითმა არ იცის-ა ალომორფი; 3. ნათესაობით ბრუნვაში აღარ გვხვდება-მს, ხოლო მოქმედებით ბრუნვაში -მთ ალომორფი; 4. მოქმედებით ბრუნვას უკვე აქვს ახალი ქართულის-თი ალომორფი; 5. ხოლო ვითარებით ბრუნვაში გვაქვს -ათ ~ -თ ალომორფები.

რაც შეეხება საზოგადო სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს, აქაც საკმაოდ იგრძნობა დაცილება ძველი ქართულისაგან და დიდი სიახლოვე ახალ ქართულთან, კერძოდ: თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები გამოყენებულია მხოლოდ მო თ ხ რ ო ბ ი თ, მი ც ე მ ი თ და ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბრუნვებში (რაც ახალი ქართულისათვის დღემდე ჩვეულებრივ ვითარებად ითვლება).

მაგალითები ტექსტიდან: მო ქ ა ლ ა ქ ე თ რ ო მ ნახეს... (13,6) — მოთხრობითი ბრუნვა; ქ ე ნ ძ უ ლ თ ა მიატანეს (5,20) — მიცემითი ბრუნვა; ს კ ა მ თ მორთულობა (7, 18)—ნათესაობითი ბრუნვა და სხვ.

ძეგლში ხშირია -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები: ხ ე ე ბ ი (2,17); მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ მ ა ნ (2,44), დ ე ვ ე ბ მ ა ნ (6,35); ც ო ლ ე ბ ა თ ხელმწიფეთ ქალი ყვანანო (19, 22) და სხვ.

ყურადღებას იქცევს მრავლობითის ერთი ფორმა — მკლებლებთ „მხლებლებს“: მ ქ ლ ე ბ ლ ე ბ თ უბრძანა (22, 16). მკლებლ-ებ-თ არის მიცემითი ბრუნვის ფორმა. რამდენადაც -ებ სუფიქსი უთუოდ სიმრავლეს გამოხატავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ -თ აქ მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფუნქციით გვევლინება.

5 ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., ქართული ენა, განაკვეთი III და IV, თბ., 1933, გვ. 42.

6 ა. რ. ჩ. ი. კ. ო. ბ. ა. ე., სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში: ფუძეუწყველ სახელთა ნათესაობითისა და და მოქმედებითის ფორმანტოა ევოლუციისათვის, კრებულში: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.

ასეთ ფორმებს საშუალებას ქართულში მრავლად ვხვდებით<sup>7</sup>. ესენი დღესაც გვხვდება მთის დიალექტებში ოღონდ მოთხრობითი ბრუნვის შინაარსით (მკვლევართა მიხედვით „მხლებლებმა“)<sup>8</sup>.

## II. საკუთარი სახელების ბრუნვა

ცნობილია, რომ საკუთარი სახელები ძველ ქართულ ენაში ბრუნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ საზოგადო სახელებისაგან. კერძოდ, განსხვავება გვექონდა სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნებებში, სადაც საკუთარი სახელები ნულთან ალომორფით იყო წარმოდგენილი, ხოლო საზოგადო სახელებს ბრუნვის ნიშანი მატერიალურად ჰქონდა წარმოდგენილი<sup>9</sup>. მიცემით, ნათესაობით და მოკმედებით ბრუნებებში, განსხვავებით საზოგადო სახელთაგან, საკუთარი სახელები ემფატიკურ - ა ხმოვანს არ ირთავდნენ<sup>10</sup>.

ჩვენს ძველში არსებითად დამთავრებულია საკუთარ და საზოგადო სახელთა ბრუნების უნიფიკაცია, რაც ჭერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო. „მორიანში“ საკუთარ სახელებს სახელობითსა და მოთხრობითს აქვთ -ი და -შანი სუფიქსებით ბრუნვითა შესაბამისად, მაგალითად: ჩემი სახელი მუშთარია (4,7); რუფერე მ რომ ნიქახტარი ნახა (15, 14); მუშთარ მან მოახსენა (4, 32); სააბ რომ ნირმან მოკლა (30, 41); არამიან მირს მოახსენა (6, 2; 6,5); მირიშ წაიკითხა (21,1) და სხვ.

ჩვენს ძველში საკუთარი სახელები საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველი ნორმის მიხედვით წრფელობით, სახელობით და მოთხრობით ბრუნებებში.

ცნობილია, რომ ერქვა ზმნასთან ძველ ქართულში მხოლოდ წრფელობითია გამოყენებული. ასეა ჩვენს ძველშიც: მუშფალ ერქვა (12, 15); სახელად რუზამფარ ერქვა (2,34); ფარუხფალ ერქვა (2, 36); სახელად ნიქახტარ ერქვა (4, 38) და სხვ.

სახელობითი ბრუნვა: რუზამფარ მოვიდის (3,37); ხოსროვშაე და რუზამფარ დააქორწილეს (3, 31), ნასიბთან გაატანა (მირიშ.—ც. ბ.) (26,3) და სხვ.

მოთხრობითი ბრუნვა: იმ ნასირ შვილად აიყვანა (15, 17); ნასიბ წაიყვანა (32, 19); რუზამფარ მოახსენა (3,8); ზულუმათ ზანდუკი აიკილა (22,8), მუშფარ საღამომდინ იარა (12, 17); ანდალიბ ...ნადეელი დაასრულა. (11,4); რუფერ თავის კელით ღვინო მიართვა (15, 29); ნიქახტარ შეატყო (4,41); ფარუხფალ რომ გაიგონა... (3,25) და სხვ.

ჩვენს ძველში საკუთარი სახელები ჩვეულებრივ ირთავენ ემფატიკურ ხმოვანს: ნომიავთაბისათვის ტიროდა (5, 10); ერთი ცეცხლი ნომიავთაბისა სწავადა, მეორე — ნიქახტარისა. მესამე — მუშთარისა (13,2) და სხვ.

გვიჭრობთ, საკუთარი სახელების ბრუნვითა ძველი ქართულის ფორმები წრფელობით, სახელობით და მოთხრობით ბრუნებებში შემორჩენილია ლიტე-

<sup>7</sup> იხ. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949: „ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიებ“, გვ. 10.

<sup>8</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 32.

<sup>9</sup> იხ. შავ, ივ. იმანიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1971.

<sup>10</sup> იქვე.

რატურულ ტრადიციით. სასაუბრო ენაში ეს ფორმები არ უნდა გვექონოდა, რაზედაც, ერთი მხრივ, მიუთითებს ჩვენ მიერ ამ ბრუნვათა ზემოთ განხილული მასალა, რომელიც ახალი ქართულისაა, მეორე მხრივ, მთლიანი ენობრივი გარემო, რომელშიც ეს ფორმებია მოქცეული. ამ საკითხზე აქ ვერ ვიმსჯელებთ, ოღონდ აღნიშნავთ რომ ზმნათა და უდეტერთა ფორმები „მირიანში“ ახალი ქართულისაა. აქა-იქ თუ ვაივლებს რომელიმე ძველი ფორმა, რაც აშკარა შეუსაბამობას წარმოადგენს ჩვენი ძეგლისათვის, მაგალითად, -ნ- სუფიქსიანი ვნებითი — შ ე შ ფ ო თ ნ ა (შ ე შ ფ ო თ ნ ა საბრალო ხორამფორა... 33, 42) რაც არათუ მე-18 საუკუნის ბოლოს, არამედ „ვეფხისტყაოსნისთვისაც“ კი ანაქრონიზმად ჩაითვლება.

### III. მსაზღვრელ-საზღვრული

ა) ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სახელები ბრუნების მიხედვით არსებითად ერთნაირ გრამატიკულ თვისებას იჩენენ ძველ და ახალ ქართულში, კერძოდ, მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არის შეთანხმება. ძველსა და ახალ ქართულს შორის განსხვავება არის მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით. ახალ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი რიგ ბრუნვაში გვიჩვენებს ისეთ ალომორფებს, რომლებიც ძველ ქართულში არ გვექონდა. მაგალითად: -შა და 0 ალომორფები მოთხრობით ბრუნვაში (დიდმა კაცმა, მცირე საქმენ), ნულოვანი ალომორფი მიცემით და ვითარებით ბრუნვებში (დიდ კაცს, დიდ კაცად), -ი ალომორფი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (დიდი კაცის, დიდი კაცით) და სხვ. ქვემოთ მოგვყავს ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები ცალკეულ ბრუნვათა მიხედვით.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ჩვეულებრივ შეთანხმებულია საზღვრულთან. ამ მხრივ ძველსა და ახალ ქართულში ვითარება ერთნაირია. ჩვენი ძეგლიც ამ მხრივ არაერთარ თავისებურებას არ გვიჩვენებს. მაგალითები: დიდი კივილი (22,21); ერთი ბეჭედი (1, 11); ჩემი ბედი (22, 14); იმისი სიხარული (23, 39) და სხვა.

რადგანაც სახელობით ბრუნვაში უკვე აღარ გვაქვს -ა ალომორფი (იხ. ზემოთ), ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: სხვა ანბავი (23,2); მწარე სიტყვები თქვა (27, 46) და სხვ.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. მოთხრობით ბრუნვაშიც შეთანხმება გვაქვს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, ოღონდ ბრუნვის ნიშანი ხან ძველი ფორმით წარმოგვიდგება, ხან ახლით, როგორც სახელთა ცალკე ბრუნებისას გვექონდა (იხ. ზემოთ). ვნახოთ მაგალითები: ყოველმან ქელმწიფემ (7, 13); შენმან ბედმან (23, 32); ტკბილმან და უცხო მხალით გაკეთებულმან შაქარლამან<sup>11</sup> დიად გული დაუაბა (7, 46); ერთმან დედაკაცმან მოაყენა (8, 45); შეიტყო მთელმან ლაშქარმან (22, 25); განსწავლულმან მთელმან საფრანგეთმან ვერ გაუძლო (29, 31); შავოსანმან ქალმან (33, 29); ბერმან კაცმან (17, 21); მაგრამ ამის გვერდით ხშირია ახალი ქართულის ფორმები: ბერმა

<sup>11</sup> შაქარლამან <შაქარლამან კაპოლოგის შედეგად.



კაცმა (5,30); აემა ქარმა (5, 29), ჩემმა ქალმან (9,45)—ზღრ. ჩემმან ქალმან და სხვ.

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი შეიძლება რეალურად იყოს წარმოდგენილი, მაგრამ შეიძლება ნულოვანი ალომორფითაც, მაგალითად: მეორემ ვეზირმან მოახსენა (1, 12); ვერამ ხელმწიფემ ვერ იშოვნა (1, 10); იქვეა: ყველა დევმან (6, 32); ასევე ნაცვალსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი შეიძლება რეალურად ჰქონდეს გამოხატული საზღვრულის წინ ანდა ნულოვანი ალომორფით იყოს წარმოდგენილი: ვერამ ქელმწიფემ (1, 10), მაგრამ: ამ დაწყებულმან ჯადომ დამიჭირა (2,3); ამ დევებმან (8,42); იმ კაცმან მოაქსენა (16, 38) და სხვ.

მსაზღვრელად წარმოდგენილ წოდების სახელებთან საკუთარი სახელი (საზღვრული) ნოთხრობით ბრუნვაში ძირითადად ნულოვანი მორფემით გამოიხატება, მაგრამ შესაძლოა შეთანხმება იყოს სათანადოდ გაფორმებული: ნასიბ აიარმან გაიძარჯვა (16, 42); ამიან დევმან არ გამიშვა (5, 44); ფარუქ ფალ ხელმწიფემ ბრძანა (3, 10); მაგრამ აქვეა ასეც: მიჩიმ ქელმწიფემ ბრძანა (17, 3, 7).

მიცემითი ბრუნვა. ხშირია შენთხვევები, როცა მსაზღვრელი, მიუხედავად ფუძის ტიპისა, მსგავსად ძველი ქართულისა -ს მორფემას ინარჩუნებს: უკვდავების მსგავსეს ტუჩებს ამოსწოდის (29, 14); კეთილის საწადელსა (35, 2) გამოყვა თავის სასურველს ქალს და სიძეს (30, 10); ერთს დიდს ჯარს (30, 29); ცალს მხარეს (24,5); სამს კაცს ეძინათ (3, 13); ჩემს შვილს (5,3); ჯამს კაცს (7, 10) „ხამ კაცს“; დამპალს, ხავსიანს გუბებს (8, 11); ბერს კაცს სალაში მისცა (17, 21); პატარას ხანს ტახტზე დაქე (28, 46); მეორეს დღეს (19, 12); ამისთანას სიძეს ვერ იშოვნო (11, 41); ცოტას ხანს (5,1); თითოს იმის სურათსა (4, 17); იმისთანას ყოფას (34, 39) და სხვ.

როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, ახალი ქართულის მსგავსად, ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაში; ათ დღეს უკან (1,20), ცოტა ხანს (15, 29); იმა ხელმწიფესა (1, 29) და სხვ.

თანდებულებიანი საზღვრულის წინ მსაზღვრელი ნულოვანი ალომორფითაც გვხვდება და -ს ალომორფითაც: დიდ წყალობაში (7,27) თავის გულში (7,26) და სხვ. იქვეა ესეც: კაის სალუქს ქვეშაგებში (15, 30); სხვას სახლში შევიდა (18, 42). კაის ყოფაში ვართ (17, 4); დიდს გლოვაში იყო (28, 12) და სხვ.

საკუთარი სახელი საზღვრულის წინაა და ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს ილაილ ქელმწიფეს (17, 8)... გვხვდება ასეთი მაგალითიც: ფარუხ ფალი ქელმწიფეს (3,2), სადაც ბრუნვის ნიშანი ფუძის ნაწილად გაიაზრება. ზღრ. დიალექტური ეთერი მასწავლებელს.

ნათესაობითი ბრუნვა. ატრიბუტული მსაზღვრელი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი: გვხვდება არქაული, ახალი და უახლესი ფორმაც<sup>12</sup>.

მსაზღვრელი წარმოდგენილია -ის ალომორფით: ჩენის ხელმწიფის შვილის (14, 39); დიდის ხნის (22, 19); ერთის მთის (2,16), კაის

<sup>12</sup> მსაზღვრელის ფორმის აღწერისას ვიყენებთ ა. შანიძის ტერმინოლოგიას. იხ. მისი: ქართული ენის საფუძვლები, თბ., 1973, § 119.

ბედისა იჭნება (3, 41). სამის კაცის მოსვლა (3,5); ნასყიდის ყული ხელმწიფისთვის ვკვლებიო (19, 19); გათლილის ქვის სკამები (6, 9).

მსაზღვრელი წარმოდგენილია -ი მორფემით: ინისი სიშორისათვის ტიროდა (15, 16); შდრ. მისის კაცებისთვის (12,1); ჩემი ხელმწიფის შეილი ნახეთ (29,7); შდრ. ჩემის ხელმწიფის მამისა (28, 41);

მსაზღვრელი წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით: თავის ქალის სანახავათ (33,9); თავის ბეჭდის მაგიერ აცვია (14, 19), შდრ. თავისის გზის ფიჭრი ნახა (5,5); თავისის საყვარელის ქალის დაკარგვა (21, 7) და სხვ.

ახალ ქართულში მსაზღვრელის საწინავე ფორმას ვხვდებით, ოღონდ -იხ ალომორფის ნჭონე მსაზღვრელი მთის აღმოსავლურმა დიალექტებმა (ხევს., თუშ., ფშ.) შეზღოინახეს. ლიტერატურულ ენაში კი ნხოლოდ სტილური გამართლება აქვს მსაზღვრელთა ასეთ ფორმებს.

მოქმედებით ბრუნველობი დასმული საზღვრელის წინ მსაზღვრელი წესისამებრ ნათესაობით ბრუნვაში დგას და ამ მხრივ განსხვავდება როგორც ძველი, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებული იყო ახალ ქართულში და მათ დღემდე ვხვდებით ლიტერატურულ ძეგლებში<sup>13</sup>.

მაგალითები „მირიანისდან“: დიდის ქირით (31,1); თორმეტის ბუბერაზით (30,22); ასეთის კმით უმღეროდა (28,5); გამოუღდა დიდის ბარგითა და ხაზინითა (26,5); იმისის საბაბით მოკვდაო (25,13); მწარის გლოით ეს ამბავი მოაქსენა (20, 27); მალის კმით (20, 27); დაფერადებულის ყვაელითა (17, 18); კელმწიფურის რიგით (12, 46); გამოსულიყო თავისის გამდლითა (7,31); გული იმისის სიყვარულით ცეცხლივით ენთო (4,23) და სხვ.

ვითარებით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ისეა მოცემული, როგორც ახალ ქართულში — ნულოვანი ალომორფით: ბრმა კაცად გარდაიქვა (2,1). თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი კი მიცენით ბრუნვაში დგას ვითარებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან: ჩენს შეილად აიყვან (13, 45). ასეთი ფორმებიც დღემდე შემორჩა ლიტერატურულ ქართულს<sup>14</sup>.

წოდებითი ბრუნვა. ენახთ მაგალითები: ჩემო სიცოცხლეო (8, 25); შენ ფინთო, საძაგელო ჯადოო (26, 35). ამ ბრუნვაშიც მსაზღვრელ-საზღვრული ყოველთვის შეთანხმებულია. ამ დროს ჩემო სიცოცხლეე ტიპის სინტაგმებიც უნდა ვივარაუდოთ, რადგანაც -ვ ალომორფიანი ხმოვანფუძიანი სახელები დადასტურდა (იხ. ზემოთ). ჩვენს ძეგლში ისინი შემთხვევით ვერ მოხვდა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელის ბრუნებისას ახალი ქართული ვითარება, შეიძლება ითქვას, მკაფიოდ შეიგრძნობა ჩვენს ძეგლში: 1. მსაზღვრელი საზღვრელის წინ დგას სისტემატურად და ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი რიგი (პოსტპოზიციური) აღარ გვხვდება. 2. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი წარმოდგენილია ნულოვანი

<sup>13</sup> იხ. მაგალითად, ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, § 120; ა. კიზირია, საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი, იკე, VI, გვ. 154.

<sup>14</sup> ა. შანიძე დასახ. ნაშრომი, § 120.

ალომორფით არა მხოლოდ სახელობითში, არამედ სხვა ბრუნვებშიც: ცოტა ხანს... მიცემით ბრუნვაში ნულოვანი შეიძლება თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელიც შეგვხედეს: ათ დღეს. 3. ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელს აქვს -ი და -ო ალომორფები: იმის-ი სიმორისათვის და თავის ბექდის.

მსაზღვრელის არქაული ფორმების არსებობა ამა თუ იმ ბრუნვაში უთუოდ წინური ტრადიციის შედეგია და არა იმდროინდელი მეტყველების ნორმათა ანსახველი. ამ დებულებას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როდესაც სხვა მეტყველების ნაწილებსაც გავაანალიზებთ და ძეგლის ენობრივი თვისებები სრულად იქნება წარმოდგენილი.

ბ) ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელის ის ფორმები, რომლებიც ძველ ქართულში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ჩვენს ძეგლში საერთოდ არ არის. ამ მხრივ ვითარება სრულიად ახალი ქართულისნაირია: მართული მსაზღვრელი დასწულია საზღვრულის წინ და არ იცვლება ჩინეთის ხელმწიფე, ჩინეთის ხელმწიფემ, ჩინეთის ხელმწიფის და სხვ.

მართალია, მსაზღვრელის ეს ტიპი ძველ ქართულშიც გვაქვს, მაგრამ დამახასიათებელია მხოლოდ ახალი ქართულისათვის.

მრავლობით რიცხვში სურათი საკმაოდ კრელია: ნარიან მრავლობითში უმეტესად რიცხვში შეთანხმებული ფორმებია: რჩეულნი მეომარნი (21, 36); ორნი კაცნი (13, 21); მრავალნი მტირალნი (13, 21), მაგრამ გვხვდება შეუთანხმებელი წყვილებიც: ყოველი მუნაჯიბნი (1,5); თავისი კაცნი (6, 15).

-ვ სუფიქსიანი მრავლობითის შემთხვევაში საზღვრული მსაზღვრელს არ ითანხმებს მრავლობით რიცხვში. მაგალითად, წერილის ლოტკებით (5,20); დიდროანის კამბეჩების რუნებებით (6, 30); ოთხისავე ფერხებით (6, 44); მათი ცოლები (9, 38). მაგრამ გვხვდება ესეც: დიდებულნი ფერები. ძეგლში არსებითად ახალი ქართულის ვითარებაა.

ზემოთ გაანალიზებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ ბრუნვის ნიშანთა ალომორფები სახელთა დამოუკიდებლად და მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას „მირიანის“ მიხედვით.

სახელობითი: — ი ~ 0

მოთხრობითი: -მა / -მან ~ -მ

მიცემითი: -ს ~ სა

ნათესაობითი: -ის ~ -ისა ~ -ი ~ -ი

მოქმედებითი: -ით ~ -ითა ~ -თი

ვითარებითი: -ათ / -ად ~ -თ / -დ'

წოდებითი: -ო ~ -ვ.

მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში პაუზის წინ შესაძლებელია ბრუნვის ნორფემათა გავრცობილი და გაუერცობელი ალომორფების თავისუფალი მონაცვლეობა (-ს/სა; -ი/ისა; -ით/ითა; -ათ/-ათა; -თ/თა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

### ალექსი შორანისა

### ორენოვნების საკითხი ეპიკაში

არაბული ორენოვნება გულისხმობს სალიტერატურო ენიისა და დიალექტის ურთიერთობას, რასაც ბილინგვიზმის ცალკე ტიპად განიხილავენ. ამ შემთხვევაში არსებითად დაპირისპირების საფუძველია, ერთი მხრივ, სტანდარტიზაცია და კონსერვატიულობის დიდი დონე, რაც სალიტერატურო ენის სპეციფიკაა, და, მეორე მხრივ, დიდი მრავალფეროვნება ენობრივი ნორმების პრაქტიკული გამოყენებისას, რაც დიალექტებს ახასიათებს. ამრიგად, ურთიერთობა არ სცილდება ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებს, თუმცა მის ელემენტთა შორის განსხვავებანი საკმაოდ თეალსაჩინოა. ცნობილია, არაბული დიალექტები სალიტერატურო ენასთან ისეთ ურთიერთობას იჩენენ, როგორსაც — მონათესავე ენები ერთიმეორესთან, მიმართება კოდოფიციკრებულ, სალიტერატურო არაბულსა და მის დიალექტებს შორის უნდა განვიხილოთ არა როგორც ურთიერთობა ორ განსხვავებულ სისტემას შორის, არამედ როგორც კონტაქტი ერთი ერთულის ფარგლებში.

სალიტერატურო არაბული, ფაქტიურად, ერთიანია მდროიბიდან ირანის აქეზამდე (არაბისტანამდე<sup>1</sup>). კლასიკური არაბული ენის საფუძველებია ისლამადელი პოეზია<sup>2</sup> და ყურანი<sup>3</sup>.

თ. ნელდეკესა და ხ. რაბინის მტკიცებით, კლასიკური არაბული ენა წარმოადგენს დასავლური და აღმოსავლური ძველი არაბულის ერთგვარ ნარეკს: ფონეტიკურად ის უფრო ახლოა დასავლურ არაბულთან, გრამატიკულად კი აღმოსავლურთან<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Altom a S. J., The problem of Diglossia in Arabic. Cambridge, 1969, გვ. 2, 3. Spuler B., Die Ausbreitung der Arabischen Sprache: (no) Handbuch der Orientalik, III, 2/3, Leiden, 1954, გვ. 218 და შუალ. Шарстатов Г., Проблема соотношения арабского лит. яз. и совр. арабских диалектов: СЯ, II, ч. I М., 1965, გვ. 57—58.

<sup>2</sup> Brockelmann C., Das Arabische und seine Mundarten: no, III, 2/3, Leiden 1954, გვ. 215.

<sup>3</sup> Nöldeke Th., Zur Sprache des Korans: Neue Beiträge zur sem. Sprachwissen—schaft, S. 5. Eickelmann C., Op. cit. გვ. 216. Spuler B., Op. cit., გვ. 215.

თ. ნელდეკემ თავის დროზე დაამტკიცა, რომ ყურანი არ არის დაწერილი ხელოვნურ ენაზე, როგორც ამას კ. ფოლერის ფიქრობდა, იხ. მისი: Das klassische Arabisch und die arabischen Dialekte: (BSS) Beiträge zur semit Sprachwissenschaft, გვ. 2,3 და შუალ.

<sup>4</sup> Rabin Ch., Ancient West Arabian, London, 1951, გვ. 3—4. Nöldeke Th., Das klassische Arabisch und die arabischen Dialekte: BSS, გვ. 12. Kahle P., The Cairo gent—sa, London, 1947, გვ. 78 და ა. შუალ.

გამოთქმული იყო აგრეთვე მოსაზრება, რომლის თანახმად კლასიკური არაბულის საფუძველი, შესაძლოა, ერთი რომელიმე დიალექტი იყოს. ამის გაზიარება ძველია: Spuler B., Die Ausbreitung der Arabischen Sprache, გვ. 245. Шарстатов Г. III., указ. соч. გვ. 55.

ამეამად შეიძლება ითქვას, სალიტერატურო ენა უფრო მეტადაა ხელოვნური. ვიდრე ძველ პერიოდში. ამის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის არ არის არაბი მასების პრაქტიკული ენა. სალიტერატურო ენა — კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის ენაა და გამოიყენება უმთავრესად ოფიციალური ურთიერთობისას. მიუხედავად ამისა, იგი ზოგჯერ სასაუბრო ენის როლშიც გამოდის.

საერთო-სალიტერატურო ენას უპირისპირდება დიალექტების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლობას იჩენს, შედარებით სხვა ენების დიალექტებთან. ცალკე უნდა აღინიშნოს კოინე—სასაუბრო ენა, რომელიც საერთოა თითქმის ყველა არაბული ქვეყნისათვის<sup>5</sup>.

ეს კოინე შემდეგი ნიშნებით გამოირჩევა: 1. არ წარმოითქმის ინტერდენტალი ფონემები d და l; 2. კლასიკური a ხმოვნის ნაცვლად i გვაქვს გარკვეულ შემთხვევებში; 3. aw დიფთონგს ენაცვლება o ან u 4. დიფთონგი ay გადადის გრძელ ხმოვანში (i ან e); 5. არ არსებობს განსხვავება ნისბას დაბოლოებასა და I პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელურ სუფიქსს შორის 6. არ გამოიყენება ზმნის ორობითი რიცხვის ფორმები; 7. არ აღინიშნება მდებარეობითი სქემის აღმატებითი ხარისხი; 8. რიცხვითი სახელები 3-დან 10-მდე ისეთივე ურთიერთობაშია აღსარიცხთან, როგორც დანარჩენები; II ათეულში გამოიყენება რიცხვითი სახელების ერთი რიგი (al-სუფიქსიანი); 9. საკუთრივ სუსტ ზმნათგან გვხვდება მხოლოდ ტიპი rarā-yarmi; 10. გემინირებულნი უახლოვდებიან სუსტ ზმნებს (rarā-yarmi); 11. კოინეს ლექსიკა საქმალად მარტივია, ამავე დროს მისთვის დამახასიათებელია ორი ზმნის გამოყენება, რომლებიც კლასიკურ ენაში არ არის (ḡ ḡb—iḡb, ḡāf—iḡf), ასევე — არსებითი სახელი ḡwaya (ცოტა) და wiyā ნაწილაკი კლასიკურის ḡa'a ნაწილაკის ნაცვლად<sup>6</sup>.

გამოყოფენ აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთა კოინეს. მთელი არაბული სამყაროს ტერიტორიაზე ქალაქელების მეტყველება, როგორც წესი, თითქმის იდენტურია.

როგორც ითქვა, კოინე საშუალოდ მეტყველებაა, სხვადასხვა ტერიტორიული და სოციალური დიალექტებია, ორენონებზე კი უფრო ვიწრო სფერო აქვს (იგი: შეიძლება ითქვას, ყველა არაბულ ქვეყანაშია) და ერთი დიალექტის წარმომადგენლებთან დასტურდება. ამ მეტყველებას შემდეგი ნიშნები ახასიათებს: q-ის ჰამზად წარმოთქმა; h-ის არტიკულაცია შესუსტებულია; გრამატიკული სქემა არ განირჩევა მრავლობით რიცხვში (ნაცვალსახელებსა და ზმნებისა); კნინობითი გემინირებული y-თია: f (u' ayu al'.

არსებობს ორენოვნებს რამდენიმე სახე იმის მიხედვით. თუ რა ურთიერთობაშია იგი სალიტერატურო ენასთან. ამეამად გვიანტერესებს ბილინგვოზმის ერთ-ერთი ტიპი, ეგვიპტური ორენოვნება, სადაც წარმოდგენილია ეგ-

<sup>5</sup> პრაქტიკულად ამ კოინეს სპეციალურ სწავლებას ხელს უწყობდა ფრანგი მეცნიერი ლ. ბრიუნო; ამიტომ, ზოგჯერ ამ კოინეს „მუსიო ბრიუნოს არაბულს“ უწოდებენ.

<sup>6</sup> კოინეს მონაცემები თავიდანვე ვითარდებოდა კლასიკური არაბულის პარალელურად: Fleisch H., Introduction à l'étude des langues semitiques, Paris, 1947, გვ. 23—40. Fück J., Arabiya, Berlin, 1950, გვ. 5.

<sup>7</sup> Cohen D., Koiné, langues communes et dialectes arabes: Arabica, IX, Leiden, 1962, გვ. 124—125. Зав ад овск и Ю. Н., Типология арабских диалектов Магриба: СЯ II, ч. 2, Москва, 1965, გვ. 482. 484.

ვიტუბური დიალექტისა და სალიტერატურო არაბულის „საშუალებო ვარიანტი“.

ეგვიპტური დიალექტის განვითარება დამოკიდებული აქვს მთელი რიგი არაბი ტომების გადასახლება-კოლონიზაციაზე, ტერიტორიის სპეციფიკურობაზე, ტომთა სიმძლავრეზე. ტომთა არათანაბარი კულტურულ-ეკონომიური განვითარება, არათანაბარი სიძლიერე იწვევდა ზოგიერთი ტომის მომძლავრებას, სხვა ტომთა სრულ განდევნას.

ეგვიპტეში არაბ დამპყრობლებს დახვდა კოპტურად მოსაუბრე მოსახლეობა. აქ არაბული ენა გავრცელდა სამხედრო ბანაკში, კერძოდ ფუსტატში. უმრავლესობა მოსულთაგანი იყვნენ იემენელი არაბები. ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ სწორედ იემენური მეტყველებისა და კოპტური სუბსტრატის საფუძველზე შეიქმნა ეგვიპტური დიალექტის სისტემა<sup>9</sup>.

ეგვიპტური ორენოვნების შესწავლა დაიწყო პრაქტიკული მიზნებით. როგორც ცნობილია, ეგვიპტე ერთ-ერთი მთავარი ნაწილია არაბული სამყაროსი, წარმოადგენს კულტურულსა და პოლიტიკურ ცენტრს.

არაბთა მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებით, რადიოგადაცემების გაანალიზებისას შეიძლება აღინიშნოს ეგვიპტულ არაბთა მეტყველების ტემპის თავისებურება<sup>10</sup>. ძირითადი, პრაქტიკული მიზნების გარდა, თავიდანვე ეს დიალექტი წარმოადგენდა თეორიულ განზოგადებათა მასალასაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ პირველ პერიოდში მასალათა შეკრება ჩანს, დიალექტის აღწერა, ორენოვნების მხოლოდ არაპირდაპირი მითითებით<sup>10</sup>. სასაუბრო ენა კლასიკურის ეულგარულ ფორმად იყო მიჩნეული. მასალები ეგვიპტური ორენოვნების შესახებ თითქმის მთლიანად წარმოადგენს კაიროს მეტყველების ნიმუშებს<sup>11</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ნაკლებადაა ფიქსირებული ზემო ეგვიპტისა და სხვა მხარეების მეტყველებასთან დაკავშირებული მასალა<sup>12</sup>.

<sup>9</sup> Rossi E., L'Arabo parlato a Sara. Roma 1939.

<sup>10</sup> Mattson E., Etudes Phonologiques sur le dialecte arabe vulgaire de Beyrouth, Upsal, 1911. Marçais W., Textes arabes de Tikroûia, Paris, 1925.

<sup>11</sup> Dirr A., Praktisch-theoretische Lehrbuch des Ägyptischen Vulgär-Arabisch, Wien-Leipzig, Spitta-Bey W., Grammatik des arabischen Vulgärdialectes von Ägypten, Leipzig 1833. Vollers K., Leubica der ägypto-arabischen Umgangssprache, Kairo, 1890.

<sup>12</sup> Altoma S., The problem of Diglossia in Arabic, Cambridge, 1969, გვ. 4. Bresnier A., Cours pratique et théorique de langue arabe, Alger, 1855. Spitta W., Coûtes arabes modernes, Leide, 1333. Wilmore J., The spoken Arabic of Egypt, London, 1905. Nallino C., L'Arabo parlato in Egitto, Milano, 1913. Philot C. and Powell A., Manual of Egyptian Arabic, Cairo, 1928. Heyworth-Dunne J. (ed.), Cours d'arabe égyptica parlé, New-York, 1953. Mitchell T. F., Introduction to colloquial Egyptian Arabic, London, 1955. Harrell R. S., The phonology of Colloquial Egyptian Arabic, New-York, 1957. Berésine E., Guide du Voyageur en Orient, SPb, 1857. Morcos Hanna H., The phrase structure of Egyptian Colloquial Arabic, Paris, 1967.

<sup>13</sup> ზემო ეგვიპტის დიალექტის შესახებ მოცემულია მხოლოდ თანამოენიან-ტექსტიანი მითხრობები: H. Dulac, Journales Arabiques, VIII, t. 5, pp. 5-33 (Brockelmann C., Das Arabische und seine Mundarten, გვ. 235). აგრეთვე Winkler H., Bauern zwischen Wasser und Wüste, Stuttgart, 1931. Abulfadl Fahmi, Volkstümliche Texte in arabischen Bauerndialekte der ägyptischen Provinz Scharqiyya, Münster, 1961. Harrell B., Ethnic groups and Languages (In Egypt), Washington, 1957.

რაც შეეხება კაიროს მეტყველებას, ის არის ქვემო ეგვიპტის („ბაჰჰარინა“) დიალექტი, სწორედ ის ეგვიპტური კილო არაბული ენისა, რომელიც არის ტიპური ქალაქური მეტყველების ნიმუში. კაიროს არაბული უშუალო კავშირშია კლასიკურ (სალიტერატურო) ენასთან და ჩვენთვის საინტერესო ბილინგვურ ურთიერთობას ქმნის.

არ არის გამორიცხული მთლიან კონინეს ერთ-ერთ ვარიანტად არსებობის გამო ქვემოეგვიპტურ ამ დიალექტსა და მის მეზობელ ზოგიერთ სხვა დიალექტს შორის შეხვედრის წერტილების არსებობა. ეს თვალსაჩინოა, თუ შევადარებთ ქვემო ეგვიპტურის მონაცემებს მაროკოს, ერაყისა და სირიის დიალექტებს<sup>13</sup>.

კაიროს მეტყველების ნიმუშები არ არის შესწავლილი მისი ვარიანტების მიხედვით. მართალია, ძირითადად, მასზე საუბრობენ ფართო მასები, ასევე არაბული ინტელიგენციაც, მაგრამ დიფერენციაცა თვით სასაუბრო ენის შიგნითაც არსებობს, რაც დაკავშირებულია მოლაპარაკის საერთო განათლებასთან, მისი კონტაქტების მრავალფეროვნებასთან, მისი ცხოვრების ლოკალიზაციასთან (ცენტრი და უნივერსიტეტები, მუშათა რაიონები, მდინარის ნავსადგურის მიმდებარე ნაწილები, ქალაქის სუქები და ხელოსანთა უბნები).

ინტელიგენცია და მმართველი წრეები პერიოდულად იყენებენ სალიტერატურო არაბულ ენასაც. ეს ხდება, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიპლომატიური მიღებების, სასამართლო პროცესების, რადიოგადაცემების დროს.

არ შევუდგებით ძველ კლასიკურსა და ახალსალიტერატურო ენებს შორის განსხვავებების დეტალურ ძიებას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ახალმა სალიტერატურო ენამ ეგვიპტის ფარგლებშიაც ლექსიკაში ძირითადად ბედუინური სიტყვები დაკარგა, ხოლო გამდიდრდა ახალი ტერმინებით, მსგავსი პროცესი არაბეთის სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება<sup>14</sup>.

XIX საუკუნიდან ეგვიპტელ ინტელიგენტთა პროგრესულ წრეებში წარმოიშვა სწრაფვა, შეექმნათ ერთიანი სალიტერატურო ენა, რომელიც ეგვიპტურ დიალექტთან იქნებოდა მჭიდრო კავშირში. თავდაპირველად ეს იყო ინტელიგენციის ვიწრო წრეების კეთილი სურვილი, რომლის განხორციელებასაც ხელს უშლიდა მრავალი გარემოება, კერძოდ, მეთოდებისა და გზების უქონლობა. მაგრამ თანდათანობით არაბული სამყაროს, სახელდობრ კაიროს, პოლიტიკური ატმოსფერო გამოჯანსაღდა, რის გამოც არ შეინიშნება ტენდენცია ეგვიპტური დიალექტის გამოყენებისა სალიტერატურო ენად.

კაიროს ინტელიგენტური წრეები მიმართავდნენ თავიდანვე რამდენადმე გამართლებულ სალიტერატურო ენას. არ არის საფუძველს მოკლებული კ. იდე-ვასილევას მსჯელობა, როდესაც ის ამ ენას უწოდებს ქალაქური მო-

<sup>13</sup> Blanc H., Studies in North Palestinian Arabic, Jerusalem, 1953. Cantlineau J., La langue: Le dialecte arabe de Pa'nyie, Eeyut, 1934. Cheyne A., The Role of Arabic in Present Day Arab Society: The Is'enic Literature, April, 1958. Ferguson Ch. A., Diglossia: Word, 15, 1959, გვ. 325—340. Altoma S. J., The Teaching of Classical Arabic to Speakers of the Colloquial in Irak, Harvard University, 1957, გვ. 19, 23.

<sup>14</sup> Гранде Б., Введение в сравнительное изучение семитских языков, Москва, 1972, გვ. 40—41.

სახლეობის საშუალებდო სალიტერატურო სასაუბრო ენას<sup>15</sup>. ეს, მართლაც, — გამარტივებული სალიტერატურო ენაა<sup>16</sup>.

ცდებს ამ მეტყველების დრამატურგიაში გამოყენებისა პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს ეხედებით, როდესაც მუჰამმად ოსმან გალალმა (1829—1898) ზოლიერის კომედიები თარგმნა არაბულად, დიალოგები ეგვიპტურ დიალექტსა და ნარეე ენაზე შეიტანა<sup>17</sup>. მასზე ადრე, 1869 წელს ია'კუბ სანიუ'-მა დააარსა თეატრი, სადაც ვოდევილები იღებებოდა ამ „სალიტერატურო“ ენაზე (სასაუბრო ენის ჩანართებით). მუჰამმად გალალის მასალები მხოლოდ 1912 წ. გაიხსენეს, როდესაც კაიროში დაიდგა მის მიერ თარგმნილი პიესები<sup>18</sup>.

ამ ახალ საქმეს ენერგიულად შეუდგა თაუფიკ ალ-ჰაქიმი, რომელიც ადრე ეგვიპტური დიალექტის პატრიოტი იყო და პიესები და სხვა ნაწარმოებები გადატვირთული ჰქონდა დიალექტიზმებით.

მას, როგორც განათლებულ მოღვაწეს, არ შეეძლო კლასიკური ენისათვის ზურგი შეეჭია, მაგრამ მისი ეს ენა (არა მართო დიალოგებში, არამედ გაბმულ მეტყველებაში) უფრო ნარეევს წარმოადგენდა.

ტაჰა ჰუსეინი აღნიშნავს თაუფიკ ალ-ჰაქიმის მარცხს დიალექტით ლიტერატურული ნაწარმოებების გადატვირთვის გამო<sup>19</sup>. ტაჰა ჰუსეინის აზრით, ტერიტორიული დიალექტები ვერ იქცევა ეროვნულ ენად<sup>20</sup>. ამასვე აღნიშნავენ სხვა მკვლევარნი<sup>21</sup>.

ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მოსალოდნელია არაბული ენის ამ ორი ვარიანტის მხოლოდ დაახლოება<sup>22</sup>, რასაც ხელს უწყობს „საშუალო“ (სალიტერატურო ენასა და დიალექტს შორის) ვარიანტის არსებობა. დიდი ენუშობა წარმოებს ენის განვითარების ტენდენციების დასადგენად.

თუ ჯერ კიდევ 1945 წელს, „ალ-ჰილალის“ რამდენიმე ნომერში პროფესორი ვაფი აღნიშნავდა, რომ სალიტერატურო ენა და დიალექტები ოდნავაც არ დაახლოვდებიანო, და ეს აღნიშნულია ოფიციალურად დაკანონების თვალსაზრისით, უკვე ხუთი წლის შემდეგ მ. ალ-ასმარი წერდა, რომ არ შეიძლება ბედუინის მეტყველება ან სიბავაიპის ნაშრომი ავტორიტეტი იყოს<sup>23</sup>, ენობრივი ნორმა უნდა ეოცხალი მეტყველებიდან გამოდიოდეს. „ალ-მისრია“, ეგ-

15 Оде-Васильева К., К истории проблемы языка в арабских странах: Вопросы языка и литературы, Москва, 1959, стр. 137.

16 Султанов А., Проблема формирования национального языка в Египте: ВЯ 6, 1955, гл. 32, 44 и т. д.

ავტორის მოკლე აღნიშნული აქვს ამ გაადვილებული სალიტერატურო ენის ზოგიერთი მომენტი.

17 Оде-Васильева К. В., Проблема языка драматургии в современной арабской литературе: СЯ, II, 2, Москва, 1965, гл. 665.

18 Крачковский И. Ю., Избранные сочинения, III, гл. 77.

მაშველ თიმურის უფროსი შვა, მუჰამადი (1892—1921) წერდა პიესებს დიალექტზე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში.

19 ტაჰა ჰუსეინი, ჭუსულ ფი-ნაყდ ელ-ადაბ, კაირო, 1945, გვ. 108.

20 ტაჰა ჰუსეინი, აღმუსთაბალ აღ-მადანიათ ფი-ლ-მისრ, კაირო, გვ. 316.

21 Султанов А. Ф., Национальный язык и реформа письменности в странах Арабского Востока: Сборник, посвященный семидесятилетию В. А. Гордлевского, 1953, гл. 253, 261.

22 Султанов А. Ф., დისახ. ნაშრომი, გვ. 253.

23 „ალ-ასრამ“, 30 აპრილი, 1950.



ევიპტია — ასეთი ეგვიპტელ მოღვაწეთა ტენდენცია, რომელთაც სურთ ორენოვნების ნაკლოვანი მხარეების მოსპობა, თვით ამ მოვლენის შეცვლა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოვიდა პირველი ტომი არაბული მეცნიერული ტერმინოლოგიისა, სადაც გამოყენებულია ეგვიპტეში გავრცელებული „ლიტერატურული“ სიტყვები<sup>24</sup>.

აქაც იგივე მოვლენა შეინიშნება, რაც ძველად: ტაჰა ჰუსეინი და ზოგიერთი სხვა მოღვაწეც მაინც სექსტიკურად არიან განწყობილნი ხალხური ენის მიმართ. ამით ისინი ძველ ლინგვისტებს უახლოვდებიან, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში აღნიშნავს იბნ-ხალდუნი: გრამატიკოსები უარყოფით მოვლენად თვლიან სასაუბრო ენას<sup>25</sup>. ოღე-ვასილევა ხაზს უსვამს ენის ვარიანტების დაახლოვებას, ამავე დროს უპირატესობას ანიჭებს სალიტერატურო ენის ნორმებს<sup>26</sup>.

გარდა იმისა, რომ არსებობდა და არსებობს ცდები, არ მოწყდნენ სალიტერატურო ენას, ეგვიპტეში მუდამ შეინიშნებოდა დიდი სურვილებიც, რათა ადგილობრივი ეგვიპტური დიალექტი გადაექციათ სალიტერატურო ფუნქციონს ენად<sup>27</sup>.

ჯერ კიდევ 1897 წელს სცადეს ეგვიპტური მეტყველების ლათინური დამწერლობის საშუალებით ფიქსაცია და, ამრიგად, დიალექტის სალიტერატურო ენად გადაქცევა, დაიწეს მიაჩნდა სწავლება, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. რადგანაც ამ შემთხვევაში ინიციატორები უცხოელები, ინგლისელები აყენენ (ჯერძოდ — ეგვიპტელი ახალგაზრდობის სწავლების საზოგადოება)<sup>28</sup>.

უფრო სერიოზულია გამოჩენილი არაბი მწერლის მაჰმუდ თეიმურის ცდები<sup>29</sup>. წინაშე უნდა ითქვას, რომ მას ბევრი მომხრე არ ჰყოლია<sup>30</sup>.

მაჰმუდ თეიმურმა დაიწყო ბრძოლა არაბული ენის ეგვიპტიზაციისათვის ჯერ კიდევ 1931 წელს, როდესაც მან გააცნო თავისი პროგრამა აღმოსავლეთ-მცოდნეების XVIII კონგრესს ლეიდენში<sup>31</sup>. 1925 წელს მაჰმუდ თეიმური დი-

<sup>24</sup> 1957 წელს ეს ტერმინოლოგია გამოსცა კაიროს მეცნიერებათა აკადემიამ: С. У. Таиов А. Ф., Национальный язык..., გვ. 263.

<sup>25</sup> აღ-ად აბ აშ შააბათ, აჰმად რაშდიმ სალი, კაირო, 900.

<sup>26</sup> Оде-Васильева К., К истории проблемы языка в арабских странах, М., 1959, გვ. 135—145.

<sup>27</sup> Крачковский И. Избр. соч., I, 1955, გვ. 386.

<sup>28</sup> ადგილობრივი დიალექტები აღიარებულა სალიტერატურო ენის სრულ შემოქმედლად, უნდა იბატონოს ერთმა დიალექტმა: ანის ქურაიკ, მაჰადირათ ფი-ლ-ლაჰათ ვა უსლუბ დირასათია, 1955, გვ. 1. ანის ქურაიკ, აარიფ ან-ნაჟიდ, მაქალათ აღ-შეჰმა, I, 1957, გვ. 195.

<sup>29</sup> მაჰმუდ თეიმურ, ფანს აღ-ქისსათ: აშ-შარკ აღ-ქაიდ, სეც. ნომერი, კაირო, 1945, გვ. 68. ასევე ინგლისელი უილკოქსი იყო ეგვიპტურ დიალექტებზე გადასვლის მომხრე-Willcocks W. Syria, Egypt, North Africa and Malta speak punice not arabic: Bulletin de l'Institut d'Egypte, VIII, 1926.

<sup>30</sup> Brockelmann C., GAL, Sb III, გვ. 218—224, 235—256. Widmer G., Die Welt des Islams, 1932, გვ. 1—103. Крачковский И., Избр. соч., III, გვ. 255—263. ფურცელაძე ნ., მაჰმუდ თეიმურის ენის ზოგი საკითხი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, 111, თბილისი, 1960, გვ. 149 და შემდეგ.

<sup>31</sup> 1937 წ. „ალ-ჰილალი“ ჟურნალის მეშვეობით გამოდიოდა სალიტერატურო ენის დიალექტური სიტყვებით გადმოდგების სასარგებლოდ. ი. კარაქოვსკი თვლის, რომ ეს ტენდენციები დროებითი მოვლენაა არაბებისათვის: Избр. соч., III, გვ. 27.

<sup>32</sup> Оде-Васильева К. В., Проблемы языка драматургии в современной арабской литературе; СЯ, II, 2, Москва, 1965, გვ. 665.

ალექტზე წერდა, მაგრამ 1938 და 1941 წლებში მან ძირითადად ეგვიპტური დიალექტი სალიტერატურო ენით შეცვალა, თუმცა ამ დროსაც აქვს პიესები ორი ვარიანტით — ერთია სალიტერატურო ენაზე, მეორე — დიალექტზე („ყუმბარები“, „ტყუილი“, „თავშესაფარი № 13“).

მწერალი შემდეგ ასეთ დათმობაზე მიდის: ეწეროთ სალიტერატურო ენაზე, ხოლო დიალექტიდან ეისესხოთ ლექსიკა, მაგალითად, ლიტერატურული: nazara და annasim-ის გვერდით ზ afa (შეხედა) და at-tarawat (ნიაივ).

ამ თვალსაზრისზე დარჩა იგი 1957 წლამდე<sup>32</sup>. მაჰმუდ თეიმურმა სტატია-აში „საზოგადოებრივი ცხოვრების სიტყვები“ მოგვცა სია იმ ზოგიერთი დიალექტიზმისა, რომელიც ზოგჯერ ყოფასთან არის დაკავშირებული და სალიტერატურო ენის ტერმინებად გამოიყენება<sup>33</sup>.

მაჰმუდ თეიმურმა შემდგომ სრულიად შეწყვიტა დიალექტზე წერა. ეს დაკავშირებულია მისი კონცეფციის შეცვლასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდშიც კი, როდესაც მწერალი ნაწარმოებებს ქმნიდა მთლიანად დიალექტზე. მას მოცემული ჰქონდა ისეთი ნიმუშებიც, რომლებშიაც დიალექტის ზოგიერთი ელემენტი შერწყმული იყო ლიტერატურულთან<sup>34</sup>.

მაჰმუდ თეიმურის კვალს გაყვენ, მისა ზოგიერთი რჩევა გაიზიარეს მწერლებმა. ისინი წერდნენ სალიტერატურო ენაზე, მაგრამ დაიწყეს დიალექტური ლექსიკის, უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების (ინტერნაციონალურა ლექსიკის) გამოყენება, აგრეთვე — გრამატიკული წყობის გარკვეული გამართობა<sup>35</sup>.

მაჰმუდ თეიმურის წინადადებები შემდგომ ნაწილობრივ მიიღო არაბულმა საზოგადოებამ თეორიულადაც. არაბ მწერალთა პირველ ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1952 წელს დამასკოში, მიიღეს დადგენილება ამის თაობაზე, მასში აღნიშნულია, რომ დასაშვებია დიალოგების წერა დიალექტზე, აგრეთვე — ნაწარმოების შექმნა ორივე ვარიანტით<sup>36</sup>.

1956 წელს კი არაბ ლინგვისტთა პირველ ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც (დამასკოში) პირველი დადგენილების საწინააღმდეგოა: მწერლობაში უპირატესობა ენიჭება სალიტერატურო არაბულს, რამდენადაც სამწერლობო ენა თანდათან ხელმისაწვდომი ხდებოდა ფართო მასენისათვის.

ამ ყრილობაზე ყურადღების ცენტრში ორენოვნების პრობლემა იყო. ეგვიპტელმა აჰმად პასან აზ-ზაითმა აღნიშნა, რომ არაბული ენის რეფორმის საკითხი მომწიფდა. თუ 1932 წელს კაიროში დაარსებული არაბული ენის აკადემია ვერ გაუძღვა ამ საქმეს, ამის მიზეზი იყო დიალექტიზმებისა და ინტერნაციონალური ლექსიკის ენიდან სრული განდევნის პრინციპი, აგრეთვე მოთხოვნა — „ყურანის ენას დაბრუნებოდნენ“. აკადემიის მიერ შემუშავებული ტერმინები მიუღებელი იყო. შემდგომ სალიტერატურო ენისა და დიალექტების დახლოების ტენდენცია გაითვალისწინეს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ეგვიპტიზმებს იღებდნენ მხედველობაში. სირიელი ჯამალ სალიბის აზრით, საქირთა სინონიმიზაციის მოშლა, ამასთან 3—4 ტერმინი უნდა ერთი ძირითადით

32 ფ უ რ ც ე ა ძ ე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

33 აღ-დ-დევარ (ეზო), აღ-მასტაბათ (მასტაბა, სკამი), აღ-ქარან (ჯალო), აღ-კაჰჰათ (ჯალათი), ან-ნაბუთ (კეტრი, ქოხი) და ა. შ.

34 ა შ-შ ე ი ხ ქ უ შ ა, გვ. 1, 13.

35 განსაკუთრებით ხშირად სინტაქსური წყობის შეცვლა შეინიშნება.

36 ას-საკაჰათ აღ-ეატანიათ, 64, 1954, გვ. 14.

შეიცვალოს. ტერმინების დადგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ძველ არაბულ მეცნიერებაში უკვე არსებულ მასალას; 2. სიტყვა რაც შეიძლება სრულად უნდა გამოხატავდეს აღსანიშნავს; 3. სასარგებლოა კალკების შემუშავება; 4. უცხო წარმომავლობის სიტყვა ზოგჯერ შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ის მოსახერხებელია<sup>37</sup>. ამავე დროს, ტაპა ჰუსეინმა სინტაქსისა და დამწერლობის გამარტივება მოითხოვა (ირაბის მოშლით)<sup>38</sup>.

ყრილობამ გადაწყვიტა, რომ სკოლებში სწავლება ისევ სალატერატურო ენაზე წარმართულიყო, ამასთან საჭიროდ ცნეს ხალხში გავრცელებული სიტყვების შეკრება მათი შემდგომი გამოყენებისათვის.

ამ ყრილობის შემდეგ აღსანიშნავია ს. ხალისის გამოსვლა თავისი და ზოგიერთი მკვლევრის პროექტით.

ხალისი გვევლინება ზომიერ რეფორმატორად. ის იმეორებს იბრაჰიმ მუსტაფას აზრს, რომ საჭიროა გრამატიკის გამოცოცხლება. იბრაჰიმ მუსტაფას აზრები დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, 1954 წელს მეცნიერების კონგრესზე კაიროში მიიღო მისი წინადადებები, რომელთა მიხედვით საჭიროა ენის მოკლენათა ფილოსოფიური ინტერპრეტაციების უკუგდება. 1957 წელს, ამ კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, დაიწერა წიგნი „გრამატიკის გასწორება“ (თაპირი ან—ნაპე).

სწორი მეტყველების კრიტერიუმად ჩაითვალა ყურანი და ძველი პოეზია. ირაბი—აუცილებელ საჭიროებად მიიჩნიეს, ამოღებულ იქნა ძველი გრამატიკის ზოგიერთი ძნელი წესი: ხალისი ამავე დროს ეწინააღმდეგება ლიბანელი მწერლის იუსუფ ას-საუდას პროექტს („ალ-აჰრუფია“), რომელიც მიზნად ისახავდა არაბულ გრამატიკაში ევროპული ტერმინების გამოყენებას და ამ გრამატიკის გაადვილებას<sup>39</sup>.

ავტორი იმეორებს ამინ ალ-ხოლის შემდეგ მოსაზრებებს: 1. საჭიროა ირაბის გამარტივება; 2. ორობით რიცხვში უნდა დარჩეს მხოლოდ სახელობითის ფორმა, მრავლობითში კი ნათესაობითისა; 3. ორბრუნვიან სახელებთან საჭიროა ნათესაობითი ბრუნვის წარმოება (ქეარიტ); 4. სახელები, რომელთაც III ძირეულად სუსტი თანხმოვანი აქვთ, უნდა უცვლელად დავტოვოთ.

აქ აღნიშნული პროექტები არ განხორციელებულა. გარდა სხვა ფაქტორებისა, გასათვალისწინებელია ის, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ტექნიკურ დარგებს სწავლობს ინგლისურენოვანი წიგნებით, პრაქტიკულად არაბულს სუსტად ფლობს; ამავე დროს, არის გარკვეული ფენებიც, რომლებსაც განათლება (ფილოლოგიური და მისთ.) მიღებული აქვს ალ-აზჰარში და ძველი ტრადიციის მომხრეა.

ამ გარემოებას ანგარიშს უწევს არაბი მწერლების პირველი ყრილობის (დამსკო, 1954) რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც მწერალმა უნდა გამოიყენოს თავის შემოქმედებაში არა მარტო სალიტერატურო ენა, არამედ ტერიტორიული სასაუბრო დიალექტებიც. ამასთან, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის, პრესის, რადიოგადაცემებისა და ოფიციალური გამოს-

<sup>37</sup> მაგალითად, უმჯობესია გამოვიყენოთ სიტყვა „სინიმა“ (კინო) „ას-სუეეარ ალ-მუთა-ჰარაჰიათ“ სიტყვის ნაცვლად.

<sup>38</sup> ამას ეხმაურება მარუნ ლუსნიც, რომლის აზრები იმიტომაც არ გახდა პოპულარული, რომ იგი სირიული დიალექტის მონაცემებს ყველა არაბისთვის საუკლებლოდ თვლიდა.

<sup>39</sup> СЯ, II, 2, М., 1965, გვ. 474.

ვლები ენა სალიტერატურო უნდა იყოს, ხოლო დრამატურგია და დიალოგებში, საუბარში შეიძლება გამოვიყენოთ ხალხური ენა.

დაუბრუნდეთ ჩვენს ძირითად მიზანს და შევეხოთ იმ ნაშრომებს, რომლებიც უშუალოდ განიხილავენ ორენოვნების საკითხს ეგვიპტეში. ამ ბილინგვიზმის ერთ-ერთი კომპონენტია გამარტივებული არაბული სალიტერატურო ენა, რომელსაც ეგვიპტის ინტელიგენცია მიმართავს გარკვეულ ვითარებაში<sup>40</sup>.

მას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რითაც იგი განსხვავდება როგორც თანამედროვე სამწერლობო და ოფიციალური ენისაგან, ისევე არაბული დიალექტებისაგან.

განსაკუთრებით გვაინტერესებს ეგვიპტური დიალექტის ზეგავლენა საუბრითი სალიტერატურო არაბულზე. ამასთან დაკავშირებით ზოგადად განვიხილავთ ეგვიპტური დიალექტის წარმოშობის საკითხს. თუ აღმოვაკურთ არაბული დიალექტების ისტორიული საფუძველია ანაზი (ანეზე) დიალექტი<sup>41</sup> და ის მრავალ შეხების წერტილს გვიჩვენებს ეგვიპტურსა და სხვა არაბულ დიალექტებთან, მაშინ გასათვალისწინებელია ამ დიალექტის თანამედროვე მონაცემები. მაგრამ ამის გარდა, უნდა ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ ეგვიპტური დიალექტი ისტორიულად საქმაოდ განსხვავებულ მომენტებსაც შეიცავს.

ეგვიპტური არაბულის წარმომავლობაზე აზრი გამოთქმული აქვს ჰ. ბირკელანდს<sup>42</sup>. მისი მტკიცებით, კლასიკური არაბული არის ხელოვნური სალიტერატურო ენა. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეგვიპტური დიალექტი სალიტერატურო ენის ან მასთან ახლო მდგომი ლინგვისტური სისტემის პაუზალური ფორმებისაგან წარმოიშვა<sup>43</sup>.

ჩანს, ბირკელანდი ვარაუდობს, რომ პაუზალური ფორმები მოწყვეტილი იყო არაპაუზალურს და ერთ-ერთი ვარიანტი საფუძველად დაედო დიალექტს. ბირკელანდის მოსაზრება ძნელად გასაზიარებელია: საფუძველს მოკლებულია წინამძღვარი, რომლის თანახმადაც არაბული დიალექტები (ყარძოდ ეგვიპტური) კლასიკური ენისაგან მომდინარეობენ. ერთი კი ნათელია: აუცილებლად არაბეთის ნახევარკუნძულისა, ზოგიერთ მდარბულ დიალექტთან, სირიულთან და ა. შ.<sup>44</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეგვიპტური დიალექტის ზეგავლენა საუბრითი სალიტერატურო არაბულზე, მთელ მის სისტემაზე. არაბული ორენოვნება, როგორც აღინიშნა, მკვეთრად გამოხატული ოპოზიციია, რომელიც ერთიან ენობრივ სისტემაში თავიდან წარმოიშვა. ეგვიპტის დიალექტისა

<sup>40</sup> აქ არ შემოდის ის საშუალო ენა, რომელიც სხვადასხვა არაბული დიალექტების წარმომადგენლებს შორის კონტაქტისას გამოიყენება, ამ ენის შავალთია თავიდან აღ-პაქიმის მიერ შექმნილი „მესამე“ ენა.

<sup>41</sup> Johnstone T. M., *Eastern Arabian Studies*, London, 1967.

<sup>42</sup> Birkeland H., *Growth and structure of the Egyptian Arabic Dialekt: Avhandling utgitt av det Norske Videnskaps-Akademi i Oslo, II. Historisk-Filologisk Klasse, Oslo, 1952*, გვ. 5, 6 და ა. შ.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 9, 12, 56 და ა. შ.

<sup>44</sup> ქალაქების ბენაზის, ტრაპოლის, თაზის გაბესის, კასაბლანკის, ისეთი ტომების, როგორცაა: ულად ნაილ, შამმა და სხვათა, მეტყველება; იხ., მაგ.: Boris G., *Lexique du parler arabe des Marazig*, Paris, 1958. Cantineau J., *Etudes de linguistique arabe, Mémorial J. Cantineau*, Paris, 1960. და ზრავალი სხვა ნაშრომი.

და სალიტერატურო ენის კონტაქტის საფუძველზე წარმოშობილი არაბული ორენოვნების შესახებ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ხასიათის ნაშრომია<sup>45</sup>.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რამდენიმე ნაშრომშიც ყურადღება გამახვილებულია საშუალოდ ენის ფონეტიკაზე და თითქმის არაფერია აღნიშნული სხვა მის მხარეებზე. ამასთანავე, ძირითად მნიშვნელობას ანიჭებენ ორენოვნების ერთ კომპონენტს — დიალექტს, საშუალო ენა კი მეორეხარისხოვნადაა ჩათვლილი<sup>46</sup>.

ეგვიპტური ორენოვნების შესწავლისას ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქურ მეტყველებას, რადგანაც ქალაქელი ეგვიპტელები ტონს აძლევენ მთელ მოსახლეობას (კაიროელები და ალექსანდრიელები).

მათი მეტყველება ყველაზე მეტად შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საშუალო ენის მონაცემებს.

ხაზი უნდა გავეყვას ცნობილი არაბისტის მასინიონის მოსაზრებებს, რომელიც ამბობს, რომ არაბული ენის მომავალი — წარიმართება ქალაქური კილოკაეების თანამედროვე ცივილიზაციასთან ადაპტაციის გზით, როგორც აქამდის იყო, და არ არის დამოკიდებული დიალექტების ადგილობრივ არსებობაზე<sup>47</sup>.

А. Г. ЖОРДАНИЯ

## К ВОПРОСУ ДВУЯЗЫЧИЯ В ЕГИПТЕ

Резюме

Египетский диалект с практическими и научными целями изучался многими учеными (В. Спитта-Бей, К. Фоллерс, К. А. Наллино, Т. Митчелл, Р. С. Харрел, Г. Ш. Шарбатов и др.).

Кроме диалекта, интеллигенцией используется «смешанный» вариант языка — результат контакта литературного языка и диалекта. Этот «смешанный» вариант используется в драматургии (И. Санну, М. Теймур), в прозе (Т. аль-Хаким); но были и попытки расширить влияние диалекта (М. Теимур, М. аль-Асмар).

Благодаря углублению языкового контакта, «смешанный» вариант способствует проникновению литературного языка в массы, при одновременном увеличении влияния диалекта на литературный язык (облегчение синтаксиса, создание местной литературной терминологии и т. д.).

<sup>45</sup> Harrell B. S., A linguistic Analysis of Egyptian Radio Arabic: Contributions to arabic Linguistics, III, Cambridge Massachusetts, 1950 (Editor Ch. A. Ferduson).

<sup>46</sup> ჟორდანია ა., ნეოლოგიზმების საკითხი მაკჰედ თეიმურთან: თსუ შრომები, 91, 1960. Morcos H., The phrase structure of Egyptian Colloquial arabic, Mouton, The Hague, Paris, 1967.

<sup>47</sup> Massignon, Language de l'arabes: Revue du Monde Musulman, LXII, 1924, გვ. 4.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ

### კონსტანტინე წარათელი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

## ერთი სუპრასემბანტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტიკურში

1. თანამედროვე სემიტიკურ ენებში (არამეული, არაბული) ფონოლოგიურ სისტემათა აღწერისას ხშირად ვეღარ ვხვდებით საერთოსემიტიური (resp. კლასიკური სემიტიური) კონსონანტიზმისათვის დამახასიათებელ ბგერებს. პირველ რიგში ჩვენ ვკვლისხმობთ ფარინგალურ (ʕ და ʁ) და ფარინგალიზებულ (ემფატიკურ) თანხმოვნებს. ასეა თანამედროვე აღმოსავლურ და ცენტრალურ არამეულ დიალექტებში, ასევე ანატოლიის არამეულ დიალექტებში. აქ ძნელია დაიძებნოს ისეთი მინიმალური წყვილი, სადაც ხსენებული ბგერების როგორც ფონემების გამოყოფა მოხერხდეს. არსებული სისტემის მხოლოდ ისტორიული ანალიზი იძლევა საფუძველს ამა თუ იმ შემთხვევაში ფარინგალი თუ ემფატიკური თანხმოვანი ვივარაუდოთ.

მოცემულ დიალექტებში შემცირდა ძველი სემიტიური ფონემა-თანხმოვნების რაოდენობა. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ამოცივდნენ ფონემათ-მიმდევრობებიდან მეტყველებაში. ამრიგად, ოდესღაც არსებულმა განსხვავებულმა ფონემებმა დაკარგეს თავისი რელევანტური ნიშანი, რომლითაც ისინი ოპოზიციის წევრებად გვევლინებოდნენ. ეს სპეციფიკა გულისხმობდა გარკვეულ დამატებით არტიკულაციას „ძირითადის“ მიმართ, რაც ე. წ. ემფაზს ქმნიდა. აქედან — „ემფატიკური თანხმოვნები“, ეთქვათ, s და ṣ ბგერები, რომელთაგან პირველი მხოლოდ ორად არტიკულაციას გულისხმობს, ხოლო მეორე — ამავე s-ს არტიკულაციას +ემფაზს, რაც დამატებითი (ფარინგალური) არტიკულიციით მიიღება. ამრიგად, კლასიკურ სემიტიკურში s და ṣ ერთმანეთს უპირის-პირდებოდნენ ემფაზის მეშვეობით: s, რომელსაც ეს ემფაზი არა აქვს, არა-ემფატიკური თანხმოვანია, მეორე — ṣ, რომელსაც ემფაზი ახლავს, ემფატიკურია. მაშასადამე, მეორე (ṣ) პირველი (s-ს) მიმართ მარკირებულია: მას დამატებითი ნიშანი აქვს — „ემფატიკურობა“. აქედან მათი ოპოზიცია ასეთ სახეს იღებს: „ემფატიკური“: „არაემფატიკური“. „არაემფატიკურ“ თანხმოვანთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე „ემფატიკურთა“. მაგრამ ოპოზიცია ხსენებული ნიშნის მიხედვით დასტურდება მხოლოდ s, t, z, d, ḏ, ṡ, r, l-ს მიმართ (რა თქმა უნდა, ისიც არა ყველა ენასა თუ დიალექტში):

- (1) s ṣ (უღლა სემიტ. ენაში).
- (2) t ṡ (უღლა სემიტ. ენაში).
- (3) d ḏ (სამხრეთ სემიტურში).
- (4) z ṣ (სამხრ. არაბული ეპიგრაფიკა, არაბული).
- (5) ḏ ṡ (უგარითული, სამხრ. არაბული ეპიგრაფიკა).
- (6) ḏ ṡ (სამხრ. არაბ. ეპიგრაფიკა).
- (7) l ṡ (არაბულში<sup>1</sup>, არამეულში).
- (8) r ṡ (არაბულში, არამეულში)

<sup>1</sup> იხ. მაკალითად, Ferguson Ch. A., The Arabic F-ome, Language, 35, 1959, გვ. 616—630.

2. ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ თანამედროვე სემიტურ დიალექტში, როგორც აღვნიშნეთ, მოიშალა ფონემათა შორის არსებული ოპოზიცია — „ემფატიკური“: „არაემფატიკური“ ემფატიკური თანხმოვნების „გამარტივების“ შედეგად (თანხმოვნებმა დაკარგეს ემფაზი).

2. 1. ერთ-ერთ ანალოგიურ არაბულ დიალექტში — მჰალამიაში, რომელიც მარდინის ოლქშია გავრცელებული, შემდეგ ფონემურ რიგებს ეხვდებით: ხშულებს, სპირანტებს, აფრიკატებს, სონანტებს — სულ 35 სემიტურ ფონემას და მათ შორის არც ერთ ემფატიკურ თანხმოვანს<sup>2</sup>.

მაგრამ იმავე დიალექტში დადასტურებულია „ემფატიკური სიტყვები“ (emphatische Wörter), როგორცაა: /+amma/ „მაგრამ“, /+ära/ „მან დინახა“, /+marr/ „მწარე“, /+ğam/ „ჭამი“; „ქიქა“ და სხვ<sup>3</sup>. (რამდენადაც ემფაზი, რაც ბგერათა ველარიზაციაში გამოიხატება, აქ მთელ სიტყვაზე ვრცელდება, იგი +ნიშნის სახით მთელი სიტყვის წინ წერია). ასეთ სიტყვაში შემავალი ყოველი ხმოვანი და თანხმოვანი, როგორც მართებულად ზასე შენიშნავს, ველარიზებულია. ამიტომ მათი ფონეტიკური დაწერილობა (ალოფონების ჩვენებით) ასეთ სახეს იღებს: /+amma/=[ʔɑmːɑ], /+ära/=[ʔɑzɑ], /+marr/=[mur], /+ğam/=[dɣɑːm] და მისთ, სადაც q, u, m, z, dz ემფატიკური (=ველარიზებული) ბგერებია. მაგრამ ასეთი ბგერები, თუნდაც ალოფონების სახით „ემფატიკურ სიტყვაში“ არიან, მის გარეშე კი არ გვხვდებიან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ემფატიკური თანხმოვნები ხსენებულ დიალექტში არ დასტურდება, შეინიშნება მთელი რიგი სიტყვები, რომელთაც „ემფაზი“ ახლავთ, რაც მთელი სიტყვის ველარიზაციაში ვლინდება. „ემფატიკური სიტყვების“ გვერდით არსებობს „არაემფატიკური სიტყვები“ (უმემფაზო სიტყვები). ხსენებული „ემფატიკური სიტყვებისა“ და „არაემფატიკური სიტყვების“ შეპირისპირებითი ანალიზი იძლევა ხმოვანთა და თანხმოვანთა „ემფატიკურ“ და „არაემფატიკურ“ ვარიანტებს. ასე, მაგალითად, ზასე ხსენებული დიალექტისათვის პოზიციის გათვალისწინებით აღნიშნავს [ə] ხმოვნის შემდეგ ალოფონებს: 1. ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ს ი ტ ყ ე ე ბ შ ი; [ɛ] — ბაგისმკერების მეზობლობაში; [i] — [y]-ის მეზობლობაში, [ə] — ყველა სხვა პოზიციაში; 2. არაემფატიკურ სიტყვებში: [u] — [w]-ის მეზობლობაში, [i] [y]-ის მეზობლობაში, [ə] — ყველა სხვა პოზიციაში. ასეა ყველა სხვა ხმოვანი ფონემისათვის<sup>4</sup>. სულ მჰალამიაში 12 ხმოვანია დადასტურებული, რომლებიც 7 ხმოვანი ფონემის რეალზაციას წარმოადგენს. აქ ალოფონთა სამი რიგია (1) წ ი ნ ა რ ი გ ი ს ა, (i, e), (2) ცენტრალური (i, u, ə, e, a), [ɛ], უ კ ა ნ ა რ ი გ ი ს ა (u, u, o, q)<sup>5</sup> (მღრ. ხმოვანთა სამი რიგი თანამედროვე არამულში)<sup>6</sup>.

რაც შეეხება თანხმოვნებს, ემფაზის დართვისას, ზასეს მიხედვით, ყველა მათგანი განიცდის ველარიზაციას (რაც სპეციალური ~ ნიშნით ასოზე აღინიშნება: ḥ და ḥ და მისთ).

<sup>2</sup> იხ. H.-J. Sasse. Linguistische Analyse des arabischen Dialekts der Mhallamiye in der Provinz Mardin (Südosttürkei), 1971, გვ. 23.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 28—29.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>6</sup> კ. წერეთელი, ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა. თბილისი, 1958, გვ. 68—74.

ზასეს თქმით, მისთვის უცნობია რომელიმე ცოცხალი არაბული დიალექტი, სადაც ემფატიკური ფონემები არსებობდნენ<sup>7</sup>. მაგრამ აქვე შენიშნულია, რომ ყველა ახალ არაბულ დიალექტში როდია ისეთი ვითარება, რომ ემფაზი განვიხილოთ როგორც „გრძელი კომპონენტი“ (მთელ სიტყვას რომ წვდებოდეს) და უთითებს ციაპერაზე<sup>8</sup>.

ემფაზის (ველარიზაციისა თუ ფარინგალიზაციის) მთლიან სიტყვაზე გავრცელების შესახებ და მასზე როგორც მთლიან ფონოლოგიურ მარკერზე (ნიშანზე) ახალ არაბულში მიუთითებენ სხვებიც<sup>9</sup>.

2. 2. თანამედროვე არამეული დიალექტების მიმართ დიდი ხანია გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ზოგიერთ მათგანში დაიკარგა ემფატიკური თანხმოვნები, მაგრამ „ემფაზი“ რჩება სიტყვის მაგარი ტემბრის სახით. კერძოდ, ეს კარგად იყო ცნობილი ურმიული დიალექტის მიმართ (ნ. იუშმანოვი)<sup>10</sup>. ჭერ კიდევ 1946 წელს ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ურმიის დიალექტში (მოგვიანებით ეს გაეავრცელეთ ყველა თანამედროვე აღმოსავლურ დიალექტზე) ამჟამად არსებობს „მაგარი ტემბრის სიტყვები“, „საშუალო ტემბრის სიტყვები“, „რბილი ტემბრის სიტყვები“<sup>11</sup>. ასე, მაგალითად, sījā „მწყურვალი“, srījā „გაცოფებულნი“, fīrā „ფრინველი“, miḥā „წვიმა“ და სხვ. ყველგან აქ მაგარი ტემბრია (ემფატიკური სიტყვებია). არამეგრეტემბრიანი (არაემფატიკური) სიტყვებია: sara „მთარე“, piḥa „ლია“, simā „ვერცხლი“, jānīmā „ობოლი“ და სხვ. ნაწილი მათ შორის საშუალოტემბრიანი (sāra, p'iḥa), ნაწილი — რბილტემბრიანი (sīmā, jānīmā). საინტეროსია, რომ აღრეულ გამოკვლევებში, ზემოთქმულის გარდა, თანამედროვე არამეულში სრულებით არ აღინიშნებოდა სიტყვის მთლიანი ველარიზაცია.

უკანასკნელ ხანებში ამ ფაქტის აღნიშვნა ენის დესკრიფციული ფონოლოგიური ანალიზის შედეგია. ასე, მაგალითად, აღმოსავლური დიალექტებიდან ამ რიგის (ემფატიკ.) სიტყვების არსებობაზე თხუმის დიალექტში მიუთითებს იაკობი. მისთვის „ემფაზი“ გრძელი ემფატიკური კომპონენტია, რომელიც ცალკეულ სიტყვებში ან არის, ან არ არის: +dēle „იკოლა“, +xulāsa „და ბოლოს; მოკლეთ“, +turāne „მთები“, +xatte „ხორბალი“ და მისთ.; ამათ შორ.: telan „ჩვენ მოვალა“, k'ēta „ქათამი“ kēna მშველთა“ და სხვ.<sup>12</sup> ემფაზის წყალობით იაკობის მიანია, რომ ხოუანს და თანხმოვანს შეიძლება ჰქონდეს ემფატიკური ვარიანტი<sup>13</sup>.

<sup>7</sup> Sasse, სს. შრ., გვ. 209.

<sup>8</sup> M. Tsiapera, A Descriptive Analysis of Cypriot Maronite Arabic, The Hague, 1969, გვ. 21.

<sup>9</sup> Harrel, The Phonology of Colloquial Egyptian, 1957; W. Lehn, Emphasis in Cairo Arabic, Language, 39, 1863, გვ. 29—39.

<sup>10</sup> Н. В. Юшманов, Самаркандские арабские диалекты, сб. „Пития ахад ! Н. Я. Матра“, М.-Л., 1938.

<sup>11</sup> ქ. წერეთელი, ერთი სინარმონიზმი, სმპ, ტ. VII, 1946, № 7, გვ. 467—468; მისივე, ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958, გვ. 155—160.

<sup>12</sup> H. Jacobi, Grammatik des thumischen Neuarameischen (Nordostsyrien), Wiesbaden, 1973, გვ. 79.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 8 და 20.



ანალოგიური ვითარება ჩანს ებრაელ არამეულთა მეტყველებაშიც<sup>11</sup>. ამრიგად, აქ მარკირებული თანხმოვნების ნაცვლად (ვევლისხმობთ „ემფაზს“ როგორც მარკერს), მარკირებული სიტყვებია: სიტყვა + „ემფაზი“, რაც უპირისპირდება სიტყვას ამ „ემფაზის“ გარეშე. თანხმოვანთა ხსენებული მაპირისპირებელი ნიშანი სიტყვათა დამაპირისპირებელ ნიშნად იქცა.

შდრ. არამ.  $\text{[xma]}$  „ფასი“ და  $\text{[im]}^2$  „ლევი“. თუ ამ ემფაზს, მათმატიკის ერთობლივად, როგორც სიტყვის ყოველი წევრის საერთო კომპონენტი, ფრჩხილებს გარეთ გამოვიტანთ და სიტყვის თავში დაეწერთ (როგორც ამას აკეთებენ კიდევ, შდრ. ზემოთ) და ამით იმას გამოვხატავდით, რომ იგი მთელ სიტყვას ეკუთვნის და არა ცალკეულ ბგერას, მაშინ  $\text{[xma]}$ -სათვის ასე მივიღებდით —  $\text{+([xma])}$ .

3. აღმ. არამეულში „ემფატიკური სიტყვების“ ისტორიულ ასპექტში განხილვა ადასტურებს ემფატიკური თანხმოვნების გარდა იქ ფარინგალების ოდესღაც არსებობას. ემფატიკური თანხმოვნების დაქარგვისთან ერთად დაიკარგა ფარინგალები, მაგრამ ემფაზი სიტყვაში დარჩა. არაბულში ფარინგალები დაუტლია, მაგრამ ფარინგალიანი სიტყვები იმავე ხმოვნებს მოიცავენ, როგორც ეს სხვა „ემფატიკურ სიტყვებშია“, შდრ. მჰალამ. [U:], [O:] და მისთ.<sup>12</sup>

4. საყურადღებოა, რომ თანამედროვე არამეულში შეინიშნება არა ორი ჭკუფი სიტყვებისა დაპირისპირებული ტემპებით — „ემფატიკური“ და „არაემფატიკური“, არამედ მათ შორის გამოიყოფა ე. წ. საშუალოტემპრიანი სიტყვებიც. აქ პირობით შეიძლება ვისაუბროთ „ნახევარემფაზის“ შესახებ, რომელიც აგრეთვე მთელ სიტყვას ახლავს. მოვლენის ფონეტიკური შესწავლა გვიჩვენებს, რომ აქ სინჰარმონიზმის წყაროდ გლოტალები და გლოტალიზებული (მკვეთრი) თანხმოვნები გვევლინებიან, ასევე ველარები (ღ, გ, ი)<sup>13</sup>.

5. „მაგარტემბრიანი“, „საშუალოტემპრიანი“, „რბილტემბრიანი“ თუ „ემფატიკური“ და „არაემფატიკური“ (ან კიდევ „ნახევარემფატიკური“) სიტყვების არსებობა მიჩნეულია როგორც ფონეტიკური მოვლენის — სინჰარმონიზმის შედეგი. სემიტურ სინჰარმონიზმში ივარაუდება არა მარტო ხმოვანთა, არამედ თანხმოვანთა ჰარმონიაც გარკვეული ნიშნის — აქ ტემბრის — მიხედვით. ამრიგად, „სინჰარმონიზმი“ და „ემფაზი“ სემიტურში ერთმანეთის მიმართ გარკვეულ მიმართებაში აღმოჩნდა. მათი მიმართების საკითხი არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი, ამასთანავე ხშირად სწორედ სემიტურენათა მასალის გათვალისწინებით.

სინჰარმონიზმი გარკვეული ფონეტიკური პროცესია. სიტყვის ემფაზი — ამ პროცესის შედეგი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვის მარკერადაა ქცეული ზოგიერთ სემიტურ ენაში (ემფაზის შემთხვევაში ევლარიზაცია მთელ ფონოლოგიურ სიტყვას, ე. ი. სემგენტურ ჯაჰვს ორ მიჯნას შორის სწევდება)<sup>14</sup>. „ტრადიციული გაგებით, — ამბობს ზასე, — ემფაზი ჰარმონიის ფენომენია“<sup>15</sup>. სინჰარმონიზმი ასიმილაციის კერძო შემთხვევაა და მას გარკვეული

<sup>14</sup> I. Garbell, „Flat“ Words and Syllables in Jewish East New Aramaic of Persian Azerbaijan, — Polotsky Votum, 1969, გვ. 86—103; მისივე. The Jewish Neo-Aramaic Dialect of Persian Azerbaijan, The Hague, 1965, გვ. 33—34.

<sup>15</sup> Sasse, ხს. შრ., გვ. 28—29.

<sup>16</sup> კ. წერეთელი, ნაკვეთი..., გვ. 161.

<sup>17</sup> Sasse, ხს. შრ., გვ. 33.

<sup>18</sup> იქვე.

სეგმენტური ფონემა უძვეეს საფუძვლად, ე. წ. ბირთვული სეგმენტი (გაელენის მომხდენი ბგერა: ხმოვანი თუ თანხმოვანი). ემფაზი დამახასიათებელი ნიშანია თანხმოვნისა, მარცხელისა ან მთელი სიტყვისა და მხოლოდ უქანასკნელ შემთხვევაში ემფაზი წარმოადგენს სინჰარმონიზმის შედეგს, რომლის წყარო სინჰრონული ანალიზის შედეგად ვეღარ დადგინდება, რადენადაც ცალკეული ბგერა-ფონემების გამოყოფა ემფაზის ნიშნის მიხედვით დღეს შეუძლებელია<sup>19</sup>.

დღემდე გამოვლენილი და შესწავლილი იყო სემიტიური სინჰარმონიზმი ფონეტიკური თვალსაზრისით (მისი ფიზიოლოგიურ-ფიზიკური არსი და წარმოშობა)<sup>20</sup>. სინჰარმონიზმი განვითარდა სემიტიური არტიკულაციის შედეგად მიღებული ფარინგალური და ფარინგალიზებული (ემფატიკური) თანხმოვნების, გლოტალი და გლოტალიზებული (მკეეთრი) თანხმოვნებისა და სხვა დანარჩენთა არსებობის შედეგად. მათი გაელენით წარმოიშვა სინჰარმონიზმი, რომლის ფიზიოლოგიური საფუძველი სემიტიურისათვის დამახასიათებელი არტიკულაციაა, ხოლო ფიზიკური (აქუსტიკური) ეფექტი — მაგარი, რბილი და საშუალო ტემბრი სიტყვაში.

საკითხი დგას იმავე მოვლენის ფონოლოგიური შეფასების შესახებ.

6. საყურადღებოა, რომ „ემფაზი“ მოცემულ ენებში (თუ დიალექტებში) ფონოლოგიური ღირებულებისაა: წას შესწევს უნარი გააჩინოს მინიმალური წყვილი სიტყვებისა (და არა ბგერებისა!). ეს გარჩევა ძირითადად ლექსიკურ სფეროს განეკუთვნება, როგორცაა ურმ. /+ħina/ „ტალახი“ და /linā/ „ლელვი“, თხუმ. /+ħānax/ „ჩვენ ვატარებთ“ და /lānax/ „ჩვენ ვამბობთ“; მალამ. /+baba/ „მამა“ და /baba/ „კარი“, /+masa/ „მაგიდა“ და /masa/ „სალამო“ და სხვ. განსაკუთრებით კარგად ჩანს ხსენებული დაპირისპირება თანამედროვე აღმ. არამეულ დიალექტებში, სადაც ისტორიულად ფარინგალიც უნდა გვექონოდა /+lāla/ „მელა“ და /lālā/ „ხაფანგი“, /+arja/ „დღესასწაული“ და /ārjā/ „ლოში“ და სხვ. შენიშნავდა რა ამ მოვლენას, ნ. იუშმანოვი, ამბობდა, რომ აქ ტემბრი „კოლექტიური ფონემის“ როლში გამოდის<sup>21</sup>.

„კოლექტიური ფონემა“, ცხადია, ვერ მოთავსდება სეგმენტურ ფონემათა რიგში. „ემფაზი“, რომელიც გარკვეულ ტემბრს ქმნის, თავისთავად არ გულისხმობს რაიმე ბგერას, ის მის გარეშეა და მხოლოდ მაშინ იძენს ფონემურ ღირებულებას, როდესაც მთელ სიტყვაზე ვრცელდება. სიტყვასთან ერთად ელინდება მისი ფონემურობა. როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, სიტყვის მახვილთან, სიტყვის ტონთან. ამრიგად, „ემფაზი“ ამ შემთხვევაში ფონემაა, მაგრამ არა სეგმენტური. ის სიტყვას ზემოდან ეფინება. სეგმენტური ჭაჭვის გარეშეა, ზესეგმენტურია, ან, როგორც ლინგვისტურ ტერმინოლოგიაშია მიღებული, სუპრასეგმენტურია. მაგრამ თვით ზასეს, რომელსაც „ემფაზის“ სუპრასეგმენტურობის შესანიშნავი მაგალითები მოაქვს არაბული ენის მალამაის დიალექტიდან, ფაქტი „ემფატიკური“ და „არამფატიკური სიტყვების“ არსებობისა სემანტიკური დისტინქციის უნარით არ მიაჩნია სუპრასეგმენტური ფონემის სასარგებლო გარემოებად: ამასთანავე იგი გრძნობს, რომ დესკრიფციულ-

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ე. წ. ბირთვული, ურმიული სინჰარმონიზმი, სმპ. ტ. VII, 1946, № 7: მისივე, ურმიული სინჰარმონიზმის საფუძველი, სმპ. ტ. VII, №9—10; მისივე, თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბილისი, 1958, გვ. 52—67.

<sup>21</sup> Н. В. Юшманов. Сингармонизм урмийского наречия. გვ. 305.

ლი თვალსაზრისით ამ საკითხის განხილვა მისი სასარგებლო ვერ იქნებოდა და შენიშნავს: „წინამდებარე შრომაში მოცემულია ცდა განვიხილოთ ემფაზი როგორც განუსაზღვრელი ექსპონენტი (unbestimmte Exponente) დესკრიფციული ჩარჩოების მოქცევის გარეშე“<sup>22</sup>. ზასესათვის ემფაზი ფონეტიკური ნიშანია (მარკერია), რომელიც სიტყვებს ლექსიკის დონეზე ერთის და არ მოთავსდება არც სეგმენტური და არც სუპრასეგმენტური ფონემების გვერდით<sup>23</sup>. თუ ეს ასეა, სად წაივლით „ემფაზი“, რომელსაც ძალუმს განასხვავოს სიტყვათა მნიშვნელობა? ზასეს აშინებს ტერმინი „სუპრასეგმენტური“, რადგან იგი პროსოდიაში ვერ მოთავსდება (სჯობს მოვერიდოთ ტერმინს „სუპრასეგმენტურს“)<sup>24</sup>. საყურადღებოა, რომ პაიკი არ უარყოფს სინჰარმონიზმის: (მასთან—ჰარმონიის) ფენომენის კვალიფიკაციას სუპრასეგმენტურ ფონემად (თუმცა, ზასეს თქმით, თითქოს ეს მასთან უარყოფილია<sup>25</sup>); მხოლოდ ასეთ სუპრასეგმენტურ ფონემას, რომელიც მთელ სიტყვას მიეკუთვნება და მის მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული, უწოდებს „სუპრასეგმენტურ ფონემას, მიღებულს ლექსიკურ ნიშნად“<sup>26</sup>, განსხვავებით მახვილისა, ტონის სიმაღლისა და ა. შ., რომლებიც მისთვის „სუპრასეგმენტური ფონემებია ფონოლოგიურ საფუძველზე“<sup>26</sup>.

7. ამრიგად, დღეს მთელ რიგ სემიტურ დიალექტებში (არამეულში, არაბულში) სხვა სუპრასეგმენტურ ფონემათა შორის დასტურდება კიდევ ერთი—„ემფაზი“ (და, ზოგჯერ, „ნახეყარემფაზი“ — საშუალოტემპრიან სიტყვებში). ისტორიული ანალიზი ადასტურებს, რომ იგი ახალი მოვლენაა, ძველი სეგმენტური ფონემების ნაცვალი. სამწუხაროდ, ძნელია იგივე ითქვას ყველა სხვა თანამედროვე სემიტური დიალექტის შესახებ, კერძოდ, თანამედროვე ეთიოპურ დიალექტებზე, რამდენადაც მათი ფონოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე, არ არის გამორიცხული, რომ ახალი დიალექტების სათანადო შესწავლამ დაადასტუროს ემფაზის სუპრასეგმენტური ფონემის ფუნქცია თანამედროვე სემიტურ დიალექტთა დიდ უმრავლესობაში და იგი დღეს საერთოსემიტურისათვის რელევანტურ ნიშნად იქნეს ცნობილი.

<sup>22</sup> Sasse, გვ. 34.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 35; ასევე შდრ. გვ. 33—34.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> Kenneth L. Pike, Phonemics. A Technique for Reducing Languages to Writing. Ann Arbor, 1947, გვ. 63.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილება

## ცნობები და შენიშვნები

А. И. ШАВХЕЛИШВИЛИ

### К ВОПРОСУ О НАЗВАНИИ ХРАМА «ТКОБЯ-ЕРДА»

В журнале «Мацне» (№ 2, 1974 года) помещена статья Г. Г. Гамбашидзе «К объяснению названия храма «Ткобья-Ерда». Автор проделал значительную работу, свел в ней некоторые толкования названия начиная с XIX века. Ученые дореволюционного<sup>1</sup> и послереволюционного<sup>2</sup> времени толковали и записывали значение названия храма по-своему. Вследствие этого получается весьма пестрая картина транскрибирования названия.

Мы не будем останавливаться на примерах передачи названия русскими буквами. Скажем только то, что наиболее верная передача произведена А. О. Мальсаговым в форме Ткъобѣаерда<sup>3</sup>, причем здесь надо добавить, что ткъ упрощены по существующей ингушской орфографии. На деле ткъ есть два смычно-гортанных звука тI и къ. Таким образом, точное произношение названия по-ингушки выразится буквами тI-къ-о-б-I.

По нашему мнению, поскольку «ерда» встречается и в названиях других храмов, надо писать это слово отдельно от первого. Таким образом, правильная запись названия выразится в форме Ткъобѣаь Ерда.

Сначала остановимся на слове «ерда». Многие ученые толкуют его как «святой», «храм двух тысяч святых»<sup>4</sup>.

Однако эти ученые совсем не затрагивают вопроса к какому грамматическому классу относится это слово. А это очень существенный момент. Относится оно к женскому классу йу-йу, следовательно, «ерда» не может означать «святой». У вейнахов слова, обозначающие божество, относятся к мужскому классу ву-бу: дела ву — бог есть, цџу ву — языческое божество есть. Так как служители религии были мужчинами, их относят к мужскому классу ву-бу: молла ву — мулла, элча ву — посланник божий, мозгӀар ву — священник, пайхамар ву — пророк и т. д. Однако слова, заимствованные из арабского, относят к классу ду-ду: малик ду — ангел, жини ду — джин.

Поэтому толкование слова ерда как «святой» не выдерживает критики. Обозначает оно «святая», «святое место». Бессмысленно поэтому и толкование названия как «две тысячи святых мест», «святыня».

Ерда не может обозначать «святой» и по другой причине. Ведь кроме Ткобья-Ерда есть в Ингушети и другие храмы: МагӀа-Ерда, Альби-Ерда, Тамыж-Ерда. МагӀа-Ерда объясняется просто: МагӀа по-ингушки «верхний», «вверху». МагӀа-Ерда, следовательно, обозначает «верхняя святыня», «верхний храм». Альби-Ерда, по нашему мнению, объясняется следующим образом: Альби по-ингушки ничего не озна-

<sup>1</sup> Н. Головинский, Сборник сведений о Терской области, вып. I, Владикавказ, 1878, стр. 98; В. Миллер, Материалы по археологии Кавказа, т. I, М., 1888, стр. 8—21.

<sup>2</sup> Б. А. Алборов, Известия Ингушского научно-исследовательского института краеведения, вып. I, Владикавказ, 1928, стр. 2—8; Е. И. Крупнов, Краткие сообщения Института истории материальной культуры им. Н. Марра, вып. XV, М., 1947, стр. 116—125.

<sup>3</sup> А. А. Мальсагов, Нарт-Орстоевский эпос вейнахов, Грозный, 1970, стр. 107.

<sup>4</sup> Б. Далгат, Терский сборник, вып. 3, кн. 2, Владикавказ, 1893, стр. 90—98.

часть. Мы предполагаем, что это слово происходит от грузинского алаби — пламя. Следовательно, можно допустить, что Альби-Ерда означает «храм пламени», «храм огня». Это название можно объяснить сооружением храма на месте языческого капища, посвященного огню. Название Тамыж-ерда, вернее Тамаш-Ерда, в переводе с ингушского означает: тамаш — чудесное, удивительное<sup>5</sup>. Но слово это веинахамм, несомненно, заимствовано от тюркоязычных народов.

В Чечне слово «ерда» встречается как топоним. В Галачожском районе одна из гор носит название Ерда-корта — «святая вершина», но горцам, проживающим в этом районе, не знакомо это значение. А в другом виде это слово в чеченском языке существует и поныне. Центральный столб, подпирающий кровлю в старинных жилых башнях, и столб, подпирающий продольную балку — матицу — в сакле, носят название Ерда-бIогIам. Столб этот поддерживал тяжесть кровли и считалось, что с ним связано благополучие дома. Держась за столб Ерда-бIогIам, люди произносили клятву, так же как произносили ее, держась за очажную цепь. Произносили и проклятье: «чтоб у тебя Ерда-бIогIам рухнул». Как и очажная цепь, Ерда-бIогIам был у чеченцев символом, охраняющим благополучие дома и поэтому не удивительно, что он носит название святого столба.

Обратимся теперь к выводам Г. Гамбашидзе. После долгих манипуляций с «фоминой неделей» и «апостолом Фомой» он пишет:

«Исходя из вышеприведенных данных, трансформация названия храма представляется нам в следующем порядке: (oma) > (oba) > (koba) > (xoba) > (xaba) > (gbaia)».

Напомним автору, что у ингушей есть фамилия Томаевых, эпоним которой Тома существовал (согласно генеалогии Томаевых их предок Тома жил еще четыреста лет назад). Томаевы есть и в Осетии. Имя Тома и Туома встречается и в Чечне (например, ближайший сподвижник Зелимхана был Аюб Томаев из с. Старые Атаги).

Сложно толкование слова, в которых наблюдается переход звуков «м» в «б», «т» в «тI» и «кь». Это затрудняет определение значения названия.

Нам кажется, что дело обстоит проще. ТIкьобIаь есть искаженное грузинское слово «хватаеба — лик божий». Согласные звуки «хвт» в ингушском языке в таком сочетании нетерпимы и не встречаются. Первоначально ингуши, возможно, их произносили тхеба, а потом народная этимология превратила их в значимые слова тIкьобIаь — двадцать сотен.

Чтобы показать, насколько это возможно, проведем следующую аналогию. В наше время фамилию Орджоникидзе, трудно произносимую ингушами, народ превратил в Iаьрджикинез — черный князь. Здесь «Ордж» превратилось в ингушское слово Iаьрджа — черный, а конец фамилии — кидзе — обратилось в русское слово в ингушском звучании «кинез» — князь.

Преращение же имени Тома в тIкьобIаь путем подобного видоизменения мы считаем неубедительным.

<sup>5</sup> И. А. Оздоев, А. Г. Мацнев, З. Джамалханов, Галгай-полчий эрсиц словарь, Грозный, 1962, стр. 37, 116, 147, 185.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სიმაართლე, მასარი სიმაართლე!..“

უკანასკნელ წლებში სულ უფრო თამამად გაისმის ხმები ქართული ლიტერატურული კრიტიკის არადადამკმაყოფილებელი დონის შესახებ. ზოგიერთს საერთოდ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ფიქტიურ ცნებად მიაჩნია. ამ აზრიდან ჩვენ, რა თქმა უნდა, მეტად შორს ვართ, მაგრამ უნდა ვალიაოთ, რომ კრიტიკას მიხედვად მართლაც ესაჭიროება. ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენას მრავალი მიზეზი აქვს და ერთ-ერთ მთავარს მაინც ის წარმოადგენს, რომ ჩვენთან, როგორც წესი, მიღებული არ არის კრიტიკის კრიტიკა. ის ერთეული შემთხვევები, როდესაც კრიტიკულმა წერილმა სათანადო კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია, მხედველობაში მისაღები არ არის, რადგანაც ამდგვარ სიტუაციაში საღ კრიტიკულ აზრს ყოველთვის პირადული ვენებათა-ღელვა ფარავდა. კრიტიკის კრიტიკა კი საჭიროა! არასოდეს არ უნდა დაევიწყოთ ლიტერატურული კრიტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია: იყოს დაჰაკეშირებელი რგოლი ნაწარმოებსა და მკითხველს შორის. ამ ფაქტის შეგნებულ თუ შეუგნებელ იგნორირებას ყოველთვის სამწუხარო გაუგებრობამდე მიყვართ ხოლმე.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვსურს რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ ნ. ნათაძის წიგნზე „ლიტერატურული წერილები“, რომელიც გამოცემლობა „მერანმა“ 1973 წელს გამოსცა.

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წერილი არ წარმოადგენს ნ. ნათაძის წიგნზე დაწერილ რეცენზიას: ასეთი საშუალო მეტად შრომატევადი იქნებოდა. აღნიშნული წიგნიდან ჩვენ შეგნებულად გამოვყოფთ მხოლოდ ერთ წერილს „პოეტური სახის სიციცხლე“ და მის აეკარგიანობას შევეხებით. ეს წერილი ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ და ლიტერატურულ კულუარებში გარკვეული რეაქციაც გამოიწვია. მაგრამ კვლავ იმ მიზეზით, რომ კრიტიკის კრიტიკა ჩვენთან მიღებული არ არის, ეს რეაქცია პრესაში არ ასახულა. ამგვარად, „პოეტური სახის სიციცხლემ“ დაუბრკოლებლად გაიარა გზა ჟურნალიდან წიგნამდე. მართალია, ავტორმა მასში მცირეოდენი დამატება შეიტანა, მაგრამ ამ დამატებამ წერილში გამოთქმული დებულებანი უფრო დამაჩერებელი მაინც ვერ გახადა.

წერილის დასაწყისში მოცემული პირველივე წინადადება პოლემიკური ხასიათისაა: „არსებობს აზრი, რომ თანამედროვე ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში პოეზიისთვის ადგილი არ რჩება, ან არ უნდა რჩებოდეს“. არავითარი დაზუსტება თუ როდის, ვის მიერ, რა სიტუაციაში და რატომ იქნა ასეთი აზრი წამოყენებული. მხოლოდ უმისამართოდ ნასროლი ხელთათმანი გაიღვება: ეს არის და ეს. მართალია, ასეთი აზრი გამოთქვამთ და იქნებ დასუსტაც წამოწყებულა, მაგრამ ამგვარი პოლემიკა ყოველთვის გაუმართლებელი ყოფილა, რადგანაც განსახილველი პრობლემა არასოდეს არ მიეკუთვნებოდა კარდინალურ საკითხთა რიგს. პოეზიისა და პოეტების მიმართ სხვადასხვა დროს უფრო მკაცრი განაჩენიც გამოუტანიათ: „პოეტი ნორმალურად მოაზროვნედ არც მიმაჩნიაო“, „მსოფლიოში სულ ზუთიოდე ლექსი არსებობს, დანარჩენი

მხოლოდ მანკვა-გრეხეაო“. თუ ამ გამანადგურებელ დებულებებზე არ დავობენ, არა იმიტომ, რომ ისინი პლატონს და ლ. ტოლსტოის ეკუთვნის, არამედ იმიტომ, რომ ისინი იმდენად შორს დგას კემმარტივებისაგან, რომ რაიმე კომენტარს არ საჭიროებენ (რა ვუყოთ, მზესაც აქვს ლაქები!). რაც შეეხება ნ. ნათაძეს, რაში ესაჭიროება მას არარსებული პრობლემის წინ წამოწევა და შემდეგ უკუგდება? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: იმიტომ, რომ მკითხველს პოეზიის დამცველის რეკომენდაციით წარუდგეს და ამით უზრუნველყოს ის ფსიქოლოგიური ნიადაგი, რაც აიძულებს მკითხველს, რომ მის მიერ შემდგომ განვითარებული აზრი უტყუარ კემმარტივებად მიიღოს. საერთოდ, „პოეტური სახის სიცოცხლე“ ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი არსებითად შესავალია, სადაც უხვად ციტირებულ აღიარებულ პოეტთა ლექსებს (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გ. ტაბიძე, ნ. ხიმენესი, კ. ბალმონტი, ა. კალანდაძე, ა. სულაკაური) მძიმე მოვალეობა აქვს დაკისრებული: გაანათოს ფონი, რათა წერილის მეორე (ძირითად) ნაწილში განხილული ლექსების მხატვრული ღირებულება მუქ ფერებში გამოიკვეთოს. ამ ნაწილში კი ავტორი ო. ჭილაძის ზოგიერთ ლექსს განიხილავს. სტატიის მრავალმთქმელი სათაურიც ქვეტექსტში ო. ჭილაძის პოეზიისათვის დამახასიათებელი ტროპიკის უსიცოცხლობას გულისხმობს.

ნ. ნათაძე ყველა პოეტისაგან მხატვრული სახის მკაცრ მოტივირებას მოითხოვს. ეს მოთხოვნა თავისთავად სამართლიანია და ამის საწინააღმდეგო აზრი ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ კითხვაზე, სწორად ესმის თუ არა კრიტიკოსს მოტივირების საკითხი, ჩვენ დადებითად ვერ გაცევით პასუხს. ამგვარი პასუხი კი თვით კრიტიკოსის მიერ ციტირებული და გაანალიზებული მასალიდან გამომდინარეობს. ნ. ნათაძე წერს: „გაშლილი მეტაფორის“ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ანა კალანდაძის ლექსიც.

„ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტრიავარ,  
ქარი ჩამბერავს, ავმღერდები. შე ხომ სტვირი ვარ!  
მინდვრად გაზრდილი და სათუთად მოჭრილი მერე  
ხშით საამურიო მპყრობთა გულთა, ეუმღერი ველებს.

. . . . .

ქარი ჩამბახის ლელიანის ტერში შობილსა  
იმღერეო პატარა ქალო  
ჩამბერე ქარო  
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა“.

რას ნიშნავს „სტვირის ეს გაშლილი მეტაფორა?... ზოგადად რომ ვთქვათ, ლექსი გამოხატავს ავტორის უბრძოლველ და სიხარულით აღტყინებულ მინებებას გრძნობისადმი, მინებებას, რომელიც თავდავიწყების, თავის არდაზოგვის, ან შეიძლება პოეტური ექსტაზის სიხარულშია გადახლართული“...

ჩვენი აზრით, ციტაცია-ანალიზი ზედმეტად სუბიექტურია. საკმე ისაა რომ ციტირების დროს უზუსტობას აქვს ადგილი არა მარტო enjambement-ის და პუნქტუაციის უვალსაზრისით (ეს ლექსის შინაარსობლივ მხარეს არ ცვლის), არამედ კრიტიკოსის მიერ შემოთავაზებულია ისეთი ვარიანტი, რომელიც ლექსის შექმნა-ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთ გარდამავალ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ და ამის გამო მისი, როგორც დანარჩენებული სახით, ციტირება გაუმართლებელია. რაც შეეხება ლექსის ანალიზს, აქ მთელი პირდაპირობით უნდა განვაცხადოთ, რომ მას არავითარი საერთო არა აქვს ლექსის შინაარსთან. უკეთეს შემთხვევაში ეს არის თვით კრიტიკოსის მიერ ლექ-

სის სუბიექტური აღქმა, რომელიც მარტოოდენ ლექსიდან აღებულ იზოლ-რებულ ფრაზებს ეყრდნობა.

აღნიშნული ლექსი ა. კალანდაძემ „ლიტერატურული გაზეთის“ 1946 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა:

„ეს სიხარულის ცრემლებია, როდეს ვტირებ  
 ქარი ჩამბერავს, ავმღერებდი, მე ხომ სტიქია ვარ.  
 ქარში გაზრდილი, უგუნურთა  
 მოკრილი მერე?  
 ხმით საამურიტ მპყრობი გულთა,  
 ვუმღერო ველებს...  
 ატირებული მპყრობელი ვარ  
 შენი გულსაც...  
 იალაღებით მობერილ ვარ  
 სიყვარულისად...  
 მხოლოდ შენს გულში მიპოვნა  
 ეანი სულსად...“

მაგრამ დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას:  
 მეტყვი: სიღებო, პატარა ქალო.  
 შთამბერე, ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!“

1953 წელს გამოცემულ ლექსების წიგნში პოეტმა ეს ლექსი შესწორებულ სახით დაბეჭდა. ამოიღო ტაეპი:

„მაგრამ დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას:  
 მეტყვი: სიღებო, პატარა ქალო.“

და მის მაგიერ შეიტანა:

„მზე ჩამჩურჩულებს ლელიანის ტვერში შობილსა,  
 იმღერო პატარა ქალო!“

მაგრამ შემდგომ, 1957, 1960 და 1967 წწ. კრებულებში ა. კალანდაძემ ისევ ლექსის პირველი ვარიანტი არჩია. იმის გამო, რომ პოეტური შემოქმედება ინტელექტუალურ-ლოგიკურ გზას მისდევს, პოეტმა პირველი ვარიანტი შეცვალა მეორეთი და კვლავ პირველს დაუბრუნდა. ეს ცვლილებები დისკურსიული აზროვნების შედეგია: პირად-ბიოგრაფიულმა მიზეზმა დააფიქრა პოეტი და ანან ცალმხრივი სიყვარულის მამხილებელი ტაეპის შეცვლა გამოიწვია უფრო უწყინარი ტაეპით:

„მზე ჩამჩურჩულებს ლელიანის ტვერში შობილსა,  
 იმღერო პატარა ქალო!“

მუსიკალურ-აკუსტიკური თვალსაზრისით თუმცა ეს ვარიანტი შეიძლება პირველის ტოლფასოვნად ჩაითვალოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მის შინაარსობრივ მხარეზე: მან ლექსი უაზრო გახადა. ლექსის პირველ ვარიანტში სიყვარულის გაუმობაძტავ მეტაფორათა გრძელი რიგი იცვლებოდა მოკლე კონტრასტული გადასვლით, რომელიც სიყვარულის უარყოფას შეიცავდა. ეს გრაფიკულადაც იყო ფიქსირებული (გამოტოვება ტაეპებს შორის). ამას ლოგიკურად მოსდევდა გამწვარებული შემახილი:

„შთამბერე, ქარო,  
 ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!“

მეორე ვარიანტში ლექსის განვითარება და დასასრული ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა უაზრო ტაეპით და ლექსმაც შინაარსი დაკარგა. ამ მდგომარეობის დისკურსიული აზროვნებით გააზრებამ პოეტი აიძულა ისევ პირველი ვარიანტი აღედგინა.



დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ნ. ნათაძის მიერ გალაკტიონის დამოწმებაც. გალაკტიონის არაენისი დიოთირამბები არ ესაჭიროება და ყველასათვის ცნობილია მისი პოეზიის მნიშვნელობა ჩვენი კულტურისათვის, მაგრამ დიდი პოეტის უზარმაზარ მემკვიდრეობაში განუმეორებელ ლექსებთან ერთად გვაქვს სამულო ლექსებიც. ასე, რომ ლურჯა ცხენები გრგვინვა-გრიალით ვერ გადაივლიან ჩელოტის ხიდზე და საეჭვოა, რომ თვითონ პოეტს მოსწონებოდა ბანალური „ტკბილი ბუნება“ და „ცივი გული“. მაგრამ ადრეულ აბალაზრდობაში დაწერილი ეს სტრიქონები მას არ შეუსწორებია ალბათ იმ მიზეზით, რომ ვერ ხედავდა მათში იმ რაციონალურს, რაც სათანადო დამუშავების შემდეგ შედეგად იქცევა ხოლმე.

ნ. ნათაძისათვის ცნობილია, რომ პოეტური ზემოქმედების ფსიქოლოგიური არსი „გამოცნობის სიამოვნებაში“ მდგომარეობს. მაგრამ ჩვენს გაკვირებებს იწვევს ის გარემოება, რომ იგი პოეტური სახის „თელსაჩინო და ადვილად ასათვისებელი ფორმით“ წარმოდგენას მოითხოვს. აქ მგონი ორმაგი უსწორობაა დაშვებული: ჯერ ერთი, „ადვილად“ და „ძნელად“ შედარებით ხარისხებია და მკითხველთა უზარმაზარი მასის ნიველირება კრიტიკოსის მხრივ საკმაოდ ხელოვნურ ხასიათს ატარებს. და მეორეც, განა ოდითგანვე ცნობილი არ არის, რომ სფინქსის სიდიადე ნაწილობრივ ძნელად გაშლის ცნობ კითხვებშიც მდგომარეობდა? მაგრამ თუ სფინქსი შორეული და ძნელი აღეგორაა. უფრო ახლობელი და კონკრეტული მაგალითების მოყვანაც შეიძლება. მაგალითად, ცხოვრებისეულ რომელ მხარეს გავგახსენებ „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“, ან „შავი ყვავილის საშუღამოდ მკვდარი ფოთოლი“, ან „გრალის კოშკები, ზმანებათ სამრეკლო“, ან „გედი დაქრული ოცნების ბალით“ და ა. შ. დაუსრულებლად. ყოველივე ეს ისევე გალაკტიონის სიტყვებითვე იხსნება: „ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“. მაგრამ კრიტიკოსის მიერ „ადვილად ასათვისებელი ფორმის“ წინ წამოწევას იგივე აზრი აქვს. რაც პოეზიის უბილავ მტერთან ორთაბრძოლას. ეს არის ნიადაგის შემზადება იმისთვის, რომ მკითხველი დადგეს მკდარ პოზიციაზე, რომ მან (მკითხველმა) პოეზიაში მისთვის გაუგებარი ფორმები პოეტს ნაკლად ჩაუთვალოს და თანაც ყოველგვარი გაანალიზების გარეშე. ეს ადამიანის ფსიქიკის სუსტ მხარეზე თამაშია და აკრძალულ ილეთად უნდა მივიჩნიოთ.

ძირითადი არგუმენტი, რითაც ნ. ნათაძე ცდილობს დაამტკიცოს ო. ჰილანისეული ტროპიკის არასრულყოფილება (ქვეტექსტით: უსიკოცლობა), ასე ფორმულირდება: მკითხველს არ ესმის. აქ კრიტიკოსი გულშეიწყობას იჩენს და არ იხსენებს იმ ელემენტარულ ფაქტს, რომ არასოდეს, არც ერთ ეპოქაში, არც ერთ შემოქმედთან ყველაფერი ყველასთვის გასაგები არ ყოფილა. „ადვილად ასათვისებელი ფორმის“ თუზა წინაპირობად ისეთ გლობალურ ნიველირებას გულისხმობს, რაც კრიტიკოსის მხრივ დიალექტიკის ყველა კანონის უგულებელყოფას ნიშნავს. არა, ჩვენ ასე ცუდი წარმოდგენის არა ვართ თანამედროვე მკითხველზე. მკითხველთა მასას დიანაც რომ ესაჭიროება სწორი ორიენტირი, რომელიც მას ხელოვნების ნაწარმოების ობიექტური რაობის შეცნობაში დაეხმარება, მაგრამ არა გვეგონია თანამედროვე მკითხველი იმდენად დაბალ დონეზე იდგეს, რომ მისთვის ძნელად ასათვისებელი ფორმები ხელოვნანს ნაკლად ჩაუთვალოს. ყველასათვის ცნობილია ელემენტარული ჰეგელიანობა, რომ მასა უნდა ავიდეს ხელოვნის სიმადლეზე და სადაც

პირიქით ხდება, იქ პროგრესთან არა გვაქვს საქმე. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ შეათვასეს ე. ი. ლენინმა და გ. პლენანოვმა ნაროდნიკული ლიტერატურა.

ნ. ნათაძესთან კი ფრჩხილების გახსნაა საჭირო. ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც გარკვევას საჭიროებს. ჩვენი აზრით, კრიტიკული წერილი უნდა წარმოადგენდეს მკვლევრის ობიექტურ კომენტარს ნაწარმოების ან ნაწარმოებში განხილული ამა თუ იმ საკითხის მიმართ. უარეს შემთხვევაში კრიტიკულ წერილად შეიძლება ჩაეთვალოს მკვლევრის სუბიექტური სახის კომენტარები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ პირობებში კრიტიკოსი მართოდენ ფიქსაციის ხარისხით იქნება განსხვავებული ნებისმიერი მკითხველისაგან. ნ. ნათაძესთან კი სულ სხვა ამბავთან გვაქვს საქმე: მკითხველისთვის სრულებით გაუგებარია, „მკითხველი ვერ გრძნობს“, „მკითხველი ვერ ხედავს“ და ა. შ. რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ მკვლევარი ცდილობს, თავისი პირადი შეხედულება თავს მოახვიოს მკითხველს.

ცნობილია, რომ XX საუკუნეში სტატისტიკური აღრიცხვა სულ უფრო ფართოდ იჭრება ადამიანური ცოდნის ყველა დარგში. რაოდენობრივი ანალიზი სულ უფრო აფართოვებს თავის ასპარეზს. ამ თვალსაზრისით მკითხველთა მასის სტატისტიკურ-სტრუქტურულ შესწავლასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ნ. ნათაძეს რომ ამდაგვარი გამოკვლევა ჩაებარებინა და მკითხველის ვერ გაგება, ვერ დანახვა და არცოდნა ამაზე აეგო, მაშინ ამ ასპექტში მისი მსჯელობა გამართლებული იქნებოდა, მაგრამ რადგანაც მან მკითხველს თავისი პირადი შეხედულებები თავს მოახვია, ამიტომ მისი წერილი სუბიექტურ-ტენდენციურ ჩარჩოებს ვერ გასცდა.

ამგვარად, ნ. ნათაძის წერილის პირველივე ნაწილი იმდენად ავტორისეულია, რომ მისი ობიექტურ კრიტიკიუმად მიჩნევა შეუძლებელია. ისეთივე ხასიათისაა წერილის მეორე (ძირითადი) ნაწილი, სადაც კრიტიკოსი ო. ჭილაძისეული ტროპიკის უსიციოცლობას (!) ამტკიცებს. გადავხედოთ, თუ როგორია მისი მსჯელობა. მკვლევარი განიხილავს ო. ჭილაძის ლექსების პირველ კრებულში (1959 წ.) გამოქვეყნებულ ერთ უსათურო ლექსს:

გზა მიდის მთებში, თეთრი და მრუდე  
და გზას კვილით მისდევს იელი...  
მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა  
და ამ სურვილით ვიყავ ძლიერი.  
მე შენ მეგონე ყველაზე კარგი,  
ყველაზე მშვიდი და თბილი ბუდე...  
გზა მიდის მთებში და ჩრდილებს კარგავს  
და მიდის მთებში, თეთრი და მრუდე.

ბრალდება ძირითადად აგებულია ტაყპზე „გზას კვილით მისდევს იელი“. მკვლევრისთვის გაუგებარია, თუ რატომ არის ვასულიერებული იელის განცხად-მოქმედება მაინცდამაინც „კვილით და არა, ვთქვათ, ტირილით, ღიმილით და ა. შ. მკვლევარი ვერ გრძნობს და ვერ პოულობს რაიმე საერთოს, რაც ტროპისთვის გამოყენებულ წარმოდგენას („კვილი“) ემოციური ტონის მხრივ დააკავშირებდა ლექსის თემად აღებულ განწყობილებასთან. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ტროპი კრიტიკოსის გრძნობასთან იგზას ვერ პოულობს. აქ ძალაუნებურად ვოლტერის შეცდომები გვახსენდება ორთოგრაფიაში და ღიმილით ვამბობთ: მით უარესი ორთოგრაფიისათვის! და მაინც იელის კი-

ვილს ეუბრუნდებით. ნ. ნათაძეს დასახელებული ტროპი „ზედმეტ“ პოეტურ სახელ მიაჩნია, რადგანაც, მისი აზრით, თ. ჭილაძის ლექსი „ლირიკული მოგონების იერის მატარებელია და არა ტრავიზმისა“. ამას ემატება მეორე ბრალდება: ტროპი „ლიტერატურულ რემინისცენციას წარმოადგენს“. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ბრალდებას კრიტიკოსი მეორეხარისხოვნად თვლის, რადგანაც სხვა ადგილას ის უკვე იწონებს ლიტერატურული გავლენით დაწერილ სტიქონებს. ამის გამო ჩვენ არ შევუდგებით თ. ჭილაძისეული ტროპიკის წარმომავლობაზე კამათს და დაუებრუნდებით ძირითად ბრალდებას: აღნიშნული ლექსი არ არის ტრავიზმის მატარებელი და ამის გამო იელი ამ გვარი პერსონიფიკაცია ზედმეტია.

რა შეგვიძლია ვუპასუხოთ კრიტიკოსს? მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ მისი მტკიცება, რომელიც არა ლექსის ანალიზს, არამედ მარტოოდენ ლიტონ ვანცხადებას წარმოადგენს, მცდარია, არავისთვის არ არის საიდუმლო რომ იელი შხამიანი მცენარეა (საბა: იელი—ხე თაფლის გამრყენელი). კრიტიკოსი კი ვალდებული იყო ეს სცოდნოდა. თუ ჩანს ხერხს მოვიშველიებთ, გასაგები უნდა იყოს, რომ გზას კივილით მის დევს. ხოლო პერსონიფიკირებული შხამის მოქმედება არ შეიძლება პასიური ტორილი ან დიმილი იყოს, ის უეჭველად აქტიურ კივილად იქცევა. ამგვარად, მკვლევრის მიერ შემოთავაზებული ვარიანტები (ტირილი, და ა. შ.) ყოვლად გაუმართლებელია და ჩვენ მას ვერ მივიღებთ. ჩვენი აზრით, იელი სკივილი საესებით გამართულ და მოტივირებულ ტროპს წარმოადგენს. მაგრამ ნ. ნათაძის შეცდომას სხვა მხარეც აქვს. მეტ-ნაკლებად დასაშვებია იელთან დაკავშირებულ ასოციაციებში სხვადასხვაობა. ეს ცალკეულ პიროვნებათა მიერ მიღებული ინფორმაციის ხარისხზე და აოცილებული და არცოდნა არცოდნაა, როგორც ამბობენ, მაგრამ სრულიად გარკვევით ნათქვამი—„მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა... მე შენ მეგონე ყველაზე კარგი, ყველაზე მშვიდი და თბილი ბუდე“—ნუთუ რაიმე ახსნა-განმარტებას საჭიროებს? ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ „მსურდა“ და „მეგონე“ ქვეტექსტში მომხდარ ტრავედიას გულისხმობს და შხამიანი იელი სკივილი მის გახსენება-გამოძახილს წარმოადგენს. მკვლევარი მხოლოდ ერთ რამეშია მართალი: ლექსი „მოგონების იერის მატარებელია“. დაახ, ეს ასეა, მაგრამ თუ ორსტროფიან, საესებით მარტივ ლექსში მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თურმე იქ რაღაც მოგონებასთან გვაქვს საქმი, იქნებ არ ღირდეს ამის გულისთვის ბარათაშვილ-ტაბიძე-ხიმენეს-ბაღმონტის და სხვათა შეწუხება და სუბიექტური ხასიათის შენიშვნები საკუთარი უბის წიგნაკის იქით არ გადაუშვათ. მითუმეტეს, რომ კალმით ნაწერს ნაჭახითაც ვერ ამოშლი და თუნდაც ერთი მკითხველის მცდარ გზაზე დაყენება გამოუსწორებელი დანაშაულია ...

საესებით ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: ფიქრობდა თუ არა პოეტი იელთან დაკავშირებით მკითხველში შხამის ასოციაციის გამოწვევა, რაც მის კივილში პერსონიფიკირებას გაამართლებდა და თუ არ ფიქრობდა, არსებობს თუ არა სხვა მიზეზი რამაც იელი სკივილი გამოიწვია? შეიძლება ამ კითხვაზე პიკასოს ცნობილი სიტყვებით გაგვეცა პასუხი: „სურათი ხშირად იმაზე მეტს გამოხატავს, ვიდრე მის ავტორს უნდოდა ეთქვა“. ჩვენა

აზრით, მთავარი ის კი არ არის, ჩაწელება თუ არა მკითხველი პოეტური სახის წარმოშობის კონკრეტულ მიზეზს, არამედ ის, თუ პოეტური სახე მასში რამდენად ლოგიკურ ასოციაციებს აღძრავს. ამგვარად, ასეთი კითხვა პრინციპულად არ მიგვაჩნია, მაგრამ შევეცდებით მინც ეუბასუხოთ.

იელი ო. ჰილამის აღქმაში ალბათ ფერთან დაკავშირებით იწყებს კივილს. სპექტრის ყოველი ფერი რომ გარკვეულ განცდა-განწყობას იწვევს, ეს საყოველთაოდ ცნობილია (ფრანგი იმპრესიონისტები, სკრიაბინი, ჩურლიონსი, სიმბოლისტური პოეზია). ცის ფერი პასუხი სევდის გამომხატველია. წითელი აქტიურ მოქმედებას აღვიძებს. ყვითელი ე. წ. მყვორალა ფერებს მიეუთვნება და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ყვითელის ხარისხი ყვირილი პოეტური დამუშავების შემდეგ იელის კივილად იქცა. კრიტიკოსს შეუძლია სექსტიკურად იკითხოს — რატომ კივილი და არა ყვირილი-ო. ამაზედაც ასეთი პასუხი არსებობს: ყვირილის ხმარება იელის თემატად ლექსში დისონანსს შეიტანდა ეფფონიის თვალსაზრისით.

კრიტიკოსს ზედმეტ პოეტურ სახედ მიაჩნია აგრეთვე თოვლის სიმღერა და გაკვირვებით კითხულობს: „განა ვინმეს სჭერა დღეს, რომ თოვლი მღერის?“ აქ საკმაოდ ხანგრძლივი პაუზაა საჭირო. რათა გავერკვეთ თუ რაშია საქმე!...

საცხებით მოსალოდნელია სხვა კითხვებიც: როგორ უნდა „მეთოვოს, მეთოვოს კედლებს ფარშავანგები“, როცა ციდან ფარშავანგი კი არა, მხოლოდ თოვლი, წვიმა და სეტყვა მოდის. ან როგორ უნდა მიიტყალოს მზე „ღია თვლებით“ და თვლებია ეს თუ ყურები, რომლებიც „სალამოთა ხმას უსმენენ“, ან როგორ „ჩაირეს ქანდაკებებმა მოხდენილ წყებად“, განა მათ სიარული შეუძლიათ? და თუ კრიტიკოსი ასე არ იკითხავს, მაშინ ეიფიკრებთ, რომ მისი კრიტიკული გრაფიკი მკვეთრი კონტრასტებით ხასიათდება.

არა, ჩვენ თავს არავის შევაწყენთ იმ ელემენტარული ჰეშმარიტების გაჰეორებით. რომ პოეზიაში თოვლი დიახაც რომ მღერის! ჩვენ მხოლოდ გვინდა ვიკითხოთ, თუ ისეთი რა მომზიბვლელობაა „ნანადირევი კაბის“ ტროპში, რომ იქვე „საყურის სიმღერა“ ვერ შევამჩნიოთ და კრებულის ბოლოს მხოლოდ თოვლს წავუყენოთ სიმღერის ბრალდება?

ასევე შეტ-ნაღლები წარმატებით შეიძლება აღნიშნულ წერილში ციტირებული ყველა იმ ლექსისთვის განმარტების მიცემა, რაც ნ. ნათაძეს გუგებრად და ბუნდოვნად დაუსახავს. მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო არ არის, რადგანაც ყველაფერი ისედაც ნათელია.

ნ. ნათაძე ოთარ ჰილამს თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად თვლის და მისი ნაკლის (!) მიხედვით დღევანდელი ქართული პოეზიის ნაკლოვან მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას. ჩვენც, თუ ნ. ნათაძეს თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ტიპიურ წარმომადგენლად მივიჩნევთ, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის ნაკლი მის ტენდენციურობაში მდგომარეობს.

ობიექტური კრიტიკოვმი!—აი, რა ესაჭიროება თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას.

Hasan Rumlu, Ahsan al-Tavarikh, ed. by Dr. A. H. Naval, Tehran, 1970, 934 p.

Хасан Румлу, Ахсан ал-Таварих, издал д-р А. Наваи, Тегеран, 1970, 934 стр.

Профессор Абдулхасан Наваи (род. 1925 г.) плодотворно изучает проблемы средневековой жизни Ирана, в частности, он комплексно исследует историю сефевидского периода. Особо следует отметить его заслуги в деле публикации и комментирования исторических источников и эпистолярного наследия исследуемого периода. С 1968 года по 1974 год им изданы четыре сборника официальных документов и переписки сефевидских монархов (Исмаила I, Тахмаспа I, Мохаммеда Ходабанде и Аббаса I) с правителями и государственными деятелями сопредельных стран. Хронологически документы охватывают период с начала XVI века по 1604 год. В 1970 году профессор А. Наваи издал «Ахсан ат-Таварих» (т. XI).

«Ахсан ат-Таварих» («Лучшая из летописей») Хасана Румлу является одним из важнейших источников по истории Ирана и соседних с ним стран XV—XVI вв. Труд этот состоял из 12 томов, однако в настоящее время мы располагаем лишь XI и XII томами. Том XI содержит описание событий 1404/5-1493/4 гг., а XII — событий 1494/5-1577/8 гг. В «Ахсан ат-Таварих» дано много сведений о социальном и политическом положении того периода, однако главное внимание уделено военным событиям и взаимоотношениям с соседними странами.

Автор летописи, Хасан Румлу, родился в 1530/1 г. в городе Куме. Он был внуком Эмирсултана Румлу — известного военачальника периода правления Исмаила I и его сына Тахмаспа. С молодых лет Хасан Румлу находился при дворе и сопровождал коронованных особ в походах. Дату его смерти А. Наваи определяет 1577 годом. По мнению ученого, не исключена возможность того, что Румлу оказался жертвой дворцовых интриг.

Несмотря на знатное происхождение автора, этот источник в известной мере характеризуется объективностью. Румлу знает и умело использует труды своих предшественников, но ценность представленных в летописи сведений объясняется тем обстоятельством, что Хасан Румлу сам был современником, очевидцем и участником целого ряда описываемых событий.

До нас дошло небольшое количество рукописей и фрагментов труда Хасана Румлу — всего 15<sup>1</sup>. Списки, содержащие в той или иной мере полный текст XI и XII томов труда Румлу, хранятся в стамбульской библиотеке Нури Османе (описан Ф. Тауером), в парижской Национальной Библиотеке (описан Э. Блоше) и Государственной Публичной библиотеке им. М. Салтыкова-Щедрина (описан Б. Дорном).

<sup>1</sup> Ч. А. Сторн, Персидская литература, часть II, М., 1972, стр. 860—861.

Персидский текст XII тома был издан Ч. Седдоном в 1931 году<sup>2</sup>. Опубликованы также сокращенные переводы, пересказы и отрывки из труда Румлу<sup>3</sup>. Покойный В. Путуридзе детально изучил описанную Б. Дорном рукопись, извлек из нее и перевел на грузинский язык фрагменты, содержащие сведения о Грузии. Грузинский текст снабдил примечаниями Р. Кикнадзе<sup>4</sup>.

Издание А. Наваи содержит материал XI тома. В основу текста положена парижская и стамбульская рукописи. Парижская рукопись датируется 1678 годом. Что же касается стамбульского списка, то в специальной литературе ему дается следующая квалификация — «автограф?»<sup>5</sup>. По мнению А. Наваи, существует «очень малая вероятность» (احتمال بسیار ضعیف) того, что мы имеем дело с автографом (стр. XXVIII). Несмотря на то, что внешне оба списка полны, в них замечается немало пропусков и описок, но, к счастью, рукописи эти «удачно дополняют друг друга» (стр. XXIX). Этим и объясняется то обстоятельство, что автор издания не смог в основу текста положить какую-нибудь одну рукопись.

А. Наваи проделал огромную текстологическую, источниковедческую и исследовательскую работу. Он установил исторические и литературные источники того или иного фрагмента текста, представил соответствующие материалы из «Хашт бехешт» Хаким ад-Дина Битлиси, «Хабиб ос-Сийяр», «Матла' ос-Са' дейн», «Китабе Дийарбекрие» и многих других произведений. Основной текст «Ахсан ат-Таварих» (стр. 1—640) снабжен описками различного характера. Кроме этого на страницах 641—818 представлены составленные со знанием дела обширные комментарии историко-филологического характера, некоторые из них являются самостоятельными научными статьями. Издание снабжено словарем некоторых тюрко-монгольских слов (стр. 819—847), указателями имен и этнических названий (стр. 849—897), географических названий (стр. 898—926) и названий сочинений (стр. 927—934).

Итак, мы имеем выполненное на высоком научном уровне солидное издание труда средневекового автора. Однако, как нам кажется, данные ленинградской рукописи (Б. Дорн № 287) в ряде случаев могли бы оказать автору издания определенную помощь в деле установления текста и правильного написания собственных имен и географических названий. Для примера сопоставим текст одной страницы издания А. Наваи (стр. 608) с соответствующим отрывком издания В. Путуридзе, опирающегося на ленинградскую рукопись.

<sup>2</sup> A Chronicle of the Early Safawis being the Ahsanu't—tawarikh of Hasan-i Rumlu. I, edited by C. N. Seddon. Baroda, 1931. Позгорно издано в Тегеране в 1968 году: حسن روملو احسن التواريخ بعسی و اهتمام چارلس نارمن سيدن تهران ۱۳۴۷.

<sup>3</sup> B. Dorn, Muhammedanische Quellen zur Geschichte der südlichen Küstenländer des Kaspischen Meers, Theil IV, Spb., 1858, стр. 375—431; A Chronicle of the Early Safawis being the Ahsanu't—tawarikh of Hasan-i Rumlu, II, (English Translation). Translated by C. N. Seddon, Baroda, 1934; Материалы по истории туркмен и Туркмени. т. II. XVI—XIX вв. (Труды Института востоковедения, VIII, М.—Л., 1938), стр. 52—64 (перевод А. К. Арещца).

<sup>4</sup> Сведения Хасана Румлу о Грузии. Персидский текст с грузинским переводом и введением издал В. С. Путуридзе. Примечаниями снабдил Р. К. Кикнадзе, Тб., 1966.

<sup>5</sup> Ч. А. Сторц, Персидская литература, II, стр. 860.

- |   |   |
|---|---|
| 1. جنود اسلام به بلاد كفار قيام در آمدند. | 1. جنود اسلام بيلاذ كفار ليام در آمدند. |
| 2. ...در حوالی قلعه اخضا نزول نمودند.     | 2. ...در حوالی قلعه اخضا نزول نمودند.   |
| 3. ...متوجه قلعه همتون شد.                | 3. ...متوجه قلعه خاتون گردید.           |

Пример 1. Сомнительно, чтобы сочетание *كفار قيام* в тексте А. Наваи выражало бы что-либо подходящее для данного контекста. В исследуемых рукописях представлены еще более непонятные формы *كفار قبان*, *كفار قوبان*. А в тексте издания В. Путуридзе все на своем месте: сочетание *كفار ليام*, а точнее *كفار لئام* является формой множественного числа от *كافر لئيم* — «низкий неверный». Таким образом, в тексте издания В. Путуридзе все просто и ясно — мусульмане вступили в края «низких неверных» христиан.

Пример 2. Благодаря эрудиции историка и знанию текстов рассматриваемого периода, А. Наваи отверг *آخضا* стамбульской рукописи и *احيا* парижского списка, восстановив в тексте правильную форму *آخضا*. В тексте издания В. Путуридзе читаем *اخقا* (тоже *اخقه*, тоже *آخضا*) — «Ахалцихе».

Пример 3. В стамбульской рукописи читается топоним *همتون*, а в парижской *فانون*. А. Наваи предпочел *همتون*. В издании В. Путуридзе же дается слово *خاتون*. Крепость «Хатун», которую упоминает также и Ибн Рузбехан, ничто иное как «Ацкурская крепость»<sup>6</sup>.

Рассмотренные примеры недвусмысленно указывают на то, что данные ленинградской рукописи могли бы быть весьма полезными при установлении текста труда Румлу.

<sup>6</sup> Подробно см. комментарии Р. Кикнадзе к книге «Сведения Хасана Румлу о Грузии», стр. 47.

## ძრონიკა და ინფორმაცია

მიმძღვნა პაპე. ს. ყაუხჩიშვილის დაბადების 80 წლისთავს

1976 წ. 27—28 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა აკად. ს. ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს მიუძღვნა სამეცნიერო სესია, რომელზედაც წაითხულ იქნა 15 მოხსენება. სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. თ. გამყარლიძემ.

პროფ. ლ. მენაბდე მ მოხსენებაში „ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ ცხადყო, რომ ქართველმა მოღვაწეებმა (იოანეს და თორნიკეს ინიციატივით) ლიტერატურული მუშაობა ათონზე ადრევე გააჩაღეს, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც (იეროთა მონასტრის დაარსებამდე). მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო ექვთიმე ათონელის თანამოღვაწე მწიგნობრების საქმიანობის მიმოხილვას, რომელთაც გარკვეულ წვლილს შეიტანეს ქართული წიგნალი ფონდის გამდიდრებისა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარების საქმეში. ათონის სკრიპტორიუმში ნაყოფიერად მუშაობდნენ იოანე გრძელიძე, არსენ ნინოშვილი, იოანე ხახულელი, ოქროპირი, საბა, საქარია მირდატისძე, ბასილი და სხვ. მოხსენებელმა დაახასიათა ამ მოღვაწეთა მიერ დამზადებული ხელნაწერები.

დოქ. ა. ალექსიძის მოხსენებაში „ბიზანტიური სარაინდო რომანის სტრუქტურის საკითხები“ განხილული იყო XIII—XIV სს. ხალხურენოვანი ბერძნული პოეტური რომანების სტრუქტურის თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ამ ნაწარმოებთა ენარული ბუნების, მათი გენეზისის, ჩამოყალიბების პროცესის, ამ პროცესში ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნაკადთა მიმართების ნათელყოფა. „კალიზაზე და ხრისოფორუს“ სტრუქტურის ექვთიმე ათონელის თეორიის“ თეოსაზრისით ავლენს მის საფუძველში ქალისწერი ზღაპრის ტიპურ მოვლეს. „ბელთანდრე და ხრისანკას“ სტრუქტურა ემყარება სიმეტრიისა და პროპორციის, „გეომეტრიზმის“ პრინციპებს, რომლებიც უშუალო მიმართებაში არიან რომანისტიკის ესთეტიკურ კრიტერიუმთან. „ლიბისტრე და როდამნე“ აგებულია სხვადასხვა პლანთა მონაკვეთების პრინციპით. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ნ. ლომოუძემ ა მოხსენებაში „არქეოპოლის“ ნოქალაქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ განიხილა ეგრისის (ლაზიკის) ძველი დედაქალაქის არქეოპოლისის ისტორიის ორი საკითხი. წერილობით წყაროთა მონაცემებისა და ნოქალაქებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორი მიიღო იმ დასკვნაზე, რომ ამჟამად დამაჯერებელი ხდება ნოქალაქვე-არქეოპოლისთან ქართული წყაროების ციხე-გოჭის გაიგივება, მოხსენებაში განხილული იყო 1975 წ. ნოქალაქებში აღმოჩენილი. სამწავლიანი ბაზილიკა, რომელიც ავტორის ვარაუდით აგებულია არაუგვიანეს V ს. შუა წლებისა, ხოლო დანგრეულია ამჟვე საუკუნის 60—70-იან წლებში ბიზანტიის წინააღმდეგ ეგრისის მეფის გუბაზ I-ის აჯანყების დროს. ამ ბაზილიკის არსებობა ნოქალაქებში აძლევს საფუძველს ავტორს ივარაუდოს, რომ არქეოპოლისი თავდაპირველად იყო მსხვილი საეკლესიო ცენტრიც, შესაძლოა საეპისკოპოსო კათედრა.

მეცნიერ თანამშრომელმა ი. ნოდამ წაიკითხა მოხსენება „მარიაშ დედოფალი XI ს. მეორე ნახევარს ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში“. მაგრამ IV-ის ქალიშვილი მარია (მარიაში) გაათხოვეს მიხილ VII დედაზე (1071—1078). მათ შეეძინათ კონსტანტინე დეკა პორფიროგენეტი, რომელიც, იოანე ზონარას ცნობით, ადრეულ ყრბობას ასაკში იყო გვირგვინიერბული და ამის აღსანიშნავად ატარებდა წითელ წალბს. მიხილი VII დედას ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, თავისი მემკვიდრისთვის ტახტის შენარჩუნების მიზნით, მარიაშ დედოფალი ცოლად გაჰყვა ბიზანტიის მოხუცებულ იმპერატორს ნიკეფორე ბოტანიატეს (1078—1081), მაგრამ ნიკეფორე ბოტანიატემ თავის მემკვიდრედ წამოაყენა მისი ნათესავი, ვინმე სინანდონისი. ამის შემდეგ მარიაშ დედოფალმა გაიჩინა ძლიერი მოკავშირე — კომნენოსების საგუ-



რულო. რომელიც ადრე ფლობდა ბიზანტიის გეირგვისს. მარიაშის ხელის შეწყობით ალექსი კომნენოსმა ჩაიგდო ხელში ბიზანტიის იმპერატორობა. კონსტანტინე დეკა პორფიროგენეტი ალექსი კომნენოსის თანამშრომელი გახდა. მასზე დაინიშნა იმპერატორის ქალიშვილი ანა კომნენე. მაგრამ ალექსი კომნენოსმა ვაჟის, იოანეს შეძენის შემდეგ გატეხა მარიაშ დედოფლისადმი მოყვნილი ფიცი და ტახტზე აყურთხა იოანე: კონსტანტინე დეკა ჩამოაცილეს საზღვრო კარს, მარიაში ცილობს სამაგიერო გადაუხადოს ალექსის ასეთი შეურაცხყოფისათვის და ამიტომ იგი ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე ხდება.

მეცნიერ თანამშრომლის ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ი ს მოხსენებაში „მეღერ-ხმულთა სპირანტიზაციისათვის ბიზანტიურ ბერძნულში“ გაანალიზებული იყო ბერძნულის მეღერ-ხმულთა ისტორიული ცვლილებები ქართულ წერილობითს ძეგლებში მოაყვებული მასალის მიხედვით. ხმულ-მეღერთა შესაბამის სპირანტებად გარდაქმნა, რასაც ადგილი აქვს საერთო ბერძნულში და რაც მე-10 საუკუნის საღაპარკო ენისათვის დასრულებული ჩანს, მეტროპოლიტის და საეპიტოპოს საბერძნეთის ლიტერატურულ გამოთქმაში XI—XII ს-შიც კი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული. რაც შეეხება იმპერიის საზღვრო-აღმოსავლეთ პროვინციებს, კერძოდ სირია-პალესტინას, რომლებიც არაბთა დაპყრობების შედეგად ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა, იქ ხმულ-მეღერთა საბოლოო გადასვლა სპირანტებში არ მომხდარა. ქართული წყაროები ერთი მხრივ ასახავენ მეტროპოლიტის ლიტერატურული ენის ეთარებას, ხოლო მეორე მხრივ—სირიულ-პალესტინური ბერძნულსას. გასათვალისწინებელია აგრეთვე მესამე ბერძნული დიალექტური ზემოქმედების ფაქტორიც, რაც ზოგჯერ იჩენს თავს ეტიმოლოგიური მთავარი ქართულთა ლექსიკაში.

პროფ. რ. გორდუზიანმა თავის მოხსენებაში განიხილა ბგერათა ცვალებადობის ტიპები წინაბერძნულში. წარმოდგენილი იყო აღნიშნულ ბგერათცვალებადობის მაგალითების ქართული პარალელები.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ვლ. ახვლედიანის მოხსენება ეხებოდა ტერმინ უღ-ს შუა საუკუნეების არაბულ სავანთმეცნიერო თეორიაში. სპეციალურ ლიტერატურაში უღ-ი განმარტებულია როგორც „შეთანხმება“ და მიხეუელია ბერძნული **ἔμφρεσι** ანუ **ἐμφρεσι**. წყაროების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ უღ-ი ნიშნავს „დადგენას, დადგინებას“, და ამდენად არ შეესაბამება ბერძნულის „თუხი“-ს. არაბულ სავანთმეცნიერო თეორიაში ეს ტერმინი იხმარება ზოგადად მნიშვნელობით და არ ასახავს რაიმე თვალსაზრისს ენის წარმოშობის შესახებ. ენის წარმოშობის სხვადასხვა თვალსაზრისს ასახავენ სხვა ტერმინები. ამრიგად სპეციალურ ლიტერატურაში არსებული დებულება უღ-ის მნიშვნელობის შესახებ შესწორებას მოითხოვს.

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ზ უ მ ბ ა ძ ე მ წაიკითხა მოხსენება „პარმენიდეს „არსებულის“ პეტრიწისეული თარგმანისათვის. პროფ. დიადოხოსის „თეოლოგიური საფუძვლების“ იოანე პეტრიწისეული „განმარტება“-ს 53-ე თავში, რომელშიც მარადიულის სამი სახეობა განიხილება, იოანე წერდა: ვითარცა იტყუს პარმენიდი: ეონ ეონი პელაზი... საუკუნოა საუკუნესა განელისი“. აშკარაა, რომ პეტრიწმა შემოგვიანა პარმენიდეს დღემდე უცნობი ფრაგმენტი, რომელშიც ვლინდება პარმენიდეს ფილოსოფიის უნიდაქმენტური ცნების „არსებულის“ გარდასახვა „მარადიულობის“ ცნების კატეგორიაში. ამ ფაქტს მნიშვნელობა ენიჭება პარმენიდეს ფილოსოფიის შესწავლისათვის.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. კ ე რ ი ძ ა შ ე ი ლ მ ა მოხსენებაში „პომპროსული საგალობელი აფროდიტისადმი“ ზოგადად განიხილა პომპროსული ჰიმნები და შეეცადა წარმოეჩინა ბიზანტიურ საგალობელთა შორეული ძირები. ის, რაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში პოეტური სახისმეტყველების ხარისხშია აყვანილი, პომპროსულ საგალობელში თავისი ხოლონური ძირებით გვეცხადება („საკრეველთა“ სახე და სხე). ნაჩვენები იყო, რომ აფროდიტისადმი მოძღვნილ მცირე ჰიმნში ზმის ორობითი რიცხვის ფორმის დადასტურება ძველის დიდ სიძველეს მოწმობს. მომხსენებელი შეეხო აფროდიტეს ვრცელი საგალობლის სტრუქტურის საკითხებს და შეეცადა დავსაბუთებინა დაქტილური პექსამეტრისათვის ქართული თხუთმეტმარცხლიანი ლექსის მისადაგება. წაიკითხე იქნა აფროდიტეს ვრცელი საგალობლის სრული თარგმანი.

პროფ. კ. წ ი რ ე თ ლ ი ს მოხსენების თემა იყო „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. ებრაელის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი გვხვდება: ებრაელი, ურაი (პურაი), იუდეველი, იუდეანი (იუდეანი), ისრაელი, ისრაიტელი (ისრაიტელაი), ყიორი. ებრაელი (მრ. ებრაელები, ებრაენი) დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინია. იგი აღნიშნავს სემიტური მოდგმის ხალხს. „ებრაელი“ ხშირად გვხვდება ძველ ქართულ წერილო-

ბითს ძველებში, სადაც იგი ისრაელის ტომის წარმომადგენელს აღნიშნავს (ბიბლია, მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა). „ებრაელის“ გვერდით დასტურდება ტერმინები — ებრაეანი (ებრაელი მამაკაცი) და „ებრაელა“ (ებრაელი ქალი). მათვე უკავშირდება სიტყვები: ებრაული, ებრაელებრი (ებრაული ენა), ებრაელებრი (ებრაულად). ხსენებული ქართული სიტყვების ანალოზმა ცხადყო, რომ ისინი სირიულ-სომხურის გვერდით თავსდება.

რაც შეეხება სიტყვა ებრაელებრი-ს (ხანმეტი ლექსონარი), აქ „პ“ ბერძნულის გავლენით გაჩნდა (შდრ. ბერძნ. ჰებრაიოს). განსაკუთრებულ ყურადღებას იძყრობს ტერმინი „ურია“ („ჰურია“). იგი ქართულ ბიბლიურ ტექსტებში (ძველ აღთქმაში) არ გვხვდება. იშვიათად დასტურდება ახალ აღთქმაში. სამაგიეროდ იგი ფართოდ გავრცელებული ქართული ლიტერატურის სხვა ძველებში. მისი ანალოგია იძებნება ოსურში, სვანურში და სომხურში. ოსურსა და სვანურს ქართული ფორმა უდევს საფუძვლად. სომხურში ურია||ჰურიას შესატყვისად „პრეა“ გვაქვს (აქედანვეა სომხურში ნაწარმოები სიტყვები — პრეასტან, პრეარენ და სხვ.).

ტერმინები „იუდეველი“ „იუდეანი“, ცხადია „იუდა“-დანაა ნაწარმოები, რომელიც ბიბლიური გზითაა ქართულში შემოსული. „ისრაელი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში უმეტესად ისრაელის ტომს აღნიშნავს, ხოლო ამ ტომის წარმომადგენლისათვის ისრაიტელი (ან: ისრაიტელი), იხმარება. პირველი („ისრაელი“) „ისრაელელის“ ნაცვლია (ჰაპლოლოგიით), ხოლო მეორე („ისრაიტელი“) ბერძნულიდან მოდის (ბერძნული „ისრაიტელის“). „ყურია“ იხმარება ებრაელთა გავლენით და გადმოსცემს ებრაულ ტერმინს: ყურია. ყველა აღნიშნული ეთნიკური ტერმინი მნიშვნელობით იდენტურია.

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ო. თ ე დ ე ე ვ მ ა თავის მოხსენებაში წარმოადგინა ეტიმოლოგიები: და-შე-ე-ვა—„ხეიბრად შექმნა“ („научилъ“) — ოსურ ძაქი „პკრილობა“ (ძაქ-ყი „სცემა, რტემა“) და არა „შაქ“-„შაყი ფერი“; მე-ძა-ე-ი, ძა-ე-ოს. ძაყყი „სელა“, „სთარული“; რუჟი „ტრუსი“ ოს. რუძ „ტრუსი“ სახტ-ად (დარჩენა) ოს. საგძ „დარკობილი, დარგული“ შდრ. ოს. საგძუძ ხაჯჯაძი „განციფრდა“, სიტყვისიტყვით „ჩარკობილად დარჩა“ და სხვ.

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ელ. ჭ ა ე ე ლ ი ძ ე მ მოხსენებაში „შემეცნების საკითხისათვის სუფიზში“ წარმოაჩინა სუფიური შემეცნების საფეხურები: 1. დაცარილება (ანუ მორალური და ინტელექტუალური განწმენდა და გაკრიალება გულსა), II. განეთარება და დუმობა, III. დმართან შერწყმა. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე „ლამეში მზის ხილვის საკითხს“.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი მ. ნ ე დ ო ს პ ა ს ო ვ ა მოხსენებაში „ზოგიერთი უცხო ტერმინის შესახებ არაბულ ოთხთავში“ შეეხო სახარების რამდენიმე ტერმინს, რომელიც ან უცხო...წარმოშობისაა, ანდა წარმოადგენს სემანტიკურ კალკას მაგ., ტომონიში „გოლოგოთა“ გადმოცემულია ორი ლექსიკური ერთეულით. ერთია ებრ.-არამეული წარმოშობის გოლოგოთა (golgatha) (golgoi[θ]gulgulta), ხოლო მეორე ამ სიტყვის თარგმანია—გოლოგოთა „თავის ქალა“. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მთელ რიგ სხვა ენებში: ბერძნ. κρανιον. ლათ. calva, გერმ. schädel. ფრანგ. crâne, სოხ. kar:ṣ და სხვ. განსხვავებული მდგომარეობაა ქართულში, სადაც სათანადო ადგილს გვაქვს „თხემის ადგილი“ ძველი ქართული „თხემი“ — თავი, თავის ზედა ნაწილი; მწვერვალი (მთის). სირიულში შესატყვის ადგილს იხმარება karṣapla, რომელსაც „თავის ქალის“ გარდა „თავისა“ და „მწვერვალის“ მნიშვნელობებიც აქვს. ხომ არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში დაგვეშვა სირიული ოთხთავის გავლენა? „სინაგოგის“ აღსანიშნავად არაბულ სახარებაში იხმარება სიტყვა „ساجة“. შესაყრებელი ადგილი, საყრებულო“. ქართულ სახარებაშიც „სინაგოგისთვის“ ყველგან გვაქვს „შესაყრებელი“. ეს ტერმინები მიღებული უნდა იყოს ბერძნული συναγωγᾶ-ის გავლენით: „შეყრება, თავმოყრა“, რაც თავის თავად ებრ. bēl kneset-ის (შესაყრებელი სახლი“) თარგმანს წარმოადგენს. „ساجة“ იგივე ტექსტში აღნიშნავს აგრეთვე „სინედრიონს“ (სხვა სახარებებში ან გადმოცემულია ეს ბერძნული ერთეული, ანდა მოცემულია ამ ტერმინის ინტერპრეტაცია. ანალოგიური მდგომარეობა დასტურდება სირიულ ოთხთავშიც: bēl kanūša „სინაგოგა, სინედრიონი“. შდრ. ქართული სახარება: შესაყრებელი — სინაგოგია; საყრებულო — სინედრიონი, ხომ არ შეიძლებოდა აქაც სირიული საღვთო წერილის გავლენის დაშვება?

უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. შ ა ყ უ ლ ა შ ე ლ მ ა წაიკითხა მოხსენება: „ალ. ჰავეაჰაისის „მუხამბაზი ლათიურის“ შესახებ“. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ალ.

ქავჭავაძის „მუხამბაზი ლათიური“ სხედასხვაგვარად არის გაგებული: არაიშვიათად იგი გამოცხადებულია პოეტის შეხედულების კრედოდ. ლექსის ავტორისეული ჩანაფიქრის სწორი განსაზღვრა გარკვეულად ნათელს მოჰქმენს ალ. ქავჭავაძის ამ ლექსის ბუნებას. ამისთვის უსარგებლო არ იქნებოდა ტერმინ „ლათიის“ გენეზისის დადგენა. „ლათია“ უნდა მომდინარეობდეს არაბული **لثاني** (ანგდლოტი, ხუმრობა, შახვილსიტყვაობა) სიტყვიდან, რომელსაც ქართულში, ამ მნიშვნელობათა გარდა სხვა ნიუანსებიც აქვს შექმნილი. სიტყვა აზერბაიჯანული გზით უნდა იყოს დამკვიდრებული შემდეგი ფორმების გაყლით: **аааааааа > аааааааа > аааааа**, რომელსაც ქართულს ნიადაგზე დამატებული აქვს -ა ფორმანტი. ამ მონაცემებისა და ლექსის შინაარსობრივი ანალიზით შეიძლება დადგინდეს, რომ „მუხამბაზი ლათიური“ აღმოსავლურ ელფერიტ დაწერილი უბრალო ლექსია, რომელშიც არც პოეტის კრედლა საძიებელი და არც პოეტის შემოქმედებითი ბუნება.

ესითაზე მოხსენებით გამოვიდა აკად. ს. ყ ა ე ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, რომელიც შეეხო ბერძნულში ხმარებულ იშვიათ სიტყვებს, რომელთა ეტიმოლოგია და წარმოშობა ნათელი არ არის. ასე, მაგალითად, ქართულში ცნობილი „ხემანდილი“ უკავშირდება ბერძნულ სიტყვას **Μυαμάνδς, μυσμάνη, μυσμάνς**, რაც ნიშნავს „ზედატანსაკმეღს“ ანუ „მანდილს“. ამ ბერძნულში ხმარებულ ფუძეს თავში ერთვის ხე (ქალი), ე. ი. „ხემანდილი“ არის ქალის ჩასაცმელი. აგრეთვე სიტყვა **ყძი** მომდინარეობს სიტყვისაგან **ყძიფ ან ყძიფ**, ხოლო გაფორმება იტალიურია — **gato**. სიტყვა **gato** შესულია ქართველ კათოლიკეთა მეტყველებაში და იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც „საცივე“, „საცივი“.

**ვეფხისტყაოსნის აქადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში\***

1975 წ. 24 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს სტროფები: 444; 445; 446; 447; 448 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 449; 450 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტიტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა, ნ. წაჭაძემ).

444 შიგან ასრე გავერე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოესტეორცი, ცხენ-კაცისა დადეგი გორი;  
კაცი, ჩემგან განტეორცი, ბრუნავს ვითა ტანჯორი,  
და ერთობ სრულად ამოეწეძილე წინა კერძი რაზმი ორი.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 440) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ალ. ბარამიძისა და ივ. გიგინეიშვილის წინადადებით რედაქციამ პირველ ტაეპში მიიღო წაკითხვა გ ლ ო ნ ის (შდრ. ტომონიმი გ ლ ო ნ ის თ ა ე ი).

ივ. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში უფრო მართებული წაკითხვაა შე მ ო ვ ს ტ ე ო რ ც ი. რედაქციამ არ გაიზიარა ეს შესწორება და დირჩა წაკითხვა შე მ ო ვ ს ტ ე ო რ ც ი.

445 ერთობილი მომეხტიენეს, მგრეჭლიე შეიქმნა ომი დიდე;  
ქკრი რასაცა, ვერ დამიღვინს, სისხლსა მჩქეფურსა ამოვღებოდე;  
ცხენსა კაცი გაკაუთილი მანდიკურად გარდაეკიდი.

და სითყა ეყევი, გაშეკცთან, მათ შეკქმინა ჩემი რიფს.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 441) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ბროვეტი მიღებულ იქნა.

446 საღამოეამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:  
წელარა სდგათ, წაედითო, კელა მოგუზუნდა რისხეთ ცამან;  
მოვა მტეტერი საშინელი, შეგუჭამინა ამაღ ამან,  
და ნუთო სრულად ამოეწეძილენს უთღალეამან, ბერემან ხსამანსა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 442) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ბროვეტი მიღებულ იქნა.

447 ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,  
რა ეცნა, წამოსრულიყენეს, ღამეწამორთვით ეარა;  
ვერ დაიტედა მინდორი და არე მთათა ეარა,  
და გამორჩდეს, სცემელს ტაბლასა, ბუკმან ქმა გააზუარა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 443) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ივ. გიგინეიშვილი: შესამე ტაეპში და ი ტ ე ვ დ ა ს შემდეგ მძიმე უნდა დაიწეროს. მეორე ტაეპის შინაარსი ასე უნდა გაეიგოთ: იმდენი იყვენ ისინი, მინდორი და მთა არედ რომ ქცეულიყო, ვერ დაიტედა.

ს. ცაიშვილი: მძიმე, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. ტაეპის შინაარსი კი ასე უნდა გაეიგოთ: ვერ დაიტედა მინდორი და მთაც რომ არედ (მინდვრად) ქცეულიყო.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით ბ უ კ მ ა ნ კ მ ა გ ა ა ზ ე ა რ ა ს შინაარსსა.

ივ. გიგინეიშვილი: ბუკის ხმა ზე ავიდა; ა. ბარამიძე: გააზუარა — გააძლიერა; ს. ცაიშვილი, ც. კიკვიძე: ბუკის ხმა შეუერთდა ტაბლაკის ხმას.

448 იგი ნახეს, გასაქცეულად გაუმართნეს, შეეკიევენით;  
ველნი, ჩაეგან ნაომარნი, ომიდავე გარდაეველნით.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 3, 3, 4; 1976, №№ 1, 3.

რამაზ მუჟე ჩამოუგდევ, ერთმანერთსა გავკერძენით,

და მისინ სხანი ვუელაკანი დეიუყენით, არ მოკლენით.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 444) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

449 უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,  
დაუწყეს პერობა, ჩამოყრა შემინებულთა, ძლეულთა;  
ძილისა მიხუდა ნაცული ძილმურთაღთა, ღამთუფულთა,

და ტყუელა მრთელთაცა არ აკლდა კუწნესა, მართ ვითა სნულთა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 445) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცულად დაისვა წერტილ-მძიმე.

450 მას ადგილსა ნაომარსა გარდაცუდით მოსტეხებდა.

ქელსა კრძლითა დავეკოდე, წყულულად მიწნდა, არანდებდა;

ჩემინ სხანი მოვიღან საჭურტლად და ჩემად ქებად,

და ვერ იტყუონ, ვერ მიმხუდრან ქებასაცა მოკსენებად.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 446) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით მეორე ტაეპის წყულულად მიწნდა, არანდებდა. უ. კიციძე: კრილობა მქონდა, მაგრამ სისხლით შედებილი (მოსერილი) არ ეყოფილვარ; ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი: ნაღებნი — სისხლის გაღება. სამკურნალო მიზნით გაკეთებული კრილობა კი არ იყო; შ. ძიძიგური: არანაღებდა — არა ღია კრილობა. ივ. გიგინეიშვილი: არანაღებნი შეიძლება იყოს მსახვრელი წყულულისა და აქ დაპირისპირება არ უნდა გეკონდეს: არანდები წყული. თუ ასე გაიგებთ, მძიმე არ არის საჭირო მიწნდა-ს შემდეგ.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპში მიწნდა-ს შემდეგ მძიმე მოიშალა.

1976 წ. 81 ოქტომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, უ. კიციძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 451; 452; 453; 454; 455; 456; 457; 458; 459 (პროექტი მოამზადეს: ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კობტინიშვილმა, თ. ცეცხლიშვილმა, ნ. წაქაძემ).

451 ერთსა კაცსა ეყოფოდეს, ღიღებანი რომე მკირდეს;

ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამოპირდეს;

რომელთაცა გაცეზარდე, ღიღებულნი ამიტირდეს,

და ჩემგან კრძლითა განაკუთნი ნახნეს, მეტად გაუკუირდეს.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 447) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ივ. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში შორის წაითხუა შეიძლება უფრო მართებულ იყოს, ძველი ფორმა ჩანს (ადგილის ნათესაობით).

ს. ცაიშვილი: შორის მხოლოდ ორ ხელნაწერშია. სხვაგან ეფუხისტყალისაში შორის არ გვხვდება ამ მნიშვნელობით.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

452 გავგზავენ წოვლგან ლაშქარნი, ალაფი აუადებინე,

ერთობ საესენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე;

სისხლსა მებრძოლთა ჩემთას მინდორი შევადებინე,

და არ ემბროლე, კარი ქალქთა უომრად გავადებინე.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 448) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: თავიცა ვალაღებინე (თავი ავალაღებინე), სისხლსა (სისხლთა), მეორე ტაეპის ბოლოს მძიმე შეცვლილა წერტილ-მძიმით.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპი ხელნაწერებში აშკარად დამახინჩებულია. ხელნაწერებში გააქვს ვაალაღებინე. -ცა ნაწილაკი (თავიცა) აქ შინაარსობრივად გაუმართლებელი ჩანს, მარცვალთა რაოდენობისათვის უნდა იყოს დამატებული გვიან.

ალ. ბარამიძე: -ცა აქ მოულოდნელი არ უნდა იყოს. ლაპარაკია, რომ ალაფი აუადებინე და თავიცა ვალაღებინე.

ს. ცაიშვილი: თავი ვაალაღებინე წაითხუა შეიძლება თავიცა ვალაღებინე წაითხვიდან მოდობის.

უ. კიციძე: თავი ვაალაღებინე ხელოვნურია და ამგვარ დროს კონიექტურაა. თავიცა ვალაღებინე ხელნაწერებში დასტურდება, თუცა შეიძლება ესეც არ იყოს

რუსთველისეული და ხელნაწერთა კონიექტურა იყოს, მაგრამ მაინც, ეფექრობ, უნდა აღვადგინოთ წაკითხვა თავიცა ვალაღებინე.

პროექტი მიღებულ იქნა.

453 რამაზს ვარქუი: «შემიგნია საქმე შენი სამუხთაღე,  
ან ვგრეცა შეყრობიღმან თავი გამოიმართაღე,  
სიმაგრეთა ნუ ამარგებ, ყწელა კელთა მომათაღე,  
და თუარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წავსოტაღე?»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 449) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

454 რამაზ მითხრა: «აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,  
ერთი ჩემი ღიღებული მომეც, ზედა მასატრონე,  
ციხოვანთა გაუგზავნო, საუბარი გამოვიგონე,  
და კელთა მოგეცე ყწელაკასა, განაღამცა შენ გაქონე!»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 450) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაუგზავნო (გაუგზავნო). პროექტი მიღებულ იქნა.

455 მივეც ერთი ღიღებული, თანა სანნი წვატანენ,  
ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე მოვიყვანენ,  
კელთა მომცენს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,  
და საჭურჭლენი სიმაგალითა რასმცა ვითა დავაგვანენ!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 451) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

456 მაშინღა შევე ხატეთს მოულად და მოსოტაღაღად:  
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართუნეს დაუმაღაღად;  
ქწეყანა ნახსი, უბრძანე: იყვენით თქვენ უკრძალაღად,  
და მშემან არ დავწუნ, იყოღით, დავყარენ გაუგზალაღად».

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 452) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უბრძანე (უბრძანე). პროექტი მიღებულ იქნა.

457 საჭურჭლენი გარდაუნახენ თავის-თავის, კიღისკიდე;  
უცხო ფერთა საჭურჭლეთა, დავშტრებთ, თუ მოვსოტაღიღად;  
ერთგან ენახენ საქუთრელნი ყაბაჩა და ერთი რიღე,  
და თუმცა ნახენ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიღე!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 453) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ენახენ საქუთრელნი (ენახე საყირველი), ნახენ (ნახე), პირველი ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია წერტილ-შიმიე.

ი. გვიგინევილი: აზრობრივი შეთანხმება რიცხვი შემასმენლისა შეიძლება, მაგრამ მსახურელისა — არა. ამიტომ არ არის სწორი საქუთრელნი ყაბაჩა და ერთი რიღე. უნდა: საქუთრელნი ყაბაჩა და ერთი რიღე.

დაადგინეს მიღებულ იქნეს ტაეპის წაკითხვად: ერთგან ენახენ საქუთრელნი ყაბაჩა და ერთი რიღე. მეორე ტაეპში უცხო ფერთა დაიწერა ერთად.

458 ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!  
ვისცა ურტენი, უქწირღის, ღმრთისაგან თქუის სასწაულად;  
არცა ღარულად ჰვღებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;  
და სიმტიცე ჰკვანდა ნაჰელსა, ვოქუი ცეცხლთა შენართაულად.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 454) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ურტენი (ურტენი), ჰვღებოდა (ჰვებოდა), არ (არც). პროექტი მიღებულ იქნა.

459 იგი საძლუნოდ მისად დავსხენ, ვისი შუქი მანათობად;  
მეფისათუის დეარჩიე, საარმაღლოდ რაცა სჯობად;  
ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, — ყწელაკი წწიემაგრობდა, —  
და დატუართული გაუგზავნე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა».

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 455) შედარებით პროექტში ცვლილებაა: გაუგზავნე (გაუგზავნე).

ა. ბარამიძე: ბევრ კარგ ხელნაწერში მეოთხე ტაეპში იკითხება ატუთრულნი, რომელიც პოეტურადაც უკეთესია, ვიდრე დატუთრულნი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ატუთრულნი.

ო. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეში უნდა იყოს ამბავსამცა კარგსა სცნობდა. კონექტურაა, მაგრამ შინაარსის შესაფერისი.

დაადგინეს: დარჩეს წყითობა ა მ ბ ა ე ს ა ც ა .

1975 წ. 14 ნოემბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 460 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, შ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა, ნ. წაქაძემ); 461; 461,1; 461,2; 462; 463; 464; 465; 466; 467; 468 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ე. გვირიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახსარიანიშვილმა, ე. ტურაბეგიძემ).

460 აწიგნი დაწერე: «მეფეო, სუემცაა თქქნი სუიანად!  
მე ხატელთა მიმუხთლეს, — თუცა მათ ეცა ზიანად, —  
ჩემი ამბავი დასტური ამაღ ვაწონებ გუიანად;  
და მეფე შევიყარ, მრეივალ მე აღაფიან-ტყუიანად».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 456) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

461 რა ყუელაი დაიურეუ, ხატაითთ გვემგზაურე,  
წამოვიხტენ საჭურჭლენი, საკელმწიფო დაიურე,  
ვერ მოეყუე აქლემითა, აზურები ვაზაურე,  
და მოვირჭქენ და მოვილინე, რაცა მწაღდა, ავერ ყუაურე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 457) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

461,1 ხატაეთს ვამარჯუებული ქელჩამობული ტარია;  
რამაზ მოკვარა მეფესა, ქელქუნლით შენაკარია;  
მას საიმედო ფიცი აქუს, ხელობამ ველარ დარია;  
და პირდაპირ შხესა დაუსმენ, ლხინი არა აქუს მწარია.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 606) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირველი და მესამე ტაეპის ბოლოს წერტილ-მიძევა მიძიმის ნაცულად. პროექტი მიღებულ იქნა.

461,2 ეს საჯილდოელ ვფოფის, აქ უზმენ ერთა ჭამასა;  
მიულოცვენ და აქებენ, თავსა აყრან დრამასა,  
პირისპირ უზის სალხინოდ, მისთვის რა ღლე სჯობს ამასა?  
და ცეცხლი დაესა დამწველი, გული აღარა დანასა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 610) შედარებით პროექტში სტროფი ადგილგადანაცვლებულია: მიჰყვება 461,1 (= 606) სტროფს. ორივე ეს სტროფი არის მხოლოდ B2 ხელნაწერში (მიწერია აშიაზე). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ერთ აქამასა დაიწერა შერწყმულად (ერთ აქამასა). ა. ბარამიძემ და ი. გიგინეიშვილმა აღნიშნეს, რომ ერთ აქამას ოცხალი სიტყვა XVII—XVIII სს. ქართული მწერლობის ძეგლებში.

462 ხატაეთისა ქელმწიფე მომეყანდა შეყვრობილია.  
ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტბილია;  
რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!  
და ქელი გამიყნა, შემომკრა მან სახუტეველი ლბილია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 458) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცულად დაისვა წერტილი.

463 ეღვნეს ტურფანი კარაენი მოედანს ჩამოღვომილსა,  
საუბრისა და ჭურჭრისა ჩემისა მას მონდომილსა.  
მას ღლესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდაქლომილსა;  
და მიაღერსება, მიჭურტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 459) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მეოთხე ტაეში მიჭურტდა-ს ნაცულად რიგი ხელნაწერი ყოთხულობს მაჭმეედა-ს, რაც უფრო სწორი ჩანს. ტარიელისადმი განსაკუთრებული პატივი იმით გამოიჩინა მეფემ, რომ ეალერსება ბავშვებით და აჭმედა (= უმასპინძლობდა, სთავაზობდა.)

ი. გიგინეიშვილს, ე. მეტრეველს, შ. ძიძიგურს აგრეთვე მიანიათ, რომ მეოთხე ტაეშს ქმევის, გამასპინძლების აღმნიშვნელი სიტყვა უფროა საყარაუდებელი.

გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი ადნიშნეს, რომ მეოთხე ტაეპში მიკჭრეტი და სიტყვის არსებობას ამართლებს სტროფის მეორე ტაეპი, სადაც მეფეზე ნათქვამია, რომ იგი ტარიელის ჰერეთის მონატრებულია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მიაღერებდა, მაკმეედა.

464 მას ლამით უსხედით ნადიად, მუნ ამოდ გაეხარენით,  
დილასა ქალაქს შეჰდით, მოედით ავიყარენით;

მეფემან ბრძანა: ღლაშქარნი უქმენით, შემოჯარენით,  
და დღეს ხატელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემოგატარენით»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 460) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

465 რამაზ მეფე მას წინაშე შეყრობილი მოვიყვანე;

ტკილად ნაბა კელმწიფემან, ვითა შიოლი საჯანე,

ორგული და მოლაღატე ნამსახურსა დავაგავანე,

და ესე არის მამაციას მეტისმეტი სიგულვანე!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 461) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

466 მას მეფესა ხატელსა უმასპინძლა, უაღერსა,

ვაშიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.

ციხკრად მიქმეს, მიხრძანებულს მე სიტყვასა ლმოხიერსა:

და შეუდღობო ხატელსა, მას აქამდის შენამტერსა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 462) შედარებით პროექტში ცვლილებაა: სტროფის ბოლოს დასმულია ბრჭყალები და წერტილი კითხვის ნიშნისა და ბრჭყალების ნაცვლად, ე. ი. შ ე ე ნ დ ო ბ ო (= შ ე ე ე ნ დ ო ბ ო) ჩათვლილია პირველი (და არა მეორე) პირის ფორმად.

ა. ბარამიძე: მე წინააღმდეგი ვარ მეოთხე ტაეპის ამგვარი წაკითხვისა და გაგებისა. მეფესა და ტარიელს შორის არ იყო ისეთი ურთიერთობა, რომ ტარიელის უკითხავად, მასთან შეუთანხმებლად ეპატიებინა მოლაღატე რამაზისათვის. მეოთხე ტაეპში აუცილებლად ზმნის მეორე პირის ფორმა უნდა ვიყარაუდოთ, მთელი წინადადება კი კითხვითად უნდა გაეყოფოთ. რედაქციის დანარჩენი წევრები მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. მათ სარწმუნოდ მიიჩნიათ ამ წაკითხვის დასაბუთება, მოცემული ი. გიგინეიშვილის მიერ (იხ. მისი წიგნი: გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, I, თბ., 1975, გვ. 258—259).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: შეუდღობო ხატელსა, მას აქამდის შენამტერსა.

467 მე ეკადრე: აღმერთი ეინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,

უყოთი თქუენცა წყალობა მას ღონეგაუღებულსა.

რამაზს უბრძანეს: აიცილი, გაგზავნით შეწყალებულსა,

და მაგარ ნუ განახეთ კულამცაღა ჩუენს წინა გაწიბლებულსა!»

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 463) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: კულამცაღა (კულამცაღა).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში გაგგზავნით ფორმის ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში წარმოდგენილი გაგგზავნით. მხოლოდითი რიცხვის ფორმის გადაკეთება მრავლობითად შეპრობებული უნდა იყოს ამავე სტროფში ნახმარ სხვა ზმნათა მრავლობითის ფორმებით: უ ბ რ ძ ა ნ ე ს, გ ნ ა ხ ა ე თ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: გაგგზავნით.

ამ ცვლილებით პროექტი დამტკიცდა.

468 ბარაჯა დასდევს, შეკაწითეს ღრაქანი ასჯერ ასია,

კულა ხატური ათასი, სხუა სტურა, სხუა ატლასია.

მერმე ყუელი დამოსა, იგი და მისი ხასია,

და შეწყალებული ვაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 464). შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

#### 1876 წ. 28 ნომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.



განიხილეს სტროფები: 469; 470; 471; 472 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიანაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 473; 474; 475 (პროექტი მოამზადეს ც. კიციქიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმბალიშვილმა, ნ. ცეციშვილმა).

469 ხატელმან დუმადლა, დარკა, მდბლად ეთაყუნა,  
მოაკსენა: ორგულობა თქქენი ღმერთმან შემანანა.  
თულა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მოქალ მეცა განასა  
და წაიღა და ყჭელაკი მისი თანა წაიტანა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 465) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

470 მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანაღამია;  
ებრძანა: ღრა შენ გაყვრივარ, მას აქათ თქუო სამია,  
მინდორს მოკლელი ისრითა ნადირი არ მიჭამია,  
და არ დამაშურალხარ, წაიღეთ, თუცა დამრომის ცამია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 466) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დამრომის (დამწრომის).

გ. კარტოზიამ განმარტა ამ ცვლილების მიზეზი: შტერ/შტრ- ფუძიდან -ომ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებში (დამწრომა, სამწრომელი...) ჟ-ს დაქარგვა ძველ ქართულშივე ფართოდ გავრცელებული პროცესია. ჟ-დაქარგულ ფორმას წარმოგვიდგენს პოემის ყველა ხელნაწერი. ამდენად ჟ-ს აღდგენა ამ სიტყვაში (დამწრომა) საჭირო არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

471 შეჟაკაზმე, დარბაზს მივე, დამხტლა ჯარი აუზისა,  
მეუარდნითა საეხე იყო სრულად არე დარბაზისა,  
მეფე ქქე ჯდა შეკახმული, მქენებითა მსგავსი მზისა;  
და გაეხარნეს მისლვა ჩემი, ტურფისა და ღამაზისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 468) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გააპროექტი მიღებულ იქნა.

472 იღუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელა:  
ჴომით მოსრული ტარიელ საჭურეტლად სასურველთა,  
მან გაანათლოს მჭურეტელთა გული, რაზომცა ბნელთა;  
და რაცა დაგვედრო საქმენლად, ქმენ, არა საზოზნელთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 468) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაანათლოს (განანათლოს), საზოზნელია (საზოზნელია).

გ. კარტოზია: ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ს ა ზ ო ზ ნ ე ლ ი ა იკითხება (ს ა ზ ო ზ ნ ე ლ ი ა მხოლოდ A2-შია) და ეს უნდა იყოს კიდევ სწორი ფორმა. მისთვის ამოსავალია ზ ო ზ ნ ა (=ზოზინი, ზლაზენა), რომელიც არჩილთან და დ. გურამიშვილთან დასტურდება.

პროექტი მიღებულ იქნა.

473 აწ მოთქამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:  
რათგან ქალია სამეფოდ ჩქენგანვე სახელდებული,  
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, ამა ხე, ედემს ხეხული,  
და გუარდას დაისქი, ორნივე სრას დამხტლით, მოკალ შეხებულია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 469) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

474 მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა;  
იყო სიმრავლე ძაღლისა, მეუარდნისა და ქორისა.  
ადრე დაებრუნდით, ვიარეთ არ ეუვი გზისა შორისა.  
და აღარ იხურთეს, დამლა ქმნეს თამაშობისა ორისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 470) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციას მიაჩნია, რომ თ ა მ ა შ ო ბ ი ს ა ო რ ი ს ა გულისხმობს ორის (=მეფისა და ტარიელის) თამაშობას.

475 ჩემთა მჭურეტელთა მოეცა ქალაქი, შუკა და მანი.  
ომგარდაკლილსა მჭურეტელს მე ენაინნი კაბანი;

ფერმიკლიკურად ვშენოდი ვარდი, ცრემლითა ნაბანი,  
ვინცა მიჭურტდის, ბნდებოდის, - მართლად არს, არ კატაბანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 471) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

1876 წ. 12 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 476; 477; 478; 479 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კეტიშვილმა).

476 რიდენი რომე მემოენეს ჭალაქსა სატაელთასა,  
აჲს მესჭიენეს, მშტენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა.  
მეფე გარდაქდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა,  
და შევხედენ, დეაკრთო ევლასა დაწეთასა მზებრ ნათელთასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 472) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაწეთასა მზებრ (დაწეთა მზებერ).

ც. კიკვიძე: სტროფი დაბალი შიირით არის ნაწერი, ბოლო ტაქვის მეორე ნახევარი კი ხელნაწერთა და გამოცემათა დიდ ნაწილში შიირითაა გაწყობილი (დაწეთა მზებერ ნათელთასა). რიტმის ამგვარი დარღვევის თავიდან ასაცილებლად გამოცემაში სხვადასხვა კონიექტურაა მოშველიებული. პ. ინგოროყვა (ორე) ასწორებს: დაწეთასა მზებერ ნათელთასა, ო დ ს-ში გვაქვს: დაწეთა მათ მზებერ ნათელთასა. ჩვენ პირველი კონიექტურა ვარჩიეთ, როგორც უფრო დაახლოებული ხელნაწერთა წაკითხვასთან (ზედმეტი სიტყვა არ არის დამატებული).

ა. ბარამიძე: დაწეთასა ს მეც ვუკერ მხარს. B1-ში იკითხება მასთან შეტად ახლო მდგომი ფორმა დაწეთა (დაწეთა მზებერ ნათელთასა).

ი. გიგინეიშვილი: მე გამიჭირდებოდა ამ კონიექტურის (დაწეთასა) დაცვა. უფრო მისაღებად მიმანინა მეორე კონიექტურა: დაწეთა მათ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: დაწეთასა მზებერ ნათელთასა.

477 მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯისფერნი ჯუბანი,  
ზურგით უთქს ჯარი ხაღუმთა, დას-დასად, უბან-უბანი;  
სრულად ნათლითა ავესო სახლი, შუკა და უბანი,  
და მუნ ვარდასა შუა მტენოდეს ძონ-მარგალიტნი ტყუბანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 473) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

478 ნაომარსა, დაკოდისსა კელი ველსა ჩამომება.

დედოფალი საჯღომთაჲან ადგა, წინა მომეგება,  
ვითა შვილი გარდამკოცნა, დაწეი ვარდი დამილება,  
და მითხრა: დნუ ეჭუ ამას იქით, თუღა მტერი შე-ლა-გებაჲ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 474) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბოლო ტაქვი გასწორებას საჭიროებს. ნუ ეჭვი, თუღა შე-ლა-გებაჲა უხერხული ფრაზაა: თავი რომ დავანებოთ ორი -ღა ნაწილაკის ერთად ხმარებას, ბოლო ზმნა წყვეტილის ნაცლად მყოფადმი უნდა იდგეს ან მეორე კავშირებითში. სწორი წაკითხვა დაცულია D1 წესისში, სადაც თუღა-სა ნაცლად თუღა-სა გვაქვს (ასეა ს Z გამოცემებშიც) ამავე წაკითხვას უჭერს მხარს A12 D2 გ-ს თუცა.

ი. გიგინეიშვილი: ტაქში მეორე -ღა ნაწილაკიც უადგილოა. გაუგებარია მისი ჩართვა შეგება ზმნაში. საუბრადღებოა რიგი ხელნაწერის (A4 A9 A10 B2 B8) წაკითხვა: შეგო-გებაჲა. შეგობმა შეგმის, მეტროლობის მნიშვნელობით ჩვეულებრივი სიტყვაა რუსთველისდროინდელ ქველებში მაგ, „ქართლის ცხოვრებაში“).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მითხრა: „მუ ეჭუ ამას იქით, თუღა მტერი შეგოგებაჲა“.

479 ახლოს დამიშტეს ადგილსა, მუნ, სადა შეამებოდა.

პირისპირ მიხდა იგი მზე, გული ეხსთუნისცა კლდებოდა.  
მალით უჭურტდი, მიჭურტდა, სხტად არად შეუბნებოდა;  
და თქალნი მოვსწიწილნი, სიცოცხლე ამითა მვარმებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 475) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჭურტდი (უჭურტდელი).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით შესამე ტაეპში მიღებულ იქნა წაკითხვა: სხტად არას მეუბნებოდა.

1976 წ. 26 დეკემბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. შეტრე-ველი, ს. ცაიშვილი, შ. ინდიგერა.

განიხილეს სტროფები: 480; 481; 482; 483; 484 (პროექტი შოაშადადეს ც. კვიციანს; ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცეტიშვილმა); 485; 486 (პროექტი შოაშადადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცეტიშვილმა, ნ. წაქაძემ).

480 შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა;

სხტა გახარება ასეთი არს უნახავი თქალისა!

ჯამი და ჭიქა — ვუღელი ფეროხისა და ლალისა.

და არეისი ბრძანა მეუფემან არცა გაშტება შორეალისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 476) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

481 მე შუნა მყოფი მიჯცი შუქასა მეტისმეტასა.

რა შემომხედნის, შევხედნი, ცუცხლმან დამიწყის შრეტასა;

კაცთა კრძალვასა ვაწუქედი გულსა შმაგსა და რეტასა.

და რაშეა ჰირისპირ საყურადლისა ჭურეტასა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 477) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

482 დაადგეს მღერა მუტრიბთა, ესულეთოთა თავი ხარიან;

მიბრძანეს: «შეილო ტარიულ, ვით გითხრათ, ვით გუთხარან?»!

ნეტარძი გუქაქუსო, მებრძოლნი მით ჩუენნი ვაგლახ არიან;

და მართლან შენნი მჭურეტელნი, არ ცუდად იმუქებარან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 478) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

483 აწ თუცა გუშართებს შემოსა, ვის მორკმით მოგიუღენიან,

არ შეგმოსთ, მაგა კახათა არ აკლით, ტურფად გმუენიან;

აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგიუღენიან,

და თუით შეიკერე, რაცა გწადს, ჩუენგან ნულარა გრცხუენიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 479) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

484 მომართუნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;

თაყუანის-ვეც და დაელოცენ დაეღანი მათთა სუეთანი;

მაკოცეს, ადგეს ორნივე, თუით იგი მზენი მზეთანი,

და რა გასცეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშკართა სისაესეთანი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 480) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ შესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცეღად დაისვა წერტილ-მძიმე.

485 კულაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა;

კულა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ვღერა.

დელოფალი წამოვიდა, შეეყარა მწუნხრსა დღე რა.

და ძილბირამდის სიხარულსა სიხარული ჰკვანდა ვერა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 481) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

486 აეყარენით, მიეტვირდა სმა დოსტაქნისა მეტისა.

საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა.

ძალი არ მქონდა ტყუექმნილსა მე ამა ცუცხლთა შრეტისა.

და მეგონებოდის, მალხენდას გონება მისგან ჭურეტისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 482) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

## 1878 წ. 18 იანვარი

სხლმას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ვ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განხილეს სტროფები: 487; 488; 489; 490; 491; 492; 493 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქრიტაშვილმა, ნ. წაქაძემ).

487 „მონა მოვიდა, მიაბო ამბავი მან მართალია:

თქვენსა ამბავს იციოთავს აჯილოსანი ქალაქა.

მაინვე ვიციან, ავიჭერ, ჩქარ-ჩქარად გულგამართალა;

და მოვიდა, ენახე ასმათი ჩემთან მომავალა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 483) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

488 მე ვისთვის ექვლები, მეამა ასმათის ნახე მე მისად.

აღარ მიუშვი, ეაკოცე, ქმნაღლა თაყნის-ცემისად;

ქელი მოეკიდე, დავისტი ახლოს ტახტისა ჩემისად,

და ეკითხე, თუ: «ნეტარ, მისრულა მორჩი ალეისა ხე მისად?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 484) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მთავრით (მთვეუშვი). პროექტი მიღებულ იქნა.

489 მიაბე მისი ამბავი, სბტად ნურას მუგუნებიაა

მითხრა, თუ: «გადრეხ მართალსა, აწ ჩემგან არსათნებია,

დღეს ერთმანეთი გინახავს და ტურუად მოგწონებია,

და აწ კულაცა ცნობა ამბისა მას ჩემგან უბრძანებიაა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 485) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

490 წიგნი მომართა, ჩახეღენ, პირისა თემთა მთენისა.

ეწერა: «ენახე სიტურფე წყალუჯარისა მენისა.

ომგარდაქლილი შტენოდი, შენატეკები ცხენისა,

და არავი შიჩანს მიზეზი ჩემისა ცრუმლთა ღენისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 486) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: პირველი და მეორე ტაეპი ერთმანეთთან შინაარსობრივ-გრამატიკულად დაკავშირებულია (ფრაზაში სიტყვათა ჩვეულებრივი წყობისას გვექნებოდა: წიგნი მომართვა პირისა თემთა მთენისა, ჩახეღენ, ეწერა...). ამიტომ პირველი ტაეპის ბოლოს მძიმე უნდა დაისვას.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

491 ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,

შენთვის მკურარი, აღარ ეიტყუი, მაშა მოკლავ უშენოსა,

მზემან ღმოსა ვარდ-ვიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,

და შენმან მზემან, რავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 487) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

დაადგინეს: რედაქციის წევრებმა წერილობით წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი მაქამათა მნიშვნელობაზე.

492 თუცა მივდის ღმარი ცრუმლთა, მაგრა ცუდად არ იღენო,

ამას იქით ნულარ იღენ, გულსა ჭირნი არიღენო;

შენნი მჭურტნი ჩემთა მჭურტთა ავინებენ, არ იღენო;

და რომე წელან მოგებუენეს, იგი ჩემთვის არიღენო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 488) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

493 იგი მე მომცენ რიღენი, რომელი წელან გმურულეს,

რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულითა მშტენოღეს;

ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ღა-გულენოღეს,

და ერთი ასეთი ცოცხალსა სხტა ღამე არ გაუთენოღესა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 489) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მეორე ტაეპში გაუგებარია შესიტყვება შენ ენა უ ლ ი თ ი მ შ ტ ე ნ ო დ ე ე . ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან მძიმით უნდა გამოიყოს: რა მნახო, შენცა, გეამოს, შენეული-

თა, შემწენოდეს. ევარუდობთ, რომ ტაეში სიტყვათა თაისებურ წყობასთან გვაქვს საქმე. ტაეის აზრია: რა მნახო შენუელითა (რიდითა), შენცა გვამოს, (რომ) მწვენოდეს. რელაქციამ არ მიიღო ეს წინადადება. პროექტი უცვლელად დამტკიცდა.

1076 წ. 28 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 494; 495; 496 (პროექტი მოამზადეს ც. კიციძემ, ნ. ავალშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

494 აქა მკეცქმნილი ტარიელ ტირს, ჳირი ეათასეხის; თქუა: „მე მაქტს სამკრე, რომელი კქლა წინას მკლავსა მას ების!“ იგი შეიქნას, მოილო, თქაღუით არ დაიფანების, და პირსა დაიღუა, და-ცა-ბნდა, ქქუ მქქლართა დადასესების.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 490) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილისა და ე. მეტრეველის აზრით, მესამე ტაეში ნაცულად ფორმისა თ ქ ა ლ ე ი თ უ ნდა წაეიკითხოთ თ ქ ა ლ ი თ.

რელაქციამ უცვლელად დატოვა პროექტის წაითხვა: თ ქ ა ლ ე ი თ (= ანგარიშით).

495 ასრე წუა, რომე არ ჰგვანდა მქქლარი სამარის კარისა, ორგნით ჩანს ლები მჯილისა, მართ გულსა გარდნაკარისა; ასმათს სდის ღჭარი ხისხლისა, ღაწქთაგან ნახოკარისა, და კქლა წყალსა ასხამს, უშქელის, კმა ისმის მუნ წაკწყარისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 491) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: პირველი ტაეის შინაარსი (დაბნედილ ტარიელს მკვდარი კი არ ჰგავდა) გაუგებარია და საეჭვო.

ა. ბარამიძე: ტაეის აზრია: დაბნედილი ტარიელი სამარის პირზე მიმდგარ მკვდარზე უარესად გამოიყურებოდა.

ი. გიგინეიშვილს, ც. კიციძეს და ს. ცაიშვილსაც მიაჩნიათ, რომ ტაეის ამგვარი გაგება საესებით მისაღებია, სულაც არ არის სახამუშო.

გ. კარტოზია: წაითხვას, მართლაც, ახლავს აზრობრივი უხერხულობა. ამიტომ იქნებ კონიექტურა მოგვეშეულებინა და ტაეი ასე გავვემართოთ: ასრე წუა, რომე, არს, ჰგვანდა, მქქლარი სამარის კარისა (= ისე იწუა, თითქოს მკვდარი ყოფილიყო). შღრ. მსგავსი კონსტრუქცია: ღღე, ჰგვანდა, არს აღესებია. 545ჯ.

დაადგინეს: ტაეის წაითხვა უცვლელად დარჩეს.

ი. გიგინეიშვილი: საუურადღებოა A4 A10 ნუსხათა ჩვენება, რომლებიც მეოთხე ტაეის ბოლოს მ უ ნ წ კ ა ნ წ კ ა რ ი ს ა-ს ნაცულად კითხულობენ ერთ სიტყვას: მ ო წ ა ნ წ კ ა რ ი ს ა (A4), მონაწინწარისა (A10). ამგვარი წაითხვა უფრო ძველი უნდა იყოს.

გ. კარტოზია: მ ო წ ა ნ წ კ ა რ ი ს ა მეროველი წაითხვა და უნდა აიხსნას ცალკეულ გადამწერთა სურვილით — მოემორბინათ „ზედმეტი“ მუნ ზმნიზედა. შღრ. ასეთივე „ზედმეტი“ მე ნაცულასახელის მოშორების მსგავსი შემთხვევა: მე ღმიღლისა (286კ) > გაღმიღლისა (A3).

დაადგინეს: დარჩეს წაითხვა: მ უ ნ წ კ ა ნ წ კ ა რ ი ს ა.

ი. გიგინეიშვილი: წ კ ა ნ წ კ ა რ ი ს ა-ს ნაცულად უნდა მივიღოთ წ კ ა რ წ კ ა რ ი ს ა, როგორც ეს A2 ნუსხასა და S გამოცემაშია. რაეიანი ფორმისათვის შღრ. წყაროსებერ ისმნეს წ კ ა რ ი (1090ჯ).

ც. კიციძე: წ კ ა ნ წ კ ა რ ი, რასაკეირველია, წ კ ა რ-ის რედუბლიკაციით მიღებულ ფორმა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რუსთაელის ღროისათვის უცვლელად იყო თუ არა დატული ამოსავალი ფორმა. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები კი ყველა (A2-ის გარდა) ნართან ფორმას იცავს: წ კ ა ნ წ კ ა რ ი ს ა, წ ა ნ წ კ ა რ ი ს ა.

დაადგინეს: ჳერჳერობით დარჩეს წ კ ა ნ წ კ ა რ ი ს ა. შევისწავლოთ წ კ ა ნ წ კ ა რ / წ კ ა რ-წ კ ა რ ფორმათა ხმარების საკითხი ქართულში და შემდგომ კვლავ დაუებრუნდეთ ამ სიტყვის დაწერილობას ტექსტში.

496 აუთანდილცა სულთქნა მწარედ, დაბნედილსა შემოსჭურბიტან; ასმათ ეანი გაამრავლან, ცრემლმან მისმან ქვანი ზჭრიტან; მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წულთა დაუშრიტან; და თქტა: „ცოცხალ ვარ? საწუთრომან აწცა ჩემნი ხისხლნი ზჭრიტან!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 492) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

#### 1878 წ. 20 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. პეტრუ-ველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 497; 498; 498,1; 499; 499,1; 500; 501; 502; 503 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა ე. გვრიტიშვილმა, ბ. მასხარაშვილმა, ლ. კაცნაძემ, ე. ტუ-რაბელიძემ).

497 ზე წამოჯდა ფერმიძილი, აყოლებდა თქალთა რეტად.  
ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად.  
ღიღხან მათად არა სცალდა საუბრად და არცა ჭჭრეტად,  
და დარჩომა და არსიკუდილი მას უმძიმდა მეტისმეტად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 493) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

498 აეთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა,  
გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა:  
ლხინად მინნს შეყრა მოყურისა მის შენგან შეუვრელისა.  
და მე მიქუთის ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მრთელისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 494) შედარებით პროექტში ცვლილებაა: მინნს (მინს), მოყურისა მის (მოყურისა. მის).

რედაქციამ აღადგინა მესამე ტაქსში მძიმე და ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

498,1 მოეგონა საყურელი, პისი მზე და მისი მთვარე.  
თქუა: „ვიგონებ დაკარგულსა, სიცოცხლე მაქვს ვისთვის მწარე;  
სამყრე მისი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა ვარე;  
და რომ მმართებდა სიხარული, ეგზომიცა ვით ვიხარე?“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 643) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე ტაქსის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია წარტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

499 ასმათის ნახუა მეამა, ჩემგან დად საესაისა.  
წიგნი რა ენახე, მომართუა ესე საბამი მკლავისა.  
მკლავსა შევიბი მაშინვე, მოვიქსენ რიდე თავისა,  
და იგი უცხო და დარიბი, მტკიცისა რასმე შეისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 495) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

499,1 რიღენი და ყაბანნი რომე მესხნეს სამტუნოდ მისად,  
ერთგან შეგარენ, გაუგზავნენ, მზესა აკლდა ოღენ მისად.  
ასმათ ღიღხან არ გაუშეი მე იმედად სულთა ღვმისად,  
და მისგან კიდე მომეცალა საუბრადმცა სხუადლა ეისად.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 645) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეეკრენ (შეეკრენი), ოღენ (ოღნად), კიდე (კიდე), ეისად (რისად). პროექტი მიღებულ იქნა.

500 „მიუწერე: ეშუო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,  
გულსა მეცა, გამიკუდლეს სინაუქე-სიალფენი;  
ხელმან შენნი გაეცადენ სინატიფე-სიტურფენი,  
და ხულთა ნაცვლად სამსახურნი რამცა ვითა ვიმუქფენი?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 496) შედარებით პროექტში ცვლილებაა: მიუწერე (მი-ვუწერე). პროექტი მიღებულ იქნა.

501 მაშინ, ოღენ დაბარჩინე, ხულთა სრულად არ გამყარე,  
აწცა ჩემთუის ესე ტამი მასვე ტამსა დაეადარე;  
სამყრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა ვარე,  
და რომე მართებს სიხარული, ეგზომიცა რა ვიხარე?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 497) შედარებით პროექტში ცვლილებაა: მართებს (მმარ-თებს). პროექტი მიღებულ იქნა.

- 502 განაღმა ეიწინაშე, ახა რიღე, რომე მთხოვე;  
 ფაზარა ასეთივე, ამისებრი ვერა ეპოვე;  
 დაბნედილსა ნუ ღამაგდებ, მიშტეღე რა, მარგე, მოვე;  
 და სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ეისშცა შევეპოვეთ

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 498) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი შიღებულ იქნა.

- 503 ქალი ადგა, გამეყარა. ღვეწე, ამოდ ღამეძინა,  
 მაგრა შეკრთი, საყუარელი ჩემი ენახე ძილსა შინა;  
 გამელტობა, აღარა მყვა, სულღმულობა მომეწყინა,  
 და ღამე ასრე გაუთენე, მისი ქმაცა არ მესმინა”.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 499) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი შიღებულ იქნა.

# ახსალი შიგნებები

გაერო-საქონლო-სა-„მეცნიერება“

**აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა**

თარგმანი და შესავალი წერილი  
ა. გელოვანისა.

რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა.

აღქსანდრიელი მგოსნის აპოლონიოს როდოსელის პოემის „არგონავტიკის“ სრული პოეტური თარგმანი პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე (ა. ურუშაძისეული პროზაული თარგმანის შემდეგ).

248 გვ., ფასი 2 მან. 50 კაპ., ტირაჟი 40 000.

**მ. აბულაძე, კონსტანტინე გამსახურდია.**

რედაქტორი ბ. ქლენტი.

ეს წიგნი წარმოადგენს კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევის პირველ მონაკვეთს, რომელშიც გამოკვეთილია მწერლის შემოქმედების განვითარების ძალკეული ეტაპები.

172 გვ., ფასი 95 კაპ., ტირაჟი 5600.

**შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“.**

რედაქტორი ი. ლოლაშვილი.

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ხალხში გავრცელებული ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“. ავტორი ადგენს მის ტექსტს და ცდილობს გაარკვიოს ლექსთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. მისი აზრით, ეს ლექსი გავრცელებული ყოფილა ძველ ქართულ მწერლობაში და უნდა ეკუთვნოდეს რუსთველს.

107 გვ., ფასი 55 კაპ., ტირაჟი 3 200.

**ივანე ჭავჭავაძის პირადი არქივის აღწერილობა.**

შეადგინეს: ა. ბაქრაძემ და ნ. ჯაფარიშვილმა.

სარედაქციო კოლეგია: ე. მეტრეველი, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია.

აღწერილობაში ასახულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული

დიდი ქართული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ივანე ჭავჭავაძის პირადი არქივის მასალა, რომელიც აგრეთვე შეიცავს საქართულოს ცენტრალური ისტორიული არქივის და ლენინგრადის საოლქო სახელმწიფო არქივის დოკუმენტების პირებსაც. აღწერილობაში წარმოდგენილია 3 ათასზე მეტი საარქივო ერთეული, დალაგებული თემატიკურად და ქრონოლოგიურად.

აღწერილობა წარმოადგენს შეუქმნის მკითხველს ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარეზე. თავმოყრილია დიდი მეცნიერის ბიოგრაფიის, მეცნიერული შემკვიდრების, სამეცნიერო-ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, ი. ჭავჭავაძის მიმოწერა სხვადასხვა პირთან და სხვა.

აღწერილობა დიდ დახმარებას გაუწევს დინტერესებულ მკვლევრებს და ფართო მკითხველ საზოგადოებას ი. ჭავჭავაძის მდიდარი შემკვიდრების შესწავლასა და მის მრავალმხრივ საქმიანობის გაცნობაში.

368 გვ., ფასი 2 მან. 40 კაპ., ტირაჟი 1 600.

**მრავალთავი, V.**

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ც. კახაბერიშვილი (მდივანი), ე. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ც. ქუციკიძე, მ. შანიძე, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია.

ტომის რედაქტორი ე. ხოშტარია.

„მრავალთავის“ V ტომი ეძღვნება ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავს. იგი შეიცავს ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ამსახველ მასალებს, ასევე სხვადასხვა ავტორთა წერილებს ძველი ქართული კულტურის ისტორიის, ქართული წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, დიპლომატიკის, ფილოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეალოგიის საკითხებზე.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მასალას ი. ჭავჭავაძის პირადი არქივიდან, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. კერძოდ, ქვეყნდება მისი მიმოწერა პროფ. მ. ბეჟუვანოვთან, ი. ჭავჭავაძის შეგებულეზანი ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსზე (მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი), რამდენიმე დოკუმენტი მეცნიერის ბიოგრაფიიდან.



დამატების სახით აქვეა გამოქვეყნებული  
 ო. ჭავჭავაძის მოხსენება ქართული საისტორიო  
 ძეგლების გამოცემის შესახებ, ქართულ  
 ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის და ხელ-  
 ნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და  
 გამოწერის მის მიერ შედგენილი წესები.  
 280 გვ., ფასი 2 მან. 30 კაპ., ტირაჟი 1300.

**ო. ნ. მარო, კ. ი. ჩაიკინი, წერილები სპარსული ლიტერატურის შე-  
 სახებ (რუსულ ენაზე).**

საარქივო მასალები გამოსაცემად  
 მოამზადეს, წინასიტყვაობა და შენი-  
 შენები დაურთეს ს ო ფ ი ო მ ა რ მ ა  
 და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ვ ა ხ ა რ ი ა მ.

წიგნი პირველად ქვეყნდება ცნობილი საბ-  
 კთოა ირანისტების ო. ნ. მაროსა და კ. ი. ჩაი-  
 კინის წერილები. წერილებში განხილულია კლავ-  
 სიკური და თანამედროვე სპარსული ლიტერატურის  
 და ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერობის  
 ზოგიერთი საინტერესო საკითხი.  
 304 გვ., ფასი 1 მან. 65 კაპ., ტირაჟი 1700.

**ძველი ქართული მწერლობისა და  
 რუსთველლოგიის საკითხები, VII—  
 VIII.**

რედაქტორები: ა. ბარამიძე, ი.  
 ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი.

წინამდებარე კრებულში ქვეყნდება წერი-  
 ლები, მიძღვნილი აკად. ივანე ჭავჭავაძისად-  
 მი და ნაკრებები ძველი ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის, რომლებშიც განხილულია ქართული  
 ეთნოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის  
 აქტუალური საკითხები: „ილარიონ ქართველის  
 ცხოვრების“ რედაქციათა ურთიერთობა,  
 ივანის წარმოშობა და მისი ისტორია,  
 „ოთოდორე ველსელის ცხოვრების“ ქართული  
 თარგმანის მიმართება ბერძნულ ხელნაწერებთან,  
 შუა საუკუნეების ევროპული სამიწერო  
 პოეზიისა და რუსთველის პოემის ტიპოლოგიური  
 პარალელები, „ვეფხისტყაოსნის“ გაელენა  
 „იოსებ ზილიხანიანის“ ანონიმურ რედაქციაზე,  
 რუსთველური ცნებები და ტერმინები,  
 „აღორძინების ხანის“ პოპილიათა რეალისტური  
 ტენდენციები, ქართული ლიტერატურის  
 მოღვაწეთა რუსთველოლოგიური შესვ-  
 დულებანი და სხვ.

წიგნი განკუთვნილია ძველი ქართული ლიტერატურის  
 საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

327 გვ., ფასი 2 მან., ტირაჟი 1000.

**ახალი ქართული ლიტერატურის სა-  
 კითხები, VII.**

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი.

კრებულში გაერთიანებული წერილები  
 XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის,  
 სალიტერატურო კრიტიკისა და ჟურნალისტიკის  
 ისტორიის ცალკეულ, ნაკლებად შესწავლულ  
 საკითხთა განხილვის ეძღვნება. კრებულში  
 განხილულია ქართული რომანტიზმის საკითხები,  
 აკაკი წერეთლის საზოგადოებრივ-ლიტერატურული  
 ურთიერთობანი, ევა-ფშაველას შემოქმედების  
 რამდენიმე საკითხი, „ქართული გაზეთის“  
 ადგილი და როლი ეროვნული ჟურნალისტიკის  
 განვითარებაში და სხვ.

კრებული გამოხვლია როგორც ლიტერატურის  
 სპეციალისტების, ასევე ქართული მწერლობის  
 ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ  
 მკითხველთა ფართო წრისათვისაც.  
 200 გვ., ფასი 1 მან. 35 კაპ., ტირაჟი 1000.

**ტექსტოლოგიის საკითხები, V.  
 რედაქტორი ს. ყუბანეიშვილი.**

კრებულში გამოქვეყნებულია წერილები,  
 რომლებიც ეხება ქართული კლასიკოსების (ი. ჭავჭავაძე,  
 ვაჟა-ფშაველა, დ. კლიაშვილი) ზოგიერთი  
 თხზულების შემოქმედებითი ისტორიის საკითხებს;  
 წარმოდგენილია ამა თუ იმ მწერლის თხზულებათა  
 ახლებური დათარიღება; განხილულია ტექსტოლოგიური  
 საკითხები, როგორცაა კონიექტურა, ორთოგრაფია და  
 პუნქტუაცია აკადემიურ გამოცემაში. კრებულში  
 მოცემულია 1953—1963 წწ. გამოცემული  
 ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორია, განხილულია  
 თითოეული გამოცემის ტექსტოლოგიური საკითხები;  
 ნაჩვენებია რა საზოგადოებრივი რეზონანსი  
 ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას.  
 182 გვ., ფასი 1 მან., ტირაჟი 700.

**თ. უთურგაიძე ქართული ენის ფონემატური  
 სტრუქტურა.**

რედაქტორი ზ. ჭაფარიძე.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ენის ფონემათა  
 პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი.  
 განხილულია მარცვლი და დამარცვლის პრიციპები  
 ფონემათა სინტაგმატური წესების მიხედვით.  
 არის ცდა, ენაში მოქმედი ფონეტიკური  
 პროცესები აიხსნას ძირითად ფონემატურ  
 კანონზომიერებებზე დაყრდნობით.  
 218 გვ., ფასი 1 მან. 15 კაპ., ტირაჟი 900.